544
169/4

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სოფელი

6

1969

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ცისკარი

145

გამოცემის მეცამეტე წელი

6

ივნისი

1969

თბილისი

11981

სსრ. კპ ცკ-ის გამომცემლობა

ლიტერატურულ-მხატვრული და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი

საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტისა და მწერალთა კავშირის ორგანო

შინაარსი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლენინიანა

3. გიორგი გიგაური. ლექსები

პროზა

5. ნოდარ ფულეისაირი. თუთაარჩელა. რომანი, გაგრძელება

39. ჯემალ ქარჩხაძე. ოპერაცია „დეიდა ტასო". მოთხრობა

57. სერგი ჭილაია. შვილები. ქრონიკა. დასასრული

პოეზია

32. ნუგზარ წერეთელი. ეკო. ლირიკული პოემა

37. ზაურ ბოლქვაძე. ლექსები

54. ზაკარია შერაზადიშვილი. ლექსები

55. ჯარჯი ფხოველი. ლექსები

დე, მუდამ იყოს მზე!

73. გივი ბერეზანაძე. კაკუური ბოგიაშვილი. ნოდარ შამანაძე. ნუნუ კერესელიძე. სამაგვიო ლექსები

უცხოური ნოველა

75. ჯონ ბოლზუორთი. მტრობა. ყოფილი 299. ინგლისურიდან თარგმნა ვახტანგ ჭელიძემ

პოეზიის მერიდიანები

101. თადეუშ რუჟევიჩი. ლექსები. პოლონურიდან თარგმნა ჯემალ ჭელიძემ

„ცისკრის" კუბლიკაცია

103. შოთა ჩანგლაძე. ლექსები

ნარკვევი

109. ლამარა გვაზაპა-სანაძე. გამოთხოვება

ლენინიანა

115. ლევან ჩანგლაძე. ლიტერატურული ხერხები „მატერიალიზმსა და ემპირიოკრიტიციზმში"

წერილები

123. არჩილ ჩაჩიბაია. ცნობათა სწორად გაგება-გამოყენებისათვის

მეცნიერება და ტექნიკა

127. ვახტანგ ჭიჭილაძე. მთვარეზე ადამიანის გაფრენის შესახებ

მოგზაურის შთაბეჭდილებანი

135. ილია ტაბაღუა. კაბილია

ხელოვნება

141. მარსელ ბლისტენი. ნახევარდღის, ედიტ!.. თარგმნა ლია თევზაძემ

სპორტი

157. გივი შეყილაძე. მესამე შთამბეჭდავი გამარჯვება

159. ყოველი მხრიდან

მთავარი რედაქტორი
ჯანსუღ ჩარკვიანი

სარედაქციო კოლეგია:
გურამ ასათიანი,
აპაკი ბაქრაძე,
გივი გეგეჭკორი,
გურამ გვერდწითელი,
მერაბ ელიოზიშვილი,
კარლო კალაძე,
კონსტანტინე ლოლაძე,
ოტია კაპანაძე
(მასუხისმგებელი მდივანი),
ნუგზარ წერეთელი,
ნოდარ ფულეისაირი,
ტარიელ ფანტურია,
სერგი ჭილაია,
თამაზ ჭილაძე,
ლაშა ჯანაშია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გიორგი გიგაური

ბელადის ნაბიჯები

„არა, ჩვენ ამ გზით არ ვივლით...“
ლ ე ნ ი ნ ი

მონობის უღელს,
მონობის ჯაჭვს,
მონობის კერას
იტანდა კაცი...
აღარ ეყო მოთმენის ძალა,
ღრუბელთა შორის
გამოკრთა ელვა,
გავარდა მეხი,
ნამეხარი ავარდა ალად.

დაეცა მეფე ალექსანდრე,
ტახტი კი დარჩა,
მეფის მკვლელობამ
ვერ უშველა ხალხს და ქვეყანას...
რა დიდი იყო,
რა ძლიერი ილიჩის განცდა,
შეხედა ძმას და
წარბი შეჰყარა:

— ეჰ, ძმაო, ახლა
რას გახდები ტერორის ძალით,
ერთეულები
ვერ შეცვლიან ბედს ისტორიის, —
თქვა,
გაბედულად გამოაღო
მომავლის კარი,
რევოლუციის გრიგალების
იწამა ტორი...

ძმის ცხედარს
თოკზე დაკიდებულს არწევდა ქარი,
სახრჩობელები
ხალხს ზარავდნენ დათხრილ თვალებით,
და პეტერბურგი —
ანთებული ტყვიების ალით —

ეროვნული ბიბლიოთეკა

იკრებდა ძალას,
ამზადებდა დანას ალესილს.
ილიჩს მუქარა
აინუნშიც არ ჩაუგდია,
დინჯად ფურცლავდა
გაოცებულ დღეებს ხვალისას,
— დიდი რუსეთი
არწივთ ბუდეა
და ჰა, იგრძნობა
ნაბიჯები ქარიშხალისა!..

მერე წამოდგა,
აღიმართა სვეტად სინათლის,
გამხნევდა გული,
გაიფანტა სევდის არილი;
— დედავ,
მამულო,
გამიგონეთ,
გეტყვით სიმართლეს:
მე სხვა გზით წავალ,
ძმის გზით არ ვივლი.

ტამერფოსი

— ტამერფოსია;
— ტამერფოსია,
მატარებელი შეჩერდა ხვნეშით,
ნისლები მაღალ ხვებს კოცნიან,
ნაზი სიცოცხლე იღვიძებს ხეში.

მგზავრს ნაცნობივით ხვდება ქალაქი,
ეს მართალია თუ ეჩვენება,
აჟღერებულა ხმები არაგვის,
უსმენს ღიახვის აჩანჩქერებას...

მიდის,
დაკეცა ქუჩები უცებ,
მაღალი სახლის გახსნა კარები,
კოლხიდელს გული ხალისით უცემს,
დაეძებს ილიჩს ორბის თვალებით!

და აი, ისიც,
კეთილი,
სათნო,
უფრო დიადი,
უფრო მაღალი,
სიტყვას,
ვით ტყვიას, ყალიბში ადნობს
და სიტყვა ხდება გულზე სახალი.
საუბრობს,
ღიმილს იმეტებს უხვად,
უბრალო,
თბილი,
განა გულცივი,
რევოლუციის ჭარმაგი მუხა,
გაცისკროვნება რევოლუციის.

— დელეგატია საქართველოდან, —
ამბობს ვიღაცა,
პასუხს ელიან;
— უკვე მოვიდა?
ასეც მჯეროდა,
მართლაც მგზნებარე კოლხიდელია!..

ნოდარ წულეისკირი

თუთაკრელი

როგორც იქნა, გამოჩნდა ანინა აივანზე. ოდის კარები გასალებით ჩაკეტა და კიბეზე დაეშვა. გვაჩი ჭიშკართან თავის „ვოლგაში“ იჯდა და თავბრუდახვეული შესცქეროდა უეცარ მეტამორფოზას — ერთი საათის წინ სამზადში სულ სხვა ქალს ელაპარაკებოდა. ანინას დაებანა, დაევარცხნა, ცისფერი შარვალი და თეთრი პერანგი ჩაეცვა. შარვალი უხდებოდა. გვაჩის არასოდეს ენახა ანინა შარვალში, როცა ქალი გვერდით მოუჯდა, გვაჩიმ მას ვერ შეხედა. სწრაფად ჩართო მოტორი და მანქანა დაძრა. დაძრა და გააქანა. ანინა მანქანაში ისე დაძაბული იჯდა, თიფქოს სადღაც გაქცევა უნდაო. ყოველთვის და ყველგან ასე იჯდა — გამართული, დაჭიმული, მეფიდური. ფეხებს ერთმანეთთან მიატყუპებდა, წელში გაიმართებოდა, მაღალ კისერს ხან აქეთ მიაბრუნებდა, ხან იქით, კი არ იჯდა, ერთ ადგილას ცეკვავდა. ქალის ცხოვრებაში, ყოველდღიურ საქმიანობაში, ბევრი რამ უშნო და ამაზრზენია; საკმარისია ფეხი უშნოდ გადგას განზე, ან მოშვებული დაჯდეს, ან ერთი სიტყვა, ერთადერთი სიტყვა თქვას უადგილოდ, რომ ეს უშნო და ამაზრზენი ჩანთქავს ყოველივე ლამაზს.

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „ცისკარი“, № 4, 5.

რაც არ უნდა კოხტად ეცვას, რაც არ უნდა აწყობილ-გაწყობილი ჰქონდეს წარბები, წამწამები და თმები, უშნო და ამაზრზენი ზედ გადაეფარება და არ გამოაჩენს. ამიტომაა ქალისაგან პირველ რიგში ქალობას რომ მოითხოვენ, ქალობა ბევრს რასმეს გულისხმობს. — ერთ-ერთი მთავარი ნიშანი ქალობისა კი სილამაზეა.

— რამდენჯერ გთხოვე მასწავლე-მეთქი მანქანის ტარება, რად არ მასწავლი, გვაჩი?!

— აი, დღეს გასწავლი, მთელი დღე თავისუფალი ვარ, დიდ გზაზე რომ გავალთ, საჭესთან მაშინ დაგსვამ, აქ ვიწროობაა!

მანქანა სოფლის ორღობეში მიძვრებოდა.

— ეს სად გამოვედით?..

მანქანა რაიონისკენ მიმავალ მოასფალტებულ შარაგზაზე გამოადგო გვაჩიმ.

— აკი თეთრ მთაზე მივდიოდით?

— იქით ცუდი გზებია, საჭესთან ვერ დაგსვამ, მერე წავიდეთ თეთრ მთაზე.

— ამ გზაზე ვივარჯიშოთ?—გაუხარდა ანნას და მანქანის ფანჯრიდან გახედა გზას.

გვაჩიმ გზის განაპირას გააჩერა მანქანა, გადმოვიდა, შემოუარა, ანნას დაუთმო საჭესთან ადგილი, თვითონ გვერდით მოუჯდა და, ვიდრე მოტორს ჩართავდა, აუხსნა:

— ეს მუხრუჭია, ეს სიჩქარე, ეს ხელის მუხრუჭი...

— წავიდეთ, — აღტაცებით შესძახა ანნამ. გვაჩის ახსნა-განმარტება აღარ აცალა.

— წავიდეთ! — გაიცინა გვაჩიმ.

მანქანა დაიძრა. გვაჩიმ ანნას საჭე გაამართვინა. სოფელი უკან დარჩა, შარაგზა სიმინდის ყანებში შეიჭრა, ანნას უყვარდა სიმინდის ყანებში ფეხით სიარული. საკალანდარიოს სიმინდის ყანები ტუსავით დაბურულია, შეიძლება გზაც კი აგებნეს და ვერ გამოაგნო, მაგრამ ახლა სიმინდის ყანას აღარც კი ამჩნევდა. ფართო შარაგზა მიდიოდა შუა ყანაში, შარაგზას რატომღაც თხრილი გასდევდა, თხრილს იქით სასურველ და საცალფეხო გზა გადიოდა. საცალფეხო გზაზე თითო-ოროლა მგზავრი თუ შეგხვდებოდათ. ისინი რაიონიდან მოდიოდნენ, მოკლეზე მოვკვეთოთ, ფეხსაცმელები ერთმანეთზე გადაებათ და მხარზე გადაეგდოთ, ფეხშიშველი ბრუნდებოდნენ სოფელში. საურმე და საცალფეხო გზის იქით ელექტრონის მაღალი ბოძები ჩამწკრივებულიყვნენ. ისინი ხან შარაგზას მისდევდნენ, ხანაც, იმ მგზავრებივით მოკლეზე მოვკვეთონო და, ყანაში შედიოდნენ. ანნა გზას დამფრთხალი გასცქეროდა, სიმინდის ყანებისაკენ აღარც იყურებოდა, ეჩვენებოდა, რომ ძალიან სწრაფად მიჰქროდა მანქანა და გვაჩის წარამარა ეუბნებოდა:

— ნელა, გვაჩი, ასე ჩქარა სიარული სად შემიძლია?!

ამის თქმა და, გვაჩიმ საჭე წაართვა ანნას, ღონივრად გადაატრიალა და ისე მაგრად დაამუხრუჭა, მანქანა გზიდან გადავიდა და თხრილში ჩაყრავდა, ხოლო საპირისპიროდ მომავალმა მანქანამ ქარივით ჩაქროლა და ერთ წამს მიიმალა.

— გადავრჩით! — შესძახა გვაჩიმ და მანქანას თვალი გაიყოლა — ხედავ, როგორ მიჰქრის! — გახეთქილი მთვრალი ზის საჭესთან.

ანნა ჯერაც გონს ვერ მოსულიყო. გატრუნული იჯდა. როცა გვაჩიმ საჭე წაართვა, თვალთ დაუბნელდა, ეგონა რაღაც დაშავა, ისე მძლავრად ალიმართა მის ცხვირწინ გვაჩის ცალი მხარი, ისე ღონივრად დასტაცა ხელ გვაჩიმ საჭესა და მუხრუჭს, თითქოს მანქანა უნდა აიტაცოს და შარაგზიდან გადადგასო.

— ღმერთო ჩემო, ნუთუ დაგვეჯახებოდა?...

გვაჩიმ თხრილიდან მანქანა ფრთხილად ამოიყვანა და საჭე კვლავ ანნას დაუთმო, ოღონდ ცალი ხელი აღარ გაუშვია.

— აღარ მინდა სწავლა, წავიდეთ...

— შეგეშინდა? არა უშავს, ახლა ეს

ყანები დამთავრდება და ჭალაში გადაუხვევ, იქით ტრიალი მინდვრებია, მანქანაც იშვიათად შეგხვდება.

ანინამ საჭეს ხელი გაუშვა. გვაჩის მიჰყავდა მანქანა. ანინა ყურადღებით, მოწყალის გულმოდგინებით შესცქეროდა გვაჩის ხელებს და ფეხებს. ვითომ მხოლოდ შოფრობის სწავლა ანინტერესებდა. დეგვით ვაჟკაცი რომ გვერდით ეჯდა და უნებლიეთ ეკვროდა, ეს არ იყო მთავარი. როცა გვაჩიმ საჭე წაართვა, დაუზოგავად გადაატრიალა, დაგრიხა. ანინა მის რკინასავით მკლავს მკერდით გადაეწყდა და მარჯვენა ძუძუ ზედ მიასრისა, ეი მაშინ დაუბნელდა თვალთ. ელდანაცემს არაფერი უგრძვნია. ენების ერეოლა ახლა ეწვია. ახლა დაკვირდა გვაჩის მკლავებს, გვაჩის იმ ცალ ბარძაყს, რომელიც მისას ისე მაგრად მიკვროდა. „გიორგიც ასეთი დაკუნთულია — გაუელვა რატომღაც თავში, — უფრო გამხდარია, მაგრამ ასეთი ფეხები აქვს, ასეთი მკლავები, თითქოს ერთი დედის შვილები იყვნენ, ერთმანეთს ჰგვანან კალანდარიები“.

იმ ცალ მხარეს, სადაც გვაჩის ბარძაყი მისას ეკვროდა, თითქოს ცეცხლი მოეკიდა. შემდეგ მთელ ტანში ჟრუანტელმა დაუარა და ცახცახმა აიტანა. სიჩუმე აღარ შეიძლებოდა. სიჩუმე ხაზს უსვამდა იმას, რომ მათი ბარძაყები ერთმანეთს ეკვროდნენ, რომ ქალის მარჯვენა ძუძუსთავი ხანდახან ეხებოდა ვაჟის ზურგს. უნდა ეთქვათ რაღაც. სიჩუმე აღარ შეიძლებოდა. ანინამ ვეღარ მოითმინა და ანგარიშმიუცემლად წამოიცდა:

— ცოლს რატომ არ თხოულობ, გვაჩი?

გვაჩიმ გაიცინა.

ანინა აირია. მოეჩვენა, რომ სხვას ფიქრობდა, სხვას გრძნობდა და სხვას ლაპარაკობდა.

— მილიონჯერ მაქვს შენთვის ნათქვამი, ან...

გვაჩი ქალს გულგრილად ვერ შეხედავდა, კაბის შრიალიც კი თავბრუს ჰხვევდა, რეტს ასხამდა. როცა ანინამ ძუძუ მკლავზე დააჭყლეტა, მაშინ ოფლივეს სიცოცხლე ბეწვზე ეკიდა. ორივ ელვისსისწრაფით უახლოვდებოდა სიკვდილი. გვაჩის ეგონა, რომ თავბრუ სიკვდილის მოახლოებამ კი არ დაახვია, შიშმა კი არ სცა ელა, ანინას ძუძუს მიკარებამ დააელექტრონა, დამუხტა. ახლა კი იმ ძუძუს თავი მის ზურგს ხან შეეხებოდა და ხან არა. ხოლო ყოველივეს, რაც მანქანაში ხდებოდა, გვაჩი მტკიცედ უარყოფდა, ებრძოდა თავისთავს, ებრძოდა ანინას, წუხდა, იტანჯებოდა. მასაც ეგონა, რომ სრულიად უადგილოდ და უაზროდ წამოროშა „ან“.

რამდენადაც ლოგიკური იყო ანინას კითხვა „ცოლს რატომ არ თხოულობო“, იმდენად ზუსტი იყო პასუხი, მაგრამ ერთსაც და მეორესაც ეჩვენებოდათ, რომ რაღაც „წამოსცდათ“, რაღაც „წამოროშეს“.

რაიონიდან მომავალმა რამდენიმე მანქანამ კვლავ შუხელით ჩაუქროლა გვაჩის „ეოლგას“, სიმინდის ყანები დამთავრდა და გვაჩიმ ცხენისწყლის ჭალებისაკენ გადაუხვია. ანინა მთლად მიიყუჟა შოფრის კუთხეში და აღარც კი აპირებდა გვაჩისთვის მანქანის საჭე ეთხოვა. ცუდ გუნებაზე დადგნენ ორივენი. გვაჩიმ ჭალაში დიდ წრეზე შემოტარა მანქანა და პირი თეთრი მთისაკენ ქნა. ჯერ აღმართ-დაღმართ მიდიოდა მანქანა, შემდეგ ჩხარულას ნაპირ-ნაპირ აედევნა. ჩხარული თეთრი მთის შვილია, მაღლა, დევის ქვაბიდან მომდინარეს. დევის ქვაბი სახლისხელა ბნელი ღრვიმეა კლდეში ნაკვეთი, შიგ მღვიმეში წყალი კოჭამდე ძლივს წვდება ადამიანს. აქაფებული ჩხარული მღვიმიდან პირდაპირ ფართო ორმოში ხტება, ორმოდან თავქვე დაეშვება და კისრისტეხით, ზარ-ზეიმით მაღალ მთებს შორის გარბის. ამ ბუმბერაზ მთებსა და სალ კლდეებს ისე ხრამავს, ვითომც აქ არაფერიაო. ბზადაგზა ღელეები, წვიმის ღარები უერთდებიან და მატუ-

ნოდარ ფულეიშკირი
თუთარაჩელა

ლობს, ალაგ-ალაგ კაცს მუხლამდეც კი მიწვდება. წვიმიან ამინდში ისეთი ადიდება იცის, გეგონება მთლად მთელი სამეგრელო მოაქსოო. ვიდრე ბარამდე გამოაღწევდეს და დამშვიდდებოდეს, აზავთებულს, აჯანყებულს ფიცხელი ბრძოლები აქეს გადასატანი თეორი მთის ვიწროებში, კლდეებსა და ღრეებში. საუკუნეებია თეორ მთას ასე გაშმაგებით ებრძვის ჩხარული, ამიტომაც დაუხრამავს მისი გულ-მუცელი. ჩხარულს ხრამები ცნობილია სამეგრელოში — ისინი ზღაპრულ უფსკრულებსა ჰგავანან.

ამ უფსკრულის პირას მიაქროლებდა გვაჩი თავის მანქანას. სამანქანო გზა ბუჩქებით დაფარულ, ცამდე აზიდულ მთასა და ქვესკნელამდე ჩაჭრილ უფსკრულს შორის გადიოდა. ზედ უფსკრულის პირს მისდევდა მანქანა. ადამიანი ვერც ზევით, მთის წვერს მიაწვდენდა თვალს და ვერც ქვევით, ხრამის ძირს.

ამ დგილებს თეორი მთის ჯუნგლებს ეძახდნენ. ოდესღაც აქ გაუვალი ტყეები ყოფილა, ახლა ფართო შარაგზა გადიოდა.

— ეს გზა სვანეთში მიდის, გინდა წავიდეთ სვანეთში? — თქვა უცებ გვაჩიმ და ანინას მოხედა.

— სვანეთში? რა გვინდა სვანეთში?..

შარაგზა ჯუნგლებიდან გამოვიდა, ჩხარულს ხრამები და ტყიანი მთები მარცხნივ დატოვა და მოტიტვლებულ მთებს შორის შეეარდა. ჯერ აღმართზე აიჭრა, შემდეგ თავქვე დაეშვა, რომელიღაც გორაკს ირგვლივ შემოუარა და კვლავ მწვანე მთებს შორის გაქანდა. მანქანაში ხალხის ხმაური და ყმაწვილების ყრიამდული შემოიჭრა.

— გაიჩერე მანქანა, ხმაური არ შეგეშინდა? — უთხრა ანინამ გვაჩის.

—ამ მთასაც უნდა შემოვუაროთ, აქეე. სულ ახლოს არიან. — უპასუხა გვაჩიმ.

ხმაური მანქანაში ხან შემოდიოდა და ხან არა. ანინა მანქანის ფანჯრიდან გასცქეროდა მთას.

— აი, ხედავ, ამ მთაზე არიან, —ანინამ მანქანის ფანჯრიდან მთის თხემზე თავშეყრილ ხალხს მოკრა თვალი. გვაჩიმ მანქანის სვლა შეანელა. ანინა გაიხედა ფანჯრიდან.

— აქედან ამ მთას ეშმაკიც ვერ მიუდგება, უნდა შემოვუაროთ, — თქვა გვაჩიმ და სიჩქარეს კვლავ მოუმატა. შარაგზა თანდათან მაღლა და მაღლა ავიდა. უფრო ახლოს გამოჩნდა ცისკენ მომზირალი ხალხი. ახლა უკვე გარკვევით ისმოდა კიდობანისტთა და თეფშისტთა მხიარული შეძახილები. სმდერები, მთვრალების ლაყლაყი და ღრიანცელი.

— გზა აგვბნევია, ანინა, აქედან ამ მთას ჩვენ ვეღარ მივუდგებით, — თქვა გვაჩიმ და მანქანის სვლა კვლავ შეანელა. იგი ფანჯრიდან გასცქეროდა მთასხედავ, კი არ ვუახლოვდებით, თანდათან ვშორდებით მას, სხვა გზით უნდა წამოვსულიყავით.

— მაშ, გავბრუნდეთ უკან, სადღა მივდივართ.

— კიდობანს აღარ შეეხედოთ?

— რა ვიცი, აკი გზა აგვებნაო?

— თუ იმ მთიდან მოჩანს, აქედანაც გამოჩნდება, სულ ერთი არ არის?

გვაჩიმ მანქანა მინდორში გადაიყვანა. მინდორში სამი ეკალიპტი იდგა, მოტირალი ქალებივით თმაგაშლილი იდგნენ ხეები. მანქანა ეკალიპტების ძირას გაჩერა. ანინა მანქანიდან გადმოვიდა. გვაჩიმ მანქანას მოხერხებული ადგილი შეურჩია, აღმართ-დაღმართს მოარიდა, მოტორი ჩააქრო და მანქანის კარი რომ მიაჯახუნა, მთებში ჯახუნი გასროლასავით გაისმა.

•

— აქედანაც შესანიშნავად გამოჩნდება კიდობანი, — თქვა მან და ცას შეხედა. ანინამაც შეხედა ცას. ცა მოწმენდილი იყო, კრიალა, ღრუბლის ერთი ფთილაც აღარ იყო არსად. მზე მთას მოფარებოდა და ჩასასვლელად ემზადებოდა.

„ბა-ბა! ბა-ბა!“.. — მოისმა მთიდან ერთობლივი შეძახილი, შეძახილს სიცილ-ხარხარი მოჰყვა. „ვოისა, ვოისა“, — მოწადინებული მღეროდა ვიღაც, მაგრამ მისი ხმა ხან ისმოდა და ხან არა.

ნიავს ჩამოჰქონდა მთიდან და ნიავსვე სადღაც მიჰქონდა ეს ხმა.

— არაფერი არ ჩანს, გვაჩი..

— გინდა აი, იმ გორაკზე ავიდეთ, იქიდან ალბათ გამოჩნდება, — უთხრა გვაჩიმ, — ავიდეთ, — გაუხარდა ანინას და წინ გაიქცა, აღმართს შეუდგა. გვაჩი უკან მიჰყვა. ანინა წინ წაბრილი მიდიოდა. ახლა უფრო გამოკვეთილად ეჩენდა მის ტანს საგულდაგულოდ დაუთოვებული ცისფერი შარვალი. დაბალქულლიანი ლამაზი ფეხსაცმელი ეცვა. გასაოცრად ლამაზი ეჩვენებოდა ეს ფეხსაცმელი გვაჩის, ანინას ფეხის ტერფი ჰქონდა ლამაზი, თორემ ფეხსაცმელს პატარა, ჭრელ ბანტს გარდა არა ებადა არ ლამაზი, ჭრელი ბანტი ანინას პატარა ფეხზე პეპელასავით დასკუპულიყო. ერთმანეთის მხარდამხარ მიაბიჯებდნენ, ფეხქვეშ მწვანე ბალახი ხანდისავით ეფინათ, ხანდახან ცას შეხედავდა ანინა და გორაკის თხემამდე მანძილს თვალით ზომავდა. გვაჩი თავჩაქინდრული მიაბიჯებდა. ანინა შეჩერდა, ცალი ფეხსაცმელი გაიძრო და ბერტყვა დაუწყო, ცალ ფეხზე იდგა, შიშველ ფეხზე ეცვა ბანტიანი ფეხსაცმელი. ის ცალი შიშველი ფეხი ჯერ ბალახებს დაეწაწა, „აპო“, — შეჰყვირა. ალბათ რომელიღაც ბალახმა უაზკინა, შემდეგ მეორე ფეხს ზედ დაადო და წეროსავით ცალ ფეხზე შემდგარმა გულმოდგინედ გამობერტყა ფეხსაცმელი. გაოგნებული გვაჩი ქალს თავზე ადგა და თავი ზღაპარში ეგონა. უცებ რაღაც გადაწყვეტილება მიიღო. ერთ წამს გადაწყვეტილება იყო საშინელი, დაუნდობელი, ჯიუტი. საშინელი იყო იმიტომ, რომ, უსათუოდ ტრაგიკულ ნაყოფს გამოიღებდა. დაუნდობელი იმიტომ, რომ „ტრაგიკული ნაყოფი“ მეგობრისათვის იყო განკუთვნილი, ჯიუტი იმიტომ, რომ არასოდეს აღარაფერი აღარ შეიცვლებოდა. განაჩენი იყო მკაცრი და საბოლოო: გვაჩიმ ერთ წამს ხელში აიტაცა ანინა. ისე მოხერხებულად ჩაიწვინა მკლავებში, როგორც ბავშვს აიტაცებენ, სანანავებლად მკლავებში ჩაიწვენენ. ანინა გონს ვეღარ მოეგო, ვერ მიხვედრილიყო, რა მოხდა, რას უპირებდა გვაჩი. გვაჩის უაზრო ღიმილი დასთამაშებდა სახეზე. ბრიყვული ღიმილი იყო ეს ღიმილი, მაგრამ ანინა ახლა ამას ვერ ამჩნევდა. პირველი გაუცნობიერებელი სურვილი, რაც ანინას გაუჩნდა — ეს იყო თავის განთავისუფლება, საცოდავად დაიკლაკნა გვაჩის მკლავებში და მხოლოდ ფეხები ასხმარტალა. ფეხებს მუხლებს ქვევით ჰქონდათ თავისუფლება. ხელები კი ორივე შეებორკა გვაჩის, ცალი ხელი ანინას ტანთან ერთად მკერდზე მაგრად მიეკრა, მეორისთვის კი თავისი ნიჩაბივით ფართო ხელი ჩაევლო. როცა ანინამ განძრევა დაიპირა, გვაჩიმ უნებლიეთ მოუჭირა მკლავები ქალს, ნამეტანი მოუვიდა და ანინას სუნთქვა შეეკრა.

— რას სჩადი, გვაჩი! — შესძახა ანინამ.

— ხელით აგიყვან მთაზე, შენ დაიღალე, — ჩაიბუტბუტა გვაჩიმ და აღმართზე ფეხს მოუჩქარა.

— ხელი გამიშვი, დამსვი! — უთხრა ქალმა.

— ვერ დაგსვამ, ვერც ხელს გაგიშვებ. არასოდეს გაგიშვებს ხელს. მორჩა! ამევსო მოთმინების ფიალა.

— ხელი გამიშვი, გვაჩი, ხელი გამიშვი! — ტირილი აუვარდა ანინას. ფეხები კვლავ ასხმარტალა. მერე შერცხვა ამ უმწეო კლაკვნისა და სხმარტალის, თავი გვერდზე გადაადგა და გულამოსკვნილი ტირილი მორთო. თვალდახუჭული ტიროდა ქალი, გვაჩის არ უყურებდა. გვაჩი დინჯად მიდიოდა აღმართზე და ისიც არ უყურებდა ანინას.

...საიდანღაც ბუღა გამორბოდა... შავი ბუღა უახლოვდებოდა ანინას. გიორგიმ ანინას ხელი ჰკრა, — გაექეცით უთხრა და თვითონ ბუღის შესახვედრად გაემართა. ანინა იქით გაიქცა, საითაც ხალხი გარბოდა..

ნოდარ ფულეიკირი
თუთარაჩელა

— მე უშენოდ არ შემიძლია! — თქვა გვაჩიმ დინჯად და ანინას ფიქრი შეაწყვეტინა. სიჩუმე ჩამოვარდა. ანინამ სლუკუნს უკლო

— უშენოდ არ შემიძლია, მორჩა!.. კვლავ გაისმა ფერდობზე გვაჩის მტკიცე ხმა. ერთი ბეწო სასოწარკვეთილება არ იყო ამ ხმაში, ერთი ბეწო შიში და ერთი ბეწო ცრემლი. ფოლადივით რეკდა გვაჩის ხმა. ასეთივე მტკიცე ნაბიჯით მიაბიჯებდა. მის ზურგს უკან, შორს, ციცაბო კლდის თავზე კი ხალხი ზიმზიმებდა. ქონდრის კაცებივით მოჩანდნენ ისინი აქედან. მათი ღრიანცელი ჩაესმოდა გვაჩის და ნერვებს უშლიდა, თითქოს ისინი მის ზურგს უკან კი არა, ცხვირწინ ირეოდნენ და რიალებდნენ, გზაზე ეღობებოდნენ და ხელს უშლიდნენ, ანინა მთაზე აეყვანა. თანდათან ნაბიჯს უკლო. თანდათან დაიღალა. აღმართმა, ქალის სიმძიმემ და გრძელმა ნაბიჯებმა ფილტვები დაუბერა. ღონიერმა ფილტვებმა ფართო და რკინასავით მძიმე ქალი მაღლა აიტაცეს. ფილტვებმა მკერდის სიმძიმეს დიდხანს ვეღარ გაუძლეს და ძირს დაუშვეს იგი. სული მოითქვეს, კვლავ დაიბერნენ ჟანგბადით, კვლავ აიტაცეს მაღლა მკერდი. ამ ქშენასა და ორომტრიალში სისხლი შხეილით მიაწყდა საფეთქლებსა და გულს. გულმაც მკერდს დაუწყო ცემა და ბაგაბუგი.

ანინა გალურსული იწვა გვაჩის მკლავებზე და ჩუმად ჩამოსდიოდა ცრემლები...

...გიორგი გვერდით გადგა. თითქოს ბუღს გზა დაუთმო. როგორც კი ბუღა გაუსწორდა, სოფლელი ბიჭის სიმარდით ავდევნა, ავდევნა და ცალ რქას წაეტანა. ბუღამ გიორგი გაიტაცა. გაიტაცა თუ არა. ზედ კისერზე დაახტა, ჯერ იღლიით დაიწვა, შემდეგ სულ მთლად ჩამოეკიდა და კისერი დაუღრიკა...

— ხომ იცი, რომ თავდავიწყებით მიყვარხარ! — გვაჩის ხმამ გამოიყვანა ბურანიდან ანინა — მოგშორდეთ აქაურობას, წავიდეთ სვანეთში, გინდა შორეულ ციმბირში წავიდეთ, ოღონდ წავიდეთ!.. — ქშენა-ქშენით ამბობდა გვაჩი და მაღლა მიიწევდა. — სთქვი, რომ სულ მარტო ვარ ამ ქვეყანაზე, შენს იქით გზა აღარა მაქვს, უშენობა არ შემიძლია. მეგონა მოვერეოდი შენს სიყვარულს, გიორგის გულისათვის, ღმერთო ჩემო, გიორგის გულისათვის მეგონა ყველაფერს შეეძლებდი, ვეღარ შევძელ, მორჩა! ახლა სულ ერთია, შენ „ჰოს“ მეტყვი თუ „არას“, მე იგი უკვე დავკარგე... მე მას უკვე ვუღალატე, ისიც ვიცი, რომ გიორგის ღალატი არ შეიძლება... ანინა! ან!... — უცებ ხმას აუწია გვაჩიმ. ჩუმად მტირალი ქალი შეანჯღრია.

...ბუღაცა და გიორგიც მტვრის კორიანტელში გაეხვია. დარეტიანებული ბუღა შედგა. თავი გაიქნია, ტლინკები აჰყარა და გიორგი ქვაფენილზე მტვერში დაადგა. ამასობაში ანინა სადღაც რკინის კარებში შეეარდა. ბუღა იმ კართან მიიჭრა, ჩაკეტილ კარს მრისხანედ შეხედა, ვერ გავანგრევო თუ იფიქრა, გაბრაზებულმა დახარა თავი. ნელელ ეშმაკთან ჭიდილის ენიმა კვლავ აიტანა. ჯერ უკანა ფეხი დაჰკრა ქვაფენილს, შემდეგ წინა ჩლიქებით დაუწყო ფხაჭნა. ენისა და ვნების აჰყვა, აჰყვა, თავისი სქელი კუროს კისერი მოიდრიკა, თვალები დაბრიალა, ჭიაყელასფერი ხაოიანი ენა გადმოაგდო და საზარლად დაიზმუვლა...

— ანინა! ანინა! — ყვირილი ისტერია გვაჩიმ.—მიშველე, ღმერთი არა გწამს?! აკანკალდა, აცახცახდა. აიტაცა, მაღლა აიტაცა ქალი და ორივენი ხმამაღლა ატირდნენ. ეს იყო ცოდვის ტირილი...

გვაჩი ნელ-ნელა დაეშვა მუხლებზე, მწვანე ბალახზე ქალი ფრთხილად დააწვინა და გაშმაგებული კოცნა დაუწყო. მაღლიდან კი მთვრალების ღრიანცელი მოჰქონდა ნიავს, კლდის თავზე ზიმზიმებდნენ კალანდარიები. თეთრ მთაზე საღამოს ბინდი წვებოდა...

●

ანინა შინ გვიან დაბრუნდა. უკვე შეღამებული იყო. ჩქარი ნაბიჯით აირბინა ოდის კიბე. ზალის კარი რომ შეა-

ღო, გიორგი იქ დახვდა, — სავარძელში იჯდა. ანინას შეეშინდა. რატომღაც თავში გაუელვა: „ყველაფერი იცის!“ გიორგი სავარძელში ისე იჯდა, თითქოს ელოდებოდა, როდის შემოვიდოდა ცოლი. ამ სავარძელში გიორგი იშვიათად თუ ჩაჯდებოდა, რად იჯდა ზალაში მარტოკა, რად იყო ასე ჩაფიქრებული? ფიქრი გიორგის მხოლოდ თავის ოთახში, საწერ მაგიდასთან უყვარდა, ან ჰეკატეს ბაღში ხის ძირას წამოწოლილი თუ მიეცემოდა ფიქრებს. ეს ჩაფიქრება ადრინდელს არ ჰგავდა, თანაც ნერვიულად ფერგაშქრალი ეჩვენა ანინას ქმარი. „მეჩივნება“, — გაიფიქრა და, ვითომც აქ არაფერიაო, გიორგის საქმიანად წინ ჩაუარა, ბავშვის ოთახში შეიხედა.

— ჩაეძინა? — ჰკითხა ტატუს ანინამ — თუ ჭამა რამე, დედა?

— ცუდად ჭამა, შვილო, მე და მამამისი ზედ გადაველეკით, მაგრამ რძე სათოფედ არ მიიკარა. არ უყვარს რძე და რა ვქნათ ახლა. კვერცხი შეჭამა ერთი ცალი.

— გაგაწვალა?

— არა, აჰ, ზღაპარი მოვუყევი და ჩაეძინა. შენ სად იყავი, ნანა, შენი ქმარი უგულებოდაა.

— ჩემთან ვინმე ხომ არ ყოფილა?

— დედამთილს სიტყვა ბანზე აუგდო ანინამ.

— შენთან არა, გუგუს მოუყვანეს მძიმე ავადმყოფი.

— ნეტა ვინ იყო?

— ჩვენი სოფელელი არ იყო, აგერაა გუგუ, ჰკითხე, ნანა. — ბავშვის ოთახიდან ჩურჩულ-ჩურჩულით გამოვიდნენ ტატუ და ანინა.

— ვინ იყო? — ჰკითხა ანინამ ქმარს.

გიორგიმ არ უპასუხა. ცივად აათვალიერ-ჩაათვალიერა.

— რა მოგვიდა? რა მოხდა? — ასევე ცივად და მკაცრად იკითხა ანინამ, მაგრამ კვლავ არ უპასუხა. დამფრთხალი ანინა ზალიდან ფეხაკრეფით გავიდა. იმ საღამოს გიორგის ხმა არ ამოუღია, მეორე დღეს ჩვეულებრივად წავიდა სამსახურში. ანინა ქმარს ვერც საავადმყოფოში დაეფუძარეგა ვერ მოახერხა. საღამოს შინ, რომ დაბრუნდნენ, გიორგი კვლავ იმ სავარძელში ჩაჯდა და ფიქრებს მიეცა. ზალა ყველაზე წყნარი ოთახი იყო. ოჯახი ფაქტიურად სამზადისა და სასადილო ოთახში ცხოვრობდა. ზალაში მხოლოდ ავადმყოფებს იღებდნენ ანინა და გიორგი. ანინა ვერ მიმხვდარიყო, იცოდა თუ არა გიორგიმ რაც მოხდა. იქნებ გიორგის ის წყინდა, უკითხავად რომ წავიდა თეორ მთაზე, ან იქნებ ის, გვიჩის მანქანაში მარტოკა რომ ჩაუჯდა. ღალატი არ ეცოდინებაო, — ფიქრობდა ქალი. ამიტომ თვითონაც გაჩუმებას არჩევდა.

გიორგი ისედაც გადაგებული ექიმი იყო და ახლა სულ მთლად ჩაეფლო სოფლის ჭირ-ვარამში. საავადმყოფოსა და ავადმყოფებს დღეცა და ღამეც თავს დასტრიალებდა. ამ უთავბოლოო, უსაზომო ზრუნვასა და ცდაში შვებას პოულობდა. შინ მისვლა ალარ უნდოდა, ნაშუალამევს თუ მოვიდოდა, ზალაში. იმ თავის ამოჩემებულ სავარძელში ჩაჯდებოდა, ცოტა ხანს ფიქრობდა, შემდეგ იქვე ტახტზე წამოწვებოდა და მარტოკა იძინებდა.

მძიმე დღეები დაუდგა ანინას. არ იცოდა რა ექნა. ზოგჯერ გადაწყვეტდა, მივალ ყველაფერს ვეტყვიო, მაგრამ ვეღარ ბედავდა. თავის ქუჯისთან ერთად იწვა და ქმარს ელოდებოდა. გიორგი იმ ოთახისაკენ ალარც კი იყურებოდა. შინ რომ დაბრუნდებოდა სასადილო ოთახში ივახშმებდა, გამოდიოდა ზალაში, ჩაჯდებოდა სავარძელში და გაჩუმებული იყო. არც თავის კაბინეტში შედიოდა. ტატუ გააფრთხილა: ავადმყოფი თუ ვინმე მოვიდეს, საავადმყოფოში გამომიგზავნე, შინ მიღება არა მაქვსო.

გაუჭირდათ უბრად ცხოვრება. ჩემი დანაშაული მე თვითონ უნდა გამოვის-

---

ნოდარ ფულეისკირი
თუთარაჩელა

ყიდოო — დასაკვნა ანინამ და როცა ტატუ წავიდა სამზადში დასაძინებლად, ქუჯიმაც დაიძინა, ღამის პერანგისამარა წამოდგა და ზალის კარი შეაღო. დიდი ჭაღი კაშკაშებდა დარბაზში. ჭაღის სინათლე გიორგის სახეზე სცემდა და უფრო ფერმკრთალს აჩენდა. შუაგაყოფილი თმა, მაღალი შუბლი, გაუპარსავი წვერი კეთილშობილებას ანიჭებდა მის სახეს. ანინა ღია კარში ტყის ქალივით გამოჩნდა. გაჩერილი თმებით, მოკლე ღამის პერანგით, ფეხშიშველა ნამდვილი „ტყაშ მაფა“ გეგონებოდათ.

— არ შემოხვიდე! — ცივმა და მკაცრმა ხმამ ქალი ადგილზე გაქვავა.

— გიორგი, გეეფერება, მომისმინე...

— არ მსურს მოსმენა.

— მაპატიე, გიორგი! — ანინამ მისკენ შიშველი მკლავები გაიშვირა და „პაპატიეს“ გული სულ მთლად ამოაყოლა, მდუღარე ცრემლები წასკდა.

— სიმართლე მითხარი და გაპატიებ.

ანინამ მისკენ ერთი ნაბიჯი გადადგა, მაგრამ გიორგიმ გასაოცრად გულქვად გამოცარა კბილებიდან:

— ახლოს ნუ მოდიხარ! იქ დაემხე და მითხარი სიმართლე... იქ, სადაც დგახარ.

ანინა მუხლებზე დავარდა. ძლივს დაიწყნარა გული. ცრემლი კვლავ დაადღუპით ჩამოსდიოდა და ნიკაპს ქვემოთ ენასკვებოდა.

— გეყოფა, გიორგი, ქუჯის გაფიცებ, გეყოფა, მე ჩემი მჭირს, თუ ვაქაცი ხარ მაპატე, თუ არა და...

ანინა კვლავ აცახცახდა, ტირილმა იატაკი და ჩაჯდა.

— შენ საიდან გაიგე? — გამწარდა ქალი, გაკვირვებული, შეშფოთებული მიაჩერდა ქმარს, შემდეგ იატაკზე სულ მთლად დაემხო და აღრიალდა.

გიორგი წამოდგა. ანინას თავზე დაადგა, შეებრალა, ზურგზე ხელი დაადო და ხმადაბლა უთხრა:

— კარგი, ადექი... — თქვა და ჩქარი ნაბიჯით გამოვიდა ზალიდან, ოდის კიბე ჩაირბინა, ნიბნელეს მისცა თავი, დიდხანს დახეტიალობდა, სოფლის გზებზე ალმა და ალმა, გამთენიისას დაბრუნდა შინ. წინანდებურად ზალაში ტახტზე წამოწვა და წამით მილულა თვალი.

●

გიორგის სამი ავადმყოფი მოხუცი ჰყავდა. სოფელი კარგა ხანია მთზე ამბობდა: ლობიოს სუნი უდიოთ, მაგრამ გიორგიმ სიკვდილს არ დაანება მოხუცები. ერთი მთგანი — პარტყუ კალანდარია წაავადმყოფოში ჰყავდა. იგი ყველაზე ყოჩაღად გამოიყურებოდა. უკვე ადგომაც კი შეეძლო. დანარჩენები შინ იწვნენ და სიკვდილს ელოდებოდნენ. ყოველ საღამოს მიდიოდა მათთან გიორგი. „შემოვლას“ თადა კალანდარიას სახლ-კარიდან იწყებდა, პირველად თადას ჭიშკრის მიადგებოდა — საავადმყოფოსთან თადას სახლი ახლოს იყო. თადას შინ ორი ცოლშვილი-ანი ვაჟიშვილი ჰყავდა, მაგრამ თაეზე მაინც ქალიშვილი ადგა. ქალიშვილი უვლიდა. თადას ასე ერჩია, რძლებს ვერ შევაწუხებო. „სხვის შვილებს“ საწოლთან ახლოს არ უშვებდა. საინტერესო მოხუცი იყო, ძველისძველი ხელოსანი. საკალანდარიოში ვისაც ლამაზი ოდა უდგას, ყველა თადას აშენებულია. ხელოსნის წესრიგი, ნიზუსტე და სისუფთავე მოხუცს ლოგინშიც ჩაჰყოლოდა. რა დროსაც არ უნდა მოსულიყავით, ყოველთვის სუფთად და ლამაზად იწვა.

— ახლა, შურიგე, იოსარი[1] დამეშალტა, — შეაგებებდა გიორგის ყოველ ახალ მოსვლაზე, ახალ ავადმყოფობას. — ნიახური მოვახარშინე, გამიგონია, ნიახურის წყალი უხდებაო, დავლიო? რას მეტყვი, შურიგე? — წრიპლიან თვალებს მიანათებდა გიორგის.

— დალიეთ, ძალიან კარგია ნიახურის წყალი, სხვა წამლებსაც გამოგიწერთ. სულ ადვილად იკურნება იოსარი, ნუ გეშინიათ — ამხნევებდა გიორგი.

[1] იოსარი — ძნელად შარდვა.

— ეჰ, იოსარის არ მეშინია, მაგრამ ცუდად ვარ, შურიგე. ხან კარგადა ვარ, ხანაც ცუდად. უცებ თავი სულ მთლად დამიკარიელდება, კისრის ძარღვებში რაღაც მომეჯერს და გული ღამებას დამწყებს.

— არც ეგაა საშიში, ბატონო, ეგ წნევაა, ამ წამლებს ხომ სვამთ? დიეტას ხომ იცავთ? სხვა აღარაფერი აღარ უნდა წნევას. გულის ღამება ნუ შეგაშინებთ. თქვენ ახლა აღარა გაქვთ მაღალი წნევა, გულის ღამებაც აღარ გექნებათ.

თადა ათასგვარ ავადმყოფობას უჩიოდა. მთელი დღე ავადმყოფობაზე რომ ელაპარაკა, არ მობეზრდებოდა. გიორგი მოხუცს ამშვიდებდა:

— თქვენ ჩემი წამლები გიშველით, ახლა რომ უკეთესად ხართ, სულ მალე კიდევ უფრო უკეთესად იქნებით. უსათუოდ მორჩებით. ფეხზე დადგებთ. მართალია, სახლის აშენებას ვერ შეძლებთ, კოჭებზე და ლარტყებზე ძველებურად ვერ შედგებით, მაგრამ ეზოში, ქვე, ახლომახლო, თქვენს კარ-მიდამოში გაივლით.

გიორგი კარგად გრძნობდა, რომ ბოლოსდაბოლოს ვერაფერს შეცვლიდა, — მოხუცები იმ ქვეყნად წასასვლელად ემზადებოდნენ. ვერა კაცი, ვერა ექიმი, ვერც ჯარა და ვერც ნამდვილი, იმ ქვეყნად მიმავალს უკან ვეღარ მოაბრუნებდა. რა ეღონა? ავადმყოფისთვის რა ეთქვა? რა იმედი მიეცა?..

გიორგი მოხუცებთან შემოვიდოდა თუ არა, თავსასუმალთან დაუჯდებოდა, პატარა ბავშვივით მოეფერებოდა ავადმყოფს.

— გაგწითლებიათ, ბატონო, ცხვირი! ოხ, როგორ გამოცვლილხართ! ერთ ორ დღეში თქვენ ადგებით, ხომ გეუბნებოდით, თქვენი გულისა და ფილტვების პატრონი ას წელიწადს იცოცხლებსმეთქი.

თითქმის ყოველდღე ერთსა და იმავეს ეუბნებოდა: „თქვენ უსათუოდ მორჩებით, თქვენ ჩემი წამლები გიშველით, თქვენ ერთ ორ დღეში ფეხზე დადგებით, თქვენ შესანიშნავად გამოიყურებით, თქვენ მომჯობინებულხართ“. ზოგი ხვდებოდა, რომ ექიმი გაგებულ სიტყვებს ამბობდა „თქვენ უსათუოდ მორჩებითო“, მაგრამ მაინც სიამოვნებდა.

ფარგასავით გამხდარი მოხუცი იყო დომე კალანდარია. დომე გიორგიმ კამფეტებით მოარჩინაო, ხუმრობდნენ სოფელში. დომეს მოხუცი მეუღლე ჰყავდა — ორღა.

დომემ და ორღამ ხუთი შვილი ომში დაკარგეს, ერთის იმედით-ღა დარჩნენ, იმ ერთს ჩამოეკიდნენ, ბიშმა ცოლი ადრე შეირთო, მაიდნიდან მოიყვანა შუბლაძის ქალი. გოჭებივით დაყარა შუბლაძემ ბავშვები. შვილიშვილებმა სიხარული მოუტანეს დომე კალანდარიას, მაგრამ აღარ დასცალდა ეს სიხარული. უცებ მოტყდა, დაუძლურდა, მუშაობას თავი მიანება და შინ დაჯდა. მწოლიარე ავადმყოფისთვის არც შვილს, არც შვილიშვილს აღარ ეცალა და თავისი ორღას ამარა დარჩა დომე ძველისძველ სამზადში. ორღა თუ მიხედავდა, ორღა თუ მოუტანდა მჭადს და წყალს თუ მიაწოდებდა. ახალგაზრდებს დომესთვის აღარ ეცალათ, თვითონ ათასი საზრუნავი ჰქონდათ.

ერთ მშვენიერ დღეს მოხდა ის, რაც ახლა მთელმა სოფელმა იცის, რაზეც მოხუცი კალანდარიები ჩუმ-ჩუმად ქირქილებდნენ; როცა შინ არავინ იყო, დომე ლოგინიდან წამომდგარა თურმე, სამზადიდან გამოსულა, ოდის კიბეზე ამობღეტულა. იქ, კარადაში შაქარი ეგულებოდა. ფხენილიც და ნატეხიც, რაც კი იყო, სამზადში წამოუღია და ნელ-ნელა, თაგივითი გამოუხრავს. საღამო ხანს შუბლაძის ქალს ჩაისთვის შაქარი რომ მოუკითხავს, ერთი კბილიც აღარ დახვედრია საშაქრეში. შემდეგ ბავშვებს თაეისი თვალით უნახავთ, თუ როგორ იპარავდა შაქრის ნატეხს ავადმყოფი ბაბუა. ამდგარან და ღორ-

---

ნოდარ ფულეისარი
თუთარჩილა

მუცელა მოხუცისათვის შაქარი გადაუმალავთ. მაშინ დომეს სხვა ხერხი უნმარია — ჩაში შაქარი კოვზით კი არ ჩაუყრია, საშაქრე ჩაის ჭიქაში სულ მთლად ჩაუპირქვავება. ორღა ქმარს გამონთებია — როგორ გამოჩერჩეტდი და გაწუწკდი, შე უბედურო, რას იტყვიან შვილები და შვილიშვილებიო. თურმე ჰგონებიათ, მოხუცს ეგ ახირებულობით, ჭირვეულობით მოსდიოდა. დომესაც რეხვენდა თავის საქციელის, პატარა ბავშვივით მთელი დღე კუთხე-კუთხე შაქარს რომ დაეძებდა. მოხუცის წვალებას თურმე გიორგიმ მოუღო ბოლო. დაუძახა ოჯახის ყველა წევრს და აუხსნა, თუ რატომ დაეძებდა დომე კუთხე-კუთხე შაქარს. ამ დღიდან დომეს ტკბილეული არ მოკლებია. ყოველ საღამოს მიდიოდა მასთან გიორგი და გლეკოზის ნემსებს თვითონ უკეთებდა, ხოლო ტკბილეულ თუ რამ იშოვებოდა საკალნდარიიში, დომეს თავსასთუმალთან სკამზე ეწყო. შუბლაძის ქალს სულ არ ეპიტნავებოდა გადაყრუებული მოხუცისათვის ფუნთუშები ეზიდა რაიონიდან, მაგრამ სხვა გზა აღარ იყო, გიორგის ერიდებოდა, გიორგი შვილებს შავ დღეს აყრიდა. როცა მშობლებს უყურადღებოდ სტოვებდნენ. დომეს ამბავს ზოგი ისე ოსტატურად ჰყვებოდა, მსმენელი სიცილით ჭიაზე სკდებოდა. ხალხს განსაკუთრებით შაქრის ნატეხის მოპარვის სცენა მოსწონდა. წარმოიდგენდნენ საცვლის ამარა დომეს, ჭოკივით ხმელს, მაღალსა და ფოსტის ცხენივით გაძვალტყავებულს. წარმოიდგენდნენ და იცინოდნენ. დომეს ყოველთვის უყვარდა კამფეტებიო, ამბობდნენ.

მოხუცს ფეხზე ეკიდა, ვინ რას ლაპარაკობდა მასზე სოფელში. თავის ძველისძველ საბნაში იწვა და სიკვდილის მოლოდინში იმდენს ფიქრობდა, რამდენიც მთელი სიცოცხლის მანძილზე არ ეფიქრა.

სიკვდილი ფილოსოფიის მუზაა. არა ერთი და ორი გენიოსი ჩაუფიქრებია მწარედ სიკვდილს, რა გასაკვირია, დომე ჩაუფიქრებინა.

— მოხვედი, მახარებელო? — ჩურჩულებ ... ქინციელ-ქინცილით ხედებოდა ... ... ორგის, — მადლობელი ვარ, მე მკვდარი ვარ, მართალია, მაგრამ ღმერთი გადაგიხდის, მახარებელი, — წამოჯდებოდა, გიორგის მიაჩერდებოდა და მთელი დღის ნაფიქრს ნელ-ნელა უამბობდა:

— კაცი სამოც წელს რომ გადასცილდება, თავი უნდა მოკკვეთო და ძაღლებს გადაუგდო. მახარებელი, რა საჭიროა ახლა ჩემი სიცოცხლე? იმის ძალაც აღარა მაქვს, რომ თავი მოვიკლა.

გიორგი დომეს პესიმიზს შეჩვეული იყო. იცოდა, ამ სიტყვების უკან სიცოცხლის გასაოცარი წყურვილი იმალებოდა და ამიტომ ყურადღებას არ აქცევდა.

— საშველი რამდენჯერ ჭამეთ?

— სამჯერ, მახარებელი.

— ხშირად ჭამეთ საშველი, თქვენი სხეული დაუძლურებულია, სხვა თქვენ არაფერი გგორთ.

— ეჰ, აწი გინდა სულ შარბათი მასვით, მახარებელი...

გიორგის ეჩვენებოდა, რომ ამ მოხუცს ზედმეტად გრძელი სხეული ჰქონდა, კისერი, ხელები, ფეხები, თითები, ცხვირიც კი რაღაც უშნოდ წაგრძელებოდა. დიდ კანში გამოსული, დაავადებული ყაჭივით გრძელი და ყვითელი იყო დომე კალანდარია.

მოხუცებთან საუბარი ძნელი იყო. გიორგი ყოველთვის შეშფოთებული სტოვებდა ამას, მაგრამ არ იმჩნევდა. ისინი არა მარტო ავად იყვნენ, ამ ქვეყნისათვის ზედმეტად ბეჯითყვნენ და ეს აწუხებდათ. სიკვდილი კი მაინც არავის უნდოდა. სიკვდილს გამწარებული სიცოცხლე ერჩიათ. ექიმის სიტყვები „თქვენ არაფერი გიჭირთ, თქვენ უსათუოდ ფეხზე დადგებით", — ნეტარებას ჰგვრიდათ.

გიორგი ამ მოხუცებთან დიდხანს რჩებოდა, ჩვეულებრივზე უფრო დიდხანს. სამსახურიდან პირდაპირ მათთან მიდიოდა: თუ შინ ვინმე მიაკითხავდა, ანინა

ავადმყოფს მეორე დღისთვის საავადმყოფოში იბარებდა, ან კარდაკარ დაეძებდნენ თავიანთ ექიმს ავადმყოფები.

●

გიორგიმ ცოლს აპატია, აპატია და თითქოს არაფერი მომხდარიყო. დილით ძველებურად ერთად მიდიოდნენ საავადმყოფოში. ერთად იცავდნენ თეთრ ხალათებს; ზოგიერთ პალატაში, საცა მძიმე ავადმყოფი იწვა, ერთად შედიოდნენ. ძველებურად განსაკუთრებული მოწიწებით წარმოსთქვამდა გიორგი „ან-ს“. ცოტათი აზიელი იყო კალანდარია, — სახალხოდ ცოლთან თამაში და ფერება არ უყვარდა. მაგრამ „ან-ს“ იმგვარად ამბობდა, ანნას რეტი ესხმოდა. მარტო სიყვარული არ იყო ამ მოფერებაში, კიდევ იყო ერთი გრძნობა — სხთნება. ანნა ბედნიერად თვლიდა თავს! ქმარს იმ პირველი, თავდავიწყებული სიყვარულით უყვარდა, და მაინც ქალი ცვლილებას ამჩნევდა... გიორგის ღამე არ ეძინებოდა და ანნასაც არ აძინებდა. უცნაურად იყო აღგზნებული, თითქოს ცოლს უკანასკნელად ეხვეოდა.

— თითქოს უფრო შემიყვარდი, ან, — ეჩურჩულებოდა გიორგი — პირველი ღამის ენებით მიყვარხარ, თითქოს ერთად პირველად ვწევართ.

ანნას არ მოსწონდა სიტყვა „უფრო“, ამ ერთი სიტყვიდან ჩანდა, რომ გიორგის სულ მთლად ვერ გადაეევწყებინა წარსული. აქედან მოკონავდა დიდი დარდი, რომელსაც აღგზნებულ ხვევნა-ალერსში ახრჩობდა. აღგზნებულ ღამეებს ერთმა თეთრმა ღამემ დაუსვა წერტილი. გიორგის არაფრით აღარ დაეძინა, გასაოცარი ნერვიული ქავილი აუვარდა, წამოდგა, მძიხარე ცოლშვილს ფრთხილად გაეცალა და ზალაში გავიდა, იქ გაიშალა საწოლი, ჩაწვა და ფხანა-სრესით სულ მთლად დაიგლიჯა გულ-მუცელი. იტრიალა, იტრიალა, ეშმაკად გადაიქცა, კუთხე-კუთხე იბორიალა, ათასგვარი სპირტები მოძებნა, ქავილის საწინააღმდეგოდ სახელდახელოდ შეაზავა წამალი, სულ გატიტვლდა და ტანი დაიზილა, გამფენისასაც წამოხტა და ჰეკატეს ბაღში, გვიანდა, ციურ სიმშვიდესა და სიწყნარეში გაიაზრა თავისი ყოფა; გულწრფელად ეგონა, რომ პატია, ეგონა, რომ გადაივიწყა ყოველივე, რაც ამ ერთი თვის წინათ გადახდა. პატიებას ადამიანის დიდ ნიჭს ეძახდა. არ ჰქონია ეს ნიჭი. „მაშ, ამ ხნის მანძილზე ქვეცნობიერად სულ იმ ღალატზე ვფიქრობდი“, — გაუელვა უცებ თავში და საკუთარი თავი შეეზიზღა. „ნუთუ, არ შემიძლია პატიება?“..

ხურმის ძირას ალაგეზე იჯდა და ბაღს გასცქეროდა. გათენებას ქვიან-ხვიელით ხვდებოდა ბაღი, ჩიტუნები თავიანთი პატარა ფრთებით გახარებული უკრავდნენ ტაშს მზის პირველ სხივებს, ოღონდ გიორგი ვერ ხედავდა ამას. მოულოდნელმა ნერვიულმა შემოტევამ ძალზე ჩაავიჭრა ექიმი. „ალაფთ დავიღალე. დასვენება მჭირდება“...

გიორგის ერთი დიდი უპირატესობა ჰქონდა სხვებთან, — რკინის ნერვები ჰქონდა. ნერვიულ ადამიანებს სიდარბაისლე აღარა აქვთ, მათ ნაზრევს სიღრმე აკლია, ვნებებს სიმძაფრე. ამიტომ არ მოსწონდა გიორგის ნერვიული და ასთენიური ტიპები, მათი განკურნა, — ფიზიკური და სულიერი სრულყოფა — მიაჩნდა მე-20 საუკუნის მედიცინის ერთ-ერთ ძირითად მოვალეობად. იგი აკვირდებოდა თავისთავს, მაგრამ ვერ იხსენებდა ერთ შემთხვევასაც კი, წონასწორობიდან გამოსულიყოს, ნერვიულობას აეტანოს. მხოლოდ ღალატის ღამეს არ ჰგავდა თავისთავს, ღალატის ღამეს სავარძელში იჯდა სხვა კაცი. გიორგი უძილო ღამის, ნერვიული ქავილის მიზეზებს რატომღაც სხვაგან ეძებდა. „გადავიღალეო“, — ბუტბუტებდა, ამ გადაღლას მუშაობას, სამსახურს აბრალებდა.

ნოდარ ფულეისკირი
თუთარაჩელა

— ჯი, ჯი, ჯი! — შემოესმა გიორგის ტატუს ხმა. ახლა-ღა გამოერკვა, წამოდგა, გიიხედ-გამოიხედა, ფარფოდ გათენებულიყო. დედამისი ქათმებს აპურებდა. გიორგი ვენახში შეეიდა და კვირტვას შეუდგა, გულს გადავაყოლებო.

●

თითქოს მიწამ ჩაყლაპაო, გვაჩი დაიკარგა. სულ ადარ ჩამოდიოდა სოფელში. გიორგიმ ერთხელაც ვერ მოჰკრა თვალი. ეს „დაკარგვაც“ აღიზიანებდა. უნდოდა და ადარც უნდოდა მასთან შეხვედრა, მაინც მოელოდა ამ შეხვედრას. ადრე გიორგის გადაწყვეტილი ჰქონდა, არასდროს ეფიქრა ღალატზე, ერთხელ და სამუდამოდ ამოეგდო გულიდან ხინჯი. ეგონა, განახორციელა ჩანაფიქრი. ადარ ლაპარაკობდა, ადარ ფიქრობდა ღალატზე. თითქოს ძველებური ტაბილი ცხოვრებითაც ცხოვრობდა, მაგრამ ყოველივე ეს სიცარიელ აღმოჩნდა. ახლა გიორგიმ სხვა ხერხს მიმართა, გრძნობებს სადავე მიუშვა, ფიქრებს თავისუფლება მისცა. ეს თავისუფალი ფიქრები და გრძნობები კი კვლავ სულში დატრიალდა, — მათ გარეთ გამოსვლის უფლება არ ჰქონდათ. ადგა და დათვრა, დარდს გაეიქარვებო ფიქრობ. მეორე დღესაც დათვრა, მესამე დღესაც. მთელი ერთი კვირა შინ მთვრალი ბრუნდებოდა. ანინამ კარგად იცოდა, რომ გიორგის ამგვარი ცხოვრება არ შეეძლო, მთვრალი ექიმი წარმოუდგენელი იყო მისთვისაც და გიორგისთვისაც. ყოველ წუთს მოელოდა რაღაც საშინელს. გიორგის პირიდან, სულ თვალებში შესცქეროდა, სულ თავს ევლებოდა, ტატუც კი დაეშვდა. „რა ამბავია ჩვენს თავს, ნანა, მეც მითხარით, მეც გამაგებინეთო“, ეხვეწებოდა ანინას.

ერთ საღამოს გიორგი შინ ფხიზელი დაბრუნდა. ნაძალადევი სიმშვიდით შემოვიდა ზალაში, ანინა კარებში შეეგება, კიდევ მთვრალი ხარო — ჰკითხა. გიორგიმ არ უპასუხა, კოსტუმი გაიხადა, ტახტზე მიაგდო, ანინამ თეგის ოთახში გასვლა დაუპირა, მაგრამ გიორგის ხმამ შეშინებულ.

— მორჩა, ხვალ დილით მოუდგები.

— სად მიდიხარ? — მშვიდად მიუბრუნდა ანინა ქმარს. მისთვის გასაგები იყო ყოველივე. მაგრამ მაინც იკითხა სად მიდიხარო, ანგარიშმიუცემლად იკითხა. გიორგი იმ საბედისწერო საკარძელში ჩაჯდა, მკერდი შეიხსნა, თითქოს ჰაერი არ ყოფნიდა. პასუხს აგვიანებდა. ზალის კარი ღია იყო და სინათლე აივანზე გამოდიოდა. გარეთ მთვარიანი ღამე იყო. როცა გიორგიმ ჭიშკარი გააღო, წორმორთი წკმუტტუნ-წკმუტტუნით გაემართა მის შესახვედრად, შუა ეზოში ერთი დაიყეფა და პატრონს მიესიყვარულა. ჭიშკრის ჭრიალი და ძაღლის წკმუტტენი ტატუმ გაიგონა სამზადში. ადგა, გარეთ გამოფათურდა, აბარწაში სამზადის სვეტს მიეყრდნო და ოდას დააყურა. დაეშვებული ტატუ სმენადქცეული აკვრიდა სვეტს; უნდა გაეგო, უსათუოდ უნდა გაეგო მის ოჯახში რა ცეცხლი ტრიალებდა. ტატუს გუმანმა არ უმტყუნა, ოდიდან ხმამაღლა ლაპარაკი შემოესმა. იქითკენ გაეშურა, ლაფაროში აიტუზა და გაირინდა. მოვანებული მთვარის სუსტი შუქი იდგა ეზოში, ლაფაროში კი ბნელოდა, ლაფაროში ოდის ჩრდილი სცემდა. გრილი ნიავი ჰქროდა, თუთის ხეები ხმადაბლა ჩურჩულებდნენ.

— მეჯავრები! მეჯავრები!.. შენი დანახვა არ შემიძლია!

გიორგის ასეთი ნერვიული ხმა ტატუს არასოდეს გაეგონა. გიორგი ყვიროდა, ღმერთო, რა ხმამაღლა ყვიროდა გიორგი! — ტატუმ ჭიშკრისკენ გაიხედა, გზაზე ხომ არავინ მიდისო. გიორგის ყვირილის პასუხად ანინას ხმამაღალი ტირილის ხმა გამოვიდა ეზოში.

— რა ვატირებს? მაშ, როგორ მოვიქცე, არ შემიძლია შენთან ცხოვრება!.. მოიხმე შენი ძმები, წაიღე ყველაფერი და წადი, ან მე წავალ და აქ შენ იცხოვრე.

პასუხად კვლავ გულამოსკვნილი ტირილი გაისმა. ტატუ ნელ-ნელა ჩაიკეცა, თავი ოდის კედელს მიადო და ისე გაირინდა, კაცს ეგონებოდა მოკვდაო. „შენთან ცხოვრება არ შემიძლიაო, წადიო, ან მე წავალო, დაინგრა ოჯახი, დაიღუპა მისი ობოლი შვილი. ნეტა რა დაამაკა ანინამ?“..

ტატუს ნელ-ნელა თვალწინ დაუდგა გვაჩი. ის გვაჩი კი არა, ყოველ შაბათს საღამოს მის სახლში რომ მოდიოდა, ტატუს ხელზე რომ კოცნიდა: რატომღაც ბავშვი გვაჩი წარმოუდგა ტატუს. ვრთხელ შურდულით ფანჯარა ჩაუმტვრია, თუთის ფოთლებში განაბულ გულწოფელას ესროლა ბავშვმა შურდული. ქვა ჩიტს აცდა და ფანჯარა ჩაამტვრია. ჯოხით გამოვარდა ინვანზე ტატუ. გვაჩი ჭიშკარში ისარივით გაიჭრა, თვალუდმოგლეჯილი გარბოდა და შეშინებული უკან-უკან იყურებოდა, ხომ არ მომდევენო. შეშინებული ბავშვის სახე წარმოუდგა ტატუს. „ნუთუ, შენ ამირე ოჯახი, ნუთუ, შენ გამიმწარე სიბერე?“ — უთხრა გვაჩის ტატუმ.

— ხვალვე! გადადება არ შემიძლია! კმარა! კმარა!.. — ეს სიტყვები ძლივს გაიგონა ტატუმ, დანარჩენი ნიავმა წაიღო სადღაც. „უნდა შევიდე და ყველაფერი წვრილად გამოვიკითხო“, — გაუელვა უცებ თავში, წამოდგა, კიბისკენ წალასლადა, უკანასკნელ წამს გადაიფიქრა. არ უყვარდა შვილის საქმეში ჩარევა. სამზადში შეჰყო თავი, სინათლე არ აუნთია, ფათურ-ფათურით მოძებნა თავისი ლოგინი და ჩაწვა. ვიდრე ბალიშზე თავს დადებდა, ხელები ზევით აღმართა, სამზადის ჩაბნელებულ ჭერს მიაპყრო ცრემლით სავსე თვალები და ჩურჩულით სთხოვა წმინდა გიორგის: „ღმერთო, შენ დაიფარე ჩემი ქუჯი ობლობისაგან“.

●

დილა უთენია გიორგიცა და ანინაც ტატუს მოთქმამ გამოაღვიძა. რაც გიორგი ჩამოვიდა სოფელში, ტატუს მოთქმა აღარავის გაუგონია. ორშოცდაერთში ქმარი რომ დაკარგა, იმის შემდეგ შავები არ გაუხდია, ათი წლისთავზე გერგეზეც დასაფლავა, მესამეკაცზე მამამთილი მიაბარა მიწას, გერგეზეც დიდხანს იგლოვა. ამასობაში ტატარა გუგუ თავზე წამოადგა, მოესწრო ვაჟკაცი. თანდათან უკლო მოთქმას, ოჯრას და ვაებას. შავები კი მანც აღარ გაიხადა. გიორგის დედამისი ჭრელ კაბაში აღარ უნახავს. სოფელსაც აღარ ახსოვს ტატუ სხვა ფერის კაბაში. ადრევე დაიბერა თავი.

უსაზომო სასოწარკვეთილებას მიეცა. თავისი ახალგაზრდული ვნებები და ტემპერამენტი შავებში გამოამწყვდია, გასაქანი არ მისცა. მხოლოდ ჩაის პლანტაციაზე და სოფლის სასაფლაოზე თუ გამოაჩენდა ამ ენებებს. საკალანდარიოს უამრავი კარგი ჩაის მკრეფავი ჰყავდა, მაგრამ ტატუ სხვა იყო. ისეთი თავგადადებული, თავგანწირული მუშაობა იცოდა, თითქოს შურის სანიებელად გამოსული პლანტაციაში და არა ჩაის საკრეფადო. გაბორატებული კრეფდა დილიდან საღამომდე. სოფელში ამბობდნენ, ტატუ ჩაის კრეფამ გადაარჩინაო, დარდი მუშაობამ გადაატანინაო. არავის არ უგლოვია ქმარი ისე, როგორც ტატუმ იგლოვა. ძველებური წესები დაიცვა, ყური აღარავის უგდო, გასაოცარი ტანჯვა-წამება მიაყენა სხეულს. საკალანდარიოს კარგად ახსოვს თავგადახოტრილი, ფეხშიშველი ტატუ ზამთრის სუსხიან დღეებში სასაფლაოსკენ როგორ მიდასლასებდა, რა გულისმომკვლელად მოთქვამდა. მისი ქმარი, ალბათ, ბელორუსიის მიწაში ემარხა, მაგრამ ტატუ მანც მიდიოდა საკალანდარიოს სასაფლაოზე. იქ დედ-მამის საფლავებს დაატირებდა თავის უბედობას, ქვრივ-ობლობასა და მიუსაფრობას.

თავგადახოტრილი, ფეხებადახეთქილი

ნოდარ ფულეისკირი
თუთარჩილა

ტატუ სასაფლაოზე გულწასულიც ბევრჯერ უნახავთ.

გერგეგეს აბა, რა ექნა? — გერგეგეს თვითონ სჭირდებოდა ნუგეში. ახირებული ქალი იყო ტატუ. თითქოს სხვებისთვის უხილავ, იდუმალ სამყაროში ცხოვრობდა. ეს სამყარო შაეებში იყო გახვეული, სევდისა და დარდის სამყაროში ცხოვრობდა ქალი.

საქართველო სავსეა ასეთი შავოსანი ქალებით. რა ადარდებთ, რა აწუხებთ, რად აცვიათ შავები? ვეღარ გამოუგლოვიათ თავიანთი წარსული, ზოგი ათი-თხუთმეტი წლის მკვდარს გლოვობს, ზოგს ზედიზედ მიეწევა უბედურება, — დედას რომ გამოიტირებს, მამის რიგი დადგება, მამას რომ გააცილებს იმ ქვეყანას, დედამთილი და მამამთილი რჩება საგლოვი, ხოლო, თუ ამათ ვინმე ახლობელიც დაემატა, ბიძა ან დეიდა, შავებს სიკვდილამდე ვეღარ გაიხდის — წესია ასეთი. იქნებ ამ წესის გამო, იქნებ ქართველი ქალის უცნაური სულის გამო სხეულნ მგლოვიარედ ქართველი ქალები. ტატუ ერთი იმათთაგანი იყო. იგი ისეთივე ვნებით და აზარტით გლოვობდა, როგორც უყვარდა. რაც გუგუ მოესწრო, აღარ უგლოვია. იშვიათად წამოიწყებდა მოთქმას, იშვიათად გააბამდა ძველებურ თვალუას[1]. როცა გუგუ თბილისში სწავლობდა, მაშინ მოთქვამდა ხოლმე, ხანდახან: როცა ვინმე — ან ბრიგადირი, ან თავმჯდომარე, ან უხეირო მეზობელი აწყენინებდა, ან გაწვიმდებოდა და აღარ გადაიღებდა, ან უცვმ ჩამოთოვდა, ანდა აპრილი თეთრად აიფეთქებდა გერგეგეს კარ-მიდამოს, ტატუ გამოიტანდა ქმრის ჩემოდანს, ლოგინზე გაშლიდა ნიშანს, მიუჩოქდებოდა, თმებს ჩამოიშლიდა და მოთქმას დაიწყებდა. ტიროდა, ტიროდა, გულამოსკვნილი ტიროდა. ეჰყვებოდა, ეჰყვებოდა გულისთქმას, წამოდგებოდა ხელებგაშლილი, დადგებოდა კერიასთან, ჯერ მაღლა ღმერთს შესტიროდა, შემდეგ ოთხივე მხარეს შებრუნდებოდა, ოთხივე კედელს მიატირებდა, სამზადის სხვა თვალშიც შეგიდოდა, გოგონ ... ...

ჭვინსო, ვავა! გითგოთუნსო, ვავა!.. მუ ვქიძინ:, ვავა! სო ვიდა, ვავა!...[1]

შემდეგ ქმარს თავიანი თავგადასავალი მოკლედ უამბო. თანდათან თავდავიწყებით მიეცა ექსტაზს, წამოიჭრა, ორივე ხელი მაღლა აღმართა — ვაი, ჩვენი ბრალი ალეო! — შესძახა. გული დამწვარი მაქვსო, ქვრივი, ობოლი და უპატრონო ვარო — იქ მაღლა, ციღაცას უთხრა და გარეთ გამოვიდა. შუა ეზოში დადგა, ხელებგაშლილმა ჯერ ერთ მხარეს შესძახა ვაი, ჩვენი ბრალი ალე! შემდეგ მეორე მხარეს, დაიკრიფა გულხელი და ნელ-ნელა დაუყვა ეზოს, თან გიორგის ამბავის მოყოლას შეუდგა. სასახელო შვილი, გაგეზარდაო, გენაცვალე, მთელი სოფელი კვირობსო მის საქმეს, გენაცვალე! მშვენიერი რძალი გყავსო, გენაცვალე, მშვენიერი შვილიშვილი გყავსო, გენაცვალე!.. გიორგის ამბავს განსაკუთრებით გულმოდგარი მოთქვამდა ტატუ, რაღაც ბურანში ახვევდა მისი ოჯახის მომავალს — კაცმა არ იცის რა მოგველის, გენაცვალე, იქნებ შენნაირი სიკვდილი ჩვენ ყველას სანატრელი გაგვიხდესო, გენაცვალე. ახლა სხვაგვარი დაბოლოება მოუძებნა ფრაზებს, ალბათ უფრო ტრაგიკული და უფრო მძაფრი რომ გაეხადა, „ვავას“ ოთხჯერ წარმოსთქვამდა: „ვავა, ვავა, ვავა, ვაი, ჩქიმი ცოდა-ო“ — ასე ამთავრებდა. ვენახში დადგიდა, ვენახს ჭირისუფალივით მიატირა, რა უყავით თქვენი პატრონნიო. ვენახის ბოლოს, ზედ ღობის ძირას ერთი ძირი ალუჩა იდგა. იმ ალუჩას შემოეხვია — შენ ხარ მისი უკანასკნელი ნახელავიო. იმ ალუჩის ძირას ბალახებში ჩაჯდა და ნანინასავით ბაობა თვალუა. „ვაი, სქანი ცოდა, ალე! ვაი, ჩქიმი ცოდა, ალე! მუ ჭოვქქიმინსა, ვავა! სო ვიდა, ვავა“.

გიორგიმ დედის მოთქმა რომ გაიგონა, მაშინვე ადგა და ჩაიცვა. ვენახში შევიდა, დედას თავი დაანახვა, ტატუმ მოთქმას მოუმატა, გიორგი მაშინვე მიუხვდა დედას. სხვა დროს, ტატუ გიორგის რომ დაინახავდა, ტირილს ... ვაებას მაშინვე შეწყვეტდა, ახლა კი ხმას მოუმატა. ეს უთქმელი ქალი ახლა პროტესტს გამოთქვამდა, შვილს აფრთხილებდა — ავი განზრახვა რომ გაქვს გულში, ის განზრახვა გულიდან ამოიღეცხე, თორემ დედაშენს უდიდეს მწუხარებას მოუტანო. გიორგიმ ყოველივე ეს უმალ გაიგო, მაგრამ ახლა დედის მოთქმამ გული კი არ მოულბო, პირიქით, გააღიზიანა, — განრისხებულმა შეხედა ალუჩის ძირას საცოდავად მოტირალს — შენ არ იცი, დედა, არაფერი არ იცი, უთხრა გუნებაში და ვენახიდან გამოვიდა. გააღო ჭიშკარი და გავიდა, უკმეელ-უსმელი წავიდა. ჭიშკარი გიორგიმ გაბრაზებით მოაჯახუნა. რკინის ჭიშკარმა ზარიკით დარეკა. ტატუ, თითქოს ჭიშკარის ხმამ გამოაფიხმელაო, ტირილი შეწყვიტა, ვენახიდან გამოვიდა და შარაგზას მიაჩერდა, გიორგი აღარსად იყო, თვალს მიფარებოდა. ტატუმ უცებ გადაწყვიტა, მივალ და ანინას ვკითხავო, ჩქარა აირბინა ოდის კიბე, ოთახში ფრთხილად შევიდა, ბავშვი არ გავაღვიძოო. ანინას ორივე ხელი თავქვეშ ამოედო და ჭერს მიშტერებოდა. ქუჩის არხეინად ეძინა თავის პატარა ლოგინში. ტატუ რძალს თავზე დაადგა და ხმადაბლა ჰკითხა:

— რა ამბავია, ნანა, რა მოხდა?

— არაფერია, გაბრაზდა გიორგი.

ანინამ ცივად უპასუხა. ელდასავით ეცა ეს ცივი პასუხი. იმწამს შემოტრიალდა და ოთახიდან გავიდა. კვლავ სამზადში შეფაფურდა. ტახტზე ჩამოჯდა, ამოიღო ცხვირსახოცი, თვალები შიგ ჩამალა და ახლა ჩუმი ტირილით იჯერა გული.

●

გიორგი ცოლს გაეყარა. სოფელში ყუმბარასავით გავარდა ეს ამბავი. ყველას აინტერესებდა, რა მოხდა, მაგრამ არავინ არაფერი იცოდა. მეტად უცნა-

[1] ვაი ოუ გაწვიმს, ვავა! ვაი თუ გათოვს, ვავა! რა ვიღონო, ვავა! სად წავიდე, ვავა!..

ურად გაეყარა გიორგი ცოლს. არც სასამართლოში წასულან, არც მედიატორეები დამსხდარან. ანინამ უთხრა, მე თბილისში ვერ დავბრუნდებიო. მაშინ მე წავალ და შენ აქ დარჩო, შესთავაზა გიორგომ. ქალმა არც ეს ინდოშა.

ანინა იმედს არ კარგავდა: გიორგი შემირიგდებაო, სულ არ უნდოდა ისეთი რამ ჩაედინა, რაც შემდეგში ორივეს სასაცილოდ არ ეყოფოდათ. თავს იკავებდა, ცდილობდა ქმართან როგორმე ამ ცხელ გულზეც საერთო ენა გამოენახა. სოფლის ცენტრში ბინას ვიქირავებო.

გიორგომ თავისი მაინც გაიტანა. ქალებისთვის არც უკითხავს ისე, შინ ორი მანქანა და ათიოდე მარჯვე ბიჭი გამოგზავნა. გერგეტეს აშენებული კოტეჯ ოდა ერთ წამს დაანგრიეს ბიჭებმა და სოფლის ბოლოს, ერთ ტრიალ მინდორზე ფიცარ-ფიცარ დაყარეს. არც აშენებას დასჭირვებია დიდი დრო. გიორგის ოღონდ ეთხოვა და ახალ სახლს წამოუჩიმავდნენ კალანდარიები. გიორგი არავის არაფერს სთხოვდა. ახლა უჭირდა, ახლა სხვავარად წაუვიდა საქმე, თორემ მეზობლებს როგორ შეაწუხებდა. თვითონ სადღაც გადაიკარგა. მთელ ერთ კვირას არ გამოჩენილა. როცა მილაგ-მოლაგდნენ, როცა ტატუმ ნასახლარი გადაასუფთავა, გადაჰგავა, ჭიშკარს მაშინ მოადგა.

●

ტატუს სამზადში უწესრიგოდ დაეწყო გიორგის წიგნები. საექიმო ხელსაწყოები, ათასგვარი კოლბები, ქილები, გრაფინები და ბოთლები, რომლებშიც მორიელის ზეთი, გველის შხამი, მცენარეული ზეთები და ემულსიები, წვენები და ნაყენები ესხა. გიორგის კაბინეტ-ლაბორატორიის დალაგებას დედა და შვილი მთელ დღეს მოუნდნენ. სამზადის ერთ თვალში ყველაფერი აღარ დაეტია. წიგნებით სავსე ორი კარადა მეორე თვალში გაიტანეს. მეორე თვალში ტატუ იძინებდა. ერთი საწოლი ედგა და ერთი პატარა მაგიდა. ეეცხლსაც იქ ანთებდნენ და იქ სადილობდნენ. სივიწროვე იყო მეორე თვალში. მესამე თვალში საქონელს აბამდნენ. ეულად გამოდიოდნენ მესამე თვალს. ასე იყო თუ ისე, მილაგ-მოლაგდნენ. გიორგი ძველებურად შინ ველარ იმუშავებდა, ლაბორატორიის ნაწილი საავადმყოფოში გადაიტანა, საჭირო წიგნებიც იქ გაზიდა. შინ ავადმყოფებს ვეღარ მიიღებდა, მთელი დღე საავადმყოფოში იყო. მხოლოდ ვგიან ღამით დაადწევდა თავს საავადმყოფოს თეთრ პალატებს, მაშინაც მოხუცებთან მიდიოდა. როდის როდის ბრუნდებოდა თავის სამზადში. ტატუ ყოველთვის ფეხზე ხვდებოდა, ელოდებოდა. როცა ცოლი ჰყავდა, მაშინ სხვა იყო, ახლა კი დილამდე რომ არ მოსულიყო, შვილს დილამდე ელოდებოდა.

გიორგისათვის თავისი საყვარელი საქმის გარდა აღარაფერი არსებობდა. გულგატეხილი იყო, მაგრამ არ იმჩნევდა. ხასიათით ვერ შეეგუწყეთო, ამბობდა. დედამისს ეუბნებოდა ამას, თორემ სხვა ვინ გაუბედავდა შეკითხვას, ცოლს რატომ გაეყარეო. ტატუს არ სჯეროდა შვილის ნათქვამი. გრძნობდა, რომ რაღაცას უმალავდნენ, მაგრამ ღალატს ვერასაზით ვერ წარმოიდგენდა. ალბათ ეჭვიანობის გამო დაშორდნენ ერთმანეთსო — ვარაუდობდა, ეჭვიანი ყოფილა ჩემი შვილიო, ფიქრობდა. შვილს ადანაშაულებდა, ანინა ებრალებოდა და როგორც კი დროს მოიხელთებდა, მასთან გარბოდა. ანინა სახლიდან აღარ გამოდიოდა, არც ბამსახურში მიდიოდა, შვებულება ითხოვა, რცხვენოდა, ხალხში ვერ გამოჭინდებიო — გაიძახოდა.

გიორგი ტატუს უკრძალავდა ანინასთან ურთიერთობას, ბავშვის წამოსაყვანად თუ მიხვალ, თუ არა, ანინასთან რა საქმე გაქვსო. შვილს რამდენიც არ უნდა ეთქვა, ტატუ თავის რძალს ხელს ვერ მოაკლებდა. საჭმელი აქედან მიჰქონდა, ჩუმად ჩაალაგებდა კალათში შემწვარ-მოხრაკულს — ესო ანინას უყვარსო, ეს ქუჯისო, ზედ ლეღვის ფოთლებს გადააფარებდა და ყანა-ყანა, მინდორ-მინდორ მიიპარებოდა. ცალკე

შვილის ერიდებოდა, ვაითუ შემთხვევით გზაში შეეხვდესო, ცალკე მეზობლებს, — არავის არ უნდა ცოდნოდა, სად მიდიოდა.

●

საკალნდარიოს თავს უბედურება დაატყდა — გუჩა გარდაიცვალა. ჯან-ღონით სავსე კაცმა ერთ წამს განუტევა სული. გიორგიმ ვეღარ მიუსწრო. მკვდარი დახვდა. გულის მოსაოხებლად გაუკეთა ნემსები, აწვალა მკვდარი, აწვალა იმიტომ, რომ ჭირუსუფალს არ სჯეროდა სიკვდილისა.

გუჩას ეზო ხალხით იყო სავსე. ჯერაც არ დამცხრალიყვნენ, ჯერაც ჰკიოდა ერთი ქალი. გიორგი ნელ-ნელა გამოვიდა შარაგზაზე. ორიოდე საათის წინ, როცა ამ ეზოში ფეხი შემოდგა, იმედით შემოსცქეროდნენ, ყველას ეგონა, რომ მათი ექიმი გუჩას მოარჩენდა, ახლა კი ისე გამოვიდა ეზოდან, ალარც კი შეუმჩნევიათ.

მთვარიანი ღამე იყო, შარაგზაზე აგერ-აგერ ჯერ კიდევ გამორბოდნენ კალანდარიები, ზოგს გვიან გაეგო კივილი. გიორგიმ შარაგზიდან გადაუხვია, ხალხთან შეხვედრა არ უნდოდა, ბნელ შუკას დაადგა.

„ვის სიკვდილს მოელოდნენ და ვინ მოკვდა! რა ულმობელია წუთისოფელი“... ცოცხალქედარი მიაბიჯებდა გიორგი. ჯერ კიდევ გონს ვერ მოსულიყო, — როგორ გამოეცალა თვალსა და ხელს შუა კაცი! თითქოს დანაშაული მიუძღოდა, თითქოს გუჩას სიკვდილში ბრალი ედო. რა გულსაკლავად ტიროდნენ კოკი-ღანჯურა და პართე. ვერაფრით ვეღარ მოაშორა ცხედარს ძმები. სულ თვალწინ ედგა გუჩას ცოლის, ცოლის ისტერიული სახე, როგორ მოეღრიცა საბრალო ქალს თავება, რა ელდა ეცა, რა თავზარი დაეცა!

შუკა ვიწრო თალარს ჰგავდა, ერთ მხარეს ღობე-ღობე თუთის ხეები ჩაერიგებინა რომელიღაც კალანდარიას, მეორე მხარეს კი დაბლა გადაბელილი აკაციები და ტანმაღალი ჭადრები შრიალებდნენ. მთვარე ამ ჭადრებს ხან ეფარებოდა, ხანაც ტოტებს შორის მზეთუნახავივით გამოხეულდავდა. თავზე ... ლი მიაბიჯებდა გიორგი. ჭოტური ფიქრები გარს ეხვია, თავის დაღწევა უნდოდა ამ ფიქრებიდან. გუჩას სახლიდან კვლავაც მოისმოდა კივილი და ტირილი. კალანდარიების ცრემლნარევი ხმები მიაცილებდა. გუჩა მაინცდამაინც თანასოფლელებს გულზე არ ეხატათ. მაგრამ ეტყობა, სასიკვდილოდ არ ემეტებოდათ, გულმომწყრად ტიროდნენ ჭირისუფლები, მეზობლებიც კი.

გიორგი გაურკვეველ გრძნობას შეეპყრო. დაბნეული მილასლასებდა, უნდოდა სოფელს გაცლოდა, ცხენისწყლის ჭალებში, მაღალ ცის ქვეშ, თუთარჩელაში განმარტოებულიყო. ხანდახან, როცა ავადყოფი მოხუცების სახლებიდან ღამით ბრუნდებოდა, მაშინ გადაუხვევდა ხოლმე გზიდან, — ტრიალ მინდორში უყვარდა ფიქრი. აქ, სოფლის შუკებში, თითქოს ეს ჭადრები, ეს ოდები, ორღობეები ხელს უშლიდნენ, თან ვიღაცის შეხვედრის მოლოდინი არ აძლევდა თავისუფალი ფიქრისა და განსჯის საშუალებას. გიორგის ჰყვრივით სჯირდებოდა ახლა ფიქრი, მაგრამ შუკიდან რომ გამოვიდა და მთვარე სულ მოლად დაინახა, თვალწინ ანინა წარმოუდგა. გასაოცრად მჭრქალი იყო მთვარე. მჭრქალმა მთვარემ გაახსენა ანინა. ასე იცოდა გაფითრება. თუ ინერვიულებდა, მთელი დღე ფერზე ვერ მოვიდოდა, ახალ მთვარესავით მჭრქალი და ნაზი დადიოდა და წყენას ჩუმად გულით დაატარებდა. რამდენადაც რომანტიული და ტრაღიკული იყო მოწყენილი, ემდენად რეალური და ცოცხალი იყო მხიარული. მოწყენაც უხდებოდა და მხიარულებაც. გიორგის პირველად რომ შეხვდა, ანინა მჭრქალ მთვარეს ჰგავდა. ის პირველი ანინა აეკვიატა. ისე ცხადდ და ნათლად აეკვიატა, თითქოს გამოეცხადაო.

ნოდარ ფულეიშვილი
თუთარჩელა

მაშინ გიორგი უნივერსიტეტის სტუდენტი იყო, ფილოსოფიის ფაკულტეტის მესამე კურსის სტუდენტი. ბავშვობაში გიორგის ეკლესია არ ენახა. რევოლუციის პირველ წლებში ნაცარ-ტუტად აქციეს კალანდარიებმა ეკლესია, საკალანდარიოს არ ჰქონდა თავისი სალოცავი. არც არავინ ჰყავდათ სოფელში მორწმუნე, მხოლოდ ვერგეგე არ თმობდა ძველ ადათ-წესებს, ღმერთი ვერგეგესაც არ სწამდა — პეხუ რომ მოდგელი იქნება, ის ეკლესია მართლა დასანგრევიაო — ამბობდა მოხუცი. პეხუია შტერის ღმერთს მე ვერ ვიწამებო. ვერგეგეს სხვა ღმერთი სწამდა, უცნობი ღმერთი.

გიორგიმ მხოლოდ თბილისში, სიონის ეკლესიაში ნახა პირველად იესო ქრისტეს ხატი და მორწმუნეები. ადდგომის ერთ დიდ ხუთშაბათს კი ამ ეკლესიაში ანინა გამოეცხადა.

იმ დღეს ეკლესიაში მღვდლები საიდუმლო სერობის ცნობილ რიტუალს ასრულებდნენ. კათალიკოსი ქრისტეს როლში გამოდიოდა, „თავის მოწაფეებს“ ფეხს ჰბანდა. დიაკონი მთელი გულით, მთელი ხმით გალობდა. „...და მოიღო წყალი... იწყო ბანა ფერხთა... მოწაფეთა თვისთა“. მეტად უცნაურად ტეხდა სიტყვებს: „...და-მო-იღო წყალი... ი-წყო-ბანად ფერხთა... მო-წა-ფეთა-თვისთა!..“ „იღო წყალი“ გუგუნით ამოდიოდა დიაკონის ფართოდ დაღებული ხახიდან. „მოწაფეთა თვისთა“, „მოწაფეთა თვისთა“ წკრიალ-წკრიალით მოსძახოდა დიაკონს ქალთა გუნდი. კაცს ეგონებოდა გუნდი მაღლა, თაღის ქვეშ გალობდა. უცერ გიორგიმ თვალი მოჰკრა სტუდენტ გოგონას. იგი კედელს დამშაშვეყსოვით აკვროდა, — ეკლესიაში რა ენდაო.

ადგილს აკრული სტუდენტი გოგონა ჭარქალ მთვარეს ჰგავდა. პირველი შესეფვისთანავე მჭრქალ მთვარეს მიამსგავსა გიორგიმ ის გოგონა. მისკენ გაეშურა და გვერდით ამოუდგა. გამოცნაურებას კი არ აპირებდა; ამდენ მორწმუნეებში თვითონაც თავს უხერხულად გრძნობდა, როგორც თანატოლს, სტუდენტს, ურწმუნოს ამოუდგა გვერდით. ამით დამსწრეთ უთხრა: ჩვენ სეირის საცქერლად ვართ შემოსულნო. აბა, რას იფიქრებდა, თუ ეს გოგონა მისი ცოლი გახდებოდა. ერთი კი ცხადი იყო, გვერდით რომ ამოუდგა, რაღაც გრძნობამ შეიპყრო, კაცმა არ იცის ამ გრძნობის სახელი. ეს ჯერ არც სიყვარულია და არც მოწონება, — რაღაც იდუმალი ლტოლვაა ერთმანეთისაკენ. გიორგის სული ძვრებოდა ერთხელაც შეეხედა გოგონასათვის, იმ გოგონასაც ჰქონდა ასეთი სურვილი. ორივეს რცხვენოდა. ერთმანეთისათვის რომ შეეხედათ. იდგნენ და უყურებდნენ „იესო ქრისტე“ როგორ ჰბანდა ფეხს თავის მოწაფეებს. ეკლესია ხალხით სავსე იყო. ყოველ ადამიანს სახეზე ერთი განწყობილება ეხატა, ათადან ბაბადან წამოსული ამბავი ხალხს ახლაც აღელვებდა „ერთმანმოქუეწგანმან მიმცეს მე“, — ამბობდა ქრისტე და ხალხის სახეზე უსიამო მწუხარება იხატებოდა, მხოლოდ კედელზე აკრულ იმ ორ ურწმუნო სტუდენტს განათებოდა სხვაგვარად სახე. კაცის თვალი მაშინვე შენიშნავდა, რომ კედელთან ცოდვილები კი არ იდგნენ. არც ის ნათება, რაც ახალგაზრდებს სახეზე ეფინათ, არ იყო ეშმაკისეული. გასაოცრად ლამაზები იყვნენ ისინი, რა უნათებდათ ასე სახეს, რა შუქი იყო, რა სხივი? — ძველ წიგნებში ეწერა ამ შუქის ზუსტი სახელი „ნათელი“. სახეზე ორთავეს ნათელი ადგა.

გოგონა სამედიცინო ინსტიტუტის პირველი კურსის სტუდენტი აღმოჩნდა. სახელად ანინა ერქვა. ეკლესიიდან ისინი ერთად გამოვიდნენ, თორმე იქვე ახლოს ცხოვრობდა ანინა.

მთვარემ ათი წლის წინანდელი ამბავი გაახსენა. სულ არ უნდოდა ანინაზე ფიქრი, ფართო შარაგზას მიჰყვებოდა, ცხენისწყლის ჭალებისკენ აპირებდა გასეირნებას. გუშას სიკვდილზე უნდა ეფიქრა, სიკვდილზე უნდა მიეტანა

იერიში, ოპტიმიზმის წყაროები უნდა ეძებნა. გასაოცარი სიმართლე იყო სიკვდილი. ამ სიმართლეს ვერ ურიგდებოდა გუგუ კალანდარია. „მე ალბათ მარტოობაში მოვკვდები“, — გაუელვა უცებ თავში და ამ აზრმა კვლავ ანინამდე მიიყვანა. კვლავ წარმოუდგა თვალწინ, ახლა უფრო ბუნდოვნად წმაოესახა, მხოლოდ ხმა ჩაესმოდა: „მიეყვარხარ, გიორგი, უსაზღვროდ მიყვარხარ!“ ალარ უნდოდა ამ ხმის გაგონება, რატომღაც ეგონა საკუთარი ფეხის ხმა გამოსცემდა ამ ხმას. შეჩერდა, ელექტრონის ბოძს მიეყრდნო და ღამეს მიუგდო ყური. ფეხის ხმა კვლავ გაისმოდა, ვიღაც უახლოვდებოდა, მიტრიალდა, მთვარის შუქზე ღურწუმია შეიცნო.

— უკან მოგსდევდი, ჯიმალია!

— რა იყო, დორო, რატომ მომსდევდი? ავად ხომ არა გყავს ვინმე?

— აჰ, არა, ისე მოგსდევდი. იქ გიყურებდი, გუჩას როგორ გაუკეთე ნემსი. ეჰ. რა კარგი კაცი იყო გუჩა!

— მართლა კარგი კაცი იყო?—გიორგის გულწრფელად აინტერესებდა ღურწუმიას აზრი გუჩაზე.

— კარგი კაცი იყო, აბა რა, ჯიმალია! — ღურწუმიას ხმაში გაკვირვება გამოკრთა — ხალხს ხელს უმართავდა, ფული ჰქონდა გუჩას, ჯიმალია, ბევრი ფული ჰქონდა...

— ღურწუმიამ მთელი აზარტით წარმოთქვა „ბევრი“ და რატომღაც არეულად გაიქნია ხელები ჰაერში.

— რატომ დგახარ ამ ბოძთან, ჯიმალია, ალარ მოდიხარ? — ჰკითხა ღურწუმიამ გიორგის.

— კი როგორ არა, — თქვა გიორგიმ და გზას გაუდგა. ღურწუმია მაშინვე უკან მოექცა.

— ეჰ, არაფერი წამალი არ იცით, არა, ჯიმალია?

— უკან რატომ მოდიხარ, დორო. ამ სიფართე გზაზე ორნი ვერ დავეტევით?

— არა უშავს, ჯიმალია, არა უშავს...

— რა წამალს ეძებ, რა მითხარი? ჩაეკითხა გიორგი ღურწუმიას.

— სიკვდილის წამალი თუ იცითმეთქი, რამე, არ მინდა მე სიკვდილი, ჯიმალია.

გიორგის გაეცინა.

— არ გინდა და არ მოკვდები. შენ ას ორმოცდაათ წელიწადს გასძლებ, დორო, კაჟივით გული გაქვს.

— გული კი, კარგი მაქვს, ჯიმალია!— გაუხარდა ღურწუმიას.

შემდეგ გაჩუმდა, კვლავ უკან მოექცა გიორგის და დიდხანს ხმა არ ამოუღია. თავის ჭიშკარს რომ მიუახლოვდნენ, ღურწუმია აწრიალდა. გიორგის გაუსწრო, დაწინაურდა, შემობრუნდა, თითქოს რაღაც სათხოვარი აქვს და ვერ გაუბედიაო.

— უკან მოგსდევდი, ჯიმალია,—თქვა უცებ და გაჩუმდა... ამასობაში ღურწუმიას ჭიშკარიც გამოჩნდა, მისი სახლიც.

— შენისთანა ექიმი ჩვენს სოფელში არ ყოფილა, ოოო!..

თითქოს გული მოიოხარ, რაღაც დიდი სათქმელი თქვაო, ისე წარმოსთქვა ღურწუმიამ „ოოო“.

— მოიცა, ნუ წახვალ! — აედევნა ღურწუმია.

„ნეტავ რა უნდა“, — გაიფიქრა გიორგიმ.

— მეუღლე ავად ხომ არა გყავს, დორო? — ჰკითხა მან.

— არა, აჰ, ავად კი არა... — გაიცინა ღურწუმიამ — მოიცადე, ნუ წახვალ — კვლავ შეეხვეწა.

„ამ ბედშავის თავს რაღაც ამბავია“,— გიორგი შეჩერდა, დაელოდა, აბა, რას იტყვისო.

— უკან მოგსდევდი, ჯიმალია... ლეჩხუმური ღვინო მაქვს სახლში. დავლიოთ, ჯიმალია!..

ისე ეხვეწებოდა, ისე ეღრიჯებოდა, უარს ვერაფრით ვერ ეტყოდა, თუმცა სულ არ იდგა ღურწუმიას ქეიფის გუნებაზე.

ნოდარ წულეიხარი
თუთარაჩელა

— გვიან რომ არის?..

— რას ამბობ, ჯიმალია, — შესძახა მან, ჭიშკარს ეცა და ორივე კარი ფართოდ გააღო, თითქოს კაცი კი არა, ურემი უნდა შემოსულიყო. მერე თავის სასიმინდისაკენ გაიქცა და ცოლს შესძახა:

— ვინ მოვიდა, თათულია! ვინ მოვიდა!.. ექიმი მოვიდა, თათუ, გიორგი ექიმი!.. „გიორგი ექიმი მოვიდაო“, ხმადაბლა შესძახა კარებში და კვლავ უკან გამოიქცა, შუა ეზოში დადგა, ხელები გაშალა და გიორგის ასე შეეგება.

— მობრძანდით, ჯიმალია, გამიხარეთ კერია. გამიხარეთ ჯარგვალი!.. — მერე თითქოს გიორგისთან წინასწარ ბოდიშს იხდისო, დაიწყო:

— სახლი არა მაქვს, თორემ ყველაფერი მაქვს, ჯიმალია, ა, ვენახი!.. ა, სიმინდის ყანა! — ჩაავლო გიორგის ხელი, ჯერ ვენახისაკენ გაარბენინა, შემდეგ ყანისაკენ. ა, ჯიმალია, ბოსტანი, ამას თათულია უვლის. სახლიც მალე მექნება. ამ ხეებს ხომ ხედავ, — სასიმინდეს გვერდით მარილაც დიდრონი აკაციები ეყარა, — ორკეშში დავჭერი მე თვითონ, საბოყვე მასალაა. ფიცარს კედლებისათვის სიმამრი მპირდება. მეც მექნება სახლი, ჯიმალია!..

— სად წახვედი, ღურწუ, რა უყავი სტუმარი? — სასიმინდედან თავი გამოჰყო თათულიამ.

— აგერაა სტუმარი! — უპასუხა გახარებულმა.

— მობრძანდით, ბატონო! სტუმარი ღვთისაა!..

გიორგიმ თავი დახარა და ღურწუმიას ქოხში შეგდება. ღურწუმიას სასიმინდე, გიორგის ბავშვობიდან ახსოვდა. ზევით სასიმინდე იყო, ქვევით საცხოვრებელი ფიცრული. მაღალ ბოკონებზე მიეპეტათ ფიცრები. ჭუჭრუტანები გარეთან ფუნით ამოელესათ. შიგნიდან კი „ყაჭის ქაღალდი“ გაეკრათ კედლებზე. ყაჭის ქაღალდი სქელი, ხეშხეშა ქაღალდია, ჭუპრიდან ახალგამოსულ ჭიას უგებენ ჩელტებზე. ყაჭის ქაღალდს საბოლოოდ დაეგმანა ჭუჭრუტანები. მაგრამ აგერ-ეგერ წვიმის წყალი გასხლტებილიყო ფუნაში და ქაღალდი ნაირფერად მოეფორეკჯებინა, დაეხეთქა კიდეც.

სუფრის გაშლას დიდი დრო არ დასჭირებია. თათულიამ კედლიდან ჩამოხსნა ტაბაკი. ღურწუმიამ გიორგის დაბალი სკამი დაუდგა, თვითონ გრძელ ჯორკოზე დაჯდა. უკან ბაბვირა ხელი და მაგიდის ქვევიდან სიმინდის ნაქურჩალით თავდაცობილი ბოკა გამოათრია. ნაქურჩალი სისხლისფრად შეეღება ლეჩხუმფურს. თათულია კუთხეში მიმდგარიყო და დერგიდან მწნილი ამოჰქონდა.

— სხვა არაფერი არ გაქვს?

— არაფერი არა მაქვს, ბავშვს ვფიცავარ, ხომ ვივახშმეთ და აღარ მოგვრჩა არაფერი.

— ვავა! — შეწუხდა ღურწუმია.

— არაფერი არ არის საჭირო. დაასხი ის ღვინო, ერთ ჭიქას ავიღებ, საქეიფოდ ხომ არ მოვსულვარ, — დაამშვიდა გიორგიმ ღურწუმია. ღურწუმიამ ღვინო ჩაის ჭიქებში ჩაასხა. თათულიამ ტაბაკზე ჭარხლის მწნილი ხოპინო თეფშით დადგა. გიორგიმ ჭიქა აიღო, სადღეგრძელოს თქმა უნდოდა, მაგრამ ღურწუმიამ შეაწყვეტინა.

— ერთს მე ვიტყვი და მერე რაც გინდა, თქვი.

ღურწუმია შეჩერდა, თითქოს სათქმელი ვერ მოუფიქრებიაო, ერთი ორჯერ წვერი მოიქექა, ერთი ორჯერ ჭიქა ტაბაკზე შეატრიალ-შემოატრიალა და უცებ მიაყარა, თითქოს აკრძალული სადღეგრძელო თქვაო.

— ანინას გაუმარჯოს, ჯიმალია, შენს ანინას!.. — თქვა ეს და ერთ წამში გადაყლაპა ერთი ჭიქა ღვინო. ცარიელი ჭიქა ტაბაკზე დადგა და, თითქოს დაწყებული სადღეგრძელო გაგრძელაო, ჩაილუღლუღა: — ჩემი ბავშვის ექიმია — თანაც ლოგინისაკენ გაიხედა. იქ ბავშვს ეძინა. „ჩემი ბავშვის ექიმიაო“,— ბოდიშივით გაისმა ქოხში.

გიორგი დაიბნა. სულ არ მოელოდა ასეთ სადღეგრძელოს. „ნუთუ ამისთვის

გამომსდია გუჩას სახლიდან“ — გაიფიქრა უცებ. „მგონი ეს ლენჩია ნათელმხილველი, მე კი „ჭკვიანი“ ბნელში დავფათურობ.

— გაუმარჯოს ანინას! — ჩაიდუდუნა გიორგიმ და ღვინო ცოტა მოსვა.

— სიმამრმა ჩამომიტანა, ჯიმალია, — თქვა ღურწუმიამ და ჭიქები შეავსო.

— ეს თქვენ გაგიმარჯოთ! ღმერთმა მოგცეთ ჯანმრთელობა, ბედნიერება, სიხარული.

— ვაჰ, — მიდიხარ ჯიმალია?

— გვიანაა, უნდა წავიდე, დორო, დიდი მადლობა... ღმერთ მშვიდობისა...

ღურწუმიამ ჭიშკრამდე გამოსდია გიორგის, გააცილა თავისი ჭკუით. გიორგი კი ჩქარი ნაბიჯით გაეცალა იქაურობას. მას უკვე ღურწუმიასი ეშინოდა, რამდენჯერაც ამ კაცს დაელაპარაკა, იმდენჯერ სულ სხვადასხვანაირი ეჩვენა. ხან ჭკუასუსტი ეგონა, ხანაც სულ მოლად სულელი, ხან კიდევ ჭკუის კოლოფი. ამ საღამოს გიორგის სულში ჩაწვდომა არ მოუწდომია?

ფერმკრთალი მთვარე დაჰნათოდა საკალნდაროოს.

გიორგიმ შინისკენ შეუხვია, ახლა უკვე სულ სხვა გუნებაზე იდგა. ღურწუმიამ თითქოს საყვედური უთხრა, ანინას რატომ გაეყარეო. თან უხაროდა და თან წყინდა ეს საყვედური. თავის ჭიშკარს რომ მიუახლოდდა, მჭრქალი მთვარე ზედ მის სამზადს ადგა თავზე.

•

გუჩას სახლისკენ ხალხი დილიდანვე დაიძრა. დილის მატარებლებს ჩამოჰყვნენ სტუმრები თბილისიდან, ბათუმიდან, სოხუმიდან. ზუგდიდელი, სენაკელი, ობელი და აბაშელი ნათესავები ავტომანქანებითა და დიდი ავტობუსებით მოგვიანებით ჩამოვიდნენ. არა მარტო გუჩას კარ-მიდამო, მთელი სოფელი აივსო შავოსანი ქალებით.

შუადღისთვის ხალხმა იძალა და შავი დღე დაადგათ მოსამსახურეებს. ჭირისგამრიგემ მრისხანე თვალები უჭვენა მეზობლებს, თუ ყოჩაღად არ ვიქნებით, სირცხვილს ვჭამთო. სამზარეულოსა და სეფაში დამატებით გაგზავნა ეფემერიანები, შენ იმას მიეხმარე და შენ ამასო. სუფრასთან ხალხის მიმწვევთაც მიაშველა რამდენიმე მარჯვე კალანდარია. ჭირისგამრიგემ სეფის უფროსი შეახუცრა, — მერიქიფეები ჩუმ-ჩუმად ღვინოს სვამენო. საცხედროში ქალები შეგზავნა, უცხო მანდილოსნებს თხოვეთ, გარეთ გამოვიდნენო, ჭირისუფლებს აცალონ თავისი მკვდრის დატირებაო.

ამოძრავდა, აფუსფუსდა საცხედრო, სეფა, სამზარეულო, ხელად დამყარდა წესრიგი და ურთიერთგაგება.

გუჩასთან გამოსათხოვრად მართლაც რომ ბევრი ხალხი მოვიდა. ოჯახი ორგანიზებულად უნდა შეხვედროდა სტუმრებს; ღვთის წყალობით ყველაფერი ჰქონდათ, რაც ქელეხს სჭირდებოდა. ახლა მთავარი იყო სტუმრებს ლაზათიანად შეხვედროდნენ, მდიდარი სუფრისათვის ტკბილი სიტყვით შნო და ეშხი მიემატებინათ, ადამიანს ფეხქვეშ ფიანდაზად გაგებოდნენ — ჭირის დღეს ჭირი რომ არ ეგრძნოთ და ლუკმა ყელში არ გაჩხერეოდათ.

„წამობრძანდით, გოლუაფირო! ერთი ჭიქა ღვინო, გოლუაფირო! შესანდობარი, გოლუაფირო! წესი გვაქვს ასეთი, გოლუაფირო! თავი მოგვეჭრება, გოლუაფირო! ოჯახს ვცეთ პატივი, გოლუაფირო!... ოხ, მე მოგიკვდეთ მაშინ, გოლუაფირო! არ შეიძლება, გოლუაფირო!..“

ეს სიტყვები გაისმოდა, ყველგან, მთელს ეზოში. კალანდარიები სულითა და გულით, უსაზღვრო პატივისცემითა და მოწიწებით ეპატიჟებოდნენ თბილისელებს, მათ განსაკუთრებულ პატივს სცემენ საკალანდარიოში, თბილისელთან რატომღაც მეტ მორიდებასა და მოწიწებას იჩენენ.

გიორგი ეზოში მარტოკა იდგა, საცხედროს გვერდით დაბალ თუთის ხეს მიყრდნობილი ყურს უგდებდა, როგორ

ნოდარ ფულეიშაური
თუთარაჯელა

დასტიროდნენ გუჩას ჭირისუფლები. მის ირგვლივ უამრავი ხალხი ირეოდა. მაგრამ კალანდარიები მასთან საუბარს ერიდებოდნენ, შორიდან ესალმებოდნენ.

გიორგიმ ანინა მთელ სოფელს შეაყვარა, შეაყვარა და როცა საკალანდარიოში რამდენიმე ახალდაბადებულს უკვე დაარქვეს მისი სახელი, გიორგიმ ხატივით ქალს ხელი ჰკრა. რა დაშავა ასეთი? რა მოხდა? რად დაისაჯა ანინა? გაკვირვებული კალანდარიები ეჭვით უყურებდნენ გიორგის, ამიტომ უმძიმდათ თავიანთ ექიმთან შინაურული საუბარი. ანინაზეც ხომ უნდა ჩამოეგდოთ სიტყვა? ზრდილობიანი დუმილით კი ერთგვარად თანაუგრძნობდნენ ანინას. გიორგი ამას ხვდებოდა და ბრაზობდა. რამდენიმეჯერ გადაწყვიტა, წავალ ახლა აქედანო, მაგრამ რატომღაც აღარ წავიდა. თავისთავს კი არ უტყდებოდა, რომ აქ ანინას ელოდებოდა, რად ელოდებოდა? ხომ აღარ უყვარდა? ხომ სძულდა?..

საცხედროდან ჭუჭიას მოთქმა მოისმოდა. გუჩას ქვრივს ხმა ჩაწყვეტოდა და ვეღარ მოთქვამდა, მაგრამ გუჩას ბევრი ჰყავდა მატირალი, შავოსნები კუბოს გასწვრივ ჩამწკრივებულიყვნენ და რიგრიგობით, ჭუჭიას მეთაურობით გამბულად მოთქვამდნენ. კუბოს თავთან პარტყუე იჯდა, გიორგიმ წამოიყენა საავადმყოფოდან. ეშინოდა, ესეც ხელში არ შემომაკედესო, მაგრამ მოხუცმა გაუძლო, როგორღაც მოიკრიფა ძალა. ტიროდა და ტიროდა, ცრემლი ღაპაღუპით სცვივოდა თეთრ, ქათქათა წვერზე. მისი ტირილი ხალხს გულს უჩყვეტდა და ჟამიდან ჟამამდე საცხედროდან მამაკაცების ზლუქუნიც მოისმოდა.

პარტყუს შავი ბლუზა ეცვა. მოხუცისათვის საპირისუფლო გრძელი შავი ბლუზა შეეკერათ. ისედაც ტანმორჩილი, ამ გრძელ შავ ბლუზაში, კუბოსთან თავჩარგული, სულ მოლად დაპატარავებული, საწყალი და საცოდავი ჩანდა. ხალხი ზედმეტ ყურადღებას იჩენდა პარტყუსადმი. ყველას ებრალებოდა, ყველა თანაუგრძნობდა, ზოგი მოიფიქრებლად დასტიროდა საკუთარ გზასვე შემდგარ მოხუცს. ეს იყო მძიმე სურათი და გიორგი წუხდა, დარდობდა, რომ ეს ასე იყო. ცალი თვალი სულ პარტყუსკენ ეჭირა. საცხედრო ბრეზენტით იყო გადაფარებული, ბრეზენტი მაღლა თავზეზე გადაეკიდოთ და სამკუთხედად ჩამოეშვათ. ამ ბრეზენტის ქვეშ განლაგებულიყვნენ ჭირისუფლები: ქალები კუბოს ადგნენ თავზე, მამაკაცები კი ერთ მხარეს ჩამწკრივებულიყვნენ და სამძიმარს იღებდნენ, მხოლოდ პარტყუე იჯდა, მას აღარ შეეძლო ფეხზე დგომა. გიორგის საცხედროს წინ ისეთი ადგილი ამოერჩია, პარტყუ დაენახა. ყოველი მოტირალი, ვინც ჭიშკარში შემოვიდოდა, გიორგის წინ ჩაივლიდა. მოტირლებში იგი ანინას დაეძებდა. ნთესავები წივილ-კივილით შემოდიოდნენ, კივილს კივილითვე უპასუხებდნენ საცხედროდან, თმაგაჩეჩილი, ლაყებდახოკილი ქალები, ნერვიული, ისტერიული სახითა და უაზრო თვალებით ადამიანზე მძიმე შთაბეჭდილებას სტოვებდნენ, მაგრამ როცა დაცხრებოდნენ, კუბოს მიუსხდებოდნენ და გულმომწვარ მოთქმას მოჰყვებოდნენ, ვეგონებოდათ შავი თავსაფრებიდან ღვთისმშობლები იმზირებიანო. ი არ ტიროდნენ, ბალადდნენ. რაღაც ახალ, მანამდე უცნობ, სევდიან სიმღერას უგალობდნენ იმ ქვეყნად მიმავალს.

გიორგის ზურგს უკან კი კვლავ გაისმოდა: „წამობრძანდით, გოლუაფირო!“ სტუმრებს სეფაში ეპატიჟებოდნენ. იქ დიდი სუფრა იყო გაშლილი. „პატივი გვეცით, გოლუაფირო!“, — მაღალი, წითური კალანდარია ერთ კოდორელ აფხაზს გამოუფდა. წითური კალანდარია ღვდივით მოქნილი და მარჯვე კაცი ჩანდა, ერთი კაცის მიპატიჟებაში იმდენი იმოძრავა, იმდენჯერ მიიდო გულზე ხელი, იმდენი ტკბილი სიტყვა დახარჯა, ისეთი დახვეწილი და ვაკკაცური იყო ყოველი მისი მოძრაობა,

ვიორგიმ გაიფიქრა: „მიპატიჟებაში ამდენი პლასტიკა, ამდენი აზრი და მუსიკა! ნეტა ვინ იყო ის სტუმარი, ვისაც ასეთ დიდ პატივს სცემდა ქართველი კაცი. „სტუმარი ღვთისააო“ — ნუთუ ასეთი კარგი მეზობლები გვყავდა? იქნება ძველ ბერძნებსა და რომაელებს ვხვდებოდით ასეთი ქათინაურები?“

გიორგი შესცქეროდა გუჩა კალანდარიას ეზოში თავშეყრილ ხალხს და შორს, ძალზე შორს ჰქროდა მისი გონება.

უცებ, სად იყო და სად არა, საცხედროს წინ დიდკოსტა გაჩნდა. საქმიანად მოვიდა საიდანღაც. „აქ ყოფილა“, — გაიფიქრა გიორგიმ და თვალი გააყოლა. დაინტერესდა — დიდკოსტა ხომ, პარტიუს გარდა, მის ოჯახში ყველას ემდუროდა! „ნუთუ კოკისაც შეურიგდა“... გიორგიმ ფიქრს თავი მიანება და დიდკოსტას დააკვირდა. მან საცხედროში თავი შეჰყო, პართუსთან და კოკისთან მივიდა. შემდეგ სამივენი ერთად გამოვიდნენ საცხედროდან, სეფისკენ წავიდნენ. საქმიანად საუბრობდნენ, გიორგიმ შეამჩნია, რომ დიდკოსტას კოკიც დაელაპარაკა, დიდკოსტამაც უპასუხა. „შერიგებულან“ გაუელვა თავში და გაუხარდა. დიდკოსტა დაწინაურდა და ჭირისგამრიგესთან მივიდა. კოკიმ დიდკოსტაც დაუძახა და ორივე, დიდკოსტაცა და ჭირისგამრიგეც თავისთან მოიხმო. იდგნენ და გულმოდგინედ ბჭობდნენ. ძმები დავალებას აძლევდნენ ჭირის თავკაცებს. „შერიგებულან“, — ფიქრობდა გიორგი. „გუჩას სიკვდილმა შეაერიგა ისინი“..

რატომღაც თვალწინ სიყვარულით სნეული ციური და ამირანი წარმოუდგა. ვაიხედ-გამოიხედა, ციური ხომ არ მოვიდა სატრაილშიო, ვეღარ იპოვა ციური, ამირანი თავდახრილი იდგა საცხედროში და ხალხს ხელს ართმევდა. „კარგი ბიჭია, ამირანი, ლამაზი ბიჭია“... უპასუხისმგებლობა, ცერეტობა, ზერელობა, რაც ამირანს ახასიათებდა, იმ წუთას აპატია; ყმაწვილი კაცია, თანდათან გამოსწორდებაო და გუნებაში ციურის შერთვის უფლება მისცა. ამირანს ციურის ღვთისნიერება გადადებდა და სწორ გზას დაადგებაო — დასასკვნა.

დიდკოსტასთან მოუნდა საუბარი. აინტერესებდა, როგორ შეურიგდა კოკი ღანჯურას. სეფისაკენ გაემართა. წინ ღურწუმია შემოეფეთა. გასარეცხი თეფშები სადღაც კალათით მიჰქონდა. გიორგიმ სეფაში შეიხედა, სამზადიდან ჭიშკამდე გაეჭიმათ სეფა, შიგ ხალხი ბუზივით იროიდა, ვერ იპოვა დიდკოსტა, სამზარეულოშიც შეიხედა. იქაც აღარ იყო, ეზოში ჯონდის მოჰკრა თვალი, იქით გაეშურა, მაგრამ საცხედროში კივილი ატყდა. უცებ ატყდა საზარელი კივილი. საცხედროს ხალხი მიაწყდა. თურმე გამოსვენების დრო დამდგარიყო. გიორგიმ საათს დახედა. „რა დრო გასულა“, — ჩაიჩურჩულა მან და საცხედროს წინ შეჯგუფებულ ხალხს შეუერთდა. გუჩას კუბო ძმებმა, ძმისშვილებმა და ნათესავებმა ასწიეს და შუა ეზოში დაასვენეს. როცა კუბო საცხედროდან გამოიტანეს, გიორგიმ თვალი მოკრა დიდკოსტას, იგი პროცესიას წინ გაუძღვა და კუბოს წამღებთ უჩვენა, სად დაესვენებინათ გუჩას ცხედარი.

დაიწყო დეპეშების კითხვა, საგანგებოდ ჩაცმულ-დახურულმა კალანდარიამ მშვენიერი ხავერდოვანი ხმით წაიკითხა რამდენიმე დეპეშა, თან გამოაცხადა, რომ დეპეშები ძალზე ბევრია და მათი წაკითხვა შეუძლებელიაო.

კუბო კვლავ ასწიეს და ჭიშკრისკენ გაემართნენ. ჭიშკართან გუჩას ცოლს გული შეუღონდა. შავოსანი ქალები დაეხვევნენ ბედკრულ ცოლს, და გაჭირვებით მოასულიერეს. ფეხზე დააყენეს თუ არა, „გუჩა, გუჩა, სად მიდიხარ, შე უბედურო!“ შეჰკივლა და შეჰკივლა ქალმა.

პროცესია სასაფლაოსკენ დაიძრა.

კალანდარიებს სასაფლაო მეტად უჩვეულო ადგილას ჰქონდათ — სოფლის შუაგულში, გარშემო ხალხი ესახლა.

ნოდარ ფულეისარი
თუთარაჩელა

ძველთაძველი სასაფლაო იყო ეს სასაფლაო. ძველად თურმე ამ არემარეში არავინ ცხოვრობდა. დროთა განმავლობაში სოფელი აქეთ წამოვიდა, გაფართოდა, გაგანიერდა და სასაფლაო შუაში მოიქცია.

გიორგი დაღვრემილი მიაბიჯებდა სასაფლაოსაკენ, პროცესია ნელა მიიზლაზნებოდა. ერთი ქალი მთელ გზაზე კიოდა... „არ მოვიდა ანინა, იქნებ მართლა ავადაა“ — ფიქრობდა გიორგი. „იქნებ არ უნდა ჩემთან შეხვედრა... იქნებ ხალხის რცხვენია... ვაი თუ ავადაა?... უნდა ვაპატიო“. უცებ გაუელვა თავში და უმალ სადღაც გააქრო, გონების წიაღში დამარხა ეს ორი ლამაზი სიტყვა. „დიდკოსტასაგან გადამედო პატიება“ — გაეცინა გუნებაში. ფიქრები მოეჯარნენ გიორგის, საიდანღაც ღრუბლებივით წამოვიდნენ და გონების ცა სულ მთლად გადაუფარეს.

პროცესიამ სასაფლაოზე რომ შედგა ფეხი, ჭირისუფლებმა კიდილით ცის ნატეხი ძირს ჩამოიღეს. ხალხი ჯერ მთელ სასაფლაოს მოეფინა, შემდეგ გუჩის სამარის გარშემო შეიკრიბა. კუბო სამარის პირას დაასვენეს, დაიწყო გამომშვიდობება. უცებ გიორგის დედამისის ხმა შემოესმა. ტატუ გერგეზეს სფლავს თავს დასდგომოდა, გულზე ხელი დაეკრიფა და ხმამაღლა მოთქვამდა. „ნეტა სად იყო, მთელი დღე რომ არ მინახავს“ — გიორგი მისკენ გაეშურა. ქუჯი იქვე იდგა და ბებიას შესცქეროდა. ტატუ ჩვეულებრივად გერგეზეს სფლავს თავის ქმრის ამბავს დასტაროდა.

— ქუჯი, ქუჯი! — დაუძახა გიორგიმ ბავშვს, — მოდი აქ!

ქუჯი მამასთან გამოიქცა.

— სად იყავით, აქ საიდან გაჩნდით?

— სულ წინ მოვდიოდი, ყვავილები მომქონდა, — ამაყად მიუგო ბავშვმა. გახარებული იყო ყვავილები რომ მოჰქონდა, აღტაცებულმა მიახარა მამას, ყვავილები მომქონდა.

— წავიდეთ სახლში! — გიორგიმ ქუჯის ხელი მოჰკიდა და შინისკენ გზას გაუდგა.

— დედა სად არის? — ჰკითხა ძე ბავშვს, როცა სასაფლაოდან გამოვიდნენ.

— დედა ავადაა, — უპასუხა ქუჯიმ. გიორგის ტატუს ხმა უკან მოსდევდა. ამ ხმას გაურბოდა, არ შეეძლო, უჭირდა დედის მოთქმის მოსმენა, მაგრამ ტატუს მოთქმა ახლა მთელ სოფელში გაისმოდა. ზარივით რეკდა ქალის ხმა. გუჩას მოტირალი ხალხი ნელ-ნელა ტატუმ გადაიბირა, ტატუს გარშემო შეიკრიბა მთელი სოფელი.

„ვაი სქანი ცოდა, ალე, ვაი ჩქიმი ცოდა, ალე“, ჩაესმოდა გიორგის დედის ხმა და გულზე სევდა აწვებოდა. ამ სევდამ სულ მთლად შეიპყრო.

— გინდა გავიქცე, მამიკო? — უცებ იკითხა ქუჯიმ, ბავშვს არ შეეძლო ამდენხანს ჩუმად ყოფილიყო.

— გაიქეცი, შვილო, გაიქეცი! — ანგარიშმიუცემლად უპასუხა გიორგიმ.

ქუჯი მტკრიან შარაგზაზე გაიქცა. „უნდა შევუურიგდე“ — კიდევ ერთელ გაუელვა თავში გიორგის და ფიქრების ღრუბლებმა კიდევ ერთხელ ჩაფლეს სადღაც ეს ლამაზი ფიქრი.

გიორგი შარაგზაზე მარტოკა მიაბიჯებდა და დედის მოთქმა მოწოლილ სევდასა და ნაღველს უძლიერებდა.

2

გიორგი შამფურივით ტრიალებდა ლოგინში. არ ეძინებოდა. ანინასა და ქუჯიზე ფიქრობდა. ქუჯი მთელი დღე აქ ჰყავდა, მთელი დღე ეტიტინებოდა. საღამოს კი ტატუმ დედამისს წაუყვანა. ღამე უდედოდ ვეღარ ეძინებდა. დედის ძუძუებში თუ თავს არ ჩარგავდა, ხელს მაინც თუ არ მოტეთალუნებდა, ისე ვერ იძინებდა. დიდი ბიჭი იყო, მაგრამ ღამე უდედოდ მაინც უჭირდა: ქუჯიმ ბევრი რამ უამბო: დედა საჭმელს არ ჭამსო, სულ ტირისო, წევს და აღარ დგებაო. ბავშვის ნათქვამმა გიორგი ჩაფიქრა. ეცოდებოდა ქალი. წუხდა, ნანობდა, — ცხარე გულზე შეურაცხყოფა ხომ არ მივაყენეო. იმღამინდელი ჩხუბის სურა-

თი აღადგინა და ყოველი სიტყვა გონების თვალით გასინჯა, გააანალიზა.

არაფრით აღარ დაეძინა, ტანთ ჩაიცვა და გარეთ გამოვიდა. „უნდა შევურიგდე, აღარ შემიძლია მარტოობა“. უცებ გადაწყვიტა. სწრაფად უარჰყო ყოველივე, რაც თავმოყვარეობამ უკარნახა და ფულისხმას მიუგდო ყური: „მე იგი მიყვარს“...

შარაგზას დაადგა. სოფელს ეძინა. კალანდარიების ძაღლები ვარსკვლავებს შეჰყეფდნენ. სოფლის ცენტრი გაიარა, ცენტრში კაცის ჭაჭანება არ იყო, მხოლოდ სასადილოს წინ თოფსდაყრდნობილი დარაჯი იდგა.

გიორგი რომ დაინახა, დარაჯმა ქუდი მოიშვლიპა და მოწიწებით დაუკრა თავი.

გიორგიმ რომელიღაც ბნელ შუკაში შეუხვია, იქიდან ფართო შარაგზაზე გამოვიდა, გრძელი სიბაკარი გააღო და ანინას სახლ-კარისაკენ გზას დაადგა. ოდის წინ, მინდორში მანქანა იდგა. ანინას ახალ ეზოში ერთადერთი თუთის ხე იდგა. იმ თუთის ძირას იდგა მანქანა. ოდაში სინათლე ენთო. გიორგიმ მანქანა იცნო და ელდა ეცა. ერთ ადგილს გაქვავდა, გაბრუებული იდგა. აღარ იცოდა, რა ექნა. ჩუმად ავიდა კიბეზე და ფანჯარაში შეიხედა, შეამოწმა, მართლა აქ იყო თუ არა გვაჩი. გვაჩი და ანინა მაგიდასთან ისხდნენ და საუბრობდნენ. მაგიდა ცარიელი იყო. ზედ მხოლოდ საფრფლე იდო, გვაჩი სიგარეტს ეწეოდა. იმწამს გიორგიმ გვაჩისთან მოულოდნელი შეხვედრა ვერ გაიაზრა, რაღაც სხვა ვრძნობა დაეუფლა. „აკი ვამბობდიო“. გაუელვა თავში, თითქოს ანინას მოუგო ნიშნი, საკუთარ გულისხმასთან იმართალა თავი. ამ უცნაურმა გრძნობამ იხსნა. შინისაკენ გზას ისე დაადგა, თითქოს დანაშაულის ჩასადენად იყო წასული, გადარჩა და აღარ ჩაიდინა დანაშაული.

●

— ვიცი, არ უნდა მოვსულიყავი — შემოსვლისთანავე უთხრა გვაჩიმ ანინას და კარებთან თავჩაქინდრული დადგა — მაგრამ შენი ამბავი რომ გავიგე, გულმა აღარ მომითმინა. იქნებ ჩემი დახმარება სჭირდება-მეთქი.

— მე არ მჭირდება არაფერი, — ცივად მიახალა ანინამ.

— იქნებ სხვა ქალაქში გინდა წასვლა, სადაც გინდა, იქ წაგიყვან, სადაც გინდა, იქ გაცხოვრებ.

— მაცხოვრებ? — ანინამ „მაცხოვრებ“ დამცინავად წარმოსთქვა. გვაჩი შეწუხდა.

— ცოლობას კი არ გთხოვ, მეგობრობას გთავაზობ. ხომ ჩემი ბრალია შენი არეკ-დარეკა, მე მინდა ჩემი დანაშაული გამოვისყიდო...

გვაჩი შეჩერდა, თითქოს სათქმელი დაავიწყდაო. სიხუმე ჩამოვარდა.

— დაჯექი, გვაჩი! — უხერხულობის თავიდან ასაცილებლად თქვა ანინამ. გვაჩის კი მოეჩვენა, რომ ანინამ გულთბილად უთხრა „დაჯექიო“. ამ „გულთბილობამ“ გაათამამა, მაგიდას მიუჯდა, სიგარეტი ამოიღო და გააბოლა. ანინამ მაგიდაზე საფრფლე დადგა.

— შენ კარგად იცი... — როგორც იქნა, ხმა ამოიღო გვაჩიმ, — რომ მიყვარხარ. არ შემიძლია განსაცდელის ყამს მიგატოვო...

— კმარა, ადექი და წადი ახლა, გვაჩი! — გაბრაზდა უცებ ანინა.

— წავალ, ოღონდ სათქმელს ბოლომდე გეტყვი, მომეცი ამის ნება.

— თქვი და წადი.

— გინდა სულაც არ გამოვჩნდები შენს ახლომახლოს, სულ უცნობი პირი მოვა და წაგიყვანს ^ქედან. შენ ყველაფერი გექნება, რასაც კი მოიშურვებ, მე ეს შემიძლია. შემიძლია ერთი ადამიანი ვაცხოვრო.

— რა მჭირს შენი სამოწყალო!

— ნუთუ არაფერი არ გჭირდება!.. კარგად დაფიქრდი, სტყუი შენ ახლა, ანინა! — გვაჩიც გაბრაზდა და ფეხზე წამოდგა.

ნოდარ ფულეისკირი
თუთარჩილა

— წადი, გვაჩი, წადი!.. — ანინას ცრემლი მოერია.

— მე მართალი ვარ ჩემი თავის წინაშე, იცოდე! მიყვარხარ და სამარამდე მეყვარები. ჩემთვის არაფერი არ შეიცვლება.

— თავი გამანებე, ქრისტიანი არა ხარ!..

ცრემლიანი თვალები მიანთა ანინამ გვაჩის. ეს თვალები საყვედურით იყო სავსე, მაგრამ ცრემლნარევ საყვედურში ერთი წვეთი ზიზღი არ ერია.

— მიბრძანე და ყველა სურვილს აგისრულებ! ვისაც გინდა, მოვკლავ!..

თავზარდამცემად წარმოსთქვა „მოვკლავო“, აღარ გაგრძელა, სათქმელი ჭიბილით დაიჭირა, და გაჩუმდა. ანინას მოეჩვენა, რომ შუა ზალაში იდგა კვლელი. ზამბარასავით დაჭიმული და დაძაბული იდგა, თითქოს მზად იყო, სისხლი დაღვარა. რა ბოროტებას აფრქვევდა თვალებიდან! „ღმერთო, თურმე გვაჩის არ ვიცნობდი“, — გაიფიქრა ანინამ და შეშინებული, ბახვებული ფეხზე წამოდგა. გვაჩიმ უმალ შეამჩნია, ზიზღით რომ აევსო ქალს თვალები. იგრძნო, რომ გადაჭარბა, გიორგი არ იყო ამის ღირსი, შერცხვა, არ მოეწონა თავისი თავი. „ვისაც გინდა მოვკლავ“ ვაქკაცის მიერ არ იყო თქმული. ანინას გაუხარდა, რომ ასე გაშიშვლდა გვაჩი. რომანტიული ოერი ერთ წამს ჩამოეცალა, ასეთ მამაკაცს ხელს უფრო ადვილად ჰკრავდა, თამამად გაემართა კარებისაკენ, გააღო და გვაჩის ანიშნა, გადიო. კუდამოძუებული ძაღლივით გავიდა გვაჩი კარებში და ღამეს მისცა თავი.

გიორგის მათი საუბარი არ გაუგონია. ფანჯარაში იმ დროს შეიხედა, როცა ანინამ მაგიდაზე საფერფლე დადგა. გვაჩიმ ჩაადვრფლა და თქვა: „შენ კარგად იცი“... ამ სიტყვების შემდეგ გვაჩი შეჩერდა, შემდეგი სიტყვების წარმოთქმა უჭირდა. გიორგისთვის კი ყოველივე გასაგები იყო: თავისი თვალით ნახა გვაჩი ანინასთან, „აკი ვამბობდიო“, დაასკვნა და კიბეზე დეფეშა საუბრის შინაარსი არ გაგონილა. ანინტერესებდა, ის სამი სიტყვაც კი „შენ კარგად იცი“ გიორგიმ ვერ გაარჩია, საკუთარი სისხლის ჩქროლა და გულის ცემა გარედან მოსულ ყოველგვარ ხმას ახშობდა.

იმ საღამოს გიორგის წვეთი არ უძინია. სამზადში სინათლე ენთო, სავარძელში იჯდა, იმ ერთადერთი სავარძელში, რომელიც ანინასაგან შემორჩა. არ წაუღია ანინას. არაფრით არ წაუღია — აძაზე გიორგი იჯდაო. მთელი ღამე თეთრად გაათია. დილით ტატუს შეშფოთებულმა ხმამ გამოაფხიზლა.

— წუხელ არ გეძინა, ნანა? — მეორე თვალიდან ელპარაკებოდა ტატუ, თან იცვამდა, ჩქარობდა, გიორგიმ ადგომა როგორ დამასწროო.

— როგორ არ მეძინა, დედა, რა უცნაური შეკითხვა იცი!

— აბა, ასე ადრე რამ წამოგაგდო, ჩიტივით ხეზე ხომ არ გეძინა, ეს ოხერი.

— რა ვიცი, გამეღვიძა, შენ ნუ ადგები, თუ გინდა!

მათ შორის სამზადის კედელი იყო და ამიტომ ხმამაღლა ლაპარაკობდნენ, როგორც წისქვილში.

— ჩემი ადგომის დრო კია, გათენებულა. ავდგები ბარემ. შენ რისთვის ადექი, ის მაინტერესებს.

— ოოჰ, გაინტერესებს...

გიორგიმ სამზადის კარი გამოიხურა და ჰეკატეს ბაღისაკენ ნელა გაუყვა. სიხსამი დილა იყო. გრილ ცვარს გაეყინნთა მწვანეთი. ბაღი გიორგის ყივილ-ხივილით შემოხვდა. ჩხარულს ხეობა და ჰეკატეს ბაღი სავსე იყო მაფშალიებით. სადღაც ახლოს შაშვიც კი გალობდა. წვრილად უსტვენდა ფრთამოხატული ჩიტუნა აკაციის კენწეროზე. ჭრიჭინობელების ორკესტრი ამ იშვიათ სოლისტებს ყურს არ უგდებდა, თავის-თვის მიფანდურობდა. გიორგიმ ტაში შემოჰკრა. ერთ წამს სიჩუმე ჩამოვარდა ჰეკატეს ბაღში. სიჩუმე დიდხანს არ გაგრძელებულა, სკვინჩებმა და გულწი-

თელებმა ასტეხეს წივწივი, ახალფრენილ ბარტყებს ეძახდნენ. ჩიტუნებს უმალ მხარი აუბეს ჭრიჭინობელებმა, ჯერ ერთმა გაბედა, კაკლის ხეზე იჯდა ის თამამი ჭრიჭინობელა, კაკლის ხიდან გაისმა ჭრიჭინი. გამბედავ ჭრიჭინობელას მთელი ბაღი აჰყვა და კვლავ აყეჭრდა ათასი ჰანგი. გიორგიმ კვლავ შემოჰკრა ტაში და ერთ წამს გაარეშა ღილის ორკესტრი. გაერთო ცოტათი, გულმა მზესავით გამოიხედა ღრუბლებიდან. მაღალი გვიმრებიდან წორმორთი გამოვარდა, პატრონს მოაკითხა, ღილის ცვარს გაეწუწა, მუცელზე ეკიდა სველი, ძაღლური ბოწოწები. წორმორთი გიორგის ფეხებთან გაიწვართა და კუდის ქიცინს მოჰყვა.

გიორგი ფერდობზე დაეშვა, ძირს, ჩხარულასაკენ გაეშურა. ხევში ჩავიდა, მდინარის წყლით დაიბანა პირი და სველი ხელები თმაზე გადაისვა, ერთი დიდი ლოდი შეარჩია, ჩამოჯდა და ჩხარულას დუდუნს ყური მიუგდო. წორმორთიც ჩამოშლეგინდა ხევში. თქვლეფა-თქვლეფით დალია ძაღლმა წყალი და პატრონს მიაჩერდა, ახლა რა ექნათო. გიორგიმ ძაღლს დაუძახა და თავზე გადაუსვა ხელი. წორმორთის ესიამოვნა და თავი კალთაში ჩაუდო, თვალები ნეტარებისგან მილულა.

კვირა დღე იყო. გიორგის უნდოდა მთელი დღე აქ მჯდარიყო, ამ ეკალბარდით გადაბურულ ხევში და ადამიანისთვის ხმა არ გაეცა. დედას შეეშინდებაო, გაიფიქრა, წამოდგა და აღმართს ნელა შეუდგა.

ტატუს საუზმე მოემზადებინა. გიორგის დანა პირს არ უხსნიდა, მაგრამ ერთი ჭიქა რძე მაინც დალია. დედას უთხრა, დღეს მთელი დღე სამუშაო მაქვსო, ჩაიკეტა თავის „ოთახში“ და გარეთ აღარ გამოსულა. იწვა და ფიქრობდა, ნაშუადღევს ცოტა წასთვლიმა, წასთვლიმა თუ არა, ტატუს ხმა შეგმოესმა.

— ავადმყოფი მოიყვანეს, ნანა, კაცი მოდი.

— უთხარი საავადმყოფოში წაიყვანონ, მე ახლავე მივალ.

მანქანა ჭიშკართან იდგა, ერთი კაცი გადმოსულიყო მანქანიდან და ჭიშკარს მოდგომოდა. ტატუმ იმ კაცს ტკბილად მოუბოდიშა.

— ერთი სიკვდილი გავთავე ახლა, ბატონო, შინ რომ აღარ შემოგიპატიჟეთ, ხეირიანი სახლი არა გვაქვს, სამზადში ავადმყოფს ვეღარ მიიღებს, აღარ ეწყობა, საავადმყოფოში უნდა წაბრძანდეთ, ახლავე მოგეწევათ. იქა აქვს მიღება. დიდ ბოდიშს ვიხდი, ბატონო, ჩაიცვამს და წამოვა, ახლავე წამოვა... დიდი ბოდიში...

— როგორ გეკადრებათ, ქალბატონო, ჩვენ გვითხრეს, სახლშიც აქვსო მიღება, თორემ იქ მივიდოდით, საავადმყოფოში.

— კი, შვილო, ჰქონდა სახლში მიღება, მაგრამ ახლა... — ტატუმ ნასახლარისკენ გაიხედა, ნასახლარი ჯერაც ემჩნეოდა ეზოს — ახლა აღარა აქვს...

ის კაცი მანქანაში ჩაჯდა. მანქანა დაიძრა. ტატუ სამზადში რომ შებრუნდა, გიორგიმ უთხრა:

— რა იყო, დედა, ხომ არ გინდოდა იმ ხალხს თან გაჰყოლოდი. რაღაც ისეთი სახე გაქვს.

— ეჰ, არ შეიძლება ასე, ნანა, ვინ იცის საიდან მოდიან, რა ხალხია, შენ კი მიღება არა გაქვს.

— სახლი არა მაქვს, თორემ მიღება როგორ არა მაქვს. სულერთი არ არის აქ მივიღებ თუ საავადმყოფოში?

— არ არის სულ ერთი. შინ მიღება, მაინც სხვა არის.

— არაფერია, დედა, ეგ შენ ნუ გადარდებს.

გაგრძელება იქნება

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნუგზარ წერეთელი

ე ქ ო

ლირიკული პოემა

ვერა და ვერ ვშლით გონებიდან
სასტიკ ნაკვალევს,
ხალხი ძლიერო,
ყველა ტკივილს თუმცა გაუძელ,
წარუშლელ დაღად დარჩა დღემდე
ბნელი საკვამლე
მაიდანეკს თუ
მატენჰაუზენს!
იმ გახსენებას უხილავი წუხილით
იკლებს
გზა უსასრულო,
ქარიშხლიან ყინვის თარეშით,
უშრეტი ცეცხლი
ამხედრებულ ხალხის თვალებში
და დღე ყოველი
შრომის,
რწმენის,
შეტევის,
ფიქრის!
დედის ცრემლები,
დაფრქვეული შვილის სურათებს,
ძძიმე სასწორზე
ბორკილახსნილ ქვეყნის მყობადი...
მილიონები შეეწირნენ საქმეს
უმართლესს
და მოგვიყვანეს
უპირველეს მაისობამდე!
და იყო წლები
დიდი წინსვლის,
დიდი შენების,
დასახულ მიზანს არ ეწერა წუთით
აცდენა,
თაობას გმირულ
მაინც დარჩა სულში შრეებად
ის სატკივარი და განსაცდელი!
დარჩა სახელი
შემოსილი უჭკნობ დიდებით,
როგორც ცხოვრების
ბობოქარი ლტოლვის ნაპირი,
და დგანან ყველგან
ხალხის ნების მეხამრიდები,
ატომურ ცეცხლის და წალეკვის
მოპირდაპირედ!
ის დროც მოთავდა,
რომ ვიღაცა ცივი გონებით
საშინელების გარდუვალი
ჟინით ახირდეს,
დედების გულის
მგრძნობიარე ლოკატორები,
დღესაც ისმენენ
ძძიმე წლების გამოძახილებს!

•

დღემდე შემორჩათ იმედი დედებს,
შვილზე ფიქრები დედებს არა ღლით,
მათი ბიჭების ვაჟკაცურ ქედებს
სად დაეფარა ქვა და ბალახი.
საძმო სამარეს,
ობოლ სამარეს,
სად მიეფარნენ მათი პირმშონი,
რამდენს გვიძახის,
რამდენს გვავალებს
ჩვენ ის საფლავი,
ბორცვი,
ქვიშრობი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დედებს ტკივილი მუდამ დასდევდათ,
სადმე იყავით
თუ არ იყავით
და გაფარებდნენ შარავანდედად
შეუდარებელ დედურ სიყვარულს!
დედის წუხილი,
ცამდე აწვდილი,
სამყაროს დღესაც ჭრეოლად ედება,
უთქმელ ტკივილად ისმის დედების:
— შვილო, იქნება ხმა მომაწვდინო!
და ეს ძახილი აღარ თავდება,
ქარბად ქრის და
წვიმად იცრება,
ეს სიყვარული არ გამკრთალდება,
ღოდინის შეცვლა არ შეიძლება!
თან ჩაიყოლა
ვინც ვერ გაუძლო,
ახლა ბედიღბალს აღარ ემდურის,
დედა ისევე შვილთან საუბრობს
მარადისობის დუმილს შერთული!
დედებს იმედად შემორჩათ დღემდე
შვილი მფრინავი,
გმირი,
მხედარი,
ისინი თავის ოცნებებს ენდნენ
და დღე და ღამე
სიზმრად გხედავენ!
თქვენდამი ხალხის ხსოვნა ახარებთ,
თავისთვის ქმნიან კეთილ მირაჟებს,
ჩვენ ყველამ თავი უნდა დავხაროთ
ამ მშობლიური სევდის წინაშე!
მათი სათუთი გულების ფეთქვა
მხოლოდ ნათელი გზისკენ გვიწოდებს,
და შვილებისთვის რაც უნდა ეთქვათ,
ყველა ჩვენგანმა უნდა იცოდეს!
გადასახდელი გვრჩება ვალები,
კვლავ მათ ზრუნვას და შრომას ვიფერებთ,
ყველა ჩვენგანმა ღრმა მოკრძალებით
უნდა აავსოს მათი სიბერე!
სიბერეს მათსას
დარჩა იმედად
წმინდა სახელი სამშობლოს მცველის,
დავიწყებისთვის ვინ გაიმეტებს,
მას, ვისაც დედა დღე და ღამ ელის!

მე ის დღეები
ახლაც მახსოვს საოცრად ცხადად,
დღეები, როცა
ხუთიოდე წლისა ვიყავი,
დღეს ჩემი შვილი,
ჩემი გიგი არის იმხელა,
და თითქოს მამის ფერდაკარგულ ბაფშვობის
დღეებს
ის იმეორებს,
ოღონდ მისთვის ბედნიერება
არის ნათელი,
ვით მაისის მზიანი დილა!
მაისის ბოლოს
წაგვიყვანეს, მახსოვს, სოფელში
და ჩვენს სიხარულს
აღარ ქონდა ქვეყნად საზღვარი,
გვსურდა მთელ ღამეს
ფანჯარასთან ვყოფილიყავით,
რომ სიბნელეშიც გაგვერჩია თეთრი
სახლები,
მივსალმებოდით პატარა და
მყუდრო სადგურებს,
რაღაც შეგვეცნო მატარებლის რიტმულ
რწევაში.
მწვანე მეწყერით დაფარული შეგვხვდა
სოფელი,
სურნელს აფრქვევდა გაფიფქული თეთრად
ხეხილი
და იზიდავდნენ ფუტკრის გუნდებს
მსუყე რტოები!
ხეობას ხმაურს არ აკლებდა
მღვრიე მდინარე,
თითქოს კალაპოტს
ვიწროსა და რიყის ქვებიანს
თავის ნებაზე უპირებდა გაფართოებას.
შემოგვეგება შვილიშვილებს სერზე ბებია,
ცაზე მცხუნვარე მზე ციდა უშველებელი
და მაღალ გორებს
ფეროკარხნის კვამლი ეფინათ!
ხალხი შრომობდა
მომლოდინე მშვიდი ზაფხულის,
თოხნიდნენ,
სხლავდნენ,
შაბიამნით რწყავდნენ ვენახებს
და ფოთლებს ეკრათ ფორეჯები
კალმახის მსგავსად!
მზიანი დილა ჩვენთვის იყო ისე საამო,
რომ სიხარული
ანათებდა პატარა გულებს,

შორს იყო მაშინ
ყოველგვარი დაღლა და დარდი.
ჩვენი ოცნება
მხოლოდ ფერად ბუშტებს ხატავდა,
მომწვანო ზეცა
თუნუქივით ეხურათ ქედებს,
ხშირად ისმოდა
თვითმფრინავის ჩუმი გუგუნი,
თავაწეულნი დავეძებდით ხმაურის მიზეზს,
ყველას გვჯეროდა,
რომ შორეულ ფოლადის ფრთებზე
წითელ ვარსკვლავებს
და მღიმარე კაცებს ვხედავდით...

მახსოვს იმ დილით
ჩვენი ნახვა შეგიგვიანდა,
გამთენიისას წაგიღია
წისქვილს საფქვავი,
თორემ უჩვენოდ
წუთით ვერვინ გაგაჩერებდა.
მას მერე, როცა
უამრავი წელი გავიდა,
მე ახლა ვარქმევ შენს თვისებებს
კაცურ სახელებს:
ზარუნვას და გარჯას,
ვაჟკაცობას,
ლხენას,
სიყვარულს...
მახსოვს ეზოში შემოხვედი
ჩქარი ნაბიჯით,
ალერსით გქონდა თაფლისფერი
თვალები სავსე,
ბეჭებგაშლილი ისევ იდექ
და გვიცინოდი,
რომ ჩვენ მიგვაჩნდი
საოცნებო ზღაპრების გმირად.
რამდენჯერ შენი ნაამობი
ფიქრით გვავსებდა,
რამდენჯერ შენი ფართო მხრებით
გვისეირნია,
ცხადად ვგრძნობ ახლაც —
წაბლისფერი თმების სირბილეს,
ვით მთვარიანში დახვავებულ სიმინდის
სურნელს!

შენდამი რიდი
სიმშვიდისკენ მოგვიწოდებდა,
სიკეთეს შენსას
სიამაყით ვინაწილებდით.
დღემდე გვამხნევებს
და მოგვყვება ის სიამაყე.
მაინც რამდენი დაგვიტოვეთ საქმე კაცურ!

ეროვნული ბიბლიოთეკა

თაობას ჩემსას დაუბედეთ
კეთილი ბედი!
თაობას ჩემსას
მოუხვეჭეთ უფლება იმის —
მშვიდად იშრომოს,
იოცნებოს,
წეროს მართალი,
აღმოაჩინოს,
მზე დატეხოს სპექტრულ სხივებად,
მე მათმიერი
ყოველგვარი კეთილი სხივი
თქვენი სიცოცხლის
მიმაჩნია გახანგრძლივებად!
ეჰ, რა პატარა იყო თურმე
თქვენი სავალი,
ის მცირე წლებიც
ქარიშხლიან გზებზე დაგაცვდათ,
მაგრამ როგორი წარუშლელი კვალი
გაავლეთ,

ადრე გიყვარდათ,
ადრე გრძნობდით,
ადრე დაკაცდით!

შენ შეგისრულდა
ცხრამეტი წელი,
მხრებით თამამად აწევდი ურემს,
და იდგა ქვეყნად
ივნისი მწველი,
და რა ამბები ხდებოდა თურმე
ჩვენი პატარა სამყაროს გარეთ;
თითქოს ვტოვებდით ადრინდელ ჩვევებს,
აღარ ისმოდა ყიჟინა ჩვენი,
რატომ ტიროდნენ, ვეღარ გავიგეთ,
რაღაც სამძიმოს ვგრძნობდით გუმანით,
არ ვშორდებოდით ღია აივნებს,
აღარსად ჩანდა უკვე სტუმარი...
მერე ნათელი გახდა მუდმივად,
რისიც გინდოდა მაშინ ვამხელა,
მთელი ცხოვრების რწმენას უდრიდა
ის თავგანწირვა,
— ჩვენდა სალხენად!
შენ მიდიოდი მხნე და ამაყი,
მუშშემართული სახალხო მიზნით,

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თითქოს იმ წუთში
უფრო ამაღლდი
და მარადიულ დიდებას მიწვდი!
ყველას გვიცქერდი ჩვეული ალერსით,
წინ კი უცნობი ხვედრი გელოდა,
და არ გეწერა ფართო თვალებში
დარდი წასვლის თუ
მოუსვლელობის.
ჩვენ გაცილებდით მახსოვს სერამდე,
შენ ოდნავადაც კი არ ღელავდი,
თავს ვაკაცური ღიმით იჭერდი,
ჩვენს თვალში დარჩი მარად მცინარი,
მერე წახვედი
მხნე ნაბიჯებით,
ქარში და მზეში გაუჩინარდი!

მერე ხაზიან რვეულის ფურცლებს,
სამკუთხედებად შეკრულს ბარათად,
დიდი სიმხნევე შემოჰყვათ უცებ,
რომელიც ყველა წუხილს ფარავდა.
დედა ცრემლებით ალბობდა ნაწერს
და იძინებდა ყველაზე გვიან,
— სად არი ახლა,
ნეტავი სად წევს,
იქნება ცივა,
იქნება შია.
ელოდებოდა სიზმარს და ფოსტას,
ლანდივიდ იდგა
ღია კარებთან,
დედას თვეობით შეეძლო მოცდა,
ვით სიყვარულის ტვირთის ტარება!
ოცნებას მისას
და გულის ფეთქვას
არ დარჩენოდა თითქოს არავინ,
ვინ გაბედავდა დედისთვის ეთქვა
ამბავი შავი და შემზარავი.
თითქოს მოვარდა ერთი ტყვია და
უკლებლივ ყველა
დაკოდა მკერდში,
ბავშვებსაც როგორ აგვეკვიატა
ის საოცარი სახელი — ქერჩი!
დედა ელოდა მომცრო ბარათებს,
ბუხართან ზამთრის ღამეებს ტეხდა,
წინდებს უქსოვდა ღამაზ ფერებად,
შვილს ავედრებდა ღმერთს და ბუნებას,
— ნეტავი რატომ არ იწერება,
ვითუ რამე სიფათი შეხვდა,
მომლოდინეს და ღამეგანათევს
დარდი და ეჭვი
ანადგურებდა.
თითქოს შრომაში შვებას ეძებდა,
არ ისვენებდა ერთი წუთითაც,
და იყო ასე,
სანამ შეძლებდა,
და იყო ასე,
სანამ უცდიდა.

დრო კი მიქროდა.
წელს მიყვნენ წლები,
მას მერე ნუშმა
ოცჯერ იკვირტა,
წინ მიდიოდით სიცოცხლის გზებით
და მიღწევები აღარ გვიკვირდა.
ქარხნებს ვაგებდით,
ჰესებს ვაგებდით,
ფრთებით დაექსელეთ ლურჯი ეთერი,
ნანახეთ კოსმოსი რასაც მალავდა,
ყოვლის მხედველო, ხალხო,
გვაქებდი,
რადგან ვისწავლეთ
წესი მამათა —
არშეჩერების,
წინსვლის,
შეტევის!
ყამირს ვტეხდით თუ
ვადნობდით მეტალს,
საქმეს ვზომავდით
საერთო თვალით,
გვავსებდა ექო გარდასულ დღეთა
და ვაკაცურად ვიხდიდით ვალებს!

ის კი გელოდა.
დედა გელოდა,
გაბმულ შრომაში მოხრილი ქედით,
ოც ყვავილობას
და შემოდგომას
გაპყვა ვეება იმედი დედის.
წუხდა მოხუცი და ფერმიხდილი,
არ ასვენებდა წყეული ქერჩი,
და მერე მოკვდა
ჩუმი სიკვდილით
შენი ფრონტული სურათით ხელში.

გადიგრიალა, როგორც სამუმმა
და დღემდე მძიმე დატოვა კვალი,

მილიონობით ხმა დაადუმა
არ გაუხილა
სამზეოდ თვალი!
დენთით შებოლა ზეცის თაღები
და შეაფერხა წინსვლა დროებით,
გადაიქსელა ხალხის ძარღვებით
მძიმე ტანკების
მუხლუხოები.
ტვირთი სახალხო
ვზიდეთ ბეჭებით,
ღარებად გვექცა
შუბლი ნათელი
სისხლიან წლების ანაბეჭდებით
ტანზე გვეხვია
მავთულხლართები!
და ისარს —
რკინის ხელით გავლებულს
ვეღარ უძლებდნენ მტრების კარები,
ამბრაზურაზე გადაფარებულ
მკერდს
ალამივით მივიმძღვარებდით!
და მტრის ბუნაგთან ძლევით მისულნი,
ძმების სისხლის წილ
სისხლსვე ვიღებდით,
სულში გიზგიზებს
მთელი სისრულით,
ის შეტევები,
ის თარიღები!

გამარჯვებათა უბადლო ნუსხას
ავსებს მამების თბილი მოხედვა,
და გარდავლილი ბრძოლების სუსხი
სამშობლოს მცველთა ხსოვნად მოგვყვება!

მაინც რამდენი ბედი გამრუდდა,
რამდენი დედის კვნესა ისმოდა,
რამდენი გზიდან ვეღარ დაბრუნდა
და შეუერთდა მარადისობას.

ჩვენ გავაგრძელეთ მიზანი მათი,
მათი თვალებით დღეებს გავხედეთ,
და მიღწევათა სურვილებს გვმატებს
გმირების სიტყვაც,
საქმეც,
სახელიც!
ისმის გუგუნი
— შენ ხარ მოვალე,
რითი იხსენებ
— ბიჭებს გულადებს,
და ქმნიან ქვეყნად
ლექსებს,
რომანებს,
პიმნებს,
ნახატებს,
კინოსურათებს!
გმირთა სახელი ადის ზეცამდე
და უკვდავების ცდება ნაპირებს,
ჩვენ ამ შეგნებით
დღეებს ვკეცავდით,
მიტოვებასაც აღარ ვაპირებთ!
და ეს კაცური ნამუსი ჩვენი
ვერასდროს პოვებს ბოლოს და კიდეს,
ჯერ ყველას გვიცდის,
ჯერ ყველას გველის,
ჩვენი სათქმელი
თბილი და დიდი!
ძალზე ძნელია
გადახდა ვალის,
ამხელა ვალის,
ამხელა მსხვერპლის,
როგორც მიზანი დღეის და ხვალის,
გვიხმობს ძმების და მამების ფერფლი!

ეროვნული ბიბლიოთეკა

არ დაგვავიწყდეს!

მკაცრი დღეები სულში შეზიდეს,
სული აინთეს მომავლის რწმენით...
ახსოვს თბილისის უნივერსიტეტს
ის ათას ცხრაას ცხრამეტი წელი.
ემახსოვრება დიდხანს და დიდხანს
კომკავშირელთა პირველი კრება,
პირველი ფიცი, პირველი სიტყვა,
მერე ქცეული ეპოქის ძვრებად.
ის დღე სისხლიდან სისხლში გადავა,
გულიდან გულზე გადაირწევა...
იმ დღეს — დღევანდელ დღეთა
სათავეს —
არდავიწყება, არდავიწყება!
ორმოცდაათი გავიდა წელი
და იმ განლილ წლებს სახელად ჰქვია —
შეტევა, ძლევა, ღიმილი, ცრემლი,
სწავლა და შრომა, ხიშტი და ტყვია...
პირველ გმირთაგან გვაკლია ბევრი, —
აღარ არიან ცოცხლები ახლა.
გაგვიჩირაღდნეს სიკვდილით ბნელი,
მარადისობას მიენდნენ მაღალს.
მათ გაიარეს ცხოვრების გზები —
სახრჩობელათა თოკებზე მოკლე...
კომკავშირული რწმენით და ბზნებით
იბრძოდნენ, მაგრამ ბრძოლებში
მოჰკლეს...
მათ უკვდავების მძლავრი გენია
მამულში დარგეს ცოცხალ ნერგებით...
აგრე ადვილად არ ინგრევიან,
გულებში მაინც დგანან ძეგლები!
მათი სიცოცხლე და მათი სისხლი, —
თავისუფლება მზედ რომ აგვინთეს, —
არის დაფნის და დიდების ღირსი!
არ დაგვავიწყდეს, არ დაგვავიწყდეს!
ჩვენ ტვირთად გვაწევს იმათი ვალი,
ჩვენი გულები უცეცხლოდ ვერ ძლებს,
ზოგჯერ იქ, სადაც ბრმა არის თვალი,
ამ ანთებული გულებით ვეძებთ.
მდუღარე სისხლის მართალი წვეთით
ახალ ვარსკვლავებს ვაბრწყინვებთ ცაში
და გვეხარჯება სიცოცხლის დენთი
აღმოჩენაში, ძებნაში, წვაში...
მშობელი ხალხის ტკივილი გვესმის,
ფიქრები ჩვენი ხალხს ემონება,
გამბედაობის ღვთიური ცეცხლი
მზის მხურვალებით გვინთებს გონებას.
სულს სიჭაბუკის ალი ანათებს,
გულს ჭაბუკური სიმძლავრე შვენის.
ხალხს ვემსახუროთ კუბოს კარამდე! —
აი, მთავარი მიზანი ჩვენი!

წაკითხულია საქართველოს კომკავშირის თბილისის ორგანიზაციის
50 წლისთავისადმი მიძღვნილ საიუბილეო პლენუმზე.

ჩემო ცაო!

ჩემო ცაო, ვნახე რაჭა
და ზღაპარი ზღაპრად დარჩა...

მიწა გულ-მკერდს გიკოცნიდა,
გეხვეოდა ნიკორწმინდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

არ მოაკლო სიანკარე,
თბილი სიო მიაკარე!..

და ოცნების სამლოცაო,
დაიფარე, ჩემო ცაო!

●

გადაგისადოთ რითი
სიკეთე — თბილო დღეო,
და მგალობელი ჩიტით
გახარებულო ხეო?

გული თქვენს ნახვას ითხოვს —
ადრე გამხმარო ხეო,
გადაკარგულო ჩიტო,
დაღამებულო დღეო!..

●

მე მაცოცხლებს, მეგობრებო, —
მართალი რომ გითხრათ, —
ერთი თბილი შემოხედვა,
ერთი ტკბილი სიტყვა.

და მე მომკლავს, მეგობრებო, —
არაფერი მეტი, —
ერთი მკაცრი შემოხედვა,
მწარე სიტყვა ერთი!

●

ყურს ჩამსმენიხარ ბგერად,
გულს ჩამწერიხარ ასოდ...
მე მარტო შენი მჯერა
და შენი სახე მახსოვს.

ვუწვალებივარ სიტყვას,
ვუწვალებივარ ფრაზას
და, თუკი რამე მითქვამს,
მხოლოდ შენს ნათქვამს ბაძავს.

ცხადად და სიზმრად რბიხარ
ჩემს ღვიძილთან და ძილთან,
მაგრამ არ ვიცი, ვინ ხარ
და არც ვიცოდე, მინდა!..

●

დაღლილი ცის ფეთქავს მკერდი...
და მძინარე მიწის მცველად
კრთის ვარსკვლავი — ერთადერთი —
ჩემი საქართველოს ხელა.

ჯემალ ქარჩხაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა



ოპერაცია „ლილო ტასო“

პროლოგი

პირმშვენიერმა მდივანმა გოგონამ მერვედაც იგივე პასუხი დამახვედრა (თავმჯდომარეს თათბირი აქვს და ვერ მიგიღებსო).

ექსპოზიცია

1. ვინ არის და რას წარმოადგენს დეიდა ტასო.

დეიდა ტასო არის სამოცდათხუთმეტ წელს მიღწეული ვინ ჯგუფის სულიერი არსება; აქვს ხუთოთახიანი ბინა და ჰყავს ერთი ბებერი კატა, სახელად პიმენი.

სინამდვილეში, დეიდა ტასო უფრო მამიდა ტასოა, რამდენადაც მამაჩემის ღვიძლი მიძაშვილია, მაგრამ ვერ იტანს მამიდას დაძახებას, რადგან ეს სიტყვა, ცოტა არ იყოს, ფამილარულად ჟღერს და, თუ კარგად დავუკვირდებით, მემკვიდრეობის ერთგვარ პრეტენზიასაც შეიცავს.

დეიდა ტასოს პორტრეტი

დეიდა ტასო არის ძალიან მაღალი, ძალიან გამხდარი და თავისი ასაკის კვალობაზე წელში ძალიან გამართული ქალი. თეთრი ,ბრეშუმივით თმა აქვს,

შავგვრემანი სახე, სქელი და გრძელი შავი წარბები, მოზრდილი კეხიანი ცხვირი, განიერი, ოდნავ წინ წამოვარდნილი ნიკაპი და მეჩხერი წვერ-ულვაში. თუ ამას დავუმატებთ დინჯ, გამოზომილ მიმოხრას, პორტრეტი შეიძლება დამთავრებულად ჩაითვალოს.

დეიდა ტასოს შინაგანი სახე

ა) დეიდა ტასო არისტოკრატია.

რაში გამოიხატება ეს არისტოკრატობა, წარმოდგენა არა მაქვს. იქნება იმაში, რომ რამდენიმე წელი საფრანგეთში ცხოვრობდა; იქნება იმაში, რომ ეგრეთწოდებულ „საზოგადოებაში მოქცევის ნორმებს“ არაფრად აგდებს; ან იქნება იმაში, რომ თავის დას, ანიას რუსულად ელაპარაკება. ვერაფერს გეტყვით. მაგრამ არისტოკრატი რომაა, ეს დანამდვილებით ვიცი.

ბ) დეიდა ტასო დამსახურებული მასწავლებელია.

ამას ადვილად შეამჩნევს ყველა, ვინც სამკერდე ნიშნებში ერკვევა. ზამთარში მაკარონის საყიდლად რომ გამოდის სახლიდან, დამსახურებული მასწავლებლის ნიშანი პალტოზე უკეთია; შინ რომ დაბრუნდება და პალტოს გაიხდის, სამკერდე ნიშანს იხსნის და კაბაზე იბნევს.

გ) დეიდა ტასოს ძალიან უყვარს თეატრალური ხელოვნება (მთავარი შტრიხი დეიდა ტასოს შინაგან სახეში).

არ აცდენს არც ერთ ახალ წარმოდგენას.

კარგად იცნობს მსოფლიო დრამატურგიასა და თეატრის ისტორიას, მოყოლებული ანტიკური ხანიდან დღემდე.

ხშირად უთქვამს: მოწოდებით მსახიობი ვარო.

არანაკლებ ხშირად უთქვამს: მოწოდებით რეჟისორი ვარო.

ერთი სიტყვით, სულით ხორცამდე თეატრალია.

დ) დეიდა ტასოს სძულს ნათესავები (მეორე მთავარი შტრიხი დეიდა ტასოს შინაგან სახეში).

არც ერთი ნათესავი თავის პინაში არ ჩაწერა.

არც აპირებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაუფარავად ამბობს, ბინა სახელმწიფოს უნდა დავუტოვოო.

2. ვინა ვარ და რას წარმოვადგენ მე.

მე გახლავართ ოცდათვრამეტი წლის კაცი, ცოლშვილიანი (ოთხი ანგელოზივით გოგო მყავს), განათლებით ეკონომისტი, პროფესიით საქონელმცოდნე, თანამდებობით უფროსი საქონელმცოდნე. ვმუშაობ ერთ დიდ დაწესებულებაში. ხელმძღვანელობა კარგი თვალით მიყურებს და იმედი მაქვს, როცა განყოფილების გამგეს მანქანა დაეჯახება, მის ადგილს მე დავიჭერ.

როგორც ყველა ეკონომისტი, გატაცებული ვარ პოეზიით და, როგორც ყველა საქონელმცოდნე, ვცხოვრობ საშუალოდ.

ბევრი რამ უკვე მაქვს, მაგრამ ბევრი რამ ჯერ კიდევ მაკლია.

მაგალითად, ბინა.

ბინა არა მაქვს.

ცოლშვილი მყავს (ოთხი ანგელოზივით გოგო) და ბინა არა მაქვს.

უბინობა კი, მოგეხსენებათ, არ არის კარგი.

კვანძის შეკვრა

რად უნდა სახელმწიფოს ვიღაც დამსახურებული მასწავლებლის ხუთოთახიანი ბინა?!

როგორც თანამედროვე ფიზიკა გვასწავლის, სამყაროში ყველაფერი შეფარდებითია. ის, რაც ჩემთვის დიდი და მნიშვნელოვანია, სახელმწიფოსათვის პატარა და უმნიშვნელოა.

გარდა ამისა, მე სიკვდილამდე მადლობელი ვიქნები.

ესეც არ იყოს, ის „ვინმე“, რომელმაც ადრე თუ გვიან დეიდა ტასო მიწას უნდა მიაბაროს, მე ვარ. ამიტომ, თუ სადმე სამართალია, უნდა მოვრიდოს ჩემს განაწყენებას (ისე, გინდაც გამანაწყენოს, რა თქმა უნდა, დამარხ-

ვას მაინც არ დავზარდები. მაგრამ, როგორც იტყვიან, დამარხვაც არის და დამარხვაც).

...და აი, ერთ მშვენიერ დილას, როდესაც გაზაფხულის მზე თანდათან ძალას იკრებდა, ატმისა და ტყემლის კვირტები სიცოცხლეს შეეხეროდნენ და ჩიტების საამური ყღურტული არემარეს ავსებდა, მე, უფროსმა საქონელმეცოდნემ, სიკო მელაძემ, გადავწყვიტე მემკვიდრეობის მაძიებელი გავმხდარიყავი წარმოებიდან მოუწყვეტლად.

მოქმედების განვითარება

ერთხელ, ნასადილევს, როდესაც ცოლი ჟურნალს რეცხავდა, ქმარმა საზეიმო მარშით რამდენჯერმე გაიარ-გამოიარა ოთახში, ბოლოს გარეცხილი თეფშების გვერდით შედგა, ხელები გულზე დაიკრიფა და განაცხადა:

— ბრწყინვალე იდეა დამებადა.

— ჰო... — უინტერესოდ თქვა ცოლმა.

— დეიდა ტასოს ხუთოთახიანი ბინა უნდა ჩავიდგო ხელში.

ცოლმა სკეპტიკურად გაიცინა.

— კარგად ვერ გიცვნია დეიდა ტასო.

— რას ქვია კარგად ვერ მიცვნია! ერთი კვირაა იმაზე ფიქრში ვიღამებ და ვათენებ! შენ თუ ის გინდა თქვა, რომ ძმიმე და შეუპოვარი ბრძოლა მომელის, მაგაში გეთანხმები. მაგრამ, — აქ ქმარმა ხმაში საზეიმო კილო შეაპარა, — გამარჯვება, რაც უფრო ძნელია, მით უფრო ტკბილია.

ცოლმა ამოიოხრა და თქვა:

— ღმერთმა ქნას, ჩვენს ბატკანს მგელი დაეჭიროს.

...ცოლის სკეპტიციზმს არ შევუშინებივარ. პირიქით, ოპერაციის პრაქტიკულ მნიშვნელობას სპორტული ჟინიც ზედ დაერთო და გაორკეცებული ძალით დავიწყე ფიქრი.

საფიქრალი კი ბევრი მქონდა.

მიუხედავად იმისა, რომ ყოველი საზოგადოება სავსეა მემკვიდრეობის მაძიებლებით, მეთოდოლოგიის თვალსაზრისით ამ დარგში მნიშვნელოვანი არაფერი შექმნილა.

უხსოვარი დროიდან არსებობს ერთი და იგივე იდეა: თავი შეაყვარო სამეგბელი ობიექტის პატრონს (ამ მიზნით: ელაქუცო, თვალებში უყურო, აქო, მონურად ემსახურო).

გამომადგებოდა თუ არა მე ეს პრიმიტიული საშუალება?

რასაკვირველია, არა!

ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ყოველად წარმოუდგენელია ვინმემ (მით უმეტეს ნათესავმა) თავი შეაყვაროს დეიდა ტასოს.

მაშასადამე, სხვა გამოსავალი უნდა მეპოვა, ისეთი გასაღები უნდა შემექმნა, რომელიც მის ხასიათს მოერგებოდა.

ბევრი ვიფიქრე, ბევრი ღამე თეთრად გავათენე და ბოლოს, დეიდა ტასოს სულის ღრმა და საფუძვლიანი ანალიზის შედეგად, ერთ მშვენიერ იდეას მივაგენი.

ეს იყო იდეა, სადაც მემკვიდრეობის მაძიებელთა ტრადიციულ თავის შეყვარებას ცვლიდა შეჩვევა.

შეჩვევა.

ის ძაღლი, იტალიელებმა თუ ჰოლანდიელებმა რომ ძეგლი დაუდგეს, სიყვარულის გამო არ ელოდებოდა პატრონს წლების განმავლობაში. თავდაპირველად შეიძლება ეს მართლაც სიყვარულის მაგვარი რაღაც იყო, მაგრამ შემდეგ ჩვევად იქცა და ბოლოს იმ ძაღლს წარმოდგენა არ ჰქონდა, რისთვის დადიოდა ყოველდღე ტრამვაის გაჩერებაზე. უბრალოდ დადიოდა. ჩვევა გამოუმუშავდა და დადიოდა. რაც შეეხება პატრონს, მისი სახე დიდი ხანია ამოშლილი იყო ერთგული პირუტყვის მეხსიერებიდან.

დაახლოებით ასეთი ჩვევა, ასეთი რეფლექსი უნდა გამომუშავებოდა დეიდა ტასოს.

ჯემალ ქარჩხაძე
ოპერაცია „დეიდა ტასო“

ისე უნდა შემჩვეოდა, რომ უჩემოდ ვერ გაეძლო.

ჩვეა კი ზოგჯერ სიყვარულზე ძლიერია.

მაგრამ ისიც უნდა ითქვას, რომ გაცილებით უფრო ადვილია (როცა კი საერთოდ შესაძლებელია) ვინმეს თავი შეაყვარო, ვიდრე თავი შეაჩვინო.

შეჩვევას უფრო მეტი დრო სჭირდება, უფრო მტკიცე ნერვები, უფრო ფაქიზი, უფრო რიტმული მუშაობა. მცირე შეცდომამ შეიძლება მთელი შრომა წყალში გადაგიყაროს. ამიტომ ბრძოლის მიმდინარეობა წინასწარ კარგად უნდა განჭვრიტო, თითოეული მოსალოდნელი ნიუანსი უნდა გაითვალისწინო.

ყველაფერი გულმოდგინედ ავწონ-დავწონე, ყველა შესაძლო ვარიანტი გავიანგარიშე და ბოლოს შევადგინე დეტალური სამოქმედო პროგრამა.

ოპერაცია დაყოფილი მქონდა სამ ეტაპად.

პირველი ეტაპი იყო „ფეხის მოკიდება“.

(დეიდა ტასო უნდა დარწმუნებულიყო ჩემს სრულ უანგარობაში).

მეორე ეტაპი იყო „ობიექტის სულიერი ტრანსფორმაცია“.

(დეიდა ტასო უნდა გადაჩვეოდა მარტოობას და მოთხოვნილებად გადაქცეოდა ჩემს გვერდით ყოფნა).

მესამე ეტაპი იყო „ქაჯეთის ციხის აღება“ (დეიდა ტასოს, რაკი უჩემოდ გაძლება აღარ შეეძლებოდა, უნდა მივეწვიე თავის რეზიდენციაში, ასე ვთქვათ, ფართობის უფლებით).

გარდა ამისა, შეკიმუშავე რამდენიმე „საყრდენი პრინციპი“, რომლებითაც ყოველ მოსალოდნელ და მოულოდნელ სიტუაციაში უნდა მეხელმძღვანელა.

აი, ეს პრინციპები:

1. მკაცრად ნეიტრალური პოზიცია დავიჭირო ბინის მიმართ (თუმცა ობიექტის დაბნევის მიზნით დასაშვებია ალეგიკური გამოხდომებიც).

2. სანამ ჩემს უანგარობაში არ დარწმუნებულა, მანამ მხოლოდ ისეთი სამსახური გავუწიო, რომელსაც ეუფლებლობა მიკარნახებს. [illegible] ივსება მეორე ეტაპზე, მაგრამ მაშინაც თავი ისე უნდა ვაჩვენო, თითქოს უხალისოდ ვემსახურები, მხოლოდდამხოლოდ ვალმოსახდელად.

3. ვეკამათო და ვეკამათო თეატრალურ საკითხებზე (მთავარი პრობლემა!)

4. ვაძაგო ნათესავები (მეორე მთავარი პრობლემა!).

სწორედ იმ ხანებში დეიდა ტასოს სამოცდაკამეტი წელი შეუსრულდა. ოპერაციის დასაწყებად უკეთეს შემთხვევას ვერც ვინატრებდი. ვიყიდე ერთი დიდი ტორტი, დავიქირავე ტაქსი და ცოლთან ერთად (ჩემი ანგელოზებივით გოგოები სიდედრს მივაბარე) დეიდა ტასოს მივადექი კარზე.

ზარს რომ ვრეკავდი, გული ისე მიცემდა, როგორც დამწყებ ქურდს, რომელსაც ყოველ მოსახვევში მილიციელი ელანდება.

კარი გაიღო და დეიდა ტასოს სახეზე თანმიმდევრულად აღიბეჭდა გულწრფელი გაკვირვება, ყალბი სიხარული და თავაზიანი ღიმილი.

— რა ბედნიერ შემთხვევას უნდა მივაწერო, რომ ძვირფასმა ნათესავებმა გამიხსენეს?

ეს ხაზგასმით ნათქვამი „ძვირფასი ნათესავები“ პირველი ქვა იყო, რომელიც დიდი ტასომ მტყორცნა. მაგრამ არც გამკვირვებია და არც შემშინებია. მე ხომ საბრძოლველად ვიყავი წამოსული და არა დროს სატარებლად.

— საყვედურზე? ნუ მიდგება საქმე, დეიდა ტასო, თორემ შენ .ისიც კი არ იცი, სად ვცხოვრობთ.

— მე რას მიყურებთ! ჩემისთანა გადაყრუებული დედაბერის სტუმრობა ვის რაში ეპიტნავება, ჩემო კარგო, — დაიწუწუნა დეიდა ტასომ და სასტუმრო ოთახში შეგვიძღვა.

აქ ერთი პატარა მოულოდნელობა მელოდა.

მოულოდნელობა ნებიერად გადაწო-

ლილიყო რბილ სავარძელში, ფეხი ფეხზე შემოეფო და სურათებიან ალბომს ჩაჰკირკიტებდა.

ეს იყო ორმოციოდე წლის კაცი, დაბალი, ჩასუქებული და წვრილთვალებიანი. შავი, ჯაგარივით თმა და ვიწრო შუბლი ჰქონდა. პროფესიით, ჩემი აზრით, მემკვიდრეობის მაძიებელი უნდა ყოფილიყო.

დეიდა ტასომ მე და ის კაცი ერთმანეთს გაგვაცნო.

— სიკო მელაძე, ვიქტორ შეწირულო.

მე და ვიქტორ შეწირულმა თვალით გავზომეთ ერთმანეთი.

ხმაურზე სამზარეულოდან კიდევ ორმა მოულოდნელობამ გამოყო თავი, მაგრამ ისინი ქალები იყვნენ და სახე და ხელები ფქვილით ჰქონდათ მოსვრილი, ამიტომ დიდი ყურადღება არ მიმიქცევია.

როდესაც დეიდა ტასო ჩემს ცოლთან და ჩემს მიერ მოტანილ ტორტთან ერთად სამზარეულოში გავიდა, ვიქტორ შეწირულს ვუთხარი:

— თქვენი სახე საიდანღაც მეცნობა. სად მუშაობთ?

— საქთბილღვინტრესტმრეწვმთავსამმომგანში.

ამას რომ მეუბნებოდა, ისე თავაზიანად მიღიმოდა, რომ კინაღამ ვთხლიშე. მაგრამ ჩემი მეთოდი ყოველგვარ უხეშობას გამორიცხავდა, ამიტომ მეც თავაზიანი ღიმილი ავიფარე.

— რას მეუბნებით? თქვენი შეფი ჩემი ძველი მეგობარია. მოკითხვა გადაეცით, როცა შეხვდეთ.

— უეჭველად გადავცემ. დარწმუნებული ვარ, ძალიან გაეხარდება. თქვენ სადღა მუშაობთ, მეც მეცნობა რაღაც თქვენი სახე.

— ვენდისპანსერში. თუ მოგიხდეთ იქით გამოვლა, მინახულეთ.

საუბარი ზარის ხმამ შეგვაწყვეტინა. დეიდა ტასომ კარი გააღო და დეიდა ანიას შემოუძღვა.

დეიდა ანია დეიდა ტასოსავით ბებერი და მარტოხელაა, მაგრამ მისგან განსხვავებით, დედალი ფატა ჰყავს, სახელად ფისო და მარტო ერთი ოთახი აქვს.

გარდა ამისა, დიდი უცერემონიო და როხროხა ვინმეა.

დაგვინახა თუ არა, სიცილი აუვარდა.

— ოჰ! შეკრებილან ნათესავები და ჭუკჭუკობენ! В следующий раз я обязательно принесу тебе мухомор, Тася,— მერე მე მომიბრუნდა, — ცოლ-შვილი სადა გყავს, ბიჭო?

— ცოლი მაგერაა, სამზარეულოში, მიდი და გადაკოცნე.

— ბავშვები არ წამოგიყვანია?

— ბავშვები ნამეტანი გულწრფელი ხალხია. სახლში დატოვება ვამჯობინე.

— სიდედრი მაინც წამოგიყვანა, შე კაცო!

მერე მეორე ოთახში გავიდა, ახლა იქიდან მოისმა მისი კივილი:

— Боже, какие гвоздики! Если не подаришь, Тася, хоть одну, იცოდე აქვე მოვკვდები.

. დეიდა ტასომ მისი სიკვდილი ამჯობინა. მიხაკები იმ ქალებს მოეტანთ, ფქვილში რომ იყვნენ ამოგანგლული. დეიდა ტასოს ნამოწოფარები ყოფილიყვნენ და ყოველ დაბადების დღეზე თურმე მიხაკები მოჰქონდათ.

მოდი და იწამე ადამიანი ასეთი ხალხის შემხედვარე!

...საღამო ხანს სტუმრები გაიკრიფნენ. ვიქტორ შეწირულმა „გამომშვიდობებისას ხელი მაგრად ჩამომართვა და მითხრა:

— ერთი რჩევა უნდა მოგცეთ.

— ბრძანეთ.

— თეატრი შეიყვარეთ. ქართულ თეატრს მაყურებელი აკლია. უეჭველად შეიყვარეთ თეატრი! რაც შეეხება ჩემს შეფს, სწორედ გუშინ დავასაფლავეთ.

— ოჰ, ეს რა მითხარით.. ისე კი გრძნობდა, ხომ იცით! რამდენჯერ უთ-

---

ჯემალ ქარჩხაძე
ოპერაცია „დეიდა ტასო“

ქვამს საწყალს, ერთხელაც იქნება, მოვკვდებიო.

მერე ბეჯითი მოწაფეებიც წავიდნენ და მე, ჩემი ცოლი, დეიდა ტასო და დეიდა ანია დავრჩით.

დეიდა ანიას დარაჯად ცოლი მივუჩინე, მე კი დეიდა ტასო დავიმარტოხელე და ტყვიასავით დავახალე:

— დეიდა ტასო, რატომ არავის ჩაიწერ ბინაში?

დეიდა ტასოს სახეზე ნეტარების ღიმილმა გადაურბინა, ეტყობა იფიქრა, ეს რა მიამიტი ნათესავი ჩამივარდა ხელშიო. რას წარმოიდგენდა, რომ დეტალურად დამუშავებული გეგმა მქონდა, რომლის პირველ ნაწილს („მიამიტური ფრაზით“ რომ დაიწყო) ეწოდებოდა „ქვეოპერაცია“ განვამტკიცო, რათა დავამსხვრიო!

დეიდა ტასო ერთხანს ტკბებოდა ჩემი შეკითხვით. ბოლოს, პაუზით რომ გული იჯერა, მითხრა:

— შენ ყველაზე ახლო ნათესავი ხარ, ჩემო კარგო, შენს უკეთესს ვის ჩავიწერდი, მაგრამ ქვეყანა ვიგინდარებითაა სავსე. რა ძალა მადგია, დღეს ბინაში ჩაგწერო და ხვალ სანანებლად გამიხდეს საქმე. არ ჯობია, არც ჩაგწერო და არც ვინანო?

— რასაკვირველია, ჯობია.

დეიდა ტასოს სახეზე ნეტარების ღიმილი წაიშალა და გაკვირვება აღიბეჭდა. ერთხანს დაჟინებით მიყურა (წარბი არ შემიხრია), ბოლოს, ეტყობა, ჩემი დასტური თავაზიანობის გამოვლინებად ჩათვალა და განაგრძო:

— მე რომ მოვკვდები, მერე გინდა ერთ ვიგინდარას მისცეს სახელმწიფომ ჩემი ბინა და გინდა მეორეს.

— საღი მსჯელობაა. შენს ადგილას მეც ასე მოვიქცეოდი.

ეს უკვე უბრალო თავაზიანობას აღარ ჰგავდა. დეიდა ტასო სკამზე აწრიალდა. გაკვირვებას შეშფოთებაც ზედ დაერთო. მე კი გუნებაში ჩავიცინე და განვაგრძე:

— მე რომ ჩვენს უბანში ამბავი ვნახე, მტერს არ ვუსურვებ ბინაში ნათესავის ჩაწერას, — აქ მცირე პაუზა გავაკეთე. ასე ვთქვათ, ადგილი გამოვტოვე დეიდა ტასოს რეაქციისათვის. მაგრამ დეიდა ტასოს ჩემმა პაუზამ აოცა. ფრთ არ შეუესია, უხმოდ იჯდა და თვალს არ მაშორებდა.

— ჩვენს უბანში ერთი მარტოხელა ქალი ცხოვრობდა. სწორედ ამ ორი კვირის წინ დავასაფლავეთ. ღრმად მოხუცებული კი იყო საწყალი. ჰოდა, არ მოეშვნენ, ხან აქედან შეუჩნდნენ, ხან იქიდან, საშველი აღარ მისცეს. ადგა ისიც და ნათესავი ჩაიწერა ბინაში. ასე, ჩემი ხნის კაცი, ოღონდ უცოლშვილო. არ გასულა ამ ამბის შემდეგ ორი თვე და ეს ქალი მეზობელს მიადგა კარზე,— ღამე გამათევინო. სამი თვე კიდევ იცოცხლო და ამ სამ თვეს დღისით სასამართლოში სიარულს უნდებოდა და ღამეს ხან ერთ მეზობელთან ათევდა, ხან მეორესთან.

— მდაა, ჩემო კარგო, — თქვა დეიდა ტასომ, ისე რომ თვალი არ მოუშორებია.

— არ უნდა გიკვირდეს, დეიდა ტასო, რომ შენთან ასე ეშვიათად დავდივარ. ან შენ რად გინდა, რომ ვიგინდარად მთვლიდე და ან მე რად მინდა, სულ იმის ფიქრში ვიყო, ამ სახლში ვიგინდარად მთვლიან-მეთქი.

— მდაა... — კიდევ თქვა დეიდა ტასომ, ისე რომ თვალი არ მოუშორებია.

— აი, მაგალითად, როგორც ეს შეწირულია, თუ ვიდაცა... ეგ რა, ჩვენი ნათესავია?

შეწირულის ხსენებაზე დეიდა ტასოს ისევ ნეტარების ღიმილმა გადჭურბინა.

— ჩემი საწყალი ქმრის ნათესავია. ამ ერთი თვის წინ გამოჩნდა ასპარეზზე.

— მე დღეს გამოვჩნდი, არა? — ღიმილით ეკითხე მე.

— შენ ჯერ არ გამოჩენილხარ, ჩემო კარგო, — ღიმილითვე მიპასუხა დეიდა ტასომ.

— შეწირულმა რაო, პრეტენზიები გადმოალაგა?

— სამჯერ წამომყვა თეატრში. ორ-

ჯერ ჩაეძინა, მესამედ ბოლომდე გაძლო, მაგრამ გულის ფრიალი აუტყდა. დაღუპა საწყალი თეატრის სიძულვილმა.

— თეატრის სიძულვილმა?..—ვთქვი და სიცილი ამივარდა, — თურმე რატომ მითხრა... — ამ სიტყვებზე ისევ ამივარდა სიცილი. ვიცინე და ვიცინე. უნდა მოგახსენოთ, ჩინებულად ვიცინოდი.

— რა გითხრა ასეთი? — მკითხა დეიდა ტასომ, ცოტა რომ დავშვიდდი.

მე თეატრალური პოზა მივიღე და შეძლებისდაგვარად მივბაძე შეწყრილის ლაპარაკს:

— „თეატრი შეიყვარეთ! უეჭველად შეიყვარეთ თეატრი!“

აქ დეიდა ტასომაც ბევრი იცინა.

— რა მშვენივრად აჯავრებ, — მითხრა ბოლოს, — ტალანტი გქონია.

— ო! მე თეატრი ძალიან მიყვარს, დეიდა ტასო. ასე რომ, თუ როდისმე შეწყრილის დაწყებული საქმე განვაგრძე, პირობას გაძლევ, წარმოდგენაზე არ ჩამეძინება.

ამ დროს დეიდა ანია შემოგრიალდა.

— Ну как? Не увенчались успехом переговоры?

— Оказывается, он очень занятный мальчик — მიუგო დეიდა ტასომ.

— Да? В таком случае я пошла. მაშ არ მაჩუქებ ერთ მიხაკს?

— ვერა, ანიჩკა, ვერა. ხომ იცი მოწაფეების მოტანილია.

— Да ну тебя и твоих მოწაფეები!..

— ასე გიყვარს მიხაკები, დეიდა ანია? — ვკითხე მე.

— ეჰ, ჩემი ახალგაზრდობავ!.. რამდენ ოფიცერს მოურთმევია მიხაკების თაიგული...

— თავი რამდენ ოფიცერს მოუკლავს?

— თავი ერთმა მოიკლა! — მკაცრად მითხრა დეიდა ანიამ. ეს თემა დეიდა ანიასათვის ძალიან სერიოზული თემაა. ჩემი აზრით კი ის ოფიცერი, რომელსაც, თუ ზეპირ საოჯახო ქრონიკას ვენდობით, მართლა მოუკლავს თავი, ტუტუცი ვინმე ყოფილა.

— აბა, კარგად იყავით, ნათესავებო! მე არ მესტუმრები, ბიჭო?

— შენ სულ მემკვიდრეები გელანდება.

— ჩემგან ბევრს ვერაფერს მიიღებ.

— მაშინ გესტუმრები.

ბოლოს მე და ჩემი ცოლის წასვლის დროც მოვიდა.

— შენ ძალიან საინტერესო კაცი ყოფილხარ. — მითხრა დეიდა ტასომ.

— პირველ შთაბეჭდილებას ნუ ენდობი, დეიდა ტასო, — ხუმრობაში გავუტარე ქათინაური, რომლის აზრსაც ვერ მივუხვდი.

— მაშ, მოდი, კიდევ გამოიარე ამ დღეებში, ვნახოთ, მეორე შთაბეჭდილება რას მოგვიტანს.

— რისს ვერ გავწევ, მეშინია.

მაშინ დეიდა ტასომ სერიოზული სახე მიიღო.

— მართლა შემოიარე. თეატრზე ვისაუბრებთ.

რაკი სერიოზულობაზე მიდგა საქმე, მხრები ავიჩეჩე, შუბლი შევიჭმუხნე, შევფიქრიანდი, ერთი სიტყვით, ყოველმხრივ მოვემზადე უარის სათქმელად და ვუთხარი:

— კარგი, კარგი, გამოვძებნი როგორმე დროს და შემოგიარ.

— რა ქენი, მიიღე მემკვიდრეობა?— მკითხა გზაში ცოლმა და ჩაიცინა.

— ვინც მოითმენსო, ის მოიგებსო,— დიდაქტიკური ტონით მივუგე და თვალი ჩავუკარი.

ამჯერად ჩემს ოპტიმიზმს სრულიად რეალური საფუძველი ჰქონდა. სტუმრობამ ჩინებულად ჩაიარა. პირველი ბრძოლა მოგებულ იქნა. მიუხედავად ისისა, რომ დეიდა ტასო მთელი საღამო თვალს არ მაშორებდა. ერთადერთი შეცდომა ტორტის მატანა იყო, მაგრამ ჯერ ერთი, საიდან დამესიზმრებოდა, თუ ამ გადაყრუებულ დედაბრებს ასე ეყ-

ჯემალ ქარჩხაძე
ოპერაცია „დეიდა ტასო“

ვარებოდათ ყვავილები, და მეორეც, ეს იყო ბედნიერი შეცდომა, რომელმაც ერთი ახალი იდეა მომაწოდა (ქვეოპერაცია — «Ход конём»).

მკითხველს ალბათ ახსოვს, დეიდა ტასომ რომ მთხოვა, კიდევ მოდიო. მე შევპირდი, მაგრამ დავამაღლე.

და აი, სამი დღის შემდეგ მივედი... როგორ ფიქრობთ, ვისთან?

არა...

დეიდა ანიასთან მივედი და ათი ცალი ბდღვრიალა მიხაკი მოვუტანე.

ამის შემდეგ ერთი კვირა შევიცადე. ეს იყო „ვადა ინფორმაციის გასავრცელებლად“.

ბოლოს გადავწყვიტე, ნიადაგი უკვე მომზადებულია-მეთქი და დეიდა ტასოს ვეწვივ.

ჩემი ვარაუდი გამართლდა. დეიდა ტასომ უკვე იცოდა დეიდა ანიასთან ვიზიტის ამბავი, თუმცა ჩემი ქველობა ერთობ უცნაური ფრაზით კი გამოხატა.

— ჩვენს საუკუნეს, ჩემო კარგო, შენისთანა ხალხი სჭირდება.

საუბარი სასტუმრო ოთახში მიმდინარეობდა. მე სწორედ იმ სავარძელში ვიჯექი, რომელშიაც ამას წინათ ვიქტორ შეწირული იყო გამოქიმული.

— დეიდა ანიას ისე გაეხარდა, სიმართლე გითხრა, უხერხულად ვიგრძენი თავი.

— ახალგაზრდობა გაახსენებდოდა,— გაიღიმა დეიდა ტასომ.

მერე კონიაკი გამოიღო და დამისხა.

იმ დღეს ცოტა თეატრზე ვისაუბრეთ, ცოტა, საერთოდ, ადამიანებზე და ცოტაც, კერძოდ, ნათესავებზე.

ორი კვირის შემდეგ კიდევ ვისაუბრეთ იმავე საკითხებზე.

მერე კიდევ რამდენჯერმე გავიდა ორი კვირა.

მუყაითად ვმუშაობდი და წვრილწვრილი ოპერაციების (ქვეოპერაციებისა და ქვექვეოპერაციების) მეშვეობით ნელ-ნელა ვიკიდებდი ფეხს.

ერთხელ გაზეთში ცნობას წავაწყდი, ფრანგული თეატრი ჩამოდის საგასტროლოდო.

დიდებული შემთხვევა იყო.

გაზეთი ჯიბეში ჩავიდე და დეიდა ტასოს მივაშურე.

გზაში გეგმას ვადგენდი.

საქმე ისაა, რომ დეიდა ტასო ვერ უნდა მიმხვდარიყო, თუ საგანგებოდ ამ საქმისათვის მივედი.

საჭირო იყო „სხვათაშორის“ გადამეთვალიერებინა გაზეთი და „შემთხვევით“ აღმომჩინა ფრანგების ჩამოსვლა.

მაგრამ როგორ ამომეღო ჯიბიდან გაზეთი ისე, რომ საქმეს წინასწარ განზრახვის სუნი არ ასვლოდა?

ზარი რომ დავრეკე, ეს საკითხი ჯერ კიდევ გადაუწყვეტელი მქონდა.

ვიფიქრე, რამეს მოვახერხებ-მეთქი.

აქ ბედი ჩაერია საქმეში და ჩემი მხარე დაიჭირა.

სასტუმრო ოთახში მაგიდაზე ახალი გაზეთი დამხვდა.

ცოტა წავისაუბრეთ და გაზეთი ავიღე.

— დღევანდელია? — ვიკითხე უსიდად.

— დღევანდელია.

გაზეთი დინჯად გადავფურცლე. ბოლო გვერდზე ცოტა ხანს შევყოვნდი და შევძახე:

— ბიჭოს!

— რა იყო?

— საფრანგეთის თეატრი ჩამოდის. ნახე?

— კი.

— აბა, მაშ, ბედნიერი დღეები დაგდგომია.

— ბილეთები თუ ვიშოვე...

— ბილეთების შოვნას რა უნდა!

— რიგში დგომა უნდა, ჩემო კარგო, და თავ-პირის დამტვრევა.

— რიგში დგომა არა! მანდ ქვეყანას ვიცნობ!

— მართლა?

— მართლა რომელია!

— აბა იშოვე. — ეს რომ თქვა, მცი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რე პაუზა გააკეთა, სევდიანი თვალებით შემომხედა და დაუმატა, — და ანიას მიუტანე.

ამ სიტყვებმა საბაბი მომცა ღიმილით წამოვმდგარიყავი და ხელი მხარზე მოეხვია (ოცნისაგან მაინც თავი შევიკავე. ნაადრევად მივიჩნიე).

— ვისაც ყვავილები უყვარდა, ყვავილები მიიღო, ვისაც ბილეთები უყვარს, ბილეთებს მიიღებს. ანა, როგორ გინდა? ყველაფერი შენ და დეიდა ანიას არაფერი?

დეიდა ტასომ ჩემი ხელი მოიშორა და მკითხა:

— შენც ხომ არ წამოხვიდოდი?

— სად?

— ფრანგების სპექტაკლებზე.

— ააა! არა, საერთოდ, კი რა თქმა უნდა, ვნახავ.

— მაგრამ ჩემისთანა დედაბერთან სიარული ხელს არ გაძლევს.

მე პირველს ვამბობდი, ის მეორეს მეუბნებოდა. ჩემს წისქვილზე ასხამდა წყალს.

ყოველ შემთხვევაში, ასეთი გულისამაჩუყებელი სიტყვების შემდეგ უშიშრად შემეძლო ყველა სპექტაკლი დეიდა ტასოსთან ერთად მენახა, მაგრამ, როცა სასწორზე ხუთოთთახიანი ბინა დევს, სიფრთხილეს განსაკუთრებული ფასი ედება.

ამიტომ დეიდა ტასოს მხოლოდ ერთ სპექტაკლზე წავყევი.

სპექტაკლის შემდეგ ტაქსით მივიყვანე შინ და ღამის თორმეტ საათამდე ვედავე იმის შესახებ, დასაშვებია თუ რა არა კლასიკური პიესების მოდერნისტული ინტერპრეტაცია და, კერძოდ, აუცილებელია თუ არა შექსპირის ტრაგედიებში რეალისტური კოსტუმებისა და დეკორაციების შენარჩუნება. ბოლოს, კამათით რომ ორივე გვარიანად დავიღალეთ, ღამე ნებისა ვუსურვე და წამოვედი.

ამით დამთავრდა ოპერაციის პირველი ეტაპი, რომელმაც დაგვანახვა, რომ თეორიულად კარგად მომზადებულ და მოქნილი სამუშაო მეთოდით შეიარაღებულ კაცს უნარი შესწევს წარმატებით იბრძოლოს ხუთოთახიანი ბინის მოპოვებლად. ამ დროისათვის დეიდა ტასოს ჩემს უანგარობაში ეჭვი აღარ ეპარებოდა. გარდა ამისა, ჩამოყალიბდა დაპირისპირებულ მხარეთა სახეები, გამოიკვეთა ურთიერთობა, დაზუსტდა მოქმედების შემდგომი პროგრამა და დამარცხდა ვიქტორ შეწირული (ამ უკანასკნელ გარემოებაზე მკითხველის ყურადღება არ შემიჩერებია, რადგან პრობლემა არ იყო დაკავშირებული განსაკუთრებულ სიძნელეებთან: ჩემი პირველი ვიზიტის შემდეგ შეწირული კიდევ ორჯერ ყოფილა დეიდა ტასოსთან. მესამე მისვლაზე, ასე ვთქვათ, დანაშაულის ადგილას წავასწარი და თვალნათლივ დავანახვე ჩემი სრული უპირატესობა, რის შემდეგ დამეხსნა და გზიდან ჩამომეცალა).

სხვა რა იყო მნიშვნელოვანი განვლილ პერიოდში?

ახალმა მეთოდმა პირველი გამოცდა წარმატებით ჩაუბარა. უმნიშვნელო წვრილმანების გარდა, არაფერი შეცვლილა.

ბრძოლის ზოგიერთ უბანზე დიდი დახმარება გამიწია შემთხვევითობამაც (გაზეთი დეიდა ტასოს მაგიდაზე, საფრანგეთის თეატრის დროული გასტროლები და სხვ), მაგრამ ამბობენ, ბედი მუდამ ძლიერსა სწყალობსო.

ეტყობა ასეცაა.

და ბოლოს, პირველი ეტაპის მოგებამ საკუთარი თავის რწმენა შემატა და მეორე ეტაპის წინ უკვე ვიყავი არა ახალბედა ქურდი, ყოველ მოსახვევში რომ მილიციელი ელანდება, არამედ გამობრძმედილი გენერალი, რომელმაც ზეპირად იცის მოწინააღმდეგის ძლიერი და სუსტი მხარეები და გულდამშვიდებით მიუძღვის ლაშქარს.

მეორე ეტაპი ყველაზე რთული, ყვე-

ჯემალ ქარჩხაძე

ოპერაცია „დეიდა ტასო“

ლაზე საპასუხისმგებლო და ყველაზე მომქანცველი იყო.

და ყველაზე ხანგრძლივი (თითქმის ერთი წელიწადი გაგრძელდა). ბრძოლის ამ მონაკვეთზე სამოქმედო პროგრამის ზოგი პუნქტი მოძველდა და გაუქმდა. მაგალითად, ნათესავების საკითხი დღის წესრიგიდან მოიხსნა, რადგან ეს საცოდავი არსებანი პირველ ეტაპზევე გავასწორე მიწასთან და ახლა მათი ლანძღვა-გინება არათუ საქმეს არ წაადგებოდა, არამედ, აღვილი შესაძლებელია უკურეაქციაც გამოეწვია.

ზოგი პუნქტი, პირიქით, სწორედ მეორე ეტაპზე გადმოვიდა წინა პლანზე.

ასეთი იყო, მაგალითად, ის პუნქტი, რომელიც სამსახურის გაწევას ეხებოდა და რომელსაც პირველ ეტაპზე გასაგები მოსაზრებების გამო შეძლებისდაგვარად თავს ვარიდებდი. ახლა, რაკი დეიდა ტასოს მოსალოდნელ ეკვებს ფესვები დავაჭერი, ჩემს სამეურნეო უნარს სადავე მივუშვი.

ფრთები გავშალე და დიდი შრომაც გავწიე.

კერძოდ:

დავარბიე საკანალიზაციო ტრესტი, რომელმაც არაფრად ჩაადგო დეიდა ტასოს მოთხოვნა და დროზე არ გამოგზავნა ხელოსნები.

შევაკეთე გათბობის სისტემა (დეიდა ტასოს ხარჯზე).

გამოვცვალე ფანჯრის გატეხილი მინა (საკუთარ ხარჯზე).

გავაკეთე გაფუჭებული უთო და მაცივარი (ორჯერ).

შევაშინე ერთი მეზობელი, რომელთანაც დეიდა ტასოს კონფლიქტი ჰქონდა სარეცხის გაფენის თაობაზე.

დავუახლოვდი მეორე მეზობელს, რომელიც ქალაქის საბჭოში მუშაობდა.

გარდა ამისა, სამჯერ მივართვი დეიდა ტასოს მიხაკების თაიგული (თუმცა, რაიმე გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად, ერთხელ დეიდა ანიასაც მივუტანე რამდენიმე მიხაკი, რითაც საბრალო ქალი მეტად გავახარე, მაგრამ, ჩემი აზრით, კიდევ უფრო მეტად გავაკვირვე).

ბრძოლის ძირითადი ასპარეზი მაინც თეატრალური ხელოვნება იყო; აქ წყდებოდა ხუთთახიანი ბინის ბედი და მთელი ჩემი უნარი და ენერგია სწორედ ამ მხრივ მიემართე.

ბეჯითი, კეთილსინდისიერი მუშაობით საფუძვლიანად შევისწავლე ქართული თეატრის ისტორია და შევიმუშავე საკუთარი შეხედულება მისი თანამედროვე მდგომარეობის შესახებ.

გადავხედე თანამედროვე საბჭოთა დრამატურგიას.

წავიკითხე ანტითეატრის უმნიშვნელოვანეს წარმომადგენელთა რამდენიმე პიესა და მათ შესახებ არსებული მრავალი კრიტიკული სტატია.

გავეცანი ბურჟუაზიული დრამატურგიის ეგრეთწოდებულ პროგრესულ ფრთას.

თვალი გადავავლე ბრეხტსა და მის სკოლას (დეიდა ტასო ბრეხტს ყოველთვის გაკვრით იხსენიებდა ხოლმე, თუმცა, როგორც ვნახე, თეატრმცოდნეობაში სხვა აზრია გამეფებული).

თეორიულ მეცადინეობას ერთვოდა გიგანტური პრაქტიკული საქმიანობაც. ამ ხნის მანძილზე თბილისის თითქმის არც ერთ თეატრში არ დადგმული არც ერთი ახალი წარმოდგენა, მე და დეიდა ტასოს რომ არ გვენახა და მსჯელობის საგნად არ გავეხადა.

თუმცა სპექტაკლის განხილვას, ამ სიტყვის ისეთი მნიშვნელობით, როგორც მიღებულია წრეებში და სექციებში, არ ვაწყობდით.

ეკამათობდით რაზეც მოგვიხდებოდა: საერთოდ, თეატრალურ ხელოვნებაზე, ერთ რომელმე თეატრზე, ცალკეულ მსახიობზე, ამა თუ იმ რეპლიკასა და მიზანსცენაზე. მახსოვს, ერთხელ მთელი საღამო მიეუძღვენით რომელიღაც მსახიობის ერთ რეაქციას, ანუ როგორც თეატრში ამბობენ, შეფასებას. ვარკვევდით რა უფრო სწორი იყო ამ კონკრეტული სულიერი მდგომარეობის გამოსახატავად, — ის, რაც მსახიობმა გა-

აკეთა, თუ ის რაც მსახიობს არ გაუკეთებია. ვეძებდით ახალ ვარიანტებს, ვპოულობდით, ვაანალიზებდით, ვდაობდით, ვკინკლაობდით, ვძიძგილაობდით, ვხარჯავდით უზარმაზარ ენერგიას, ვწვალობდით, ვიღლებოდით და ოფლში ვიწურებოდით...

იყო ისეთი საკითხებიც, რომლებიც დავს არ იწვევდა.

მაგალითად, დრამატურგიისა და რეჟისურის საკითხში მშვიდობიანად მოვრიგდით, კერძოდ, იმ დასკვნამდე მივედით, რომ საქართველოში არც დრამატურგია არსებობს და არც რეჟისურა.

შევთანხმდით აგრეთვე იმაში, რომ აქტიორული ხელოვნება ჩვენში უფრო მაღალ დონეზე დგას, ვიდრე საქმეში ჩაუხედავ კაცს შეიძლება მოეჩვენოს, ანუ ვიდრე ეს სცენაზე ჩანს.

თუმცა ამ ადგილას აზრები იყოფოდა. მე ვამტკიცებდი, რომ ეს განსაზღვრება მთლიანად არ ეხება აქტიორულ ხელოვნებას, კერძოდ, ვერ გავრცელდება მეტყველების კულტურაზე, რადგან საქართველოში არ არის მსახიობი, რომელსაც უნარი შესწევდეს ასე თუ ისე რთული ფრაზა თქვას სწორად (შინაარსის თვალსაზრისით), გამართულად (ინტონაციისა და პუნქტუაციის თვალსაზრისით) და ბუნებრივად (ისე, როგორც პერსონაჟი იტყოდა ასეთ სიტუაციაში).

დიდი ტასოს აზრით, მეტყველების კულტურის დაბალი დონე ისეთივე მოჩვენებითი ამბავია, როგორც, საერთოდ, აქტიორული ხელოვნების დაბალი დონე. ჭეშმარიტი რეჟისორი ერთსაც და მეორესაც ხელად მოაქცევს საჭირო კალაპოტში.

უთანხმოების მთავარი წყარო თეატრალური ხელოვნების საერთო განვითარების გზები იყო.

აქ ერთი შეცდომა მომივიდა.

ჩემი ამოცანა იმაში მდგომარეობდა, რომ დიდი ტასოს შეხედულებებს დავპირისპირებოდი. მაგრამ რომ დაუპირისპირდე, უნდა იცოდე რას უპირისპირდები, ე. ი. მოწინააღმდეგის პოზიცია უნდა გაარკვიო. მე კი არაფერიც არ გამიარკვევია. რატომღაც (ტყობა მისი ასაკის გამო) ამგვარსა და დიდი ტასო უეჭველად კლასიკურ პრინციპებს დაიცავდა და მეც ამ პრინციპებზე მივიტანე იერიში. გუნებაში თავი ანტითეატრისა, და საერთოდ, მოდერნიზმის აპოლოგეტად გამოვაცხადე, იარაღი ავიხსნი და ბრძოლის ველს მივაშურე.

მაგრამ მალე გამოირკვა, რომ ღია კარს ვამტვრევდი. დიდი ტასოს (მიუხედავად მისი ასაკისა) ყოველგვარი რეალიზმი განგლილ ეტაპად მიაჩნდა და ისეთ ულტრამოდერნისტულ პოზიციებზე იდგა, ყველა ანტითეატრალს შეშურდებოდა.

რაღა გზა მქონდა!

სასწრაფოდ გადავაჯგუფე ძალები, გამოვიცვალე ნიღაბი და რეალიზმის პოზიციაზე დავეცი კარავი.

ასე შეიცვალა წინასწარ განაწილებული როლები.

და, მადლობა ღმერთს, რომ შეიცვალა.

არავითარი მოდერნიზმი და რეალიზმი არ მაინტერესებდა, არც ერთ მიმდინარეობასა და მიმართულებას არ ვემხრობოდი. მე ჩემი გარკვეული მიზანი მქონდა და რაც უფრო მარტივი როლი დამეკისრებოდა ამ მიზნის მისაღწევად, მით უფრო ადვილად გავართმევდი თავს, მით უფრო ბუნებრივად, „ცხოვრებისეული სიმართლით“ ვითამაშებდი.

გაუგებარი მოდერნიზმის წინააღმდეგ ბრძოლა კი გაცილებით უფრო იოლი იყო, ვიდრე გაუგებარი მოდერნიზმის პოზიციიდან ბრძოლა.

ამის შემდეგ თავგამოდებით ვიცავდი თეატრისა და დრამატურგიის კლასიკურ კანონებს. ვამტკიცებდი, რომ მთავარი იყო, არის და იქნება ნათელი სიუჟეტი, კონკრეტული კონფლიქტი, ჩამოყალიბებული სახეები, ცხოვრებისეული

ჯემალ ქარჩხაძე
ოპერაცია „დიდი ტასო“

სიმართლე და მკაფიო მიზანი, რომლისკენაც მხატვრული საშუალებების მეშვეობით ნელ-ნელა, ნაბიჯ-ნაბიჯ მიგყავს მაყურებელი.

დიდი ტასო ამას ხელოვნების უხეშსა და პრიმიტიულ საფეხურს უწოდებდა, რომელმაც, მისი აზრით, უკვე მოჭამა წუთისოფელი. თანამედროვე, მაღალი გემოვნების მაყურებელს უკვე აღარ აინტერესებს კონკრეტული პრობლემა. ხელოვნება ღრმა და ყოვლისმომცველი ხდება. ადამიანის გარეგნული მისწრაფება მხოლოდ ცალმხრივი, უფრო მეტიც, შემთხვევითი მისწრაფებაა. ხელოვნება, ჩემო კარგო, მიადგა განვითარების ის ეტაპს, როცა უარი უნდა თქვას ყოველგვარ კონკრეტულზე, ყოველგვარ გარეგნულზე, თუ ვნებავს, ყოველგვარ ტიპიურზე, თანამედროვე თეატრში უნდა მომეფიდებდნენ არა სახეები, ტიპები, ხასიათები, არამედ გრძნობები, იდეები, მეტაფორები. სული უნდა გამოვიდეს, ჩემო კარგო, სცენაზე საასპარეზოდ.

და ა. შ. და ა. შ.

ალბათ მკითხველი უკვე დაიღალა და გაბეზრდა.

მაშ, წარმოიდგინეთ, მე როგორ დავიღლებოდი და გავბეზრდებოდი.

(გაბეზრებულ მკითხველს შეუძლია თავი მიანებოს კითხვას. მე კი ბოლომდე უნდა მეზიდა ტვირთი, რომელიც ერთობ მძიმე გამოდგა).

რა შევიძინე და რა დავკარგე ამ ხნის განმავლობაში?

შევიძინე გვარიანი თეატრალური განათლება.

ტრაბახი რა საკადრისია, რეჟისორობას ალბათ ვერ შევძლებ, რადგან პრაქტიკული გამოცდილება არა მაქვს, მაგრამ ჩინებულ კონსულტაციას კი გავუწევ რომელ რეჟისორსაც ვნებავთ. ბევრ რამეს დავანახვებ ახალი კუთხით, ბევრ რამეზე ავუხელ თვალს, ბევრ გამოსადეგ იდეას მივაწოდებ.

შევიძინე ორატორობის ტექნიკა. თუ საჭიროებამ მოითხოვა, შემძლია რიგიანი ლექციების წაკითხვა თეატრალურ ინსტიტუტშიც და საზოგადოება „ცოდნასა" ხაზითაც.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დავკარგე ავტორიტეტი ხელოვნებისა ლობის თვალში. ორი სიტყვიერი და ერთი წერილობითი (ბრძანებით) საყვედური მივიღე სამსახურებრივი მოვალეობისადმი უყურადღებო დამოკიდებულების გამო (ეს არცაა გასაკვირი. მართალია, ენერგიის ნაკლებობას არასოდეს ვუჩიოდი, მაგრამ ამხელა დატვირთვა, ჩემი აზრით, მაინც მეტია ერთი ადამიანისათვის).

ახლა რომ ვიგონებ იმ დღეებს, მიკვირს როგორ გავუძელი და საქმე ბოლომდე როგორ მივიყვანე, მაშინ კი, ბრძოლის პროცესში, არ ვიცი ექსტაზის ბრალი იყო, ხუთოთახიანი ბინის ბრუყვიალებისა თუ სპორტული ჟინისა. არც ერთი წამით სძალუნენ არ მიგრძვნია, არასოდეს ბრძოლის წყურვილი არ გამნელებია, არც ერთ მომენტში მემკვიდრეობის მაძიებლის გაშლილი დროშა ძირს არ დამიხრია.

მაგრამ, თუ ვინმემ როდისმე მემკვიდრეობის მოპოვება დაიპირა და იარაღად ჩემი მეთოდი გამოიყენა, უეჭველად უნდა გაითვალისწინოს საქმის წმინდა ფსიქოლოგიური მხარეც, რომლის გარეშე წარმატებაზე ფიქრი ძნელია.

გახსოვთ, პირობითი რეფლექსები რომ გვასწავლეს სკოლაში?

ჩემი ცოდნა ამ დარგში გვარიანად ზერელე და ბუნდოვანი იყო, მაგრამ ძირითადი იდეა მახსოვდა.

სწორედ ეს იდეა გამოვიყენე და დეიდა ტასოსთან სიარულს მკაცრი სისტემის ხასიათი მივეცი.

კვირაში სამჯერ დავდიოდი.

სამშაბათობით და ხუთშაბათობით — საღამოს ექვს საათზე.

შაბათობით — დღის ორ საათზე.

ვცდილობდი, რაც შეიძლება, ზუსტად დამეცვა ეს განრიგი, რათა, რაც შეიძლება, ძლიერი რეფლექსი გამომუშავებოდა დეიდა ტასოს.

არც შევმცდარვარ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეორე ეტაპზე გამარჯვების ნიშანი მალე გამოჩნდა. ერთ შაბათს ცოტა დამაგვიანდა: ვიღაც ნაცნობი გადამეკიდა და სანამ ლუდი არ დავალევინე, ვერ მოვიშორე. სამის ოცი წუთი იყო, დიდა ტასოსთან რომ მივედი. დიდა ტასო შეუხებული და აფორიაქებული მეჩვენა. ვიფიქრე, რაღაც ამბავია-მეთქი, მაგრამ ცოტა ხნის შემდეგ თვითონვე გამომიტყდა, — ორ საათზე რომ არ მოხვედი, ძალიან შეეშფოთდიო.

ამის შემდეგ რამდენჯერმე შეგნებულად მივმართე ამ ხერხს.

წარმატება უდავო იყო.

დიდა ტასო მოუთმენლად მელოდა დანიშნულ დროს.

ჩემს ადგილას სხვა ვინმე შესაძლებელი ამით დაკმაყოფილებულიყო და მეორე ეტაპი დამთავრებულად ჩაეთვალა, მაგრამ მე საქმის საფუძვლიანად გაკეთება მიყვარს.

ამიტომ ცოტა კიდევ გავუჭირვე თავს, და აი, ბრძოლისა და წამების მთელი წელი გავიდა.

ახლა კი მეორე ეტაპი უდავოდ დამთავრებული იყო.

დიდა ტასოს უჩემოდ გაძლება აღარ შეეძლო.

უფროსი საქონელმცოდნე სიკო მელაძე მოთხოვნილებად გადაიქცა.

როგორც კბილების გამოხეხვა.

როგორც დამსახურებული მასწავლებლის ნიშანი.

როგორც მეზობლის ქალი, რომელთანაც სარეცხის გაფენის თაობაზე კონფლიქტი ჰქონდა.

მესამე ეტაპი ისედაც იოლი იყო; თუ ამას დაეუმატებთ წინა ორ ეტაპზე შეძენილ უზარმაზარ გამოცდილებას, შეიძლება თამამად ითქვას, რომ გამარჯვების პირას ვიდექი.

სიმართლე, გითხრათ, ხანდახან მიკვირდა.

მართალია, ძალიან დავიღალე, გავსავათდი, და, ბოლოს და ბოლოს (ესეც ანგარიშგასაწევია) ძალიან მომბეზრდა ერთთავად ბებერი ქალის გვერდით ტრიალი, მაგრამ მაინც უფრო მძიმე ბრძოლას მოველოდი.

არ მეგონა, ასე მალე თუ დამამარცხებენას, ასე მალე თუ დამმარჩილებდა, ასე მალე თუ შეწყვეტდა აქტიურ წინააღმდეგობას.

დიახ, ხანდახან მიკვირდა ეს ამბავი.

საერთოდ კი მოახლოებული გამარჯვების სიხარული ყველაფერს ფარავდა.

მესამე ეტაპი დავიწყე სისტემატური დაგვიანებით.

თავიდან ვიგვიანებდი თხუთმეტ წუთს, ნახევარ საათს, ერთ საათს. მერე და მერე დაგვიანება გამოუცხადებლობით შეიცვალე.

ბოლოს, კვირაში მხოლოდ ერთხელ მივდიოდი, ხანდახან ამასაც არ ვაკეთებდი. თეატრში ძალიან იშვიათად დავყვებოდი. კამათს შუა სიტყვაზე გწყვეტდი და „გადაუდებელ საქმეზე“ გავრბოდი.

მიზეზის მოძებნა ძნელი არ იყო: ოჯახი და სამსახური, სამსახური და, ოჯახი.

უფრო მაინც ოჯახს ვიმიზეზებდი.

იმიტომ, რომ მე ოჯახს ვეკუთვნი და თუ შენ მართლა ასე გიჭირს უჩემოდ გაძლება, კეთილი ინებე და სათანადო დასკვნები გამოიტანე.

(ზემოთ დამავიწყდა მეთქვა, რომ მეორე ეტაპზე ექსპერიმენტის მიზნით ერთი ორჯერ ბავშვებიც მივუყვანე დიდა ტასოს. ბავშვები ჩინებულად იქცეოდნენ და დიდა ტასო კმაყოფილი დარჩა. თავის მხრივ, დიდა ტასოც ჩინებულად ექცეოდა ბავშვებს და, ჩემის მხრივ, მეც კმაყოფილი დავრჩი).

თუ პირველ ეტაპზე მთავარი იყო გზის გაკაფვა, საკუთარ ძალებში დარწმუნება და ერთგვარი გამოცდილების შეძენა, ხოლო მეორე ეტაპზე ინტელექტუალური შემართება და გონებრივი და სულიერი ძალების უკიდურესი დაძაბვა, მესამე ეტაპის ლეიტმოტივი იყო მოლოდინი.

ჯემალ ძარჩხაძე
ოპერაცია „დიდა ტასო“

მეც ველოდებოდი.

აღრე თუ გვიან დეიდა ტასო უნდა გამტყდარიყო.

და დეიდა ტასო გატყდა.

დადგა ნანატრი დღე.

კულმინაცია

ის იყო გუდა-ნაბადი ავიკარი და სამსახურიდან გამოსვლა დავაპირე, რომ ტელეფონმა დარეკა.

— გისმენთ!

— დეიდა ტასო ვარ, ჩემო კარგო. ერთი ათი წუთით ვერ შემოიცლი ჩემთან?

ყოყმანის გამოსახატავად მცირე პაუზა გავაკეთე. მერე კვთხე:

— აუცილებელი საქმეა?

— მე მგონი, აუცილებელია.

— კარგი, მოვალ.

ყურმილი დავდე. დეიდა ტასოს ხმა გაბზარული და ცოტა სევდიანი მეჩვენა.

ასეთი ხმა აქვს შორეულ მოგზაურობაში მიმავალ კაცს შინაურებთან გამოთხოვებისას.

ასეთი ხმა აქვს ახალგაზრდა ქალს, რომელიც დიდი ხნის ყოყმანის შემდეგ ცოლობის თანხმობას გაძლევს.

ასეთი ხმა აქვს ხუთოთახიანი ბინის პატრონს, რომელმაც ბოლოს და ბოლოს გადაწყვიტა მემკვიდრეობა დაგიტოვოს.

ავღელდი. ხელები ამიკანკალდა. გულისცემა გამეხშირდა. თუმცა აგერ უკვე ორი წელიწადი სრულდებოდა ამ დღეს ველოდი.

კიდევ კარგი, წინასწარ დამირეკა: აშკარად მწყალობდა ბედი.

კარი რომ შევაღე, გარეგნულად უკვე სრულიად დამშვიდებული ვიყავი.

დეიდა ტასომ სავარძელში ჩამსვა და კონიაკი დამისხა. ცოტა თვითონაც მოსვა (ერთადერთი ნიშანი მისი მღელვარებისა), მერე მაგიდის მოპირდაპირე მხარეს დადგა, ხელები მკერდზე დაიკრიფა, თვალი თვალში გამიყარა და მითხრა:

— ერთი წინადადება უნდა მოგცე, ჩემო კარგო.

— ბრძანე.

— ძალიან შეგეჩვივ... რა იქნება ჩემთან გადმოეწერო და შენი ცოლ-შვილით აქ გადმოხვიდე საცხოვრებლად? შენ ვიწროდ ხარ, მე კი ოხრად მრჩება ამ ხელა ბინა... — მე არ გავბძრუნულვარ და დეიდა ტასომ მცირე პაუზის შემდეგ დაუმატა, — რას იტყვი?

საპირო იყო დიდი ზომიერება, რომ არც მწვადი დამეწვა და არც შამფური.

ჩემი აზრით, სწორად მოვიქეცი.

დამცინავად გავიღიმე და ვუთხარი:

— მაშ, მაინც ვიქტორ შეწირულის როლი დამეკისრა, არა?

აქ ცოტა შევიცადე, მაგრამ დეიდა ტასომ პასუხი არ გამცა. იდგა და უხმოდ მომჩერებოდა.

მაშინ წამოვდექი, ვაქაცურად გავუსწორე თვალი და ვიცრუე:

— დეიდა ტასო, მე პატიოსანი კაცის სახელი ყველაფერს მირჩევნია.

ეს რომ ვთქვი, ცოტა შევფიქრიანდი, — ზედმეტი ხომ არ მომივდა-მეთქი.

ეჭვები დეიდა ტასომ გამიფანტა: წასელის წინ პიჯაკის ჯიბეში რაღაც ჩამიცურა.

მოვისინჯე.

გასაღები იყო.

მაშინვე ხელი ჩავიყავი, მაგრამ დეიდა ტასომ ამოლების საშუალება არ მომცა, ხელი ჯიბეშივე დამიჭირა და რაღაც უცნაურად მწყრალი, თითქმის ანჩხლი ხმით მითხრა:

— გეყოფა! — მერე, ჩემი შეცბუნება რომ შეამჩნია, გამიღიმა, ბეჭზე ხელი დამკრა და დაუმატა, — სულ ერთია, აწი აღარაფერი შეიცვლება, ჩემო კარგო.

კვანძის გახსნა

დეიდა ტასომ ბოლოს და ბოლოს „დამთანხმა“.

გადაწყდა მის ბინაში გადავწერილიყავი.

სანამ საქმის ფორმალური მხარე მოგვარდებოდა, უწინდებურად სტუმრად დავდიოდი.

ოღონდ ზარს აღარ ვრეკავდი.

საკუთარი გასაღები მქონდა!

ის საღამო კარგად მახსოვს.

ციოდა.

ქარი ღმუოდა და ყველაფერს ანგრევდა.

გათოშილი ხელით გასაღები ძლივს გადავატრიალე.

ის იყო პალტო გავიხადე და უნდა ჩამომეკიდა, რომ სამზარეულოდან დეიდა ანიას ხმა მოისმა.

დეიდა ანიას ხმამ თქვა:

— Просто непостижимо!

დეიდა ტასომ პასუხად გაიცინა.

— Не понимаю, как ты могла на это решиться!

კიდევ თქვა დეიდა ანიამ.

— Всякое бывает, ჩემო კარგო, — შვიდად მიუგო დეიდა ტასომ, — ბევრი რამ ხდება, ჰორაციოვ, ზეცად და ქვეყნად, რაც ფილოსოფოსთ სიზმრადაც არ მოლანდებიათ!

Оставь эти дурацкие цитаты, гаргулеобразно сказала тетя Анна, — и ты не боишься, что в один прекрасный день он может выпроводить тебя из собственной квартиры? Или этот сопляк лучше других?

— Нет. Он точно такой же сопляк, как и все остальные.

— Так хоть объясни, Тася, ради бога, в чём дело!

— Ты же знаешь мою слабость к театру.

— К театру?

— Он играл блестяще, ჩემო კარგო. Я немало хороших артистов перевидала на своём веку, но такого... Представь себе, за все эти почти два года ни одной фальши, ни одного неубедительного жес...

ეპილოგი

სწორედ ამ დროს გავიხურე კარი.

გარეთ ციოდა.

ქარი ღმუოდა და ყველაფერს ანგრევდა.

ზაქარია შერაზადიშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძოლა იმდენი...

ეოხუცო, მხარში ამოგიდგები,
დამენდე მტკიცედ, არ ვარ მშიშარა,
მე შემიძლია ბრძოლა იმდენი,
რომ ბოლოს მითხრა:
— არა გიშავს რა!

შენ ძალგიძს მომცე შეძლება უბირს, —
იდუმალს ვკიდო აზრი ნათელი,
რომ ვუპატრონო
თმოგვსა და ურბნისს,
რომ აღვამაღლო ღვაწლი შავთელის!

აქ, სადღაც ახლოს

შუაღამისას
კვილის გაბმამ
შეაცახცახა ჰაერი მუნჯი.
— წამოვდგეთ, ქალო,
გადიცვი კაბა,
აქ,
სადღაც ახლოს,
ვ-ღაცას უჭირს!

სამარული

დედამიწა — მდედრი,
მამამთვარე — მამრი,
ყველაფერი ნედლი —
მათი ძე და მგზავრი.

მზე — კერიის სითბო,
მისდიე და მიჰყევ,
ვარსკვლავები — თითქო
ალმასების რიყე.

სილამაზე მკვეთრი,
რომ დაგტოვებს სახტად...
ახალმთვარე თეთრი —
უნაგირის ტახტა...

არახიჯის გადასავალთან

წყალდიდობა

ხავსიან ქვებით, დაღლილ ქვებით ვაშენებ ციხეს...
და ახლოს ისმის შენი ჩურჩული —
ჩამქრალი ღამე ლოცულობს დღეზე...
მე კი ვაშენებ —
აგურების ძველისძველ ანბანს
სწავლობენ ჩემი ხელისგულები.
აქ —
ამ ოქროსფერ გორაკებზე მესმის შორიდან
ადიდებული გაზაფხულის მწვანე ჩუხჩუხი —
უახლოვდება წყალდიდობა
ჩემს ახალ კედლებს,
ჩემს კეთილ ანბანს
და მღელვარებას...
ჩემი სანთლების ღამისაკენ მოდის მინდორი,
მოდის ჭალაკი,
მოდის ხნული, დასალიერი...
მოაქანავებს გაზაფხული ოქროსფერ ბორცვებს,
მთვარის გორაკებს,
სატაცურის მწვანე სიმღერას —
ჩემი სანთლების ღამისაკენ, ჩემი ციხისკენ.

რა ახლოს ისმის შენი ჩურჩული —
ჩამქრალი ღამე ლოცულობს დღეზე...
იჩურჩულე,
ნათელო ჩემო,
იჩურჩულე —
წყალდიდობისთვის, ანბანისთვის,
კედლებისათვის...

ხავსიან ქვებით, დაღლილ ქვებით ვაშენებ ციხეს...
ქარი კითხულობს დახეთქილი ლოდების ანბანს
და —
როგორც ხეთა შიშველი ცრემლი —
ადიდებული გაზაფხულის მწვანე ჩუხჩუხი
გადამდის გულზე...

ეროვნული ბიბლიოთეკა

უახლოვდება წყალდიდობა ჩემს კეთილ
ანბანს,
ჩემს უკუნ ღამეს,
ახალ კედლებს და მღელვარებას...

იჩურჩულე, ნათელო ჩემო, იჩურჩულე...

მ ბ ლ ე ბ

იქ —
არახიჯის გადასავალთან
ნელა თოვს ახლა და ყმუის მგელი...
და ჩემს ქალაქში,
და გაყინულ შუაღამეში
მომინდა უცებ —
გავიგონო ტყიერთა მოთქმა —
ახლა რომ სხედან არახიჯის გადასავალთან
და
შეწყობილად,
ხმამაღლა,
ერთხმად გაისმის მათი შიმშილის ზარი...
ო, ☾ᴿრუნველო აჩრდილებო,
სასასლვეებო,
დიაცის თმებში დახლართულო ღამეე წკვარამო,
და კიბეებო სინანულისა —
მე ვფიქრობ მგელზე,
გეუბნებით,
მე ვფიქრობ მგელზე,
ჩუმად რომ უღრენს დამშეულ თვისტომს
და სიზმრებს ხედავს შუაღამის თოვლიან ქოხში
იქ —
არახიჯის გადასავალთან.

●

უბისთავიდან ნელა-ნელა მოცოცავს თოვლი,
ანაღვლიანებს თეთრი ფერი
კვირისას თვალებს...
განთიადამდე მთებს შეჰყვირის ბებერი
ხარი
და
რქებს უღერებს უდაბურ ზამთარს.
თოვს.
მამაჩემო... ნელა-ნელა მოცოცავს თოვლი
ტყეებისაკენ,
ნაღვლიანი ღელეებისკენ,
ახოებისკენ...
ქვევით და ქვევით...
ღამდება —
მაგრამ მაინც მოჩანს თეთრი სინათლე
და
ღამეს კაწრავს შორი ყვირილი-...
განთიადამდე ნამჯას ღეჭავს ბებერი ხარი
და რქებს უღერებს უდაბურ ზამთარს.

მეგრელების შორსმგზრტელობამ და წინდახედულობამ კედი ალარ მოაქვევი უჯერობასა და უსამართლობას... კუჭის მიმდეკარი ინტელიგენტები დღეს ასაარეზზე შფოთს აგდებენ მოიმეთა შორის, ეს სულ არჩევნების ბრალია!.. კაცს რომ სიმღერის ნება მისცე, მაგრამ იმ პირობით კი, რომ პირზე ხელი დაფარო, რაღას იმღერებს?.. უხეიროდ შემოღებულმა არჩევნებმა, როგორც ბანკისამ, ისე ქალაქისამ დიდი ვნება მოუტანეს ჩვენს ცხოვრებას. — გაუღვიძეს საკუჭო სურვილები, გაუხსნეს მადა ზოგიერთ ინტელიგენტებს და ის ჩაადენინეს, რაც საკადრისი არ არის და რაც წინედ ფიქრადაც არ მოუვიდოდათ. ყოველ-გვარ საშუალებას ხმარობენ, ოღონდ კი თავისი გაიტანონ და გაიმარჯვონ!.. მარტო გამარჯვებითაც რომ ალარ თავდება უსიამოვნება?! ბრძოლის დროს ერთმანეთის პირდაპირობასა და შესლა-შემოსლის დროს გამოწვეული უსიამოვნება რჩებათ გულში და კერძო ცხოვრებაში შეაქვთ იერიში... ეს კიდევ არაფერი, რომ ამ კერძო უსიამოვნების დროს ვნებათა ღელვა არ აბრუსვევდეს მეტოქეებს!.. თავის პაწაწინა თავმოყვარეობას, წვრილმან კერძოობას უფრო მაღლა აყენებენ საქვეყნოზე და თითქმის ღალატს ჩადიან. მაგალითად: მეთაურობის ხელში ჩასაგდებად გამოდიან მეტოქეები საქართველოს სხვადასხვა კუთხეებიდან: ერთი მეგრელია, მეორე გურული, მესამე რაჭველი, მეოთხე ზემოური, მეხუთე ქვემოური და ამგვარად სხვა რომ არა მიუძღვიანთ რა, ზრიკებს მიმართავენ ხოლმე და ბრბოს აბრიყვებენ: მეგრელებო! მე მეგრელი ვარ და ჩემი დამარცხება თქვენი შეურაცყოფა იქნებაო!.. გურულებო! მეგრელებმა რომ გვაჯობონ და მე გურული გავშავდე, თქვენი შეტეხვენა იქნებაო!.. იმერლებო!.. გაიძახის იმერელი მეტოქე — მოდგადგენ მეგრელ-გურულები და ალარ გეზოგავენ... ბუზადაც ალარ გვაგდებენ და ჰკა მაგათ!.. დავაბახოთ, რომ ჩვენც კაცები ვართ, ქუდი გვხურავსო!—შავი მაგათი და სხვანი. ამგვარის ტყუილებით და უკადრისობით ლაპის სხვადასხვა კუთხის ქართველობა ერთმანეთს გადაკიდნენ და საშეიღიშეიღო ჭმრობა ჩამოაგდონ!.. საჭიროა ყურადღების მიქცევა... იმას ნურვინ იტყვის, რომ წვრილმანი რამეა და ალარ ღირს გამოკიდებაო, ეს ის ეკალია, რომელიც ეშმაკის ხელით ითესება და შემდეგში გვიჩხვლეტს და დაავაწყლულებს! ძველთა ბურთაობისა და სხვა სავარჯიშო შეკრებების გარეშე ორად რად რომ გაიყოფოდნენ ხოლმე მოთამაშეები, „ჩრჩვანი“ და „არა-დანი“ იყოდენ... არეული

გაგრძელება. ღასაწყისი იხ. „ცისკარი“, № 3, 4, 5.

ოცვნენ ერთმანეთმი და არა დას-დასათ დაყოფილი გურული ცალკეა, მეგრელი ცალკეა, სვანი კიდევ ცალკეა და აბეგნი. ამას ბიგიმ შერეზოდენ, რომ გაცალეკეკვიბას ცუხი შეეგეი არ მოჰკოლოდა-რა... და ჩვენ კი ჯერეს გაანზრახ ვედილობთ, რომ ერთმანეთს დავაშორით და ბატონობა ჩამოვაგდოთ როგორმეს.. ოჰ! ეს დიდი სენია! და ამ თავითვე უნდა წამლობა! ამ საჯართო ფილოფქერას, ჯერ კიდევ სანამ გარეგან აზრის ფლეგანდელ ჩვენ ცხოვრებას და ფესვებში არ ეაჯდომია, შესაფერი საჭეაპელა ეეჩარვება. დრო არის, რომ თავი დავაგბეთ ეაზრითა და უადგილოდ წარა-მარა „შრაკოოკამიერის“ ბოკიოლს და საჭირო სწორ ეზსა დეკადგეთ... შინაურობაში მივიხედ-მოვიხედოთ, „ენ-ბინ-ზენანარაზ“ ხელი ავიღოთ და ხიდანაც უნდა იყოს, ვინც უნდა იყოს, მოყვარეს მოყვრულ ჰიეეეკეთ და მტერს მტრულად დავუჭვდეთ!..

აკაკიმ თავისი სიტყვა ასე დაასრულა: მე ახლა, როცა თქვენს წინაშე ვდგეეარ, თქვენებური, მეგრული ღიღინი მახსენდება:

ყელსაბმელო მარგალიტო,
ნეტაკ მარად ჩემთან იყო!
ნამეტანი სიყვარულით
მეშინია არ ჩაგკვნიტო!

აკაკის სიტყვა უფრო მოალე იყო, ვიდრე ყურანალში დაბეჭდილი წერილი.

მოსდგენილად, დიდის გრძნობით წარმოთქმულმა ამ სიტყვამ განუზომელი შთაბეჭდილება მოახდინა. ვიდრე ეს მყოფნი დამშთანდებოდნენ, მეფემ მორიდებულმა, ღინჯმა და სიტყვაძვირმა ირონა მეფეურაგიამ ვერ მოიფიქრა და მდელოგრეხით მიმართა ერის რჩეულს:

— ბატონო აკაკი! თქვენი სიტყვა მე ბეგრჯერ მოგისმენია, მაგრამ ასე მეელეგრეულ არსად განმიცდია. ეჭვენ ითქმიან, რომ ეს სიტყვა ჩემს კუთხეში ითქვა ან ეჭვენ ითქმიან, რომ მე მომშართავდით ხშირად ამ სიტყვის წარმოთქმისას. არა! არც ერთი და არც მეორე.

დღეს ერთხელ კიდევ ვირწმეუნე, რომ თქვენ ჩვენი ერისთვის ღვთისგან მოგზეანილი ადამიანი ბრძანდეთ. თქვენ საკართველოს მამა ხართ და ღვთაებრივი პოეტი!

ბატონებო, მამაო, როდესაც ჩვენი მწერლები და საზოგადო მოღვაწენი ან იყენენ მასწავლებლები, ან მოხელენი, ან სამხედრო მოსამსახურენი და თვისა და თვის თავზე ჯამაგირს იღებდენ, ბატონი აკაკი სულ თავისუფალი მწერალი იყო, ხალხში მოსიარულე, ხალხში ზამდეარი, ხალხის ჭირისა და მწუხარების უშუალო მონაწილე და დღეს შემთხვევით როდი აღმოჩნენდა ის ჩვენს შორის.

ლეგენდა კიდევ ჰყავს ბადალი, მაგრამ მახვილი სიტყვაობაში მოეკიბენ ერთ ჰყოლია და არც ჰყავს ქარაფელ მწერლობაში. ყოველი მოსწრებული სიტყვა ჩვენში აკაკის ნათქვამია, როგორც ყოველი ძველი ციხე-კოშკი თამარის ნაგები!

ბატონ აკაკის ვკითხე ერთხელ საქართველოზე, იცით რა მიპასუხა! — მინდა ისეთ საქმეს ვაკეთებდე, რომელიც თავადშვებულს ლაგმავდეს და გულგატეხილს ამხნევებდეს. კარგად ნათქვამია. აკაკი მოელი ნაშვგარი საუკუნეა, რაც ავბედითობისგან ბეგულატენი ჩვენს ერს ამხნევებს, აფხიზლებს. [illegible] ფებს და ზრდის სამშობლოსათვის თავდადების გრძნობით. საქართველოს უფალში შემბეული ეს ორი კაცი, ილია და აკაკი არიან ჩვენი იმედი, ჩვენი რწმენა, ჩვენი ზვაღინდელი დღე!

ღმერთმან დიდხანს უცოცხლოს ჩვენს ერს ეს ორ-დებული მამულშვილები.

ეს თქვა და ცრემელი მოერია მეუნარეიას. სწორედ ამ დროს თამადამ ბრძანა:

— ჩვენი სუფრა ჭირის სუფრა, მწუხარების სუფრა იყო, ამიელის სულის მოსახსენიებლად გამართული, ბატონი აკაკი მობრძანდა და ეს სუფრაც და ჩვენი გულებიც იმედით, რწმენით გაათბო, საქართველოს უკედავების სიმღერით ყელამდე აფვავსო, გაუმარჯოს საქართველოს დაუბერებელ ბულბულს.

ეს თქვა, ყანწი გამოცალა, მიეიდა, თავი დახარა და აკაკის გადაეხვია, თამადის მაგალითით გამხნევებულნი — ყველა სათითაოდ მიდიოდა და ქედს უხრიდა საქართველოს სათაყვანებელ პოეტს...

დაუჯერელი გარათეები

ლოგინად ჩაეარდნილი ნიკო დადიანი პეტერბურგში იწვა. ფიქრობდა თავის განვლილ ცხოვრებაზე, სამშობლოზე, ახლოპლეზზე, ფიქრობდა და ესაუბრებოდა მათ, უზიარებდა გულის ეუხილსა და ვარამს, მიხატიოდა დაკარგულ სამთავრო, დაკარგულ დიდებას, დაკარგულ სიყვარულს...

იქნებ სუფლა თავისთავს ესაუბრებდა, იქნებ ცდილობდა თავისი თავი განეყაჯა, გარკვეულიყო თავისი ეზაარული ცხოვრების ლაბირინთებში...

ამ ფიქრების ქაო

ერთო მიზნები და ფიქრები აღარ გაგვაჩნდნა და ამიტომაც სრულიად უცხო ადამიანებივით ერთმანეთისთვის ამ ბოლო წლებში. ჩემი უთავბოლო ხეტიალიც, ალბათ, ამით თუ იყო გამოწყვეული. ვერ ვიტყვი არასოდეს მოყვარდა-მეთქი ჩემი მეუღლე. არა! ჩვენ ხომ დიდსანს ვიყავით შეკვრა ერთელი. 16 წლისან პეტერბურგში ვასე და შეძიყვარდა. მაგრამ ერთად სულ ცოტა ხანს გავყოფილ და მე პარიზს გავეგზავნენ. ვარიზიდანაც ვეტერფოდი და სატრფიალო წერილებით თავბრუს ვახვევდი. ალბათ შორეთიდან მის ნაკლს და ღირსებას ვერ ვხედავდი, ვერ ვგრძნობდი. შეეფიროე თუ არა, ჩემთვის ბევრი რამ გახდა ნათელი, მაგრამ უკვე გვიან იყო. გვიან იყო და მეც ხელი ჩავაქნევ. ახლა შეურაცხყოფა იქნებოდა გარდაცვლილი მეუღლის აუფის თქმა ან იმის განსჯა, რა გვაშორებდა, რატომ ვიყავით უცხონი ერთმანეთისთვის. არც ვაპირებ ამას, მით უმეტეს, იგი დედაა ჩემი შვილებისა. ოღონდ ხანდრამდე დამტოვებია შვილებისა და ახლობლებისათვის, რომ არასოდეს აჩქარდენ მეუღლის არჩევაში. ყველაზე რთული და ძნელი ეს არჩევანია. ახალგაზრდობისას ადვილად და ხშირად ბრმად ვწყვეტთ ამ სიკვდილ-სიცოცხლის ამოცანას. ეს ფიქრები ახლა უფრო ამიტომ დამეეფლნენ, რომ ავად ვარ და სიკვდილი უკაკუნებს ჩემს ფანჯარას. მესმის ეს კაკუნი და შიშით შეპყრობილი ვეცადინებს. სიკვდილი მარტობაში ძნელი ყოფილა, მარტობაში და უცხობიაში. უცხოეთია, აბა რა დაგარქვა სხვის ქალაქში სიკვდილს. იმ ქალაქში, რომელშაც ყველა ფიქრი და ოცნება დაბინაესარა!

აი აქ, პეტერბურგში ვემეფილი ოჯახურ ბედნიერებას — ვერ ვიპოვე იგი: აქ მპირდებოდნენ ტახტსა და დიდებას, გამიერეფდა იმედი, ტკბილი გამოდგა ყველა შეპარეტა. და რა ვარ მე ახლა, ოცნებადამსხვრეული, ლოგინად ჩავარდნილი, ეული და უთვისტომო, დიახ უთვისტომო!

სხვის ოჯახს შევეკედლეე, ჩემს განსვენებულ მეუღლეს ეკუთვნოდა იგი, მაგრამ ცოტა დავიდარაბა რიდი გადამხდა სიმპრის შემდეგ ამ მემკვიდრეობის დაბრუნებაზე.

მე ახლა მხოლოდ ჩემ ნიკოს შევყურებ იმედის თვალით, ვგეგმ ბას აცდეს ჩაი ბედი, მაგრამ არც ეს მჯერა. არა მჯერა იმიტომ, რომ უცხოობაში იგი ვერ გაიხარეს ისე, როგორც მამამისმა ვერ გაიხარა. უცხოობაში ბედნიერება არც უნდა ეძიო. ო, რა მართალი ყოფილა ჩვენი ტატო: უცხოობაში რაა სიამეო...

არა, სხვა ქვეყანა ბედნიერებას ვერ მოგიტანს თურმე, ეს ტყეული ოცნებაა, თუნდაც ყოველდღე ეროვანი კვეულები უფორო ამ უცხოელებს, მაინც იმ ბეთა თვალით გიყურებენ, მტრად გრაცხავენ და სისუფლეს სჩადის, ვინც ამ მდგომარეობაში იდგმს თავს. თავის... თავს კი არა, მთელს შთამომავლობას და თავის ერსაც საფრთხეში აგდებს. დიახ, საფრთხეში. ჩემს შვილს მინდა ბედიანი ეს ბედი, მაგრამ თვითონ არ ვიცი ახლა, როგორ და რანაირად. აქაც დავაგვიანე მე უმეფურმა...

დიახ, უმეფურმა. ჩემს შვილ ენაც არ ესმის მშობლიური და აბა როგორ და რით გამოადგეს თავის მამულსა. აი რა მზანჯავს ახლა ყველაზე მტკად. დამნაშავე მხოლოდ მე ვარ და ეს მიშფოთებს სულდილის წინ დარჩენილ ამ ჩემს უბედურ ცხოვრებას.

ELIBRARY.GE

ELIBRARY.GE

❦

მაინც რა უცნაურად არის აწყობილი ეს სამართალი?

— დედაშვილობა! მამაშვილობა!

რაღაც სასოებით წარმოვიქვამთ ამ სიტყვებს, რაღაც ღვთაებრივი გრძნობაა ამაში — ღვთაებრივი, დაკანონებული, უცვლელი და მარად უკვდავი. მაგრამ მაინც სადღაც ანგარიში შეეპარა ამ გრძნობებს ბოლო ხანებში და ვერ გაიგეს კაცი, ვინ არის ამაში დამნაშავე: დრო, ეამი, ეარეთო თუ თვით ადამიანები?

— შმობლები იღვწიან, თავს დებენ, და ზრდიან შვილებს. მერე რამდენი შრომა, რამდენი ჯაფა, უძილო ღამეები, ტკლის ხეთქვა და ფიქრი ჯირ ბედი შვილების დაზრდას. მშობელი არაფერს იშურებს, საკუთარ სიცოცხლესაც. ასე იყო, ასე იქნება. მაგრამ აი, შვილები დაიზარდნენ, დაიზარდნენ და საფიქრებელი უნნდებათ ერთბაშად შმობლებს. ზმირად ფიქრსაც ვერ მოსაწრეს ისე, აიდა, ხელიდან გაგიფრინდებიან. ჰო, ფრენას იაწყვდიან და გაგიფრინდნენ. მერე არც მოიხედავენ იმ ბუდისაკენ. არა, ეს ვერ ვიქვი მთლად მართებულად. ბუდე, სახლი, კარი კი უნდათ. მაგრამ ვინმე შეეშინა ეს ყოველივეს, იმათ უსაფრთხო ქმნეფენ. დიდი უსაფრთხოა მათი მხრივ. მეტყვიან. მერე რაო? მამა ვანა არ არის ვალდებული შვილები ზარდოს დედამამა იმის დედამამაა, რომ შვილებს უკაცრნ.ის და მოუარის. კი ბატონო. ეს ასეა უფიდ, ბაგრამ რომ ანაფრად ადგებენ შენ ეზეს გარეთ ეს ზრომას? ამასწინათ ჩემმა შვილმა მითხრა, ამ, მამაჩემო, ამდენს რომ მამადილ, მარტო შენ ხომ არ გიზრდია შვილები. სხვებიც ასეეე ზრდიან შვილებს, მაგრამ არაკინ ამადილის ამაკსო. ვინ იცის, შეიძლება მართალი არის. მაინც ვინ შეეა მამაშვილობის ვანკინებაში. ერთი კია: მე არ ვეუყრებდი ასე ამაკს ეა ლეკაწლს მშობლებისაკ. არც ისე ბულეიკად და არც ისე უმადურად ვეძქეიდი მთა, როგორც მე შეეტეეკვინან ჩემი შვილები. ან იქნება მეჩვენება ასე? არა, ასეა ნამდვილად არც მე და არც ჩემი ძმა, არც ჩემი და, სიტყვა რა არის, სიტყვას ვერ შეეუბრუნებდით დედა ბატონსა. მამა? მამა ძლიერია მახსოვს, მაგრამ მისი სახე ისე მაკეს ალბეკეფილი არ არსაფროს ეაიშლება ჩემს ხსოვნაში. დედა! დედა იყო ჩვენთვის ყველაფერი. ის მამაც იყო და დედაც და აბა მის სიტყვას როგორ ვეეურნებოდით. მის კალთას ამოფარებული ეკიტყვდ ვასრულებდით მის სურვილებსა და ბრძანებებს. ჩემი შვილები კი არად აგდებენ ჩემს რჩევასა და დარიგებას.

— ჰე, მამაჩემო, — მითხრა ამას წინათ ჩემმა შვილმა. — ეხლა სხვა დროა, სულ სხვა. ამას ვერ მიმხვდარხარ, მამაჩემო.

დრო, დრო, დაუჩემებიათ ჩვენს შვილებს. რა შუაშია დრო მამაშვილობის განჩინებაში, დედაშვილურ

ნ ი კ ო ბ ა ბ ი ნ ა ვ ა
ს ვ ი ლ ე ბ ი

დამოკიდებულებამი. ნუთუ დრის შეუძლია ზამალოს საზღვარი მამასა და შვილს შორის, ნუთუ დრო მოუღებს ბოლოს დედაშვილობას უცვლელ სიყვარულს. მე კი არ მჯერა. დრო არაფერ შუაშია აქ. დრო კი არა, ადამიანები იბადებიან უგულონი. დიახ, უგულონი და უმადურნი. მერე დროსა და ჟამს ბრალებენ. სარეველა ბალახივით მომრავლდნენ ეს უგულონი და ყველგან არიან, ოჯახშიც, საზოგადოებაშიც. ისინი ქმნილან ახლა ამინდს. არა. ასე ყოფილა ადამიანები ბუნიანები და უგულონი იბადებიან. ძველებსაც გულიანები და კეთილნი ცოტანი არიან ისე როგორც ნიჭიერნი. ნიჭიერნი და უნიჭონი, გულიანნი და უგულონი, აი, რა უნდა იყოს საზომი. მამაშვილობაში კი ეს არ უნდა იყოს არც საკითხი და არც საზრუნვი. შვილს რად უნდა ედგას სხვა გული, რად უნდა ესხას სხვა ხორცი. შვილები ხომ დედაშიის სულისა და ხორცის ნაწილი არიან. რატომ არ გრძნობენ ამას?

არა, ეს უგულოები ღუპავენ ქვეყანას. უგულოებისაგან იბადებიან უმადურებიც და ბოროტმოქმედნიც, ოჯახებისა და ტრადიციის მტრები. ასე ეგზიჭენენ და მომრავლდნენ ჩვენს დროში ეს უგულონი, რომლებიც კენჭებს ესვრიან მამებსა და დედებს, წარსულს კერავებს, ურწმუნოები და უმადურები, ეგოისტები და ნიღბილისტები — აი ისინი ღუპავენ ქვეყანას. ასე მზონია წარღვნა მოვიდა, წარღვნა.

შვილები, უმადური შვილები არაფრად აგდებენ **მამათა** ნაამაგარს, ამუშად იგდებენ, აბიადრეებენ, **ტალახში** სვრიან მამა სახელს.

ამბობენ, საქართველოში ახლა ყველაფერი აირიალი. **მამა** შვილს არ ინდობს, შვილი—მამას, იღუპებაო ქვეყანა. **მე** დიდიხანია მოწყვეტილი ვარ ჩემს **მამულსა ამიტომ** განკითხვა ამ საქმისა მიძნელდება, მაგრამ ვი**ი ჩემს** თავსა, თუ საქართველოზედაც ეს ბორბალი **დატრიალდა.** რუსეთში დიდი ხანია დაიწყო განკითხვა. მომრავლდენ, ძლიერ მომრავლდნენ უმადური შვილები, ოჯახშიაც, საზოგადოებაშიაც. ახლა ორაფვა გაყოფილი საზოგადოება: მამები და შვილები, თითქოს **ორი** ბანაკია, ორი მხარე და მტრებივით ერთმანეთს იშეტხენ, ებრძვიან. არა, სულ შვილები არიან ამაში დამნაშავე, შვილები. ოჯახში დაწყებული რეფეგა და შეცვლა ტრადიციისა ქვეყანასს მოედო. და თუ ეს გაგრძელდა, ალბათ, არც ოჯახი დარჩება და არც ქვეყანა. დაღუპავენ, დაღუპავენ ეს ურწმუნონი, ეს უგულონი ქვეყანას. აბა „მამებსა“ და „შვილებს“ შორის რად უნდა იყოს უმადურობა და განკუთხობა, **ტყრობა** და შეღება, გაუტანლობა და ეგოიზმი. რა ხდება, რა ხდება ეს ჩვენს თავსა. კინ არის ბამკითხი, ვინ უნდა უსაკრონოს არეული ქვეყანას. „შვილები“ და „მამები“, მამები და შვილები, ეს საუკუნეობით მოგვარებული საქმე. გაუბზარავი და მოლიანი, რად გახდა ასე საჯიჯგნელი. ვერა, ვერ გამიგია და ვერ ამიხსნია...

●

ჩემი საქმე ახლა ასეა: ბატონი ყმასა წუნობდა, ყმა კიდეც მისსა ყმობასო. მეფე არ მწყალობს და მწუნობს იმით, რომ ქართველი ვარ. მე ჩემს მხრივ გონს მოვეგე და ვწყვეტი ჩემს თავს, რომ ქართველი ყმა ვიყავ მისი და მისგან მოველოდნი **დედაკაცობას.** ბატონ ბას. არა, საკოდავია სხვისი მონა და ყმა ბატონი ჩემი თავი, რომელმაც ირწუნა, რომ ის კაცი მომეშველებოდა, რომელსაც მე კი არა, მაგრამ ჩემი ერი არ წამს და ზნად არის ერთ დღეს ამოწყვეტილ დედაბუდანად, მაგრამ აბა ახლა რა ფასი აქვს ჩემს გაწვევ-გამოწვევას, დაერდოდილსა და სიკედილის პირზე მისულს რაღა შეშინდია. ხომ გაგიგონია, ბოძი რომ წაიქცევა, სახლ-კარიც დაიქცევაო. ჩვენი ბოძი კი მაშინ წაიქცა, როცა ჩვენი მყოფობა, ჩვენი ბეობა, ჩვენი ეროვნული დამოუკიდებლობა წაგვართვეს. ჰოდა, ახლა სახლიც გვექცევა. გვექცევა კი არა, დიდი ხანია, რაც დაგვექცა...

საქმისათვის მეცადინეობა არ დამიკლია, მაგრამ არა გამოვიდა რა. ჩვენს ძველებს უთქვამთ და ასეც მოხდა, „გამოუდეკ სიმარდეს�sა, გამოგიღეს სინათლესაო“. სიმარდეე ჩემს მხარეზე იყო, სამთავრო ჩემი იყო და ჩემი ქვეყანაა. ახლა ჩემი ქვეყანა და ჩემი სამთავროც მისია, იგია მისი პატრონი და საყვედურს უფლებაც წარმეკეთა მაქვს. უფლებაწართმეული და წილწართმეული მეფისწული, მონა ვარ, უბრალო მონა ისე, როგორც მთელი საქართველო მონაა. ვაი რომ მონობაზე საშინელი არა ყოფილა რა ამქვეყნად. ეროვნულ მონობაზე უბედურება არა არის რა. ამას მამაჩემიც და დედაჩემიც მიბეჭდნენ. მეც მესმოდა, მაგრამ რა გააწყობდი უსლიერეს ინვერატორებთან. ჩვენი შეცდომა ყოველთვის იყო, რომ წყალობას ამ საშინელი ურჩხულთაგან ველოდით. ისევე მათ გაკეკნდით და ვადიდებდით. ხოტბას ვასხამდით, ორგპირობდით და ამასობაში სახელს, ეაგაკაცის სახელს ვკარგავდით. ხომ გაგიგონია, საქმეეი ერთი დღისაა, სახელი ასი წლისაო. საწყალნი დედაჩემმა და მე სამთავრო ფუღუნ გაგაიდეთ. ახლა არა ფუღი გვაქვს და არც სახელი. ჩვენს კვალობაზე ჩვენი თავადშვილობაც ბითუმ-ბითუმად და ცალფინი ყიდიდა საქართველოს და ჯერ კიდევ ეს ყიდვა-გაყიდვა არ დასრულებული სამწუხაროდ. ჯერ იყო და საქართველოში სამი სახელეშწიფო გაჭიმეს — კახეთისა, ქართლისა და იმერეთისა და მას შვიდი სამთავრო მიაყოლეს. ჩვენი დაქცევაც აქედან დაიწყო. საქართველოს ერთი მეფე უნდა ჰყავდეს, საქართველო ერთი უნდა იყოს, ვისაც ეს არ ესმოდა, ის იყო ყველაზე დიდი მტერი. ხომ გაგიგონია, სახლს **რომ** ბეერი ეარი გაუკეთდეს, ბეერი ქარი შემოვიო. საქართველოს ცხრა კარი დაკეფეს ჩვენმა უსახელოესმა ნოსპარებმა. ცხრა კარი და ცხრა ღობე შემოვეკეს, მერე მიდგნენ ამ ცხრაღობეშემოფალეულ პატარა მამულებს და ცხრაკეკ ადფილად მიიტაცეს. დავითის დროშა, თამარის დროშა დაფლეთითეთ და ცხრა სამთავროს დროშებიც მან მიეგოლეთ. აბა მე რა უნდა მექნა, მე ან ჩემს შობლებს, საქართველოში ყველაზე მეტ ხანს მაინც ჩემმა სამთავრომ გაუძლო გარეშე მტერთა განსაცდელს. მაგრამ ბოლოს ცხადი გახდა, **რომ** ეგი ისე გაწწირეთი იყო, როგორც მთლად საქართველო. ახლა უკვე ვგიან არის ოხრო და ვიშო. აღბათ ჩვენ

ახლა სხვა გზა უნდა ვეძიოთ, მაგრამ არ ვიცი რა გზაა. პირადად ჩემთვის უკვე გვიან არის ახლა გზის ძიება და სასოფაზარამფეული მხოლოდ სიკვდილს ეელოდები...

●

დღეს ისე ამშვალა ფიქრები, რაკი ქალაღდზე ვერ ვკადავებენ ჩემი მწვალებელი გრძნობები, ხმამაღლა საკუთარ თავს თუ არ გავუმღაღებე, ალბათ გავგიჟდები. ქოდა იმას ვამბობდი, მე დედაჩემმა არც გაჩნიოლება დამაკლო და არც ენებრის ცოდნა. ცხრა ქვეყანა შეშფოთარე და ცხრა ენა შეეიმსწავლე... ყველანაკ, სადაც არ ვიყავ, ყველა ენაზე ჩამძახოდნენ — მეფეიშვილო, მეფეიშვილო... მეც ვირწმუნენ მეფიშვილობა და არ დავაგდე გზა, ეკადილობდი მართლაც ეგეშმარიფად ის, რისთვისაც მზრდიდნენ ჩემი მშობლები. და რიგა საწადელს ვერ მივაღწიე, მოვეშვი და მოვდუნდი. ჩემი ქვეყნისთვისაც ცეცადე რამე გამეკეთებია, მაგრამ აქაც უსუფრო აღმოვჩნენი. ილია რომ არა, მთლად შერცხვენილი გამოვიდოდი ჩემი სამშობლოს, ჩემი ხალხის წინაშე. მან ბადალმადმევანა ვაკეფლი ნანიკ, თორემ ალბათ იმ მამისეულ ბიბლიოთეკასაკაკ ბოძებული მამეული გავაჩანაგე. ახლა რომ მნახოთ, ნამდვილად შეეეკოდებით. ახლა მეფიშვილის ტყვეთ კი არა, ჩვენებური ელეჩის ტკიროსაკ ვეეარ ეზიდავ. ამას ადრე მიეხვდი, მერე, მერე ისე დავეკი სულიერად და მორალურად, რომ ჩემთან უკვე ყველაფერი ერთი იყო და ამერია თავშიაკ, ოჯახშიაკ ყველაფერი. ცოლი ალთას მიდიოდა, მე კი ბალთას. მერე ერთხანს ოჯახზედაკ ავიღე ხელი და რაც მაპპპაპეული ფუღი გამაჩნდა, ეფანტე ლეინოსა და ქალაქში. ილ ღრო თბილისში ეიყავ და ბუღს საშინელად მოშმდა ვიღაც მეარენის სიტყვები: ღვინო, ლუდეკკ, ქალეკ, — მიდრიდა აზრეინად ის კინტი ბიჭი და მე საშინელი ისტერიკა დამეპართა. მაშინ ატერიტეკი გამოვედი იმ ლუნიდან...

●

მე სიყვარულმა დამისამარა ყველა ოფენა და მაინც ცხოვრების სიტკბოებას ისევ ქალეკმში ვეძებდი, რაკიკა ზარის ბედი ალარ მწყალობდა. ვიღეური ცნობისმოყვარეობით გატაცებული ისევ შეყვარებულს შეეგეცინებედი, რომელიც მეზნებარე ეცემლოთ აღმაპობდა სულიერად დამრეცილსა და დაცელილს, ოღაბა გაჭმიოვებულსა და ყველასაგან მოტაეებულს. ახალ გრანიბალთა მოლოდინში ალტაკეკმა ეუფლებოდა ჩემს სულს. და მეც სიყვარულიდან სიყვარულამდე მთამაკადოვებელი მოლოდინით ვეიცხლოდით. ყოველ ახალ შეყვარებულეში ახალ სიიდუმლოებთა აღმოჩენა მთარობდა და მთბობდა, ამაში ვკლავდი ჩემი ცხოვრების უფეერულ დღეებს. ამ გზაზე ბევრ საინტერესო ადამიანს შეეხვდი, ბევრი იმოგაანი საოცრად ხიბლავდა ჩემს სულს და დიდხანსაკ ვტკბებოდი მათთან ყოფნით. ზმრიად მეგონა, ჩემს საწადელს მიგალწევ და ვიძოვე ეს სიყვარული, რომელსაც ვეძებდამეფეი, მაგრამ ეს კმაყოფილება მხოლოდ რამდენიმე დღე გრძელდებოდა. მერე ისევ იკარგებოდა თილისმის ძალა და ისევ ცარიელდებოდა სულიერ ეეტ-ეეტ ცარი შიში მიპყრობდა, შერბენენებული მისაგანი ბოდი და ისევ ვეძებდი მაღალ სიყვარულს, რომელსაც პოეტები უწოდრიან, ალალ დავეძებ, სიკვდილის პირზე მისული. დღენიადაგ იმის ნატერაში ვარ, იმეთი ვინმე შემხვდეს, რომ სიყვარულთის თილისმით დამაპაპა. მე ბედნიერად ვთვლი იმ ადამიანებს, რომელთაც სიყვარული მხოლოდ ერთისა შეექმიათ და ბოლოდგე ერთგულები რჩებიან მისი. ასე მფონია, რომ ერთგულება სიყვარულში მხოლოდ სუტკ შეყმა ამაკაცებს შეექმიათ. ეგეც პირიკეთი იყოს: უნებისყოფეი და სუსტი ადამიანები იცვლიან წარიმარა შეყვარებულებს? ვინ იცის, ვინ იცის? ეს ისეთი საიდუმლოებაა, რომელიც არც ერთ მეცნიერს არ აუხსნია. არა! სიყვარულის საიდუმლოებაა ამოცანა ყველაზე ძნელი ამოცანაა. მე ისე ვკვდები, ამ ამოცანის ამოხსნა ვერ შეეძელი. თუმცა ალბათ, ჩემოდენა პრაკტიკული მაგალითი არც ერთ მათემატიკოსს არ მოელანდება. ეეეგ მე არ მომპინტა ღერეთმა ნიმი, რომ ჩაყეეფოდ მოდი სიყვარულის საიდუმლოებას და ამიტომ ასე იოლად ვაბურთავებ ამ ვეეებერიელ კითხვას კაკობრიობისა? არა მეონია! საკუთარ რწმენათა გამომზეურებას რომ არ ვერიდებოდეთ, მაშინ ბევრი ვინმე დაშეოაანხმებოდა. ულამაზესი ქალის სინკატიფე, „ზეაკლო, სპილოს ძალის ფერი ტანი“ ოკროსთმიანი თუ შაეთვალწარბა აპუღია სურნელება და ჰაერიგანი მათი ამბორი რიგა თავმრეკა მახვევდა, მეეეოა, ამაზე უტკბესი და ულამაზესი ქალი დედამიწის ზურგზე არ დაბადებეულა-მეთქი, მაგრამ სულ მალე ეამივიდოდ ეს ტინი და ხმირად ხელთ შემრჩებოდა შეეტანილი თმა, პუფრით და ფეტუარნიალით მოთხუპნული სახე და მე ვბრაზობდი. მერე სიყვარულთან გაკეკრჩეული დავდიდოდ დიდი ქალაქის ფართო ქუჩებში და ისევ დავეძებდეი იგივე სიყვარულს...

საწოლთან მივიდა, ენა აფაკლაპუნა და ბალღს თითი მიუტანა ახლოს. ისე ნაზად გამოუვიდა ეს, თითქოს თავისი დღე და მოსწრება სულ ასეთი ალერსიანი ყოფილიყოს.

— რას ვრჩი, პატარა კაცია.

მერე წერილი აიღო. „არაფერი საპირო არ არის, — გაკკრა მას თავში, — საბუთი ჭქონდეს ხელში ნედის წინააღმდეგ; ხომ შეიძლება, გული აიყაროს, მშვიდობით თუ დაბრუნდა". მაგრამ გარეთ რომ გამდიოდა, დაინახა, როგორ მისცა ბენსინმ ძუძუ ბალღს, და ისეც შეწუხდა ბაუდენი, თითქოს სიბრალული აღეძინა გულში. ქვრივ დედაკაცს სკამის მაგიერად სპაჟალოს ცარიელი ყუთი მოეკენია, და იქვე იჯდა, სამრეცხეოდან შემოსული შუქზე ძველ გაზეთს კითხულობდა. ბაუდენმა თავი დაუქნია და დახვეული კიბით სამზარეულოსკენ დაეშვა. დედამისი ფანჯრასთან მიჯდარიყო, ბზეს ეფიცხებოდა და დარიხნულ-დანოვებულ ბუდეში ჩამსხდარ მოკუტულ შავ თვალებს კუსავდა. ბაუდენი შედგა, დედას დაეკარგა.

— ჰა, ბები, — უთხრა მან, — დიდი ბებია გახდი!

დედაბერმა თავი დაუქნია, ძლივს მიღრიცა ბაგე, გაღიმება სცადა, და ხელები მოიფშვნიტა. ბაუდენს უსიამოვნო ჟრუანტელმა დაუარა.

— რა აზრი აქვს! — წაიბუტბუტა მან, მაგრამ თვითონვე არ იცოდა, რას გულისხმობდა.

●

ბაუდენი ეკლესიაში არ გაჰყოლია, როცა სამი კვირის შემდეგ, ბალღი ეფიცარდ ბაუდენად მონათლეს. ივნისის იმ დილას მოზვეირი ჩასცვა ეტლში და ბაზრისაკენ გასწია. ეტლი კარგად ვერ მისრიალებდა, მოზვირის სიმძიმე დაწვა. ვერ იქნა და ვერ შეეჭიმა ბაუდენი, მაინც უმამიდა ხოლმე ძროხისთვის ხმის მოწყვეტა, მიუხედავად იმისა, რომ მთელი თავისი დღე და მოსწრება სულ ამას აკეთებდა. საქონლის უცნაური სიყვარული დაჰყვა, ადამიანი არ ებრალებოდა ასე. მუდამ გულდამძიმებული იყო ხოლმე, როცა ზურგს უკან ბაწრით გაკოპული პატარა წოქონა ცხოველის ბორგვასა გრძნობდა. ისეთი გრძნობა მოიცავდა, თითქოს ოფლადაც, ბავშვობაში, თვითონაც ასეთივე ეწოდოთ. მოზვეირი ყოფილიყოს.

ჯერ კიდევ არ გაეკლო სოფელი, როცა ვიღაცამ მიაძახა:

— ახალი ამბავი არ გიგიგ? გუშინ დილით ჩვენებს მაგრად შეუხურეხიათ ეგრძნენლები.

ბაუდენმა თავი დაიქნია. ომის ამბები ახლა ინასტა გაახსენებდა, რომ ომ ვიეპატონმა სტირმა ნედი წაართვა, მისი მარჯვენა ხელი და გამომლაპარაკებელი. როცა ეჭნება, ეს ომიც გათავდება, ფიქრობდა იგი, მაგრამ ჯერ რომ არ ეჭნის ბოლო — დღეს რომ აიღებენ რომელიმე სოფელს, ხვალ ისევ თმობენ, ამასობაში კი ახალი და ახალი კანონები გამოდის, ებრძვიან ამ მიწას, სულ გამოფიტეს. არ იციან, რომ მიწასთან ამდენი ბრძოლა არ შეიძლება; შტერები! სტირიე არ აყრის ხეირს მიწას — იქა სთესავს ხორბალს, სადაც ნამდვილად არ ახარებს, ამას ყველა მიხვდება!

ცხელი დღე იყო, გზა — მტვრიანი, მერე ის ვიეპატონი სტირიე აღარ მორჩა ბაზარში წრიალს... ამიტომაც, შინ წამოსვლის წინ ბაუდენმა „დრეიმი" შეიარა და გადაკაკა.

სამზარეულოში რომ შეედგა, ახალმონათლული ბალღი ყუთში ჩაეწვინათ, ქვეშ ბალღში და თავშალი ჩაეგოთ, მოხუცი მისის ბაუდენი კი მზეზე იჯდა, ხელებს ისე გრეხდა, თითქოს რაღაცას ქსოვნი. ბაუდენის ნაგახს დრუნჩი ყუთის კიდეზე ჩამოდგა, სუნავდა, თითქოს ამოწმებს, რა ცვლილება განიცადა ბალღმო. პენსი კუთხეში რაღაცას სქემობდა. გამიმჯობინებული ჩანდა, მაგრამ ფერი ჯერაც არ მოსულოდა, და ისედაც მტკაცედ ვერა დგას ფეხზეო, ბაუდენმა გაიფიქრა. ყუთს თავზე დასდგომოდა ბაუდენი და „დეკემბეთ" ბიჭს თვალიერებდა. ნედს სულაც არა ჰგავდა, ის კი არადა, არავისაც არ ჰგავსო, გაიფიქრა. უცაბ დიდი, ცისფერი თვალები დაალო ბავშმა. ის ნაგავი სტირი ხომ თავის დღეში ვერ ეღირსება შვილობვილს, თუნდაც ასე უკანონო დედისგან გაჩენილს! ეს რომ გაიფიქრა, გულზე მოეფონა. ენა გაუწკლაპუნა ბალღს; ნაგახს თითქოს ეჭვი მოერიოთო, თოვლივით თეთრი ბანჯგვლიანი თავი ხელზე ალაკა პატრონს.

— ჰა! — შესძახა ბაუდენმა, — რა მოგიგიდა?

ეზოში ვამოვიდა, მზე უკვე ჩადიოდა. საქონელი მინდორში ჰყავდა და იქითკენ გაეშართა. ძალლმაც გასდია. მინდორში რომ გავიდა, ქვაზე ჩამოჯდა, ირგვლივ ვეგმია და ჯერ კიდევ გაუშლელი კურდღლისცოცხა იყო. ენით აუწერელი ამინდი იდგა, ჩამავალი მზის მომაჯადოებელი სხივები თითქოს ეალერსებოდა იფნის ხეებს, კუნელის ბუჩქებსა და ჩადუნს. იქვე კუნელის ერთ რტოს კვლავ შერჩენოდა იშ-

ვითი სილამაზის ყვავილები და მძაფრ, საამურ სურნელს გამოსცემდა. დიდგულს რძისფერი ფოთლები მზით გაბრწყინებულ ჰაერში ელავდა, იქით კი, ხეებში, ცრცელს უკვე გასცვენოდა ყვავილი და ყავისფერი, ჯერ ზრდადაუსრულებელი ნაყოფი ესხა.

წელწადის ერთი დროდან მეორეში გადასვლის ჯადოსნური პერიოდი იდგა და ეს ყველაფერში იგრძნობოდა, გეგეული მოძახილშიაც კი, რომელიც აგერ ისარიგით გამოქანდა, აკაციის ხეზე შემოჯდა და წკრიალა ხმით შემოძახა. ბაუდენმა საქონელი დათვალა და მზის სხივებზე ფოთოლ აბზინებულ ნახირს რომ გადახედა, გული სიხარულით გაეევსო. მთელი დღის მომთვინავმა სიცხემ, სიღრმე და ირგვლივ მოზუზუნე მწერებმა ძილი მოაჯვარეს. ქვეცნობიერად ტკბებოდა ამ ღრმა სიმშვიდით, სითბოთი და სილამაზით. ნეი ამბობს, აქ მწვანეს ვერაფერს დალანდავო! წარმოუდგენელია, კუტრდღლის გასაძღები ბალახიც არ მოიპოვებაო. არე მუხლუხისნირი გვიმრის ხეივარა ყლორტი? არც ჩიტის ჩამოსაჯდომი ამწვანებული ხე? სტირმა გადამიგდო ამისთანა ქვეყანაში! მოელეგრე გონებაში ამ ფიქრმა შავი ფრთების ტაკაცუნი ჩაიქროლეს. სტირი! შეილი მაგას არა ყოფილ, რომ ომში წაიყვანონ. ფუღის კეთებაზეა გადაგებული. ბაუდენმა გადაწყვიტა, რომ რაღაც ბორტი ბედი მფარველობდა ამ წუწურაქს, რომეულაც საკუთარი თავისთვისაც კი ვერ გუმტებია ღვინო.

ფუსკადგმულ ბალაზში ლურჯთვალა ყვავილებს ამოეყო თავი. ბაუდენმა თავის სიცოცხლეში პირველად იქნებ მხოლოდ ახლა შენიშნა ბუნების ეს მზაშარეული შშვენიერება, რომელსაც სტირმა მისი ბიჭი მისწყვიტა და იმისთანა ქვეყანაში გადაადგო, სადაც ბალახიც კი არ იზრდება.

ბოლოს წამოდგა და ნელი ნაბიჯით იმავე ბილიკს გაუყვა, რითაც მოვიდა. გზაზე მისივე ძროხების გამხმარი ფუნა ეყარა, დიდგულს ყვავილებსა და ოფლის ფოთლებს ქინქლა ეხვეოდა. ეზოში რომ შევიდა, სახლიდან სოფლელი ფოსტალიონი გამოდიოდა. კაცი ზღურბლზე შეჩერდა და თავისი ჯადარა თავი, ლაკდაკა სახე და ჩამავალი მზის სხივებისაგან მოჭუტული შავი თვალები ბაუდენისკენ მიაბრუნა.

— დეგუშა მოგიტანეთ, მისტერ ბაუდენ, — უთხრა და წვიდა.

— რა არის? — უხალისოდ ჩაიღაპარაკა ბაუდენმა და პარმაღის კიბეს აუყვა.

ბაუხსნელი ლეტენა სამზარეულოს მაგიდაზე იდო და ბაუდენი დაამტერდა. აშეიათად მიღია დეგუშა, იქნებ სულ ექვსოოდე ცალი მოელი ორმოცდაათი წლის განმავლობაში. აიღო — ისე მოჰკიდა ხელი, გეგონებოდა ჩიტი აპყავს და ეშინია, ნისკარტით არ დაკენკოსო — ცერი გამოჭკრა და გახსნა.

„დიდი მწუხარებით გაუწყებთ, რომ ოქვენი შვილი ბრძოლაში დაიღუპა ამ თვის 7-ელს. სამხედრო სამინისტრო“.

კიდევ და კიდევ გადაკითხა, მერე ძმინედ დაეშვა სკამზე, ლეგუშა მაგიდაზე დაუკარდა, თითქოს დაბრაკადა, ბრტყელი, არაფრის გამომეტყველი სახე გაუქვავდა, პირი დაადო. ბენსი მიუახლოდდა და წინ დაუდგა.

— ეპა, — უთხრა ბაუდენმა, — წაიკითხე.

გოგომ წაიკითხა და ხელები ყურებზე იტაცა.

— მორჩა, ეედარაფერი უშვილის, — საოცარი სხპასსხუპით წარმოთქვა ბაუდენმა.

გაცრეცილ სახეზე სიწითლე მოეკიდა გოგოს, სუსტი კვნესაც აღმოხდა და სამზარეულოდან გავარდა.

თეთრად შეღებილ სამზარეულოში ყველაფერი გაქვავებულიყო, მხოლოდ საათის ქანქარა და მოხუცი მისის ბაუდენის მოუსვენარი თვალები მოძრაობდნენ. დედაბერი ფანჯარასთან მიმჯდარიყო, რაფაზე მდგარ ნემსოწყვრას ქოთანთან, რასაც ჩამავალი მზის უკანასკნელი სხივები ეცემოდა. ისმოდა საათის ტიკ-ტიკი, წუთი წუთს მისდევდა. ბაუდენს თავი ჩაეკიდა. მობუზულიყო, ფეხები გაეჩაჩხა. ბოლოს წამოდგა.

— ღმერთო, შეაჩვენე ეს გარეშარი! — წყნარად წარმოთქვა მან და ლეგუშა აიღო, — ჯობი სად წავიღე?

ბრმად გალასლასდა სამზარეულოდან. დედაბერმა თავისი შავი თვალების კვეთა გააყოლა. არეული ნაბიჯით გავიდა ეზოდან და სტირის სახლისკენ წავიდა. ორსაფეხურიან ალაგებ დინჯად გადაბიჯა და სტირის ეზოში შეეიდა.

— შინ არის? — ჰკითხა ბოსელთან მდგარ ბიეს.

— არა.

— სად წავიდა?

— ჯერ არ დაბრუნებულა ბაზრიდან.

— აჰ, მემალება? მემალება?!

ბაუდენი შებრუნდა და შუკას დაუყვა. ყურებში ყრუ ზუზუნი ედგა, ნესტორეი ეხვრეშოდა — სოფლის სურნელ ისუნთქავდა: ბალახის სუნს, ძროხის ფუნისას, ხმელი მიწისას, ბუჩქებისას. ყნოსავდა შერჩენოდა, დანარჩენი გრძნობები გულზე შემოხვეულ მწარე ნაღველს მოეშთო. საფეთქლებში სისხლი სცემდა და მიწაზე ფეხს ძმიმე-ძმიმედ დადგამდა. ამ გზით უნდა გამოეკელო სტირს — ღმერთმა დასწყევლოს და ზეაჩვენოს! თავის საძოვრებს გასცდა და გზის პირად მდგარ ფუნტუკს მიაღგა. შეეძლო ფანჯარასთან ჩამომჯდარიყო სკამზე და შიგნიდანვე დაინახავდა ყველა გამელელს. ფუნტუკის პატრონისა და ორი მოსამსახურე დედაკაცს მეტი არავინ ყოფილა. ბაუდენმა ჩვეულ-

ლებისამერ ტოლია გაავსებინა და ფანჯარასთან დაჯდა სკამზე. თვითონ არაფერი უთქვამს თავის უბედურებაზე; ეტყობოდა, არც ამათ იცოდნენ. დაჯდა და თვალები მაშინვე გზას მიაშტერა, დროდადრო რაიმე შეკითხვაზე თუ უპასუხებდა. დროდადრო წამოდგებოდა და ტოლჩას შეავსებდა. ვიღაცეები შემოვიდნენ. ბაუდენმა შენიშნა, როგორ ჩმაღალა ლაპარაკობენენ. მას ეუფრებოდნენ. ამათ იცოდნენ. მაგრამ ბაუდენი ჩმაამოდებელად იჯდა, მანამ ფუნდუკი დაიკეტებოდა. ჯერ კიდევ ფიქი სინათლე იდგა, შინისკენ რომ წამბარაცდა, თან იმას აკვირდებოდა, სტირი არ გამომეპაროსო. მზე ჩავიდა. სიწყნარე ჩამოწვა. ბაუდენი თავისი შემოღობილი მინდვრის ეიმკარს მიაწვა. გზაზე არავინ ჩანდა. ბინდი ნელ-ნელა მოცოცავდა. თვალე ამოწეკერა. სადღაც ბე აკოცდა. ბაუდენის ზურგს უკან, მინდვრის ბოლოს, ეიდლის ხეებიდან დაძრულნი ჩრდილებმა ცოცვით, ძლივს შესამჩნევად გადმოუარეს ყვავილებით მოკაკვულ მინდორს და თვალის შუქის მომატებასთან ერთად თანდათანობით დამეკნენს.

ბაუდენი უფრო მაგრად მიეყრდნო ეიმკარის ბოძს; ერთიანად გაშეშდა, მხოლოდ მუხლებსა ხრიდა მონაცვლეობით — ხან ერთს, ხან მეორეს. რაღაც ზმანებები გამოეცხადა, თუმცა არც ისე ბევრი. არც ბალახი ყოფილა იქა, არც ხეები, — საცა შეილი მოუკლეს, — არც ჩიტები, არც ცხოველები... რას ეშვკანება იქაურობა!... ტალახივით იქნება ყველაფერი გადნაცრისფერებული თვალის სინათლეზე... ნეფსაც ნაცრისფერი ედება სახეზე! ბაშ, ვეღარასოდეს იხილავს ნედის სახეს?! არამზადა სტირი... ეს არამზადა სტირი! მორჩა, ბაუდენს მკვდარი შეილი ვეღარასოდეს იხილავს საკუთარ სახლს, ეზოს ხმაურს ვეღარ გაიგონებს, ოჯახის სუნს ვეღარ იყნოსავს. და ნედის მაგივრად ბაუდენს მოაწვა ერთბაშად მამაპაპისეული შუმბლიური მიწის, შუმბლიური ხმებისა და სურნელის სევდა. ეს ფრო გაახსენდა, როცა ცოლი ისევ ცოცხალი ყოფილა. როცა ნედი შეეძინათ. ცოლი... ეჰ! ექესი ბავშვი გაეჩინა, და ახლოდ ეს ერთი „შერჩა“, ნედი, ტყუპის ცალი. გაახსენდა, როგორ უთხრა მაშინ ექიმმა — „იმ ეგოგოთი“ თავს ნუ შეიწუხებ, ოღონდ ბიჭი გადამრჩინეო. ბიჭი უნდოდა, ბიჭისთვის უნდოდა დაეტოვებინა აქაურობა... ახლა კი მკვდარი ის ბიჭი! სულ -ბ... ინ გარეშერი სტირის გამო!

ბორბლების ხმა შემოესმა — შორიდან, მაგრამ თანდათან ახლოვდებოდა. ბაუდენმა ჯოხს ხელი მოეჭიროა და წელში გასწორდა.

შექ-ჩრდილით აპრეტებულ გზას დაეშტერდა. სულ უფრო და უფრო ახლოვდებოდა ბორბლების რახრახი, ფლოქვების თქარუნი, მერე სიბნელიდან ცხენი და ეტლი გამოიკვეთა, გაანთებულ გზაზე გამოვიდა. სტირი იყო! ბაუდენმა ეიმკარი შეაღო და გაინაბა. ეტლი მძიმედ მოდიოდა. შენიშნა, რომ ცხენი აკოჭლებულიყო და სტირი წინ მოეძღოლა. [illegible] კარს მოშორდა და წინ გამოეფარა.

— ეი, — შესძახა მან, — რაღაც უნდა გითხრა. აქეთ მოატრიალე.

მთვარის სხივები სტირის თხელ, წვერით დაფარულ სახეს დაეცა.

— რა გინდა? — ჰკითხა მან.

— ჭიშკარზე მიაბი ცხენი. ანგარიში უნდა გავიანგარიშო.

კარგად გაარჩია, ჯერ როგორ გაუნძრეველად იდგა სტირი, თითქოს რაღაცას ფიქრობს და ვერ გადაუწყვეტიაო, მერე კი ალვირი ბოძზე გადაიკიდა. ხმა მკვეთრი და მტაცეც გაუხდა:

— ფული მომიტანე?

— აპ! — შესძახა ბაუდენმა და უკან დაიხია, ხეებისაკენ. ხედავდა, როგორ ფრთხილად უთლოდეგზოდა, ჯობმომჯავეველი სტირი — ეს გარეშერი! ბაუდენმა თავისი ჯოხი შემართა.

— აპა, შენ, ნედის სამაგიერო, — შესძახა მან და რაც ძალი და ღონე ჰქონდა, მოუქნია.

მაგრამ ვერ მისწვდა. სტირი უკან-უკან წაფორხილდა და თავისი ჯოხი შემართა.

კიდევ მოუქნია ბაუდენმა, მაგრამ ამჯერად ჯოხზე მოეხვედა. მაშინ თავისი ჯოხი დაადგა და ხელეშეშმართულმა წინ წაიწია, რათა ყელში სწვდომოდა მტერს. სტირზე ორჯერ უფრო ჩასკენილი და ღონეები იყო, მაგრამ სამაგიეროდ, მოხერხება და მოქნილობა არა ჰქონდა სტირისა, სანახევროდაც კი. ფოფლის ხეებში ეჯაჭვურებოდნენ ერთმანეთს — ხან ჩრდილში მოექცეოდნენ, ხან სინათლეზე გამოვიდოდნენ, და მაშინ ბაუდენის შუქზე კარგად გამოჩნდებოდა ხოლმე მათი გადაფიფრებული სახეები, კაცის მოკვლის ენინი ამდგარიყო ადამიანის თვალები. ხელები მაგრად ჩაეჭიდათ ერთმანეთისთვის და ჯაჭვურობდნენ, გაბორკტებით ხვნეშოდნენ, გაშწარებით ცდილობდნენ მიწინაადმდეგის. წაქცევას. ასე ჯაჭვურით შემოუარეს ხეს და შედგნენ, სულს ძლივსღა იბრუნებდნენ, თვალებით ჭამდნენ ერთმანეთს. განელილ თვვებში დაგრძოვილი სიძულვილი ელავდა ამ თვალებში, ხელები ეკრუნჩხებოდათ. უცად სტირმა ჩაიჩოქა, ბაუდენს ფეხებზე შემოხვია ხელები და თავისკენ დაუწყო ქაჩვა, მანამ მართლაც კი გადმოიზნეა უხერხულად მობარბაცე მძიმე სხეული და სტირის ზურგზე არ გაადინა ზღარანი. მერე ბალახზე დაგორდნენ, ერთმანეთში გადახლართულები, ბოლოს დაცალეკვედნენ და პირისპირ აღმოჩნდნენ. ისხდნენ და ერთმანეთს უბღვერდნენ; სიდინი ბალეშილი ბაუდენი ნყრეევამ გამოთაყვანა. ხოლო სტირი — ზურგზე ამოდენა სხეული უეცარმა დანარცხებმან. ისე ისხდნენ, თითქოს ორივეს კარგად ჰქონოდეთ შეგნებული, რომ საშური არაფერი იყო და ახლა აქ იმისთვის იყვნენ მოსულები, რათა ბარემ მოეთავებინათ

სოფმე. ერთმანეთს მისჩერებოდნენ, ოღონდ წინ გადაეხნეკილნები, ფეხები ჯიგზალთ, პირი დაღლოთ, ძმიმედ ქოშინებდნენ, სასაცილონი ჩანდნენ — ერთს მეორე ეჩეენებოდა სასაცილოდ! და უეცს მწუხრის ზარი მოისმა ეკლესიიდან. მისი თანაბარი გუგუნი ჯერ ოდნავ მისწვდა ბაუდენის ყურეს ტკინს, რომელიც ახლა ზანტად აწყობდა ბუნდოვან ეარაუფლებს, კიდევ როგორ წამოტინებოდა სტრის. მერე უფრო მკვეთრად შეიგრძნო ზარის ხმა. მწუხრის ზარია? მწუხრის ზარი! ეისთვის რეკს მერე? ხელები ჩამოეცურდა. წაქეზებისა და თავშეკავების, მტაცეს მოქმედებისა და ცრურწმენის, შურისგებისა და გლოვის გრძნობები ერთმანეთს გადახლართულნდენ გულში და ბორგავდენ. გავიდა ერთი ვაუთაგებელი წუთი. ზარი ისევ რეკდა. ქიმეართან სტრის კოკლში ფაშატი დიეიხვინა. უეცს ბარბაკით წამოდგა ბაუდენი. მტერს ზურგი შეაქცია და ბორძიკით დაუყვა თვალით განათებულ მინდორს. შინისკენ

ᲧᲝᲤᲘᲚᲘ 299

ისე უცნაურად იდიმებოდა ეს კაცი, რომ ციხის უფროსი გოგენბეკეთ დარჩა. ასეა ხოლმე, ნასწავლ პატიმრებს — ექიმი იქნება, ვექალი თუ ხუეესი — ეერაფერს გაუგებ, გამოთხოვებისას უთუოდ ახირებული რამეს უნდა მოელოდე. ჩვეულებრივი სიტყვებით ვერ გამოეშვიდობები, ვერ ეტყეი: „აბა, ხელი მომეეი! იმედა, მეტად აღარ აცდები გზას, ხეირი ნახე“. რა ბრძანებაა! მოიხდიდა თუ არა სასჯელს ჯენტლმენი, საერთო უფლებებსაც აღიდგენდა და ნომერსაც ჩამოიშორებდა, ის კი არადა, სახელსა და ᲬᲘᲓᲘᲡᲐᲪ ᲩᲐᲒᲔᲠᲔᲑᲓᲐ, რასაც კანონი და გაზეთები, თავიანთი უტყეანი ალღოთი, ჯერ კიდევ გასამართლებამდე ჩამოართმეედნენ ხოლმე. ნომერი 299 ისევ დოქტორ ფილიპ რეიდერი ვახდა. ხმელ-ხმელი, ბეკრისტლი, ტკიდის თაგეისფერ კოსტუმში გამოწკეეული, ჯალარაშრეოული, გარე სამყაროში გამოსასვლელად საგანგებოდ თმაშამზრდილი, იდგა და თავისი ღრმად ჩამჯდარი მოელარე თვალებით უცნაურად იღიმებოდა. დიდი უხეაკი ვინმეა! ციხის უფროსმა ერთბაშად გადაწყეიტა მოკლედ გამიმშვიდობებოდა — „მაშ, ნახვამდის, დოქტორ რეიდერ“, და ხელი გაუშვიერა, მაგრამ ამერშეიგე გაუშეშდა, არაკინ შეხებია.

ᲐᲛ ᲗᲕᲐᲑᲐᲢᲠᲘᲡ ᲕᲔᲠ ᲧᲣᲧᲠᲘᲗ, ᲬᲐᲡᲯᲔᲚᲘ ᲬᲘᲜ ᲠᲝ�გᲠᲛ ᲙᲝᲚᲝᲜᲘᲡ ᲣᲤᲠᲝᲡᲘᲗ — ᲝᲠᲘ ᲬᲚᲘᲡ ᲞᲐᲢᲘᲞᲠᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲐᲛᲘᲡᲗᲐᲜ ᲠᲐᲛᲔ ᲣᲜᲓᲐ ᲛᲝᲚᲝᲓᲔᲡᲐ. ᲩᲕᲔᲣᲚᲔᲑᲠᲘᲕᲘ ᲡᲘᲢᲧᲕᲔᲑᲘᲗ ᲕᲔᲠ ᲒᲐᲛᲝᲛᲨᲕᲘᲓᲝᲑᲔᲑᲘ, ᲕᲔᲠ ᲙᲘᲓᲔᲕ ᲐᲠᲐᲓᲐ ᲛᲘᲣᲗᲮᲠᲔᲑᲓᲐ: „ᲐᲑᲐ, ᲮᲔᲚᲘ ᲛᲝᲛᲔᲔᲘ! ᲘᲛᲔᲓᲐ, ᲛᲔᲢᲐᲓ ᲐᲦᲐᲠ ᲐᲪᲓᲔᲑᲘ ᲒᲖᲐᲡ, ᲮᲔᲘᲠᲘ ᲜᲐᲮᲔ“. რა ბრძანებაა! მოიხდიდა თუ არა სასჯელს ჯენტლმენი, საერთო უფლებებსაც აღიდგენდა და ნომერსაც ჩამოიშორებდა, ის კი არადა, სახელსა ᲓᲐ ᲬᲘᲓᲘᲡᲐᲪ ᲩᲐᲒᲔᲠᲔᲑᲓᲐ, რასაც კანონი და გაზეთები, თავიანთი უტყეანი ალღოთი, ჯერ კიდევ გასამართლებამდე ჩამოართმეედნენ ხოლმე. ნომერი 299 ისევ დოქტორ ფილიპ რეიდერი ვახდა. ხმელ-ხმელი, ბეკრისტლი, ტკიდის თაგეისფერ კოსტუმში გამოწკეეული, ჯალარაშრეოული, გარე სამყაროში გამოსასვლელად საგანგებოდ თმაშამზრდილი, იდგა და თავისი ღრმად ჩამჯდარი მოელარე თვალებით უცნაურად იღიმებოდა. დიდი უხეაკი ვინმეა! ციხის უფროსმა ერთბაშად გადაწყეიტა მოკლედ გამიმშვიდობებოდა — „მაშ, ნახვამდის, დოქტორ რეიდერ“, და ხელი გაუშვიერა, მაგრამ ამერშეიგე გაუშეშდა, არაკინ შეხებია.

ᲐᲛ ᲗᲕᲐᲑᲐᲢᲠᲘᲡ ᲕᲔᲠ ᲧᲣᲧᲠᲘᲗ, ᲬᲐᲡᲯᲔᲚᲘ ᲬᲘᲜ ᲠᲝᲒ

კოხტა, ოდნავ მოკაუჭებული ცხვირის ქვეშ ტუჩებზე დამცინავმა ღიმილმა გადაირბინა; შებარუნდა და მსუბუქი ძუნძულით გაემართა კარისაკენ. ხელებს თავისუფლად ამოძრაებდა. უმბაუროოდ გავიდა გარეთ.

ეზოში, ლურჯმუნდერიანად ჭაღარა ზედამხედველი გამოჩნდა, გაჯგიმული მიუძღოდა რეიდერს, ხელში გასაღებების ასსმული ეჭირა.

— ყველაფერი რიგზეა, — გასძახა ცოხის უფროსმა ლურჯმუნდერიან შეეიცარს,—№ 299 გადის. ელოდება ვინმე?

— არავინ, სერ.

— კარი გაიღე.

კარში გასაღებმა გაიჩხაკუნა.

— ღმერთმა ხელი მოგიმართოს, — უთხრა ზედამხედველმა.

გათვისუფლებულმა პატიმარმა ბომღიმარე სახე მოუბრუნა და თავი დაუკრა; მერე შეეიცარსკენაც მიაბრუნა პირი და იმასაც დაუკრა თავი, ნაცრისფერი თეძის ქუდი დაიხურა და მთ შუა გაიარა, გავიდა. კარში კვლავ გაიჩხაკუნა გასაღებმა.

— ეცინება! — შენიშნა შეეიცარმა.

— ეჰ! უტიფარია, — მიუგო ზედამხედველმა, — თუმცა, როგორც მითხრეს, ჭკვიანი კაცი ყოფილა.

აღშფოთებული ადამიანის ხმა ჰქონდა, გაკვირვებულისაც, თითქოს მიხვდა, რომ ამ უკანასკნელმა სიტყვებმა სხვა სათქმელი მოუტანა.

გათვისუფლებულ პატიმარს ხელები ჯიბეებში ჩაეწყო და ირბენდად მიაბიჯებდა შუა ტროტუარზე. ოქტომბერი იდგა, ჩამოწოლილ ნისლს მზის სხივები ჰკვეთდა, ქუჩებში ბედვა იყო, სადილად მიეშურებოდნენ. შემთხვევით თუ ვინმე შეხედავდა ამ კაცს, ხელადვე მოარიდებდა თვალს, თითქოს გაკვირვებულ უთოს დასველებული თითი ამოჰკრაო...

●

ციხის მოძღვარს გადაეწყვიტა დასვენების დღე ქალაქში გიტარებინა და ახლა, ბაქანზე, თვალი მოჰკრა ნაცრისფერქუდიან კაცს, რომლის სახე თითქოს ეცნაურა.

— დიახ, — უთხრა იმ კაცმა, — ყოფილი 299 ვარ, რეიდერი.

მოძღვარი გაშრა.

— აჰ!... ჰო! — ამოიღუღღუღა მან, — მგონი, დღეს გამოხვედით, არა?! იმედია...

— დიდ მადლობას მოგახსენებენ.

მატარებელი გრუხუნით ჩამოდგა. მოძღვარი მესამე კლასის კუპეში შეეიდა. ყოფილი 299-იც მას მიჰყვა. მოძღვარი ელდანაცემივით იყო: თითქოს სულაც არა მჯდარა ეს კაცი ციხეში! არადა, სწორედ ის პატიმარი კაი იყო, რომელთანაც, თუ შეიძლება ასე ითქვას, მთელი ორი წელიწადი ვერაფერი გაეწყო, რამდენს გამოვიღოდა მისგან, თავს რაღაც უხერხულად გრძნობდა ხოლმე. ახლაც, ეგერ, მის პირდაპირ წამოსულუასულა, გაზეთი გაუწლია და ... არ ხედავ ამოლებს პაპიროსს, თითქოს [illegible] ლებში მოხვდაო. მოძღვარმა [illegible] დაუშვა და ფანჯარაში გიახედა, სცადა კარგად მოეფიქრებინა, თუ როგორ დაეჭირა თავი, მაგრამ იგრძნო, რომ მას მიშტერებოდნენ, და თვითონაც ცერად გახედა. ამ კაცის სახე თითქოს აშკარად ამბობდა: „შეუფცხენდი, ვაფბატონო?! ფიქრი ნურაფრისა გექნება — ცუდი არაფერი მიდეეს გულში. ისედაც მოკამულ გუნებაზე ბრძანდები!“

მოძღვარმა შესაფერი პასუხი ვერ მოუძებნა ამ გამოხედვას, და ესღა თქვა:

— კარგი დღე კი დადგა. მშვენიერია ეს მინდერები.

ყოფილმა 299 თავისი მოელვარე თვალები ფანჯრისკენ მიაბრუნა. იღიმებოდა, მაგრამ მაინც მშიერი კაცის სახე ჰქონდა, და მოძღვარმა მიმართა:

— სენდვიჩს არ ინებებთ?

— მადლობელი ვარ...

— ბოდრშა კი ვიხდი, მაგრამ, — წამოიწყო მოძღვარმა და პურის ნამცეცები კალთიდან გადმოიბერტყა, — რას ამბობთ ახლა? იმედია...

რა უთხრას? „ახალ ცხოვრებას დაიწყებ?...“ „გამოსწორდები?...“ „კარგად წადგეა საქმე?“ ვერაფერს თქმა ვერ მოახერხა და ისევ სიგარეტს მოჰკიდა ხელი, რომელიც სწორედ დროზე შესთავაზა ყოფილმა 299. ეს კაციც ალპარაკდა, თითქოს პირველად წყდებოდა სიტყვები მის ბაგეს და პაპიროსის კვამლს მძიმედ მოარღვევედა.

— ეს ბოლო ორი წელიწადი დაუფასებელი გამოდგა ჩემთვის.

— აჰა! — იმედიანად წამოიძახა მოძღვარმა.

— თავს დიდებულად ეგრძნობ.

მოძღვარს ნირი წაუხდა.

— როგორ, — ჩაეკითხა იგი,—არ ინანებიან?.. არ-რ... ისა...

— დაუფასებელია!

ამ კაცის გამომეტყველებამ მოძღვარი შეაწუხა — მკაცრი სახე ჰქონდა, ცივი, უცნაურად მომღიმარე. მოთვინიერების ნიშნწყალიც არ ეტყობოდა. თვითონვე დარწმენდება, რომ საზოგადოება ასეთ ხალხს ვერ იგუებს. რა ბრძანებაა! ხელადვე მიუჩენენ თავის ადგილს.

— ვშიშობ, მალე დარწმუნდებიან, რომ ხალხმა პატიება არ იცის, — თანაგრძნობით უთხრა მოძღვარმა, — ოჯახი გყავთ?

— ცოლი, ბიჭი და გოგონა.

— როგორ შეგხვედებიან?

— რა ვიცი, როგორ გითხრათ.

— მეგობრები? მინდა ცოტათი შეგაშზ-ღოთ.

— მადლობა ღმერთს, საკუთარი ქონება მაქვს.

მოძღვარმა თვალი გაუშტერა. კიდე კარგი!... თუმცა იქნებ სწორედ ეგ იყოს უბედურება!

— ჩემი გატეხა რომ შეეძლოს რამეს — თქვენი ციხე გამტეხდა. პაპიროსს აღარ მოსწევთ?

— არა, გმადლობთ.

მოძღვარს გული ჩაწყდა. თავისი დღე და მოსწრება სულ იმის მტკიცებაში იყო — „მაგათ“ ვერაფერს ვერ მოუხერხებს, თანამ არ გატეხო. გულდასაწყვეტი იყო, რომ ასეთ გაკვეთილმიღებული კაცი კვლავ გაუტეხავი დარჩენილიყო. ისევ გაშალა გაზეთი და წაკითხვა სცადა. მაგრამ კაცის თვალებმა თითქოს გაზეთიდან გაზეთი და სახეში შეანთეს. უხერხულად იგრძნო თავი მოძღვარმა.

●

კიუ-გარდენის მახლობლად, ერთი პატარა სახლის სასტუმრო ოთახში, მისის ფილიპ რეიდერს ვარდისფერი ქაღალდი ეჭირა ხელში და ისე დაჩაყრაბდა, თითქოს ობობა ყოფილიყოს — ობობას შიში ძველ-რბილში ჩქონდა გამჯდარი. ვაკი, რომელიც მის პირდაპირ იჯდა, უცაბ წამოდგა და გოგონამაც ხელად შესწყვეტა ბრაშსის ვარიაციების დაკვრა.

— ამაღამო, ასე იწერება!

გოგონას კლავიშებიდან ჩამოუცურდა ხელი.

— ამაღამ? მე კიდე ერთი თვის შემდეგ მახსოვდა. მამაჩემს რა შეაცვლის — ერთი სიტყვითაც არ გაგვაფრთხილა!

ბიშმა ჩიბუხი ამოიღო და წმენდას მოჰყვა. ქერა ყმაწვილი იყო, ლაჟვარდა ლოყები და პატარა თავი ჰქონდა.

— მოეწერა და ლონდონში დაეხვედებოდით. ზომ იცის, რომ წინასწარ უნდა მოვილაპარაკოთ და შეეთანხმდეთ!

გოგონაც წამოდგა და როიალს ჩამოეყრდნო. გაწოლილი გოგო იყო, მოკლედშეჭრილი, ზწორი შავი თმა ჰქონდა.

— რა უნდა ვქნათ, დედა?

— ჯეკ ნაცა და მვიბლოს და როდერიკს გააფრთხილებს, ამაღამ არ მოვიდნენ.

— ამაღამ კარგი, მაგრამ მერე, შინ დარჩენა რომ დააპიროს?! დანიშნული რომ ვარ, იცის? ან ბერილის დანიშვნა თუ შეატყობინე.

— მგონი, უკანასკნელ წერილში გწერდი.

— მერე, რას ამბობს, დედა?

— ისე უცაბ მოხდა ყველაფერი, რომ აღარც კი ვიცი.

— ძალიან ცუდად კი გამოუვიდა! — მკვეხდ თქვა ბიშმა.

დამ დეკაშა აიღო იატაკიდან.

„სადაური ერლს ქორთი, ხუთი საათი“. საცაა, მოვა კიდეც. ჩქარა ჯეკ. ნეტა რატომ იმას არ ფიქრობს, რომ აქ არაფინ არაფერი იცის.

მისის რეიდერი ბუხრისკენ მიბრუნდა.

— მამაშენს საკუთარი თავის შენი ეშინია. ახსოვს.

— არა უშავს. ახლა გაიხსენებს. მე თვი...

— დოქტორ რეიდერი, ქალბატონო!

კარებთან, რომელიც მოსაცმელი ქალმა მიეხურა, ყოფილი 299 იდგა და იღიმებოდა.

— ჰა, ბერთან? — თქვა მან, — ბერილიც აქ არის! ჯეკიც, ადერ!

მარტო ქალიშვილი გამოეპასუხა.

— ხომ შეიძლებოდა, ცოტა უფრო ადრე შეგეტყობინებია, მამა!

ყოფილი 299 ხან ერთს შეხედავდა, ხან მეორეს.

— ბავშვებს წინასწარ ვინ ეტყვის, ამბები უნდა გადაგაყლაპოო! როგორა ხართ?

— ძალიან კარგად, გმადლობ. შენ როგორღა ხარ?

— ისე კარგად ჩემს დღეში არ ვყოფილვარ. კარგი რამეა ცხე.

მისის რეიდერი მთავრეულივით წამოდგა და კარისკენ გაემართა. ისე გაუწოდა ხელი, თითქოს ვერაფერს ხედავს და ეცეცებით მიდისო. ყოფილ 299 თითქოს არ დაუნახავს ხელი.

— კარგად მოწყობილხართ, — თქვა მან, — დაბანა შეიძლება?

— ჯეკ, პირსაბანი აჩვენე მამაშენს.

— არა, აბაზანა მირჩევნია.

ბიში ფანჯარას მოშორდა, მომღიმარ მამას შეხედა და საბაბანისკენ გაუძღვა.

გალეულ-გაყვიანლებულმა, გახუხულმა მისის რეიდერმა პირველმა გაიღო ხმა.

— სიწყალი ფილაბი!

— მამაჩემის შებრალება იქნება, დედა! შუადამ ასე არ იყო! ერთი ეს არის, რომ ულვაშები მოუპარსავს, სხვა ცვლილებას მე ვერაფერს ვამჩნევ. შენ კი მართლაც საცოდავი ხარ. მაგისი შინ გაჩერება რანაირად მოხერხდება?! ყველას ქერავი ჰგონიხარ.

— თავს იკატუნებენ, თორემ ხალხს რას გამოპარავს, ბერილ.

— ნორთაულადაც კი არავის არაფერი უთქვამს. ეკითხა მაინც რაზე ჩვენთვის!

— რაზე უნდა მოვიფიქროთ მამაზე.

— რატომ ჩვენზე არაფერი იფიქრა, ამისთანა საშინელ საქმეს რომ აკეთებდა, თანაც უსასყიდლოდ, თუ!... ხანდახან იცი რას ვიფიქრებ, დედა, იქნებ სხვა გზა არ ჰქონდა-მეთქი. იქნებ მარტო ექიმი კი არ იყო მისი — საყვარელიც იყო!

მისის რეიდერმა თავი გააქნია.

— მეტყოდა, ასე რომ ყოფილიყო. მამაშენს

ჯონ გოლზუოთერი
ყოფილი 299

სულ იმით მოჰქონდა თავი, წმინდა სინდისი მაქვსო.

— როდს რა მოგუხერხო?

— უნდა დავიცადოთ.

— ჯეკიც, ავერ! რაო?

— მოუშვა ცხელი წყალი და ითუთქება. არც არაფერი უთქვამს, მარტო ეს მითხრა: „იქ რომ შედიხარ, მაშინაც ბანაობა პირველი სქმე, რასაც აკეთებ, და გამოსვლის დროსაც ეს ყოფილა. რას იტყვი, ხომ კარგად არის დაცული წონასწორობაო?“ ყავა უნდა ავეტანო ზემოთ ფინჯნით. საშინელებაა პირდაპირ! მოსაცმასხურეს რას გამოაპარებ — მოვიდა თუ არა ვიღაც დოქტორ რეიდერი, იმავე წუთში ამაზხანაში შეიტრაბ! რა თქმა უნდა, მიხვდება, რომ მამაა ჩვენი.

— სასაცილოა!

— არა განა?! მე შენ გეტყვი, დაირცხვინ! რაში ტყობა?! ის კი არადი, ლამის სახურავზე ამცრეს და იყვიროს, ამისთანა ამბავი მოხდაო. რას წარმოვიდგენდი. საზღვარგარეთ გადაიკარგება-მეთქი, ვფიქრობდი.

— ყველს ასე არ გვეგონა!

— მოტეხილი მაინც იყოს — კაცს შეგებრალებოდა. იმედანები ცირკის მასხარასავით. ამისთანა საშინელი დანაშაულის ჩამდენს... რა უნდა ვუთხრა მეიბელს? ისე თუ უთხარი, ციხეში იჯდაო, ვაი თუ უარესი რამე იფიქროს. ურჩიე, დედა, რომ ახლავე წავიდეს, ნუ მოეშვება. ბიძა იყოო, მსახურებს ვეტყვით, ვითომ ყავიელიან ავადმყოფებს მკურნალობდა.

— შენ თვითონ აუტანე ყავა, დედა... თუმცა, რას აუტან, თუკი ბიძაა! აქ არავინ არ იცისთქო, უთხარი, ჯეკ, დედა ამას ვერ აიტანსთქო. ჩქარა, ოღონდ! უკვე შეიღისსახვევია.

ბიჭმა უკან გადავარცხნილ თმაში თითები შეაცურა. სახეზე გაწწირულება ადბეჭდოდა.

— ასე ვუთხრა?

მისის რეიდერმა თავი დაუქნია.

— სადაც არ უნდა წახვიდე, დედა მოგაკითხავს-თქო, ასე უთხარი, ჯეკ. სულ ასე ვფიქრობდი ამას-თქო... ასე... ძალიან ძნელია-თქო,— პირზე ხელი დაიფარა.

— კარგი, დედა. წადი და ყველაფერს მშვენივრად გავაგებინებ. ოღონდ მსახურებთან ჯერ არაფერი დაგცდეთ. ვაი თუ, ჩვენ თვითონ მოვვიხდეს აბარგება?! ბოლოს და ბოლოს, ეგ ხომ მაგისი სახლია.

— მართლა მაგისია, დედა?

— მაგისია. მაგისი ფულით ეიყიდე. მინდობილობით ჰქონდა დატოვებული.

— უი! რა საშინელებაა.

— საშინელებაა, მაგრამ მამაშენზედაც ხომ უნდა ვიფიქროთ.

გოგოსამ ბუმბულა თმა უკან გადაიწია.

— ისე, ვიცმა რომ თქვას, „ცივად მიღება“ კი გამოგვივიდა. მაგრამ მამაჩემი სულ ასეთი გულჩათხრობილი იყო. ერთბაშად ეხის მოჩლექას ლბათ არც მოელოდ[1]

— მოკლედ, წავიდე?

— ჰო, აუტანე ყავა. ჩქარა, ჩემო ბიჭუნა, და ტაბლადაც მოეკეცი.

ბიჭი ფანტელივად გაიჭყანა.

— ო, ახლავე დავუტკბები! — და გავიდა.

— დედა, რას გაგიმტერდა თვალები?

— რა ვქნა, ანა, გავიღიმო?

— ნურც გაიღიმებ... მამაჩემის გაღიმებაც კმარა. იტირე, გულზე მოგეშვება.

●

ყოფილი 299 ანაზანაში იჯდა, ორთქლსა და პაპიროსის კვამლში გახვეული, და ფეხის ცეხს დაკაკურებდა. გაშავებული ფრჩხილი, რომელზედაც ამასწინათ რაღაც დასცემოდა, ზეყალზეკით ამოეშვირა. ყავის ფინჯანი გამოიართვა. შვილს.

— მთელი ორი წელიწადი და ცხრა თვე ამ წუთის მოლოდინში ვიყავი... მაგრამ ამას ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა, ჯეკ.

— მამა... მე უნდა...

— დიდებული ყავაა, ეს თამბაქო, ცხელი წყალი — ყოველგვარი სიკეთის წყაროა დედამიწა. ნახეკარი საათი რომ გაატარო აქ — განწმენდილი ხარ სულთაც და ხორცითაც.

— მამა...

— ჰა? შენ ამას კიდევ დაუმატებდი რამესა?

— ავერ... ავერ ორი წელიწადია, აქა ვცხოვრობთ.

— იმაზე ნაკლები ხანი, რაც მე იქ გავატარე. მეგულნს აქაურობა?

— კი.

— მე კიდე არ მომწონდა იქაურობა. მედიცინას სწავლობ?

— არა, ბოტანიკას.

— ყოჩაღ. ადამიანებთან აღარ გექნება საქმე.

— მომავალი წლიდან აქაურ ბოტანიკურ ბაღში მპირდებიან სამსახურს. მე... ცოლს შერთვას ეპირებ, დანიშნული ვარ.

— დიდებული საქმეა. დროზე ჯობს დაქორწინება.

— ბერილიც თხოვდება.

— შემთხვევით, დედაშენიც ხომ არ თხოვდება?

— მამა!

— ვერავინ ვერ დაიტრაბახებს, ჩემი კარგო, არ მიმტოვებენო. შენი ოჯახი ვითომ რატომ უნდა სჯობდეს სხვებისას. Pas si hète!

ბიჭმა კიდევ ერთხელ შეხედა ამ მომლიმარსახეს, საიდანაც ციხის სიყვითლე უკვე მოეშორებინა ცხელ წყალსა და ორთქლს, კისერს.

---

1. არც ისე სულელი ვარ (ფრანგ.).

ზემოთ მუხლები უჩვეულოდ გამოკვეთილი ჩანდა... შეხედა და სინანული მოერია.

— ვედრო მოვახერხეთ გვეთქვა, რა საშინლად შეგვაწუხა შენმა ამბავმა. ოღონდ დღემდე ვერ მივმხვდარვარო, როგორ გაიკეთე ეს სამქმე?

— რომ მცოდნოდა, ასე გახმაურებოდა და შემარცხეენდა, განა გავაკეთებდი! ქალი იღუპებოდა... დიდი სარისკო არაფერი ჩანდა და მეც მივიშველე. არავისთვის არ განმირია, ჯეკ, ხელი, სარისკო თუ იყოს. დარწმუნებული ვარ, შენც დამეთანხმები.

ბიჭი ერთიანად წამოპარხლდა. როგორღა უნდა ეთქვა თავისი სთქმელი!

— კუდის ამოძგერას სულაც არ ეპპირებ. ფინჯანს ვერ გამომართმევ?

— კიდევ მოგიტანო, მამა?

— არა, გმადლობ, რომელ საათზე სადილობთ?

— რვის ნახევარზე.

— ერთი, სამართებელი მომიტანე, თორემ ამ დილით მგონი სასხლეტი მაკრატლით გამპარსეს.

მოშორდა თუ არა ბიჭი აბაზანაში გაწოლილ მომდიმარე უცნობს, ხელადვე გამოფხიზლდა. უსათუოდ საჭიროა თქმა და ეტყვის კიდეც!

სამართებელი რომ მოუტანა, კაცი ღრმად ჩაწოლილიყო წყალში და თვალები დეხუქუა. ბიჭი სააბაზანოს კარს მიაწვა ზურგით და ერობაშად წამოისროლა:

— აქ არავინ არ იცის ეს ამბავი. დედაჩემი ქვრივი ჯგონაა.

კაცმა თვალები გაახილა, სახეზე კვლავ გადაურბინა ღიმილმა.

— ვიცობ?

— რა თქმა უნდა. მეიბელი, მაგალითად — ჩემი დანიშნული — ბაიბურშიც კი არ არის. დღეს, სწორედ, ჩვენთან უნდა მოვიდეს სადილად. როდი ბლეიდსიც მოვა, ბერილის საქმრო.

— მეიბელი და როდი ბლეიდსი! ძალიან სასიამოვნოა მაგათი სახელების გაგება. ერთი ის დიდი პირსახოცი მომაწოდე. თავსაც დავიბან. ბიქმა პირსახოცი გადასცა და გაბრუნდა, მაგრამ კარებთან შედგა.

— მამა!...

— ასეა. ნათესაური გრძნობები მაგარია, ეფრაფერი შეარყევს.

ბიქმა კარი გაიღო და გავიდა.

ბერილი და დედა კიბის ძირში ელოდნენ.

— რა ქენი?

— ეფრაფერი. ვერ ვუთხარი, წადი-მეთქი.

— ასეა, ჩემო კარგო. ვერ ეტყოდი.

— ეჰ! კარგი, რა, დედა!.. უსათუოდ უნდა უთხრა, ჯეკ.

— არ შემიძლია. გავიქცევი და გავაფრთხილებ, ნუ მოხვალთ-მეთქი.

ქუდს ხელი დასტაცა და გავარდა. მირბოდა, საღამოს ნისლში გახვეულ პატარა სახლებს უკან ატოვებდა და ცდილობდა, რაც მოეგონებინა, რაიმე გზას დასდგომოდა. ერთ-ერთი ქუჩის კუთხეში შეჩერდა [illegible] რეკა.

— მისს მეიბელი შეიძლება?

— იცვამს, სერ. შემობრძანდით.

— არა. აქ დაველოდები.

პარპაზზე იდგა, სიბნელეში, და გულში იმ ფრაზებს იმეორებდა, რაც გოგონასათვის უნდა ეთქვა. „ძალიან კი ვწუხვარ, მაგრამ... ვიდაც გვეტაცურა... მოულოდნელად... სამქმეზე?... მაგრამ რა სამქმეზე?!

— ჯეკ, გამარჯობა!

კარებში მოჩენენებასავით გამოჩნდა ბუმბულა სეტრში ჩამჯდარი კოტტა, ქერა თავი, ცისფერი თვალებით დაშშეენებული მრგვალი, ვარდისფერი სახე.

— იცი, რა, გენაცვალე... კარი მოკეტე.

— რატომ? რა მოგვევდა? მოხდა რამე?

— ეო, უსიამოვნო ამბავი... დღეს ჩვენთან ვერ მოხვალ, მეიბელ.

— ასე მაგრად ნუ ჩამიხუტე! რატომ?

— ისა... როგორ გითხრა... არის რაღაც მიზეზი.

— ვიცი. მამაშენი ჩამოდის!

— რაო? ჰა?..

— აბა, რა. ჩვენ ყველამ ვიცით. მაგრად უნდა მოვესესიყვარულთ.

— შენ რა... როდიმაც იცის... და ყველამ? ჩვენ გვეგონა, არავინ იცისო.

— დიახ, როგორ არა! ხალხის ამბავი ხომ იცი — ზოგი ამას ამბობს, ზოგი იმას. მე, მაგალითად, სულ სხვაგვარად ვეუფერებ ამ საქმეს.

— იცი, რისთვისაც იყო?

— ვიცი. გაზეთი ვიფიქე. მთელი სასამართლო პროცესი წავიკითხე.

— რატომ არაფერი მითხარი?

— შენ თვითონ რატომ არ მითხარი?

— რა ვიცი, საზიზღარი საქმე იყო... შენ რას ეტყვი?

— სამარცხვინოდ მოექცნენ.

— აბა მაგის ნებას ვინ მისცემდა?!

— რატომაც არა?!

— ხალხი ალარ უნდა გამრავლდეს?

— ისეთაც ვეღარ ვეტყვით. ყველას ეგ ალერია პირზე!

— ეგ სულ სხვა საქმეა. კანონი — კანონია.

— ჩხუბი თუ მოგინდა, შენ შემოდი, გავიყინე.

— ჩხუბის თავი სადღა მაქვს. როდიც უნდა გავაფრთხილო. გულზე მომეშვა, გენაცვალე, შენ რომ მითხარი... ოღონდ...

ჯონ გოლზუორთი

ყოფილი 299

— მაშ, ნუ მოვალ?

— ამაღამ არა, დედაჩემი...

— ვიცი, ალბათ ეშინ ეწია სიხარულით.

— ო!.. ჰო, აბა რა... რა თქმა უნდა.

— მაშ, კარგი. ნახვამდის. იცი, რა... შენ შინ გაბრუნდი, როდის მე შეგატყობინებ. კარგი, ნუ გამწყრები!

ბიჭი უკანვე გარბიდა და ფიქრობდა. „ღმერთო ჩემო, რა უცნაური ამბავი მოხდა! თავდაყირა დადგა ყველაფერი. მეიბელ! მეიბელ! აი, თანამედროვე გოგო!“

ყოფილი 299 ბუხარს მისკდომოდა, იქვე ჭიქა ედო, პირში სიგარეტი გაეჩარა, იღიმებოდა. ბუხარში ნახშირი ტკაცუნობდა. საათმა თერთმეტი დარეკა. ყოფილმა 299 პაპიროსის ნამწვი ნაცარში ჩააგდო, გაიზმორა და წამოდგა. ზემო სართულში ავიდა და პირველივე კარი გამოაღო. ოთახში ბნელოდა. სუსტი ხმა გამოეკაპარაკა:

— ფილიპი ხარ?

— მე ვარ.

კაცმა ღილაკს ცერი დაჭირა და სინათლე ჩართო. ერთიანად გაფითრებული ცოლი ლოგინზე წამომჯდარიყო.

— ამაღამ? — ოდნავ გიხსნა ქალმა ბაგე, — ძალიან გინდა?

ყოფილი 299 საწოლს მიუახლოვდა, ბაგეზე კვლავ ღიმილი ეფინა, დამშეული თვალები უციმციმებდა.

— სულაც არა. შეგვაჩვიეს ციხეში მოთმინებას და თავის შეკავებას. გეზარება, არა? კარგი. ღამე ნებისა.

მისუსტებულმა ხმამ კვლავ წამოიკნავლა:

— მაპატიე, ფილიპ. მაგრამ არ გელოდით... თან...

— არა უშავს, — კვლავ დაეჭირა ღილაკს თითი და სინათლე ჩაქრა. კარი გიიხურა.

სამმა ადამიანმა თეთრად გაათენა სახლში ღამე, ერთს — ეძინა. ის სამი ასეთ ფიქრებს მისცემოდა: „ისე მინდა მოიქცეს, რომ კაცს შეგეცოდოს! ან შეუვარება რომ შეგეძლოს! აუტანელი ხდება პირდაპირ მაგისი თავშეკავებულობა — უჩვეულოა, არაადამიანური. წესით ჩვენს თანაგრძნობას უნდა საჭიროებდეს, და ჩვენ თანაგვიგრძნობდეს. მაგრამ არც თავისთვის ფიქრობს რამეს, არც ჩვენთვის, და არც არავისთვის ქვეყნად. კაცმა არ იცის, ხვალ რა მოხდება! დაგეკედგომება კი აქა? ავიტანთ ასე ახლის, ერთ სახლში? პირდაპირ შიშისმომგვრელია!“

მძინარე კი მთელი ათას ერთი ღამის განმავლობაში პირველად ეღიზნა ნამდვილ ლოგინს და ახლა მოსვენებით იწვა, თვალები მაგრად დაეხუჭა, შუბლი და ჩაცვენილი ლოყები ისე გამოკვეთოდა, გეგონებოდა სპილოს ძვლისაგან არის გამოკვეთილიდ, სიამოვნებდა რბილი ნალი და ძილში იღიმებოდა.

უკვე გათენებული იყო, ძილგაფრთხობილებს რომ ჩაეძინათ, მძინარეს კი გამოეღვიძა. ჩვეულებისაებრ, თვალებით ძარღვიანი ხელებსა კუთხის თაროზე წოწოლდდ დალაგებულ ტანსაცმელს, ლოგინის ფეხთან — თუნუქის ბრეჯუალია ტოლჩას, კარში გამოჭრილ საფალთაანი ნახერტტს, კედლებზე წებოს სალებავებით ჩამოშეებულ ზოლებს და, საერთოდ, მთელ მოციცქნილ, შეხუთულ სენაკს. და ერთბაშად გულზე მოეშვა! ყველაფერი გამქრალიყო. ზღაპრულ სამყაროში წარძოდგენი თავი და მთელი მისი არსება შეებრძოლა ამ ზღაპარს. ოთახში იწვა, ჩითის ფარდებში დღის სინათლე ატანდდ. მკლავები შიშველი არა ჰქონია, პერანგი ეცვა. აგერ ზეწარიც ერთის წუთით გაადრეოლა, თვალს ვერ უჯერებდა. მერე გადაწვა და მომღიმარე თვალები ჭერს მიაშტერა.

●

— მეტი აღარ შემძლია, დედა. რა ექნა, აღარ შემძლია. თავი მატლი მგონია, მაგასთან რომ ვარ. მეც ბერილივით უნდა გავიქცე. მეტზე კი არაფერზე ფიქრობს — სულ იმას ცდილობს, დამცროს ადამიანი, უბადრუკობა და უსუსურობა აგრძნობინოს.

— შენ მაინც ხომ იცი, რა გადაიტანა!

— მერე, რაღა ჩვენზე იძიებს შურს! რა დაგვიშავებია?! მაგის გამო ჩვენც კარგა ვეწამეთ...

— განა თვითონ უნდა, რომ ან ჩვენ დაგვამცროს, ან ვინმე სხვა...

— რას ამბობ. ვისაც კი გამოელაპარაკა, ენა მუცელში ჩაუგდო. ასე გგონია, ტყვეს აძრობსო. ეგეც ერთგვარი ავადმყოფობაა.

— უბედური კაცია, უნდა შეგვიცოდოს.

— ძალიანაც ბედნიერია, ფიქრი ნუ გაქვს. სხვებს ხეთქავს გულზე.

— იმ პირველ ღამეს რომ...

— აკი ვეცადეთ! რა გამოვიდა! საკუთარი თავის მეტი, კაცისშვილი არ ენალდება. ხვალ სალამოს რას აპირებ?

— მარტო ხომ ვერ მივატოვებთ, ჯეკ, შობა ღამეს?!

— მაშინ, ბერილთან წავიყვანოთ. აქ ვერარ ავიტან. გაიხედე! ეგერ მოდის.

ელლიაში წინამორბილმა ყოფილმა 299 მსუბუქი ძონძოლით ჩაუარა ფანჯარას, სადაც ლეკა-შვილი იდგა.

— როგორ შეიძლებოდა, არ დაეენახეთ!... თითქოს არც კი ვარსებობდეთ!...

●

ელლიაში წინამორბილი ყოფილი 299 კიუგარდენში შეეიდა და სკამზე ჩამოჯდა. ეიღაც

ძიძამ ბავშვები შემოიყვანა და გვერდზე მოუყდა.

—პიტერი, ჯონი და მაიკლი! — ჩაილაპარაკა ყოფილმა 299. — მოდური სახელებია.

ძიძა უხერხულად შეიშმუშნა; ნეტა ვინ არის ეს ახირებული კაცი, რა აკინებს!

— რას ისწავლით?

— წერას, კითხვას, არითმეტიკას, ბიბლიის არაკებს.

— ჭკვიანები?... რა მოგახსენოთ, არც ისე. ტყუილება?... იცოცხლეთ ან კი! რომელმა ბავშმა არ იცის!

ძიძა მოუსვენრად იფშვნეტდა ხელებს.

— პიტერ! — გასძახა მან, — ბურთი რა უყავი? წადიდეთ, მოვიკმნოთ.

— აქა მაქვს, მისს სომეს.

— სოლ ერთია. აქ უბრაკეს კიდეც. ´აბა, წადედეთ!

წავიდა, და პიტერი, ჯონი და მაიკლიც წაფრატუნდნენ.

ყოფილ 299 ისევ ეღიმებოდა. ჩინური ძალი მიუახლოვდა და შარკალზე დასუნა. ფაშფაშა მოხტა ქალს მოაორევდა ძალი.

— ჩემი კატის სუნი აიღო, — თქვა ყოფილმა 299, — ძაღლებს და კატებს ძალიან უყვართ ხოლმე...

დედაბერმა ძაღლს ხელი დასტაცა, გუდასტვირივით იღლიაში ამოიჩარა, და ბატის ნაბიჯით წაბაძბაჯდა.

გავიდა რამდენიმე წუთი. ბაღში მუშა-კაცი შემოვიდა, ცოლთან ერთად, სკამზე ჩამოსხდნენ და პაგოდას დაუწყეს თვალიერება.

— უცნაური შენობაა!—თქვა ყოფილმა 299.

— ჰო! იაპონურია, არა?

— ჩინურია, მეგობარო! კარგი ხალხია ჩინელები. ადამიანურ ცხოვრებას სულიც არ დაგიდვენენ.

— რაო? კარგია... ასე თქვით?

— რა თქმა უნდა!

— ვითომ?

ქმარს მოფარებულმა ცოლმაც გადმოსწია თავი და გამოხედა.

— წავიდეთ, ჯონ, მზე თვალებში მიჭყიტებს. მუშა წამოდგა.

— კარგი ხალხი! კარგი ხალხია, ჰა?!

— რა თქმა უნდა!

ცოლმა სახელი ჩამოქაჩა.

— რა ჩხუს ეუტეხ ხოლმე უცნო ხალხს. წავიდეთ!

და ძალით წაათრია...

სამმა ორომტრეტი ჩამოპკრა. ყოფილი 299 წამოდგა და ბალიანს გავიდა. ქოხმახებს ჩაუარა და ერთ პატარა დუქანთან შეჩერდა, ზარი დარეკა.

— კიდევ ვერა ხედავს მამათქვენი?... მინდა რამე წავუტანოთ ძველებურად.

— მობრძანდით, სერ, მამაჩემმა ... დაჰკარგა თვალის სინათლე.

— მეც ამისი შიში მქონდა.

წითლად შეღებილ პამპასების ბალახქვეშ, ცხენის ძოსს სავარეულში იწდა დაბალი, ჩასკვნილი კაცი და ხისგან რაღაცას აქანდაკებდა. ამ კაცმა ცხვირით დაიქშეტუნა და უსანათლო თვალები სტუმრისკენ მიაპყრო. მისი ოთხკუთხა სახის ყოველი ნაკეთი თითქოს ამბობდა: „ვერა, ვერ გამეტეს!"

— რას აქანდაკებთ? — ჰკითხა ყოფილმა 299.

— დღეს შობის სალამოა. ჩვენი მაცხოვარი მინდა გამოვაკეთო. არა უშავს რა, კარგი გამომდის. გნებავთ ესა?

— მადლობელი ვარ.

— ვერა და ვერ გატეხეს ჩვენი მაცხოვარი. ჰა, თქვენ რას ტტკვით? „გიყვარდეს მოყვასი შენი, როგორც თავი შენი". მაშ, თავიც უნდა გიყვარდეს, ასე გამოდის. ალბათ, მასაც უყვარდა თავი. არც ვძრახავ ამისთვის.

— გაცილებით უფრო ადვილია მოყვასის სიყვარული, როცა ვერა ხედავ მას. ხომ ასეა?

— როგორაო?... სახეზე ვერ შემავლებინებთ ხელს? უფრო მარჯვედ გამოვჭრი. მინდა ცოცხალ ადამიანს დავაშსგავსო.

ყოფილი 299 წინ გადაიხარა, და ბრმამ თითები მოატარა მის სახეზე.

— მადალი ყვრიმალები... ღრმად ჩამჯდარი თვალები... წარბებიც განსხვავებული... დაბალი შუბლი, ზედ წამოჭყდარი ხშირი თმა... ყვრიმალებიდან ორი ღარი ეშვება... თხელი ცხვირი, ოდნავ კეხიანი... ჩამოგრძელებული ნიკაპი... საულავშე — მოტიტვლებული... გალიმებული ხართ, არა? კბილები საკუთარი გაქვთ? დიდებული მოდელი იქნებით, ვერ დაგიმალავთ. მუდამ წვეროი კი არ ვაქანდაკებ ქრისტეს. როგორ გირჩევნიათ — უკეკ გაკრული იყოს ჯვარზე თუ ეხრით მოთრევდეს ჯვარს?

— როგორც გნებავთ. საკუთარი სახე არასოდეს გისნჯავთ?

— ქრისტეს მოდელად არა. სახელწოდა მოდელაწოდა და გმირად კი გამოვდგები. ერთხელ კაპიტან სკოტის თარგად გამოვიყენე ჩემი სახე. შარიანი ადამიანის ტიპი უფრო ვარ. თქვენ მაინ ფრი სახე გაქვთ, ეოტა არ იყოს — მკაცრიც. წმიდანადა და წამებულად გამოდგებით. ერთი კოდევ გამასინჯეთ და შორჩა. გამოწეული ნვანჩი... ცალი მხარი ეოტათი გადმოზნექილი... ყურებიც ოდნავ გადმოშვებულია... მაღალ-მაღალი... გამხდარი... ხომ ასეა? სიარულის დროს ფეხებს მიათრევთ, არა?... ხელიც მათხოვეთ ერთი წუთით. ფრჩხილებს იკვნეტავთ, ეტყობა. ლურჯი თვალები გაქვთ, არა?... ზედ

ჯონ გოლზუორთი
ყოფილი 299

წინწყლები, ხომ?... მანამ ჯადარა შეგერეოდათ, მოწითალო თმა გქონდათ, არა?.. მადლობელი ვარ, დიდად დამავალეთ. ახლა წაიკითხეთ, თუ გნებავთ, მე ჩემს სამქვეს გავაგრძელებ.

ყოფილმა 299 წყანი გაშალა.

„...მაგრამ გამოხდა ხანი და ჰედლიბერგმა, თავისდა ჭირად, ვიღაც გამელელ უცხოელს აწყვანინა; ალბათ, უნებურად, ანკი რა ენაღლებოდა — ისე იყო თავდაჯერებული, რომ ვიღაც გადამთიელის აზრს რას დაგიდევდათ. თუმცა ეროგო არ იქნებოდა, ამ ერთხელ მაინც შეეკავებინა თავი, რადგან უცხოელი დკარძლიანი და ბულსახეული კაცი გამოდგა“.

— აპა! — შესძახა ბრმამ, — ასეა... რაკი გრძნობებზე მიდგა საქმე, ერთი ესეც უნდა გკითხოთ, ამდენ თანაგრძნობას რად ძიწეთ?

— მე თქვენ გიცქერით, თქვენ კი ვერა მხედავთ.

— ჰა! სხვებთან ურთიერთობაში როგორლაა საქმე?

— სხვები მიცქერიან, და მე ვერა ვხედავ.

— მესმის! მიზანტროპია! მიზეზი?

— ცოხე.

— რასა ბრძანებთ! ესე იგი, ხალხისაგან დაგმობილი და განდევნილი ხართ!

— არა. პირიქით.

ბრმამ ბუშობა შეწყვეტა.

— მიყვარს დამოკიდებლობა, — თქვა მან, — თავისნებაზე მოსიარულე კაცსა ვცემ პატივს. კატებს არ დაკვირვებიხართ? ადამიანი ძაღლს უფრო ჰკვეს. იშვიათად შეხვდები კაცს, რომ კატას ჰგავდეს. მაინც რა დააშავეთ, თუ ძალიან უხერხული არ არის ეს შეკითხვა?

— ექმი ვარ.

— გულის კოეზი რომ ეწვის კაცს, რა მოუხდება?

— გაინნა, რისგან ეწვის.

— სულელური შეკითხვა იყო, არა? 'მესმის. თვალს რომ დამაკლდა, გულისწყვა დამეწყო, მაგრამ ყური აღარ ვითხოვე. რა აზრი აქვს? ამაზე დიდი უბედურება რაღა უნდა იყოს! ისეთი ბრძანება გიჩნდება. თითქოს ყველაფრისაგან დაზღვეული იყო.

— მართალი ხართ, — დაემოწმა ყოფილი 299 და წასასვლელად წამოდგა.

ბრმამ მისკენ მიღრიცა სახე.

— იღიმებით ახლა? — ჰკითხა მან, — ერთი, კიდევ შემავლებინეთ სახეზე ხელი.

ყოფილი 299 გამოშვერილი თითებისაკენ დაიხარა.

— ჰო, — თქვა ბრმამ, — თქვენც ასე მოგსვლიათ — ცხოვრების ეთელი ავკარი გიგემნიათ. მეორედ რომ მოხვალთ, რაღაცას გაჩვენებთ, ალბათ მოგეწონებათ. წაკითხვისათვის მადლობელი ვარ.

— თავი თუ მოგაბეზროთ, მითხარით.

— გეტყვით, — მიუგო ბრმამ და არც კი განძარეულა ისე, ყური მიუგდო სტუმრის თანდასახმით მინელებულ ფეხის ხმაურს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

●

შობა დამეა — ეელური, ქარიშხლიანი, ქუჩებში წვიმა ასხამს. ყოფილი 299 ჩვეულებრივ მიძღვნილებს, ორი იარდის დაშორებით ცოლი მისდევს, სულ უკან ბიჭი მიპყვებათ, ისიც ორი იარდით არის დაშორებული დედას. ბეწვის მოსასხმელი შეფეთნული ვინმეა ფანდაური ფიგურა კარის ზღურბლზე ელოდება მათ.

— წამოდი, გენაცვალე. ძალიან ეწუხვარ, მაგრამ ჯერ შეიძლებოდა, არ მოგვეყვანა.

— უნდა მოგეყვანა, აბა რა, ჯეკ!

— შეხედე! დედას ვერც კი მოპყვება გვერდზე. არ შეუძლია. ავადმყოფობა. დღეს ეკლესიაში იყო, ისე დამთავრდა ქადაგება, რომ თვალი არ მოუშორებია მღვდლისთვის. ღამის გული შეუღონდა საწყალ მოძღვარს.

— რა იქადაგა?

— მოყვასის სიყვარული. განგებ კი არ ჯეთებსო, დედა ამბობს... მაგრამ რად გინდა... რომ დაგამტერდება, ასე გგონია... რა ჭვია ამას, თვალის გაშტერება რომ იცის?

— ბასილესო. მე ვეადე, მამაშენის ადგილს წარმომედგინა თავი, ჯეკ. მთელი სამი წელიწადი ცრემლთან ერთად სისხლს ყლაპავდა, ალბათ... გაუთელი ხალხი ძაღლივით ეექცეოდა. ან უნდა გატყდე, ანდა ადამიანერ თვისებებს დაკარგავ. მუცელზე ხოხვას, ისეე ესა სჯობია.

— ალბათ. ფრთხილად — კიდევ წამოეშინა. მოიცა, კაპიუშოს წამოგიწევ გენაცვალე.

წვიმის შხაპუნმა ჩურჩული დაიწყო.

გაჩახჩახებული დარბაზის კარებში, გადმოტრული ფიფრის ქვეშ ბეთქუნა თმიანი გოგონა დგას.

— ბედნიერი შობა გაგითენდეს, მამა.

—მადლობელი ვარ. ხომ არ ეაოცოო?

— შენი ნებაა. დედიკო, გენაცვალე! გამარჯობათ, ბავშვებო. მობრძანდიან! როდი, პალტო გამოართვი მამას.

— როგორა ბრძანდებით, სერ? ჯოჯოხეთური ამინდია!

— ციხეს ეს ერთი ჭქონდა კარგი — ამინდი სულაც არ გაწუხებდა. კედელზე გამოკრავდნენ ხოლმე წარწერას — „შეეფიდნა და კეთილი სურვილები!“ დიდებული რაქა იყო. ქრისტიანობა მართლაც რომ შესანშნავი მისტიფიკაციაა. ჰა, რას იტყვით?

და ისევ ქუჩაში მიბაკუნობენ ოთხივენი, სამრეკლოზე ზარები რეკენ და ხალხს ცისკრის წირვაზე მოუხმობენ.

— რა საღამო გავატარეთ!

— დაიცადე, ჯეკ, ოტათი დაწინაურდნენ, გაიგონებენ!

— ამაზე საშინელი რა შეიძლებოდა ყოფილიყო! რას ამბობ, კვერნას ჩამოაგდებს ხიდან! ოტას! რომ დალუკავ, გუნებაც შეიცვლება-მეთქი ეფიქრობდი. კარგა ბლომად დალია.

— რამდენნაირ დღედა დარჩა და მერე!...

— რას იტყვი, მეიბერ, შენც დედას ეთანხმები — მართალი უნებურად მოსდის ეს? განგება არ აკეთებს?

— ო! რა თქმა უნდა, მეც ასე ეფიქრობ.

— ვერ ამჩნევ, როგორ დაჯდება და იქყანესებს! ბარემ უდაბნოში წასულიყო!

— ალბათ, არის კიდეც უდაბნოში.

●

— აპა, დაგახეცდრეთ! — მიმართა ბრმამ, — რაც შემეძლო, გავაკეთე ამ დღეში ჩავარდნილმა კაცმა. ჯეარმა ძალიან გამაწყალა. მხიმე გამომივდა, ოტატ არ იყოს. მაინც აფდილად დასაძრავს-მეთქი, თქვენზე ვიფიქრე.

— ნამდვილი შედეგია!

— მართლა? — ჩაეკითხა ბრმა. — ფერებსაც თუ წუსსამთ. მოუხდება. უფრო დაემსგავსება ადამიანს..

— უსათუოდ ჭეეუსვამ.

— პირისახესა და ჯეარს მე პირადად ხელს არ ვახლებენი — ხისა დარჩეს. თმას და ტანსაცმელს კი მოუხდება შეღებვა, ეკლის ვეარ-გვინდიან დანადენ სისხლსაც. ამ კაცს რაღა მოუვიდა, ჰედლბერგი რომ აკეთენ?

ყოფილა 299 წიგნი გაშალა.

„...ვეფსონმა ერთი ახედ-დახედა, თითქოს უფრო ბილწ ადგილს ეძებს მის სხეულზეო, და მერე კითხა: „შენ რა, საგამომძიებლო კომისიიდან გამოგაგზავნეს?“ თითქმის ასეთო, სოლსბერიმ უპასუხა. „აპა, დაწერილებით ცნობებს თხოულობენ თუ ზოგად პასუხს დაკაბულებიანნ?“ „ჯერ ზოგადად მითხარით, მისტერ გუფსონ, დაწერილებით თუ მომთხოვეს, მეორედ მოეალ“. „კეთილი და პატრასანი, მაშ ჯანდაბამდის გზა ჭკონიათ-თქო, ვადაეეეი; მე მგონი, ზოგად პასუხად ეგეე ქმარა. ოღონდ დაწერილებით პასუხისთვის რომ მოხეკაზ, გირჩევ, რამე ალალთა გამოაყოლე ხელს, შენი ნუშტის ზინ წასალებაზ“.

ბრმამ ქმაყოფილებით ჩიხითხითა.

— ეჰ! ეარი რამეი ეე მარკ ტვენი. დიდებული იუმორი აქეს — უხამსობა არ უყეარს.

— ცარიელი ყეფა და ქინაქანი, არა?

—ყეფაც და კბენაც. — მიუკო ბრმამ, — თქვენ თვითონ რას ფიქრობთ ადამიანზე?

— სულაც არაფერს, ან ბეერს არაფერს.

— ისე, კაცმა რომ თქვას, არა უშავს რა. თუნდაც, ეგერ — თქვენ, მე... რა უბედურება გეეჩინს, მაგრამ მაინც პატარა ბიუბეიეთ ემხიარულობთ. საკუთარი თავის იმედზე უნდა იყო, თორემ სატანჯველს ვერ მოიშორებ. თქვენც ამას ფიქრობთ ხომ? მგონი, თავიდან დაძაქნეთ, თუ მომეჩვენა?

— ნამდვილად დაგიქნეთ. ეეუკონა, საკი თვალები გკონიათ.

— მიბრწყინავს, არა? ჩვენ ბეეგეძლო ჩამოვმსხდარიყავით და გამოგვეტირა ჩვენი თვალები. არა, განა? მაგრამ არ ვინდომეთ. იმიტომაც ვამბობ, მე და თქვენ არა ვვიშავს-მეთქი. განზე გაუდექი ცხოვრებას და ცხვირს ნუ ჩამოუშვებ. სულერთია, ბედნიერი მაინც ვერ გახდები, მანამ საბოლოოდ არ გადწყვეტ, რომ, რაც ახლა ხდება, ამაზე უარესი აღარაფერი შეიძლება მოხდეს. ჰა, ხომ ასეა?

— ნამდვილად.

— ხუთი წელი დამჭირდა, მანამ ამას მიეხვდებოდი. თქვენნ?

— სამოიდე წელი.

— რა გასაკვირია — თქვენ ბეკრიშვილობითაც მყობნით, განათლებითაც. ხეაზეე კი ვეტყობათ — ეარილი, დამცინავი ხმა ვაქეთ. მე სასარეკმაბერთთი დავიწეე, და თავიდანვე არ გამიმართლა — თმის დასახვევმა მაშან მიმტყუენა. ყველაზე უფრო ის მაწუხებს, რომ სათვეზაოდ ეეფარ დავდიეარ. ეინ უნდა წამიყვანოს! თქვენნ? თქვენ არ წუხართ, რომ ხალხს ვეეარ კეპავთ?

— სულაც არა.

— თუმეა ნასწავლმა ხალხმა, ალბათ, დიდი გატაცება არ იეეს. მე ძალიან გატაცებული ვარ თეეზაობით. ერთი კეეიადეე არ გამიეცდინა — ეეეიმა ოქნბოდა თუ მზინი დარი. ამ ხეზე ამოკეეეთსაც იმიტომ მივეაეი ხელი. რაე ხომ უნდა გაინტერესებდეს! თქვენი თავგადასავალს დაწერას არ აპირებთ? მომეჩვენა თუ მართლა გაგაქნეთ თავი?

— მართლა გავაქნე. ჩემი გატაცებაა ცხოვრების დაკვირვება.

— ოდესმე, ალბათ, ჩემთვისაც გამოდგებოდა ეგ საქმე. მუდამ მიყვარდა ხალეე მდინარისთვის ეკერა, ტალღებს რომ მიაგორებდა. ოოტათი ფილოსოფოსიც ვარ. თქვენ კი არ უნდა იყოთ, პირდაპირ გეტყვეთ.

— რატომ გგონიათ?

— ასეა, თქვენ ვინდათ სულ ეემორჩილებოდეთ ცხოვრება; ალბათ ეს არის კეთილშობილი ხალხის უბედურება. მართალს არ ვამბობ?

ყოფილა 299 წიგნი დახურა და ეემოდგა.

— სიამაყე. — თქვა მან.

— აპ, — შესძახა ბრმამ და თვალის უპეეები მოეუტა. — ეს არის თქვენი თავი და ბოლო. თავიდანვე ასე ეფიქრობდი. შემოიარეთ ხალმე, თავი თუ არ მოგაბეზრეთ.

ჯონ გოლზუორთი
ყოფილი 299

— და სთვეზოდ წაგიყვანთ?

— მართლა წამიყვანთ? ხელი მომეცით.

ყოფილმა 299 ხელი გაუშვირა. ბრმამ თავისი ხელი მოაფათურა ჰაერში და იპოვნა.

●

— ოთხშაბათსაც წავიდეთ, ძმობილო, თუ არ შეგაწუხე.

— ოთხშაბათს იყოს.

თავისი სახლის კართან ერთ ხანს შედგა ბრმა, რომელსაც ქილის ჩანთით დღევანდელი დაჭერილი თევზი ეჭირა ხელში, მიმავალი თანამგზავრის ფეხის ხმას დაყურადა, მერე ხელის ცეცებით შევიდა და პამპასების ბალახით გადმბიბერულ საკარძელს მიადგა. გათოშილი ფეხები პლედში შეყო, კმაყოფილებით ამოოხვნა და ჩაეძინა.

ყოფილმა 299 გატიტვლებულ აკაციებსა და იასამნის ბუჩქებს ჩიჯარა. შინ რომ მივიდა, თავის ოთახს მიაშურა და ფეხები გაუმა, ცეცხლს მიუშვირა. იყნოსა თუ არა კატამ თევზის სუნი, მუხლებზე შეახტა.

— ფილიპ, შეიძლება?

— შემოდი.

— მოსამსახურეები აღარ გვიჩერდებიან. იქნებ... რას იტყვი, მივატოვოთ აქაურობა და საზღვარგარეთ წავიდეთ, ჰა?

— ეს მოულოდნელი მსჯელობლის გადება რაღას ნიშნავს?

— ო, ფილიპ! რა ძნელი ასატანი ხდები. რა გინდა მაინც ჩემგან?

— წაიღე. ნახევარი ჩემი შემოსავალი და წადი.

— შენ აქ რას გააკეთებ, მარტოკა?

— დამლაგებელი დამიქირავე. მე და ჩემს კატას დამლაგებლები გვიყვარს.

— არ მეტყვი მაინც, გულში რა გიდევს? ასე მარტოობაში უნდა ამოგხდეს სული?

ყოფილმა 299 თავი ასწია და ახედა.

—ვისაც საკუთარ თავზე არ გამოუცდია, იმისთვის არაფერს არ ნიშნავს სინამდვილე. მე გამოვცადე.

— ნეტა რას ამბობ?

— ჩემო ძვირფასო ბერტა... [illegible] კმკვია, არა?

— ღმერთო ჩემო! რა სამინელი ასატანი გახდი!

— აბა, რასა მთხოვ — მატლად ვიქცე? მუცელზე ვიხოხო იმ ხალხის წინაშე, ვინც მეზიზღება? ათასნირად დავიგრიხო? მორჩილი გინდა გავხდე? თუ რა გინდა?

— მე მინდა, ადამიანს დამემსგავსო.

— მაგას რაღა ნატვრა უნდა — ადამიანი არ ვარ! იმდენად ადამიანური ვარ, რომ ხალხს მე ქედს ვერ მოვუხრი, არც მათი შეწყალება მინდა, უმალ ჯოჯოხეთში ვიხილავ ყველას. მომეშვი ახლა. მე ყველაფრით კმაყოფილი ვარ.

— ნუთუ არაფრის გაკეთება არ შემიძლია შენთვის?

— შეგიძლია — ცეცხლზე ნე მომეფარე.

სიბნელეში ორი ფიგურა მოსდგომია გარედან ფანჯარას.

— შეხედე, მეიბელ.

— ფრთხილად! არ დაგვინახოს. ჩურჩულით მელაპარაკე.

— ფანჯარა დაკეტილია.

— ნეტა, ფარდებს რად არ ჩამოუშვებს, ასე ჯდომა თუ მოსწონს?!

უდაბნო ბნელი, არსაით ჩქმი,
არც წვეთი წყალი, არც ლუკმა პური...
ირგვლივ კი ბნელი უდაბნო არი!
მეცოდება, ეი, ჯეკ.

— განა თვითონ იტანჯება! როცა ხალხი გიყვარს, მაშინ იტანჯები ხოლმე. რასაც მოიგუნებებს, ყველაფერი აქვს. აბა, შეხედე.

ცეცხლის შუქი სახეზე ეცემა კაცს — ნაკვთებს უნათებს, ყურომალებს, ნიკაპს, გაბრწყინებულ თვალებს, ღიმილს... კატასაც, რომელიც ირხეინად მოკუნტულა თბილ კალთაში. ჭაბუკი და ყმაწვილი ქალი ფანჯარას მოშორდნენ, ერთმანეთს ხელები ჩასჭიდეს და ქეჩის აქეთ-იქით ჩამწკრივებულ ქოხმახებს დაუყვნენ.

ინგლისურიდან თარგმნა **ანა ბანგ ჰელიქემ.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

თადეუშ რუჟევიჩი

ქვითინი

მე თქვენ მოგმართავთ, მასწავლებლებო,
კაპელანებო, მოხუცებო, მსახიობებო,
მეწაღვებო, ექიმებო, რეფერენტებო,
და შენ, მამაო ჩემო, მ ი ს მ ი ნ ე თ!
მე არც თუ ისე ახალგაზრდა ვარ, ნუ დაუჯერებთ
ამ მიხვრა-მოხვრას, გარეგნობას და მოქნილ სხეულს,
ნურც შეცდომაში ნუ შეგიყვანთ და ნურც დაგაბნევთ
და ჩემი კისრის თეთრი კანი ცრემლებს ნუ მოგგვრით.
ნუ აგიჩუყებთ გულს სპეტაკი მაღალი შუბლი
და ნურც ტუჩებზე ღინღლი ბავშვური,
და ნურც სიცილი უცოდველი, უმწიკვლო ბალღის,
ნურც სიარული მიმზიდველი და მოხდენილი.

არ ვარ ყმაწვილი,
დაე, თქვენ ჩემი უმწიკვლობა
ნუ აგაღელვებთ,
ნუ აგაღელვებთ
სისპეტაკე, სიწმინდე ჩემი,
უბრალოება, სინატიფე, ჩემი სისუსტე.

ოცი წლისა ვარ,
ვარ კაცის მკვლელი,
ისეთივე ბრმა იარაღი,
როგორც მახვილი
ჯალათის ხელში.

სისხლში ამოთხვრილ წითელ თითებით
ვეფერებოდი ქალთა გულ-მკერდს,
თეთრს და ქათქათას.
და გარდაქმნილი ვერ ვხედავდი
აქილევსს, ჰექტორს,
ვერც მზეს, ვერც ვარდებს,
ჩიტებს, ბუდეებს, ხეებსა და
წმინდა ფრანცისკოს.

კაცის მკვლელი ვარ.
ადამიანის სისხლსა ვსვამდი
მე ქვესი წელი,
არ მჯერა ღვინოდ გარდაქმნა წყლისა
და მიტევება ზღვა ცოდვებისა,
არ მჯერა მკვდრეთით აღდგომა მკვდრისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჯადოქრის მოწაფე

რად ავახილე ნეტავ თვალები?
მრავალი ფერით, მრავალი ფორმით
მავსებს სამყარო.
ფერს-ფერი მოსდევს
ტალღას-ტალღა
და ფორმას ფორმა.
მაღიზიანებს
მძაფრი სიმწვანე,
ყინულის ბზინვა,
მზის მცხუნვარება
და მაინც მტანჯავს
უკმარობა განუსაზღვრელი.

რად მინდა სმენა?
ჰარმონიული ბგერათა ქღერით
და გარდაცვლილთა ხმებით მევსება.

ყურები ჩემი.
როგორც მინაზე ბასრი ალმასი,
ცრემლი ღრჭიალით სახეს მისერავს;
მკვდარი სიჩუმეც კი ისე მესმის,
ვით დაფდაფების მწყობრი ხმაური
და მე უბედურს, თვით ბალახის
სუნთქვაც კი მესმის.

რად ამოვიდგი ენა ნეტავი?
და ოქროს ფასი მდუმარება
რისთვის დავკარგე.
რას იტყვის ახალს ერთი ყბედი
ჩვენს პლანეტაზე.
საკუთარ თავში რომ ჩავიკეტო
ენა ამოდგმულს,
როდი შემწევს ძალა ჯადოქრის.

ჰ ე დ ე ლ ი

ის კედლისაკენ შებრუნდა და
მაქცია ზურგი.
ვიცი ვუყვარვარ,
მაგრამ ზურგი რად შემაქცია?
თავის ასეთი შებრუნებით
იქნებ სამყაროს
აქცია ზურგი,
სადაც ჩიტების ისმის ჟღურტული,
და მოსეირნე ჭაბუკები თვალწინ ირევა
ათას მყვირალა ყელსახვევებში.

ახლა კი თავად იგი წააგავს
ცივ და მკვდარ კედელს.

ასეც დარჩება.
მობუზული, სუსტი, უმწეო
მჭიდროდ მომუწულ პატარა მუშტით.

და მე კი ვდგავარ
ლოდებივით მძიმე ფეხებზე.
არ მიმყავს ის შორს,
არა ვცდილობ ხელი შევახო,
თუმცა ისეთი მსუბუქი და
ფრთაფარფატაა,
როგორც პეპელა.

კოლონურიდან თარგმნა ჯემალ ჭელიძემ

„ცისკრის“ პუბლიკაცია

შოთა ჩანტლაძე...

ის არ ყოფილა დიდთან-დიდი და პატარასთან-პატარა, რაც დიდ ღირსებად ეთვლება, ვინც ამნაირია, ყველას!

იგი ყველასთან, დიდთანაც და პატარასთანაც. იყო იმხელა და იმნაირი, რამხელაც და რანაირიც იყო თვითონ!

პირდაპირი...

უკომპრომისო...

აი, ორი სიტყვით, შოთა ჩანტლაძის არასრული პორტრეტი.

თავისი ხასიათის ამ ორ ნიმუხს იგი ყოველთვის მკაფიოდ ავლენდა ყველაფრისადმი! — სიტყვა იყო თუ საქმე.

ალბათ ბევრს ახსოვს (ვინც ვერაზე ცხოვრობს) ორი, შუდამ ერთად მოარული ჭაბუკი:

ერთი — ზომაზე მეტად ერძელი თმით (მე).

მეორე — ვიწრო თვალებიდან ჯიუტად გამომზირალი (იგი).

არა მგონია, ჩემმა სიტყვებმა ზოგ მათგანს მაინც არ შეახსენოს (ვინც იმ წლებში— 1947-1955 წწ. — კიროვის ბაღში რამდენჯერმეა შევლილი), ამ ორი ჭაბუკის საათობით ერთმანეთის გვერდით უბრად ჯდომა.

ეზრდებოდით.

ჩვენთან ერთად იზრდებოდა ჩვენს მიერ ლენინის ქუჩაზე ჩაყრილი ჭადრები.

ინგრეოდა ძველი.

შენდებოდა ახალი.

ვაზრდენებდით.

ეზრდით.

ვკითხულობდით.

ვიკითხებოდით.

ვიხსენებდით...

ასე და ამრიგად, გავხდით ორმოც-ორმოცი წლისანი.

უცემ:

— „შოთა მოკვდა!“

გონებაში ერთბაშად იხუელა ყველაფერმა, უკლებლივ ყველაფერმა, რაც კი მასთან ერთად გადამხდომია; — სასაცილო, სამწუხარო, სასიხარულო...

ერთი სიტყვით:

„წ ა ვ ი დ ა თ ო ვ ლ ი დ ა მ ო ვ ი დ ა მ ი წ ა“.

დავრრი უიმაცოდ, ვინც იყო ნაღდი.

პოეტი შოთა ჩანტლაძე ჯერ კიდევ არ გარდაცვლია საქართველოს.

„ამხანაგების ჯგუფმა“ დაპკარგა მხოლოდ.

მაგრამ მისი ამ ლექსების წაკითხვის შემდეგ, შოთა ჩანტლაძე, ვითარცა პოეტი უეჭველად მოუკვდება და გაუჩნდება უფრო მეტს, ვიდრე „ამხანაგების ჯგუფია“.

უპირველესი ღირსება მისი ლექსებისა გასლავთ განწყობილების სიცინცხალე და ჭარბი შუქი.

ამ მოკლე წერილში, რა თქმა უნდა, მე ფიქრად არა მაქვს შოთა ჩანტლაძის ხალასი პოეტური ნიჭით აღბეჭდილი შემოქმედების დაწერილებითი ანალიზი.

ღვთით, ქართულ ლიტერატურულ კრიტიკას არ გაუჭირდება საკადრისის მიზღვა არავისთვის.

რაც ნაღდია, შესაძლოა ძირფესვიანად ვერ გაიგო, მაგრამ, შეუძლებელია არ იგრძნო.

მუხრან მაჭავარიანი

თბილისი, მარტი. 1969

ეროვნული ბიბლიოთეკა

●

წავიდა თოვლი.
მოვიდა მიწა.

1955 წ.

ს ხ ე უ ლ ი

სიმფონია მედიციანური

სხეული ძვალწვრილი.
სხეულში არწივი,
თითები ყანწივით.
წარბები ამწვევი
შუბლისა მაღლა.
სახეზე დაღლა.
ბეჭებში წახრა.
ბეჭები — მკერდიდან სითბოს არ გაშვება.
ბეჭები — სიცივე.

შუბლის შუაზე — ძარღვი გასროლილი, —
ძარღვი — დაუდევარ ყალმის ხეტიალი.
მუხლის თავებზე: ძარღვები თითქო მდინარეები,
რომლებიც ჰლახავენ მთას გადაულახველს,
მერე ეშვებიან დაბლა ჩანჩქერებად.

ძარღვები — სხეულზე ირგვლივ გაფანტულნი,
ყველა მჩინარე და ყველა ავადმყოფი,
ყველა გამოსული სააშკარაოზე.
ძარღვები:
  მდინარეები,
    გველები,
      თოკები,
რომელთაც სწყურიათ სხეულის დაოკება,
სხეულის შეკავებას ცდილობენ ძარღვები,
თითქოს ეშინიათ სხეულის დარღვევის.

ხელები ებრძვიან ერთმანეთს ხმაურით,
მარჯვენა-მარცხენას,
მარცხენა-მარჯვენას,
მარჯვენა-მარჯვენას,
მარცხენა-მარცხენას,
მარჯვენაც იმარჯვებს,
მარცხენაც იმარჯვებს,

ეროვნული ბიბლიოთეკა

მარჯვენაც მარცხდება,
მარცხენაც მარცხდება,
მარჯვენაც არ ცხრება,
    არ ცხრება მარცხენაც.

არის შეჯახება სისხლის ატომების.
და სისხლს კი ძარღვების უნდა დატოვება,
ძარღვნი დაძაგრულან, ვითარცა ძეხვები,
ძარღვნი დაძაგრულან, ვითარცა ბაწრები,
და საქმე ისეა,
  რომ საკმარისია
    შეხება, —
გაწყდება.
სხეული ბორგავს და მწარედ იკლაკნება,
არის გამარჯვება,
    არის დამარცხება
და ბრძოლა არ წყდება
    და ბრძოლა არ ცხრება.

1953 წ.

●

ნაწვიმარია... ვარ მსუბუქი და სხვანაირი.
ჰაერი ისე სუფთაა და ისეა ლაღი,
რომ ეხლა ალბათ ამ ჰაერით სუნთქავს ჰაერი
აღვსებულია სიმწვანით და წვიმებით ბაღი.

ქარმა დააფრთხო ყვავილიდან წვეთები წვიმის,
და მეც სიამით გამაჭრელა, როგორც ამ ყვავილს;
მსუბუქი სევდით შეიცვალა ნაღველი მძიმე, —
და უსხეულო და მარადი მგონია თავი.

ნაწვიმარია.. ვარ მსუბუქი და სხვანაირი.
სევდიან მზერას დავატარებ მიზნის გარეშე...
ო, ეხლა ალბათ ამ ჰაერით სუნთქავს ჰაერიც,
მსუბუქი სევდა გადამიტანს უცხო მხარეში.

ნაწვიმარია... ვარ მსუბუქი და სხვანაირი.
ნაწვიმარია დედამიწა, ცა და ჰაერი.

1956 წ.

●

ირგვლივ გაზაფხულის დღეა მზიანი,
მზე არის ბაღშიც,
და ბაღში დარბის ხუმუტმიანი
პატარა ბავშვი.

ნაზი პეპელა დაეძებდა უნაზეს ყვავილს,
პატარა ბავშვი ეძებს პეპელას...
იგი მივიდა, სადაც თეთრი ყვავილი ჭყვავის —
ყვავილთ მკრეფელად.

შეკრთა პეპელა, — სხვა ყვავილებს მან მიაშურა,
ბავშვმა ღიმილი გააყოლა, ნაზად, ბავშვურად.

ოამამობს ბავშვი, — თითები აქვს მელნიანები,
და ლოყაზედაც ვერ ამჩნევს მელანს,
და დღიურში კი — ორიანები,
თვალებიდან კი — ჭკვიანი მზერა.

თამაშობს ბავშვი, მზე ჩავიდა, აღარსად ჩანდა,
თამაშობს ბავშვი, ბალახებში აგდია ჩანთა.

1956 წ. 15 ივნისი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლ ე ნ ი ნ ი

პოეტმა სამელნე აავსო მელნით
და უნდა დასწეროს:
ლენინ!
თუ როგორ ცოცხლობდა,
თუ როგორ ცხოვრობდა,
თუ როგორ მოკვდა და, თუ როგორ
იცოცხლებს.

ზამთრის სასახლე...
ფიფქი ფანჯრებს ელამუნება,
და სახურავზე დაბინავდა მთელი ზამთარი
ცრემლი გასკდება ძალაუნებურ:

— ილიჩმა სიცოცხლე დაამთავრა.
ქუჩებში თოვლი.
თოვს და ცა ინგრევა.
თოვლია დახვრეტილი ცრემლის
ლურსმნებით.

რადიომ ენა ამოიდგა, —
ხმაურო შესდექ!
ბევრია თვალი,
ასჯერ მეტი კი ცრემლებია!
თვალი-შორეთში დაკარგული, იმედებს
ხედავს!

1952 წ.

გ ვ ე ლ ი

იგი — სიმარტოვე და სიამპარტავნე.
იგი — დაწყევლილი. იგი — მაწყევარი.
და შხამს დაატარებს და ტანს დაატარებს,
მიდის, იკლაკნება, არის გაწყდომაზე.

აი, მან შეიპყრო მსხვერპლი უასაკო,
და მხამით აღავსო პატარა ვასაკა.

თავის მოტრფიალე—მოწყდა და წავიდა,
იგი მისრიალებს და ხატავს თავისთავს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რგოლად დაიგრაგნა, შეჩერდა გრძნეული,
სხეულში ჩაიკრა თავისი სხეული.

იგი იარება, ყოველის მგმობელი,
არვის შეცნობილი, ყოველის შემცნობელი.

1955 წ.

ნუ მიმატოვებ

გულზე წუხილი გადამათოვე,
მიმატოვე და წახველ ერთთავად...
ო, გეფერები, ნუ მიმატოვებ,
ნუ მიმატოვებ, —
შენი ერთა ვარ.

ახლაც გამქრალან სადღაც დიღები
და ღამეები გოლიათობენ...
შენ უძილობა გეადვილება,
მე კი მარტო ვარ, —
ნუ მიმატოვებ.

ივივ ვარსკვლავნი ცაზე ასულან,
ჩე მიეკერიან და შენ განატრობენ...
თუნდაც დაგითვლი ვარსკვლავებს სრულად
ოღონდაც დარჩი, —
ნუ მიმატოვებ.

გულზე წუხილი გადამათოვე,
მიმატოვე და წახველ ერთთავად...
ო, გეფერები, ნუ მიმატოვებ,
ნუ მიმატოვებ, —
შენი ერთა ვარ.

1949 წ.

●

მაღალი მზე, მაღალი არაბი, აქლემი მაღალი,
ზეცა უსასრულო, უდაბნო ულევი, უდაბნო ულევი,
ფიქრთა ქარავანი, ფიქრები დაღლილი,
და ნაფეხურები... და ნაფეხურები,
და ნაფეხურები...

და ნაფეხურები მიდის, იკლაკნება,
როგორც სტრიქონები — ცნობილი ნაკლებად!—
აქ გაიარა კაცმა და აქლემმა.

1953 წ.

●

მაღალი შუბლი, უცხო თვალები,
უცხო თვალები — გაჭრილი ცერად,
სად ოკეანის იყო წვალება
და თვალებიდან მწუხარე მზერა.

მაღალი ყელი, თეორი საყელო,
და ჭლექიანის სათნო იერი...

მისუსტებული ხმით ჩაახველა
და იგრძნობოდა ზღვა სიძლიერე.

ღინჯი ნაბიჯით ქუჩა გალია,
ვამხირთან შედგა უძლურ ხველებით...
ოქვა: რა სივრცეა, რა სიგანეა!
და საკუთარი იგრძნო ხელები.

1952 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მამალი

ირონიული გალადა

სოფელში მამალი ყიოდა უდროო დროს.
მამალი ბოროტი იყო მეტად.
მამალი ყივილით არღვევდა მყუდროებას
და თავს აწონებდა დედალს.

მამლის პატრონი მამალმა გააბრაზა
და დაკლა მამალი პატრონმა
და გლეხის ქოხი და გლეხის დარბაზი
სიხარულისაგან ათრთოლდა.

მამალი გლეხის ქალმა დამდუღრა, გაპუტა,
მამალი გლეხის ქალმა აქნა და გალანცა...
და გლეხის ბუხარი შუადღისას აფუტდა
და ქარმა კვამლი ზეცაში განავრცო.

ოჯახის წევრები ჩამოსხდნენ ჯორკოებზე
და ლობიოსფერი დაიდგეს სუფრა;
თითები ამოქმედდნენ, ვითარცა კოვზები
და სუფრა სუფევდა უბრად.

საწყალი მამლისგან ძვლებიც არ დატოვეს
და სუფრა დატოვეს ბოლოს...
ოჯახის უფროსმა ჩიბუხი დატენა,
ჩიბუხი დატოვა ბოლმა.

და გაქრა მამალი — მყივანი უდროო დროს,
მამალი — ბოროტი მეტად.
სოფელში მშვიდად ეძინა მყუდროებას
და აღარ ეძინა დედალს.

1961 წ.

ლამარა ვეკუა-სანაძე

გ ა ვ ო თ ხ ო ვ ე ბ ა

ფერდაკარგული გოგონა შუა ოთახში შერჩენილა.

შემკრთალი მზერა სიწერ მაგიდას მიაპყრო, მაგიდასთან არავინ იჯდა. რეხი ფარდებით ჩამობნელებულ ოთახში სიწყნარე იყო. ვიღაც თამბაქოს ეწეოდა. შემდეგ ქალის ხმადაბალი საუბარი გაისმა. ქალიშვილს გერმანული არ ესმოდა და დაშაშრული ტუჩები მაგრად მოკუმა. ერთმანეთში გადაჭდობილი ხელები მკერდზე მიიდო. თითქოს ეშინოდა, გულის ხმაურს მდელვარეს არ გაეცა. იდგა ჩუმად და წინ იმზირებოდა.

გამომძიებელთან შეხვედრის მოლოდინი მას მთელი თვე აწვალებდა. ეს შეხვედრაც სხვაგვარად ჰქონდა წარმოდგენილი, — მეუბტებთან, ზარდამცემი ყვირილითა და მუქარით ხვდებოდნენ მის საკანში მყოფ სხვა ამხანაგებს. შემდეგ ისინი მოყავდათ და უკან აღარ აბრუნებდნენ. აქ არაფერი ამის მსგავსი არ იყო. სწორედ ასეთი უხმაურო, შშვიდობიანი მიღება აოცებდა და აშინებდა ზოიას. „ალბათ ვინმე მოღალატეს წამოყენებენ პირზე. იქნებ ხელმოსაბითხავადაა ასეთი ფანდი საპირო“.

ფიქრებით, ეშეგებით, ეულსმოწოლილი დარდით იდგა ქალიშვილი და დუმდა. ამ ოთახში შემოსულთა ბედი მძიმე იყო, უფრო სწორად— გადაწყვეტილიც. ზოიამ ეს იცოდა, მაგრამ თავს ზემოთ ძალა არა იყო, საკუთარ ინსტინქტს უნდა მინდობოდა. თავის ხვედრსა და ტკივილსაც თვითონვე უნდა მორეოდა. აქ მხარს ვერავინ შეაშველებდა. და მან მტკიცედ გადაწყვიტა, ყველა მძიმე შემთხვევაში, უბრალო, არაფრის მცოდნე გოგონად დარჩენილიყო. თუმცა ვერც ასეთი მარტივი ხერხით გავიდოდა ფონს. ეს ხერხი უკვე მოძველებული, ათასჯერ ნაცადი, მტრის მიერ ძირფესვიანად შესწავლილი იყო. მიუხედავად ამისა, დუმილის გარდა სხვა საშუალება ზოიას არა გააჩნდა რა. ერთიანად შეკრულსა და შედეგებებულ ხუთიე კრძნობას ახლა მხოლოდ ერთი ფიქრი, ერთი მიზანი მართავდა. უნდა გაეძლო... უნდა აეტანა ყოველივე...

გამომძიებელს რაღაც რომ ჰქონდა მინიშნებული — ამას იგი ვეშანთან კრძალობდა, სახელდობრ რა? — ეს არ იცოდა. ასე იდგა კარგა ხანს. შემდეგ სული მოითქვა და იქაურობასაც ფრთხილად მოავლო თვალი. მხოლოდ ახლა შენიშნა შავი ლენტით სახეგადასაღტული კაცი. გულზე ზაფრა შემოენთო. „ეს ხომ ობერლეიტნანტი პინტერია, სასტიკი და სისხლმოწყურებული ქონდაქარი“, — ფიქრობდა ზოია და ძარღვები უთრთოდა. გამომძიებელი კი სავარძელში იჯდა და სიგარას ეწეოდა. კრძელი ხელსახვიეთ ფეხი ფეხზე გადადგა და უინტერესოდ ესმენდა ლაპარი, ქერა ქალის ტატნის.

ფანჯარასთან სქელი, ჯორფლიანი ეფრეიტორი იდგა. წითელი თმა საგულდაგულოდ გადაევარცხნა. ფოლადისფერ თვალებს წყრომით ატრიალებდა.

ზოიამ მას მზერა მოარიდა. „ძია მიშაც ალბათ აქ იდგა, ხელებჩამოშვებული“,—თვალწინ ბიძა დაედგა, პინტერის ერთი მსხვერპლთაგანი. იგი უუწყნარი კაცი იყო, სიმართლის მოთაყვანე და ავკაცობის მტერი. თავზსმა სიცერპემ მოკლო, უთხრეს ჯიბისუფალს. და ზოიას სულაც არ გაჰკვირვებია, პატიოსნებას შეზრდილმა კაცმა საშიშროს ღალატს ვაკაცური სიკვდილი რომ ამჯობინა.

ამ კაბინეტში ჩაესაფრდა სიკვდილი ზოიას მეგობარს ბორის ხოსლოვს, დოლუტოვს, კუსაკინს, სხვა ათას ნაცნობსა და უცნობ ამხანაგს. ახლა მისი ჯერი დამდგარიყო. იცოდა, პინტერთან დაკითხვაზე მოსული ტუსაღი ცხოვრების ბოლო საფეხურზე იდგა. მაგრამ არ იცოდა, როდის ან როგორ გამოაცლიდნენ საყრდენს.

ახლა კაბინეტში სიწყნარე იყო. გამომძიებელი ნება-ნება ეწეოდა სიგარას, ქერა ქალი უზრუნველად ხითხითებდა, ფანჯრის რაფაზე დაყრდნობილი ეფრეიტორიც ულმობელი, მარცი თვალებით ქალიშვილზე იყო მიშტერებული. ზოიამ მისდაუნებებოდა ამოიოხრა. ქალიშვილის უწყინარი ოხვრა თითქოს ნიშნი ყოფილიყოს, პინტერი ზეზე წამოდგა.

— იქნებ დაიღალეთ, ფროილინ? — თავაზიანად მიმართა ტუსაღს.

— არა, არ დავდილივარ.

— კეთრ, მოართეი სკამი.

შუა ოთახში ზერგიანი სკამი დაუდგეს. ზოია უხმოდ ჩამოჯდა. „ახლა დაიწყება“, გიფიქრა მან, მაგრამ აწოწილი ობერლეიტენანტი არ ჩქარობდა. ზურგზე ხელებშემოწყობილი კაბინეტში დასეირნობდა. პრიალა ჩექმები გულის გამაწვრილებლად ჭრაჭუნებდნენ. ჭრაჭუნი ერთბაშად შეწყდა. ქალიშვილს თითქოს სხეული გაუშეშდა, სუნთქვა შეეკრა.

— ფროილაინ რუხაძე! ეფექრობ კეთილგონიერებას გამოიჩენთ, ჩვენს საუბარი მშვიდობიანად წარიმართება, — ნაძალადევი თავაზიანობით თქვა გამომძიებელმა და კვლავ აჭრაჭუნებენ პრიალა ჩექმები.

„ახლა კი ნამდვილად დაიწყება“, — გულმა უაზრო ზოიას და ხელი ხელზე მოიჭირა.

— ვინ იყო თქვენი ორგანიზაციის ხელმძღვანელი? თუმცა ეს ვიცით, ვინ დარჩა ამ-ქამად ხელმძღვანელად?

ზოიამ გოიცეზით ახედა. თითქოს ამევარ კითხვას არ ელოდაო.

— მე ორგანიზაციას არ ვიცნობ, — მიუგო მან.

— რას ნიშნავს სპო?

— არ ვიცი.

ბეჭებში მოხრილ გამომძიებელს ზოიამ ქვეშიდან გახედა. უცებ მწარე მოსაგონარმა გულზე ეჩხლეტა და უკან მოახედა.

ეს იყო 1941 წლის ნოემბერი. იმ დღეთ პირველად ნახა ფაშისტი. აწოწილი ეფრეიტორის გამყინავი ხმაც დიდხანს ჩაესმოდა ყურებში — რუსიშ ზოოდატ ესტ?

— ნემა, — გულგრილად მიუგო მოხუცმა ქალმა და ზურგი შეაქცია. ზოია ონკანთან გაქცევედა. ეფრეიტორი მიეახლოვდა და სახეში ჩახედა. ნაცრისფერმა თვალებმა ქალიშვილს თითქოს გული გაუბურღეს. მან სახე მოარიდა, მაგრამ მოსდაუნებებოდა მხეარა ქამრის ბალთაზე გაეყინა. სვასტიკასაც პირველად ხედავდა. მთვრალი ფაშისტი ახლა მკლავზე წაეპრიხინა და უნამუსოდ თვალი ჩაუყარა. ზოია ხელიდან დაუსხლტა და ოთახის კარები გადაარაზა. გრძელფეხება ეფრეიტორმა დადევნება ვერ გაბედა და ავი ბურდღუნით „ეზოდან გავიდა. იმ ავადმოსაგონარი დღიდან მოყოლებული ხშირად უსახავს მეფიდურად მოსეირნე ვერმაინლები, მათ ჩექმებქვეშ ბრაშენებდნენ მინა, ნამსხვრევებში და ჭიროლი თვალების ცეცი მეტრისაგან გული ეყინებოდა.

— რას ნიშნავს სპო? [illegible]

ავად ეზოდა ტუსაღი. ზოიას [illegible] ოთახ-ში მისთვის ეთქვა: „სპო ქალი სიმფეროპოლიაო“. — მაგრამ გულის ხმას არ აჰყვა.

— არ იცით? იქნება შეგახსენოთ? სპო — სიმფეროპოლის ინტაკქეენა ორგანიზაციაა, ხომ მეთანხმებით ფროილინ? — ირონიულად იცინის პინტერი და ავად უელაჭს ცალი თვალი.

— იქნებ ასეა, მაგრამ მე არ ვიცი, — წყნარად უპასუხა ზოიამ.

— სად ბეჭდავდით ამას! — გამომძიებელმა ცხვირწინ ფურცელი აუფრიალა.

— არ ვიცი.

ფანჯარას უცებ მოწყდა ჯორფლიანი თანაშემწე და ზოიას მთელი ძალით გაარტყა. „ასეთებს შეუძლიათ ბავშვებს დახვრეტა“, — გიფიქრა ზოიამ.

— სად იბეჭდებოდა საინფორმაციო ცნობები? — ქუხდა, ხრიალებდა პინტერი და მეუჭეს ურტყამდა რაფაზე.

— სად იბეჭდებოდა არ ვიცი, ჩვენ მას მეორებსა და კედლებზე ვკითხულობდით...

— ვესმით! ეს ქალბატონი ჩვენს საწინააღმდეგო პროკლამაციებს ბურავსა და კედლებზე კითხულობდა. — ახალი ალმოჩენილი ქმაყოფილმა პინტერმა ისტერიულად გადაიხარხარა. მისმა თანაშემწემ ისე გაარტყა ტუსაღს, ზოიაძირს დაეარდა, მაშინ წაბლივე ზედ მიაყოლა. ქალიშვილს ნეკნები ეტკინა, მთნნე წამოხტა და ჯორფლიან თანაშემწეს სიძულველით შეხედა, მას თხელ ტუჩებზე ქმაყოფილების ღიმილი დასთამაშებდა. თითქოს თავის ძლევამოსილებას ზეიმობსო. „ასეთები ხერეტენ ფეხმძიმე ქალებს“.

პინტერი ფანჯარას მოშორდა.

— ქალიან უნდში ხარ, კეთრ. — ყალბი საყვედურით მიმართა თანაშემწეს, — დაბრძანდით ფროილინ, — ასევე თვალთმაქცურად მიუალერსა ქალიშვილს.

ზოია მოწყენილით დაჯდა.

— სადაა სტამბა?

— არ ვიცი, — თქვა და ტუჩ-ბალიდან გამონაკონი სისხლი გადაყლაპა. მლაშე სითხემ სძაგელი გემო დაუტოვა პაპრში.

— თუთიაეფშიეთ ერთსა და ორივეს ეუ იმეორებ. შენ იცი, შენ ყველაფერი იცი და უსდოთქვა. გულახდილობა სიცოცხლის გარანტიაა, სიცოცხლე კი შენისთანა ახალგაზრდებს უყვარო, გაუფრთხილდი მას, თქვი სიმართლე.

ზოიას პირი ისევ სისხლით აევსო, სული შეეკუმშა, დიდრონი თვალები გაუფართოვდა: „სამშობლოსა და მეგობრებს ვერ ვეღალატებ“.

— გაბედე, გაბედე და თქვი ყველაფერი, გბრძდები — არ გიგდებ[illegible]

ზოიამ გამომძიებელს ახედა. ეს მგლური სიფთი და ზიზღმომდგარი ტუჩები ასე ახლო ჯერ არ ენახა და შეკრთა.

— მე არაფერი არ ვიცი, ბატონო ობერ-ლეიტენანტო, — თქვა წყნარად.

გამომძიებელი მრისხანებისაგან გაფითრდა.

— წადი, ხვალამდე დროს გაძლევ. იფიქრე, გულდასმით იფიქრე და გადაწყვიტე. ხვალ ამ კაბინეტიდან გათავისუფლდები ან ორმაში ჩაგგდებენ.

ზოიამ თარჯიმანს გულგრილად მოუსმინა და ესწრაფად წამოდგა. კარებთან მებადრაგე ელოდა. ჰინტერმა ცალი თვალის მრისხანე მზერა გააყოლა. მიხვდა, რომ ამ განსლეულ გოგოს მოთრგუნვას იგი ვერ შესძლებდა და ალესილ ბოლმა გული დაუტიალდა.

ზოიას დერეფაში თავბრუ დაეხვა, წამით კედელს მიეყრდნო.

— ჩქარა... ცოცხლად. განა პარკში მისეირნობ! — აუფრანდა მცველი. თან კარაბინის ლულით უბიძგა. ქალაშვილი უსიტყვოდ დაყვა მის ბრძანებას. ფეხს აუჩქარა. როგორც იქნა, გრძელი ტალანი გაიარეს, ქვის კიბეებიც ჩაათავეს და ეზოში გავიდნენ. ხელისგულის ოდენა მოეფანი გზაფფულის ზზით იყო სავსე. ზოიამ ოდნავ მოჭუტა თვალი და ყველე შეანელა ნაბიჯი. მის ნაცემ-ნაბეგვ სხეულს მზე ათბობდა, ეალერსებოდა. და ისიც ცდილობდა, რაც შეიძლება მეტხანს დარჩენილიყო ცისქვეშ. თუმცა ახლა ბუნების სიმშვენიერით სულაც არ ტკბებოდა. აიც ს

თაფლისფერი თვალები ჩაუმექცა, ჩაფიქრდა. ვერ გადაეწყვიტა, საყვარელი ადამიანისათვის გულახდილად მიეწერა ყველაფერი თუ, რამდენიმე დღით იმედი გაეხანგრძლივებინა? ორმოცი ფიქრები ჩქარა მოიშორა, რადგან სიკვდილის წონ, ყველაზე ახლობელ ადამიანს ვერ მოატყუებდა, თავის უკანასკნელ სიტყვას, სულის უკანასკნელ ამონაძახს ვერ შეალამაზებდა. გადაწყვიტა, როგორც ყოველთვის, გულახდილი ყოფილიყო, თავისი დიდი სატკივარი დედისათვის ეთქვა. და მან დაიწყო წერა.

„დედა! მოიკრიფე მთელი შენი ძალა, შენი სიყვარული ჩემდამი და გაუძლეები. ჩვენ ვერაფროდეს ვნახავთ ერთმანეთს. გწერ ამას ფაქი, შენს ტკივილს საკუთარ ტკივილად ვგრძნობ. დედა! მომეხმეს, ძალიან მომძიმს, მაგრამ ეს ასე იყო საჭირო. და მე არ მეშინია. დამიჯერე, ჩემ შინაგან ნატანჯლიც კარ ირის. წუდან კიდეც გავიღიმე, მეგონა ასეთი რამ აქ შეუძლებელი იქნებოდა და მე მაინც გავიღიმე. ეს მოხდა მაშინ, როდესაც გოგოებმა საკაბში „სულიკო“ იმღერეს. ისინი ამას ჩემთვის მღეროდნენ და ეს მზის შუქივით მთბობდა. ეიწეკი და მზით გახსივრსნებულ, დიდებულ ქალაქს ეხედავდა. ქალაქს, რომლის მსგავსი ჩემთვის სხვა არ არსებობს და რომელსაც მე ვერასოდეს ვერ ვნახავ, მაგრამ ვიმეორებ — ეს ასე იყო საჭირო.

დედა! შენ ეტყვი ჩემს მეგობრებს, რომ ფიცისათვის არ მიღალატნია, შენ ეტყვი ყველას, რომ სიკვდილის წინაც სამშობლოს ერთგული დავრჩი. გახსოვდეს შენი ზოიაო.

ბარათი გადაუკითხავად დაკეცა. მასზე მისამართად ერთად დედის სახელი ლამაზი ასოებით გამოიყვანა და ჩაფიქრდა. სიკვდილის სიახლოვე, მისი გამყინავი სიცივე, უკვე მთელ სხეულში ჰქონდა გამჯდარი და მაინც ვერ შეგუებოდა იმ აზრს, რომ ვერასოდეს ნახავდა დედას, რომელიც ყველაზე მეტად უყვარდა ამ ქვეყნად, ვერასოდეს მისწერდა ბარათს, ვერ იფიქრებდა, ვერ იზრუნებდა მასზე. ყველაფერი ეს მწარე და ძნელი დასაჯერებელი იყო... ახლა იმაზე ზრუნავდა, როგორმე ბარათი სამიფოდ დაეტოვებინა, რომ გამოსაზოგარი სიტყვა შშობლოსათვის მიეწერდინა, თუმცა ეს სიტყვა ლოდნინთ დაზაფრულ დედას ტკივილისა და საწყრის მეტს ვერაფერს მისცემდა. მან ლოყა ხელის ნებს დააყრდნო, ამხანაგებს გადახედა და უცვე რადაც მოაგონდა, ფეხმძიმე ქალს გვერდით მიუჯდა.

— ლუდა! შენ ალბათ წახვალ სახლში. ამბობენ, ალუაში შემოხვევით მოხვედრილებს ათავისუფლებენო; თუ წახვიდე, გამიწეი მეგობრობა, ეს ბარათი როგორმე აქედან გაიტანე და დედაჩემი ნახე...

— ზოია, საყვარელო! ნეტავ გამაორდეს შენი სიტყვები და ამ თხოვნას როგორ არ შეგასრულებ? — თქვა ქალმა და ატირდა.

— კარგი, ტირილი რომ შეგაძლია, ცრემლები გულს შვებას აძლევს, — ღრმად ამოოხრა ზოიამ და ამხანაგს ნაღვლიანად გაუღიმა.

შუადამე გადავიდა. დაეძინა ქალაქი. ბინდი, მოუსვენარი ძილით ეძინათ პატიმრებსაც. არ ეძინა ზოიას. მისი სმენა მტკივნეულად იჭერდა ღამის ჩქამს. აქა-იქ კაკანებდა ავტომატი, შორს გრუხუნებდნენ ქვემეხები. ცარიელ ქუჩებში დახრიგინებდნენ სატვირთო მანქანები და სადღაც გულშემზარავად ყმუოდა ძაღლი.

ყველაფერი ეს მოუსვენარ და ძმიმე ბირთვად იკერებოდა, იგრაგნებოდა და ზოიას ისედაც ნაღვლით გატენილ გულს ძმიმედ აწვებოდა. დასასრული ახლოვდებოდა. ამას თვალნათლივ გრძნობდა. იცოდა, დღის შუქს სიკვდილი და წამება მოჰქონდა. მოუხდებოდა ამისა, იმედი მაინც ნაცარში ჩაყრაფულ ნაპრწყალივით ბეუტავდა, ოცნებით ქვეზე ამოსულ ლიქენს ეკუთვნოდა, რადგან ახალგაზრდა იყო და სიცოცხლე სწყუროდა. მაგრამ, მოხდებოდა კი რაიმე სასწაული?

— ხვალ გათავისუფლდები, ან ორმოში ჩაგგდებენ, — ეს მწარე სიტყვები ზაფრასავით უვლიდა გულზე.

წინათ სიკვდილი ცხრა მთას იქით ეგონა. ეს ვინ ფიქრობდა, ვინ ახსენებდა სიკვდილზე? ყველგან სიცოცხლე ზეიმობდა; და ეს სიცოცხლე უსასრულო ეგონათ, შემდეგ რა მოხდა? რომ გადაბანილნი ქვეყანას პასუხს ყველა თავისებურად ფიქრობდა. ზოიაც ფიქრობდა, კაცთმოძულეობის სტენიერმა უბედურებამ. და ქალმოძრკობის საზარელ მანქანას თვალნათლივ ხედავდა, რომელმაც უთანალავი სიხარული და დაუკმაყოფილებელი სურვილი ჩაბარა ქვესკნელში, გადაჩეხა ფრიალოებიდან, დაწვა და აიფეთქა. ეს ეშვაბი თავის ბნელ საქმეებს დღესაც აგრძელებდა. თუმცა მისი ბოსასრული სადაცაა უნდა დამდგარიყო, მაგრამ ზოია ამ სიხარულს ვერ შეეხარებოდა, რადგან ცალთვალა ქონდაქარმა თვალწინ დაუყენა სიკვდილი და ყველაფერი ეს ისე უბრალოდ, ხელის ერთი დაკვრით გადაწყვიტა, თითქოს სიცოცხლე მისი ნაბოძებ-ნაწყალობევი ყოფილიყო.

მთელი ღამე ფიქრებსა და აზრთა ჭიდილში გაატარა. როცა განთიადმა შემოანათა და ფერმკრთალ ცას სილურჯე დაუბრუნდა, თავიდ მძიმე ხვედრისთვის ზოია უკვე მზად იყო. ღამე ნაღველი, მთელი დღეღამე წყალსასრეტ ღრეჩოლიეთ გულზე რომ აწვა, სხეულმა თითქოს შეიწოვა. და ახლა შედარებით მშვიდად გრძნობდა თავს. არე ბეღს ემდუროდა. იცოდა, სამშობლოსათვის უნდა მომკვდარიყო. მისს საზრუნავი ახლა მხოლოდ ის იყო, რომ სასულელ მტერთან ძალას არ ეღალატნა. წამებაე ვეკაცურად გადაეტანა. მისი ამაყი ბუნებისათვის სულიერი სიძაბუნე უცხო იყო. „სძლიე სი-

ნუტუტს, შენი საქმით... რწმენით... იყავ ამაყი... ეს იყო მისი გულის სამღერალი წინათაც... ღღეს ეს სიმღერა განსაკუთრებით სჭირდებოდა... მეტს არ უნდა ეზეიმა მასზე გამარჯვება. ამას არ დაუშვებდა იგი, არ გახარებდა მოძალეფეს, რადგან მთელი გულით სძულდა ცხარ ბოძს იქიდან მოხეტებული მოძალადენი.

დილადილით საკანში ხანდაზმული მანდილოსანი შემოიყვანეს და გამხდარმა, შიშისაგან ვათანგულმა ქალმა მათთან ამბავი მოიტანა.

— ქეიფზეხის ხმა არ გესმით? ეს ჩვენი ჯარია, ისინი სულ ახლოს არიან. ამბობენ, სამ დღეში ქალაქი თავისუფალი იქნებაო.

ბედნიერებისა და მოულოდნელობისაგან წამით გაირინდა, დაიძახა საკანი. ამ დალოცვილ ცნობამ სამი წელიწადი ელოდნენ. სამი წელიწადი სული კბილით ეჭიროთ ფა სანატრელი დღე აგერ, გაზაფხულს მოყვებოდა თურმე. უცად ახრიალდნენ, ატირდნენ, ერთმანეთს გადაეხვევნენ ქალები. კარს მომდგარ ბედნიერებას ვერ იტევდა საკანი და კედლებზე გაასმა კაკუნი. სიხარულს ცოხის ყველა კარი უნდა შეეხსნა, გავთბო, გაეშხნევებინა ტუსაღები.

— მაგ სოსლინსმანელებს თავებს გაუშეკვავენ, კბილებს დაავრობენ ჩვენი ჯარისკაცები, — გულში დაგუბებული ტკივილს იქარვებდა ფაშისტების შიერ კბილებაჩამტვრეული ქალი.

— გარეთ დიდი ორომტრიალია, ცოდვიანები ჩუმად მიიპარებიან ქალაქიდან; ვინც რჩება, ფეთანიივით დარბის. ყოველ ფეხის გადაკვმაზე უდანაშაულოდ ჰკლავენ ადამიანებს, — კისრის ძარღვები უთრთოდა ქალს.

კვთილ მაცნეს ზოია სახეში მიაჩერდა, თავის ცხოვრებაში ამაზე სანატრელი და გასახარისი არაფერი გაეგონა. ვინ იცის, იქნება ჩვენებს მოესწრონთ და... სიკვდილმისაჯილი შეშფოთებულ სინამდვილეს გაქცეოდა. საღღაც იქიდან შექმა ყველ გაკვეთა. სურდა ამბის მომტანისთვის ეთხოვა, თავიდან მოჰყვეა ყველაფერი და კიდევ ერთხელ გამახარეო, მაგრამ ვერ გაუბედა.

— შვილო, რად გაქვს თვალის უბეები აყრე დალურჯებული, ნეთუ ბეღელს მაგ უღმერთოებმა?

— ეგ არაფერია დედა, — წყნარად მიუგო ქალიშვილმა, — ახლა მთავარია ჩქარა მოვიდნენ ჩვენები და... — სათქმელიც ვერ დაამთავრა, რომ კარი გაიღო.

— რუხაძე, მოემზადე — მცველს მიეკოტიკეთ ჯამყინავი ხმა ჰქონდა.

ზოია მზად იყო და ძმიმედ წაეიდა გასასვლელისაკენ.

— ამა, ყოჩაღად, ჩვენო კარგო ზოია, — მიაძახეს ქალებმა. ქალიშვილი შემობრუნდა, ამხანაგებს თვალი მოაკლო:

— დღეს ათი ამრიელია, ორ-სამ დღეში კი სანატრელი თავისუფლება მოვა თქვენთან, — ამაყად თქვა და გავიდა.

ზოია სარდაფში ჩაიყვანეს. დახუჭულ თვალებ-ში ტისიატკიან ოთახში ციოდა. ჭერიდან ვაზივით ბელი, ჟანგაროსფერი ამაყურდანაც მურთალად იფრქვეოდა შუქი. ამგვარი მიღების ზნეშენლობას უმალ მიხვდა ზოია- და კუნთები აუთრთოლდა, თუმცა ასეა საჭირო იყო ნებისყოფის დაძაბვა, რომ შინაგანი სისუსტე არ გაემჟღავნებინა.

ჰიტლერთან დღესაც იყენენ თარჯიმანი და წოლელთმიანი თანაშემწე. გამომძიებელმა ცივად ანიშნა ტუსაღს, დაჯექეო, და მაშინვე საკმაზე გადავიდა.

— გუშინ გაგაფრთხილეთ, ახლა პასუხს ვეღი, ბე სიტყვის კაცი ვარ, — კოხივით ციოდა მეუქარის სიტყვები და თარჯიმანი ღეკავდა ნათქვამს. ზოია ჩუმად იყდა და სიკვდილ-სიცოცხლის შესაყართან თავის მდგომარეობას მისხლობთან წონდა, უკანასკნელი ვალის მოსახდელად სულიერად ემზადებოდა.

— მოყვეთი, ფროილანნ, თუ როდის დაიწყეთ იატაკქვეშ მეშაობა, რა დავალებას ასრულებდით, ვინ იყვნენ წევრები, ან ვინ გაყვეთათ ხელმძღვანელი? გიმეორებთ, გულახდილობა სიცოცხლისა და თავისუფლების გარანტიაა!

— მე არ ვყოფილვარ ორგანიზაციის წევრი, არც სხვებს ვიცნობ, — წყნარად თქვა ისე, რომ იატაკასთვის თვალი არ მოუცილებია.

— შენსას არ ეშლი ხომ? დაადეთ ბორკილი ხელებზე!

თანაშემწემ კარადიდან წინასწარ მომზადებული, ალუმინის ბსხეული მავთული გამოიღო და გამხდარ მაკრებზე მთელი ძალით დაფაფუტრა, რომ არ დაეკვნესა, ქალიშვილმა მხრები აწურა, ტუჩს კბილი დააჭირა.

— ვინ იყო ტყეში პარტიზანულებთან მეკავშირე?

— არ ვიცი.

— შემოიყვანეთ ბიერგერი, — ბრძანა ჰინტერმან და სარდაფში პირპრტყელი, ქოსა კაცი შემოიყვანეს. იგი ბრძანების მოლოდინში ობერლეიტნანტს მიაჩერდა.

— ფრაუ... მარია! უკანასკნელად გაფრთხილეთ, თუ არ იტყვეს სიმართლეს, იგი ახლავე დაბრმავდება, — თქვა ჰინტერმა და დიდლასკიას ზურგი შეაქცია. ზოიამ შუქიანი თვალები თარჯიმანს მიაპყრო, შემდეგ სათითაოდ შეათვალიერა იქ მყოფნი და მოგუდული ხმით დაიჩურჩულა.

— თვალებს დამთხრიან?

— ჰო, თვალებს დაგთხრიან, ცოდო ხარ, ამ

ლამარა გვაზავა-სანაძე
ბაგოთხოვგა

წამებას გულახდილობა გირჩევნია. ბატონი ობერ-ლეიტენანტი მოწყალეა, სიცოცხლეს უთუოდ გაჩუქებს, თავისუფლებასაც, არ გინდა ქუჩაში გახვიდე, წახვიდე შენს სახლში, ისეირნო ჩვენს ლამაზ ქალაქში? — თარჯიმანმა ეს დათქოფლა. ზოიას სძულდა ეს მოდალატე, ფაშისტების ყურმოჭრილი გოშია. ფუნთუშებსა და აბრეშუმის საცვლებში რომ გაყოდა ყველაფერი დამამანერი, ზიზღით უყურებდა ზიზღიპიპილოებით მორთულ ქალს და მის სიტყვებს ყურს არ აკარებდა.

— მე სათქმელი არაფერი მაქვს, — მტკიცედ თქვა და ხელებშებორკილ წინგადმოყრილი თმა რომ სახიდან მოეშორებინა, თავი გააქნია, მაგრამ ჯიბრზე უფრო ჩამოფანტა, ხელებაც აუტყდა. ჰინტერი ქუსლზე შეტრიალდა.

— თუ თმა გიშლით, მე მოგაშორებთ ფოლიანს! — გამომძიებელი თმაში ჩაფრინდა და ტკივილისაგან სახეშეკეცილი ქალიშვილი ძირს დაანარცხა. ლავიშს ძალმა ემეტაზე ტკაცანი გაადინა. გამწარდა, გაცეცხლდა ზოია. წაიფორხილა, ადგომაც დაიპირა, მაგრამ ხელებგადაგრეხილმა ვერ აზიდა ტანი. მაშინ სისხლწაყინულ მაჯებზე ხელი წაავლო თანაშემწემ და ტკივილისაგან ჩუმად დაიკვნესა ქალიშვილმა.

— დაკვნესეთა ახლა ნახე, ჰინტერმა ქოსა ჯალთს უბრძანა, თითები გადაუმსხვიერეო.

ამჯერად გულწასული ტუსაღის მოსულიერება ვედრო წყლით ვერ მოხერხდა და ეკმის უხმეს. წამლეთმა გინს მოსული ქალიშვილი სკამის საზურგეს მიაკრეს. მის სველ სახეს შუქი ეცემოდა, წყლის წვეთები მძივებად ეკიდა თმებზე, წამწამებზე. ჰინტერი სახეში ჩაეშტერდა, ცრემლებს ეძებდა. ზოია არ ტიროდა!

— ხედავთ, ფროიალინ! აგერ ორი დღეა კუკუმალობანას ვთამაშობთ, ახლა უკვე საქმეზე გადავალთ. ალაბარაკდები ან დაბრმავდები, სადაა იატაკქვეშეთის შტაბი?

„შტაბში ჩემი მეგობრები მუშაობენ, მათი ხელის შეშლა არ შეიძლება“ — თითქოს ყვიროდნენ ზოიას თვალები. თვითონ ღუმდა.

— იტყვი, სადაა ბებერი ხელოსნის ადგილსამყოფელი?

„ივანე კოზლოვზე მეკითხება, ჩვენი ორგანიზაციის მამაზე. იგი თავის საგუშაგოზეა, მე ვერც მის ადგილსამყოფელს მიგაჩვენო“, ფიქრობს ზოია და ჩუმად, ძლივს გასაგონად ამბობს:

— არ ვიცნობ ბებერ ხელოსანს.

ჰინტერი უთარეშმოდ მიუხედა ნათქვამს და გამძეინვარებულმა შთელი ძალით გაარტყა სახეში, ქალიშვილს თვალი დაუბნელდა. სკამზე მიკრულმა თავი ჩაჰკიდა. პირიდან წამოფეთქილიდან ... ... ალდა სისხლი...

— იქნებ, ახლა მაინც მოგიგონია?

სიტყვაძერი ქალიშვილი მართლაც მოვიდა გონს, ალაბარაკდა კიდეც...

— მეზობლებით... ქვეყნად ყველაზე უფრო მეზობლებით... კაცებმანა ფაშისტებმა... თქვენი აღსასრულიც დამდგარია... ჩვენები ხვალ აქ იქნებიან, — ნაწყვეტ-ნაწყვეტად ამოთქვა...

— დათხარეთ თვალები, — ზარდამცემად დიყვირა ჰინტერმა და ქოსა ჯალთი შავ სქმეს შეუდგა. ქერა ქალმა პირი კედლისაკენ მიაბრუნა. ზოიამ იკიცხა და ცემენტის იატაკზე ვინმეა დგფფანი... კაცკაც მოასულიერეს. მარჯვენა ფოსოდან წამოთქრიალდა სისხლი. სისხლი მოდიოდა პირიდან, ყურიდან, ცხვირიდან...

— კიდევ გაქვს დრო, — თვალმოცლილ ღრმეულს ბორბლი აღგზნებით ჩაჰვდა ცალთვალა გამომძიებელმა.

— სისხლი სისხლის წილ, — ასე ვეტყვიან ჩემი ბერქვეშეული ამხანაგები, ჯალთო ჰინტერ!— ამოიგებინა ქალიშვილმა და სახეში მიიფეთქა ობერ-ლეიტენანტს მწვანე მუნდირის გულისპირი სისხლით დაედოვნა.

თარჯიმანმა კვლავ მიაბრუნა სახე და მის მკლავზე ქერა ბუსუსები ინბერძალნა. ვინმეა მოგიდოცა კიბეი და გრძნობადაკარგული ტუსაღი სკამთანად დავარდა. ქოსა ბიუგგრამ თოკი შეხსნა, სკამი მოაცილა, ხოლო ქალიშვილი სისხლის გუბეში ჩატოკა. მისი მოსულიერებაც უკვე ადარ იყო საჭირო; ახლა ობერ-ლეიტენანტი ბრძანებდა: — ორმაში ჩაავდეთო, და სამქმეც ამით დამთავრებოდაო, მაგრამ ცალთვალა ქონდაქარი სიტყვას აყოვნებდა. წამებული ნიკაბი დაუგრძელდა, ტუჩზე დუქი მოადგა. მრისხანე ჰიტლეროელი თავის დამარცხებასა და უძლურებას ვერ შეგუებოდა, იგი ბორგავდა, ბრდღვინავდა... შემდეგ ჯარში მუშტები შემართა და ისტერიულად შეკივლა.

— მოაჭერი ტუჩები!.. ტუჩები, რომელთაც დიდი იმპერიის არც ერთი მტერი არ გასცა!.. და ზოიას მოაჭრეს ტუჩები!..

გარეთ თქოროვდა, ხეებზე სკდებოდნენ გაზაფხლის კვირტები. დუბკისაკენ მიჰქროდა სატვირთო მანქანა. მის ძარაზე დგაფუნებდა ცოცხალქეციანი სხეული და გადაჩეჩილი ასაფლუტზე მოწყვეთავდა სისხლი. ქალაქის მისადგომებთან ძლიელი ფაშისტები უკან იხევნენ, იხევდნენ და მათ სისხლიან ნაფეხურებს რეცხავდა აპრილის წვიმა...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლევან ჩანგლაძე

ლიტერატურული ხერხები «მატერიალიზმსა და ემპირიოკრიტიციზმში»

1908 წლის გაზაფხულიდან შემოდგომამდე, ბრიტანეთის მუზეუმის მყუდრო სამკითხველო დარბაზში, თოქმის ყოველდღიურად დადიოდა უცნობქვეყნული კაცი, რომელიც დილიდან სალამამდე თავაუღებლად კითხულობდა. ამ ტანმორჩილმა, სამმაოიური გარეგნობის რუსმა, სულ რამდენიმე თვეში, ორასზე მეტი წიგნი დაკონსპექტა, ასობით საეტრანალო და საგაზეთო სტატია წაიკითხა. მერე დაჯდა და წერას შეუდგა. წერდა სწრაფად, გატაცებით, ხშირად წყლის დასალევად ადგომაც აივიწყდებოდა. ოქტომბრის ერთ ნისლიან საღამოს კი უკანასკნელი წერტილი დასვა, გრდიგარდმო დაწერილ-გადასახული ფურცლები საქაღალდეში ჩაიწყო, იღლიაში ამოიდო და დარბაზის კარი გამოიხურა.

ასე დაიწერა „მატერიალიზმი და ემპირიოკრიტიციზმი“, მარქსისტულ-ლენინური ფილოსოფიის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ნაწერობები. პროლეტარული პარტიის ბელადს, ვ. ი. ლენინს, ამ წიგნის უმოკლეს ვადაში დაწერას და გამოქვეყნებას იმ პერიოდში არსებული სიტუაცია კარნახობდა.

„ჩემთვის უკიდურესად მნიშვნელოვანია, — წერდა ლენინი თავის დას, ა. ი. ელიზაროვას, მოსკოვში, 1909 წლის მარტში, — რომ წიგნი სასწრაფოდ გამოვიდეს, მე მის გამოსვლასთან არა მხოლოდ ლიტერატურული, არამედ სპრინზული პოლიტიკური ვალდებულებები მაკავშირებს“[1].

თუ რას წარმოადგენდა ეს ვალდებულებები, კარგად ჩანს ვ. ი. ლენინის წერილში გორკისადმი, რომელიც 1908 წლის 25 თებერვლითაა დათარიღებული: „ახლა გამოვიდა „მარქსიზმის ფილოსოფიის ნარკვევები“. მე ყველა სტატია წავიკითხე, გარდა სუვოროვის სტატისა (მას ვკითხულობ) და ყოველი სტატიის წაკითხვის შემდეგ აღშფოთება მიპყრობდა. არა, ეს მარქსიზმი არ არის! როგორ ეფლობიან ჭიაზმი ჩვენი ემპირიოკრიტიკოსები, ემპირიომონისტები და ემპირიოსიმბოლისტები. არწმენო მკოხველი, რომ გარე სამყაროს რეალიზმის „რწმენა“ „მისტიკა“ (ბაზაროვი), ყველაზე უხეიერად აერია ერთმანეთში მატერიალიზმი და კანტიანელობა (ბაზაროვი და ბოგდანოვი); იქადაგო ნაირსახეობა აგნოსტიკიზმისა (ემპირიოკრიტიკიზმი) და იდეალიზმისა (ემპირიომონიზმი), — ასწავლო მუშებს „რელიგიური ათეიზმი“ და ადამიანის უმაღლესი პოტენციების „გაღმერთება“ (ლუნაჩარსკი), — მისტიკად გამოაცხადო ენგელსის მოძღვრება დიალექტიკის შესახებ (ბერმანი), — ისარგებლო ყოროლებული წყაროთი ვიღაც ფრანგი „პოზიტივისტებისა“ — აგნოსტიკოსებისა, თუ მეტაფიზიკოსებისა, ეშმაკსაც წაუღია ისინი, „შემეცნების სიმბოლური თეორიითერთ“ (ილუჟეანი). არა, ეს უკვე მეტისმეტია. რთქმა უნდა, ჩვენ, რიგითი მარქსისტები, ფილოსოფიაში ნაკითხი ხალხი არა ვართ, — მაგრამ ასე რად უნდა გვაწუენინონო, რომ მსგავსი რამ მარქსიზმის ფილოსოფიად შემოგვასაღოთ! მე მიჯობს ხელ-ფეხი დამაბრან, ვიდრე დავთანხმდე იმ ორგანონში, ან კოლეგიაში მონაწილეობაზე, რომელიც ასეთ რამეებს ქადაგებს[2].

ამ სტრიქონებში ნათლად იგრძნობა ის შეშფოთება, რომელსაც იწვევდა მახინტერი სულისკვეთებით გაჟღენთილი ლიტერატურის მომძღვრება. მთავარი საშიშროება ის იყო, რომ იდეალისტურ, აგნოსტიკურ დებულებებს მკითხველს სთავაზობდნენ, როგორც მარქსისტული ფილოსოფიის უახლეს მიღწევებს. ამ ტენ-

[1] Ленин — Материализм и эмпириокритицизм», 1946 г., стр. 322.

[2] ლენინი — თხზ. ტ. 13, გვ. 567-8.

დენციას შეეძლო არეფდრეკა შეეტანა იდეოლოგიურ ფრონტზე და გამოუსწორებელი ზიანი მოეტანა პროლეტარიატის რევოლუციური ბრძოლისათვის. სწორედ ამიტომ გახდა სასწრაფო ღირსეული პასუხის გაცემა რუსი მახისტებისთვის...

1909 წლის მაისში, მოსკოვის გამომცემლობა „ზენონმ", გამოსცა ვ. ი. ლენინის წიგნი „მატერიალიზმი და ემპირიოკრიტიციზმი, კრიტიკული შენიშვნები ერთ რეაქციულ ფილოსოფიაზე".

ეს იყო მახიზმისა და ემპირიოკრიტიციზმის და მათი რუსული ნაირსახეობის გამანადგურებელი კრიტიკა. ლენინმა დიალექტიკური მატერიალიზმის პრინციპული პოზიციიდან დასცხო რევიზიონისტებს, გააკიმტვერა მახიზმი, გამოაშკარავა მისი რეაქციული ბუნება და რუსი მახისტების მიერ რევოლუციური მარქსიზმისათვის ზურგის ჩვენება.

„მატერიალიზმი და ემპირიოკრიტიციზმი" პრობლემატურად მრავალფეროვანი, პოლემისტური სულით ღრმად გაჟღენთილი ნაწარმოებია. ჩვენს მიზანს არ შეადგენს ამ წიგნის ფილოსოფიური და პოლეტიკური შინაარსის განხილვა. ჩვენ გვინდა მოყოლად შევეხოთ მის, ერთ მხარეს: ლიტერატურული, მხატვრული ხვრეტების გამოყენებას.

ვ. ი. ლენინ, საერთოდ, და მითუმეტეს, ასეთ პოლემისტურ წიგნში, ხშირად იყენებს მხატვრულ ხერხებს, რომლებიც გარდა იმისა, რომ ლიტერატურულ ღირსებებს მატებენ ნაწარმოებს, შესამჩნევად აძლიერებენ მოწინააღმდეგისადმი მიმართული კრიტიკის ძალას, ცხოველმყოფელობას.

„მატერიალიზმსა და ემპირიოკრიტიციზმში", მეოხედადად მასში განხილული საკითხების უადრესად დიდი სირთულისა, თითქმის ყოველ ნაბიჯზე გვხვდება მხატვრული შედარებები, მეტაფორები, ჰიპერბოლები და ლიტოტესები, ირონია, სარკაზმი, გროტესკი, გვხვდება კლასიკურ ლიტერატურულ სახეებთან პარალელები და სხვა.

ყოველი მათგანი თავის ადგილზეა და ერთ, წინასწარ დასახულ მიზნს ემორჩილება. ვ. ი. ლენინის ეს ღირსება იძულებულია აღნიშნოს ვ. ზენკოვსკიმ, პარიზის ღვთისმეტყველების მართლმადიდებლური აკადემიის თეოლოგიის პროფესორმა:

«Все усилия проницательного, настойчивого ума Ленина были направлены на сведение всех идей и теории к одному пункту, который был для него центральным, отвергая все, что нарушало гармонию и не подчинялось этому пункту»[3].

ლენინი არასოდეს არ იყენებს თვითმიზნურად, მხოლოდ ცარიელი ეფექტისათვის, მხატვრულ ხერხს, მას ყოველთვის გარკვეული, ნათელი ფუნქცია ეკისრება. გავიხსენოთ, რა, შვეიცერიად, ხატოვნად ახასიათებს „ბერლინ ტოლის შემოქმედების ორაზროვნებას" ლენინი სხარტი ფრაზით:

«С одной стороны, гениальный художник, давший не только несравненные картины русской жизни, но и первоклассные произведения мировой литературы... с другой стороны — помещик, юродствующий во Христе. С одной стороны, замечательно сильный, непосредственный и искренный протест против общественной лжи и фальши, — с другой стороны, «толстовец», т. е. истасканный, истеричный хлюпик, называемый русским интеллигентом, который публично бил себя в грудь, говорит: «я скверный, я гадкий, но я занимаюсь нравственным самоусовершенствованием, я не кушаю больше мяса и питаюсь теперь рисовыми котлетами»[4].

ლენინი ხშირად იყენებს მოწინააღმდეგის მიერ ნახმარ სიტყვას, ან გამოთქმას მისივე გაქარწყლების, ან დაცინვისათვის. „მატერიალიზმისა და ემპირიოკრიტიციზმის" წინასიტყვაობაში მას მოაქვს ლუნაჩარსკის ფრაზა, შეიძლება ჩვენ (მახისტური კრებული ავტორები) ვცდებთო, მაგრამ ვეძიებთო. ლენინი კარგად იმარჯვებს ამ ფრაზას და ეკიდება სიტყვას: «ищем»[5]. იგი ასე ამთავრებს წინასიტყვაობას:

«Но Луначарский в предисловии к нашему сборнику, давшему

ფუძეელზე გაკეთებული დასკვნის შესანიშნავად გადმოგვაცემს ერთი სხარტი ფრაზა, რომ მახის მოძღვრება მხოლოდ დამხმარეა ა ბ ო ლ ო ნ ი ლ ი ბერკლიანობაა.

თუკი ბერკლისათვის გარე სამყარო, საგნები, თვით „მეც“ მათ შორის, მხოლოდ „შეგრძნებათა კომპლექსი“, ანუ „ყოლექციაა“, მახისათვის „შეგრძნებათა კომბინაციაა“, რაც საბოლოო ჯამში ერთიდაიგივეა. გამოდის, რომ სამყარო ჩემ შემოდგენა ყოფილა. ეს კი პირველადნილი სოლიპსიზმია. ლენინს მოაქვს ციტატა ერნსტ მახის მთავარი ნაშრომიდან, „შეგრძნებათა ანალიზიდან“:

„ეთქვათ, ჩვენს წინაშეა სხეული, რომელსაც აქვს წამახული ფერი S. როცა ჩვენ ამ წამახულ ფერს ვეხებით, ჩვენს სხეულთან კონტაქტს ვამყარებთ და ვგრძნობთ ჩხვლეტას. ჩვენ შეგვიძია წამახული ფერი დავინახოთ ისე, რომ ჩხვლეტა არ ვიგრძნოთ, მაგრამ როცა ჩხვლეტას ვგრძნობთ, წამახულ ფერსსაც ალმოვაჩენთ. ამრიგად, თვალით დასანახი წამახული ფერი მედმიეი ბირთვეა, ხოლო ჩხვლეტა — რადაც შემთხვევითი, რაც, გარემოებისდა მიხედვით, შეიძლება დაკავშირებული იყოს ბირთვთან და შეიძლება — არა, ანალოგიურ მოვლენათა გამეორებით, ბოლოს, ვეჩხეკით სხეულთა ყ ვ ე ლ ა თვისების ამ მუდმივი ბირთვებდან გამომდინარე „მოქმედებად“ მიჩნევას, რომელიც ზემოქმედებს ჩვენს „მე“-ზე ჩვენი სხეულის მეშვეობით; ამ „მოქმედებას“ ჩვენ „შ ე გ რ ძ ნ ე ბ ებს“ ეუწოდებთ“[6].

მახი იქვე ამბობს, რომ სწორედ ამით ეს ბირთვები (ანუ მატერიალური საგნები) ჩაკრავენ მთელ თავიანთ გრძნობად შინაარსს და შიშველ ა ბსტრაქტულ სიმბოლოებად იქცევიან.

ლენინი მოხერხებულად იყენებს მახის ამ ფრაზას და ხატოვანი სარკაზმით, რომელშიც მეფიზოოდა ჩაქსოვილი თანმიმდევრული ლოგიკური აზროვნება, ანადგურებს მას:

„ძველი ჰანგი, ჰატეცეფული ბ-ნო პროფესორო! ეს სიტყვა-სიტყვით განმეორება ბერკლისა, რომელიც ამბობდა, მატერია შიშველი აბსტრაქტული სიმბოლოაო. სინამდვილეში კი დედაშობილი დაობიჯებს ერნსტ მახი. ეინაიდან თუ იგი არ ცნობს, რომ „ერძნობად შინაარსს“ წარმოიდგენს ობიექტური, ჩვენგან დამოუკიდებლად არსებული, რეალური. მას რჩება მარტოოდენ „შიშველი აბსტრაქტული“ მე, უფიზიდ ასომთავრულთ დაწერილი და ხაზგასმული მე — „გოეი ფორტეპიანო, რომელსაც წარმოიდგენთ, რომ იგი მარტოდმარტო არსებობს ამ ქვეყნად“[7]. თუ ჩვენი შეგრძნებების „გრძნობადი შინაარსი“ გარეგანი სამყაროო არ არის, მაშინ არაფერი აღარ „ობიექტურია“ გარდა ამ შიშველი მე-სი, რომელიც „ფილოსოფიურია“ ინინბაზიდან „ბენეკეს“ სულ სულელური და უნაყოფო ფილოსოფიაა!“[8]

მახიზმი და ემპირიოკრიტიციზმი ჭეშმარიტების კრიტერიუმად თვლიან „ეკონომიურად აზროვნებას“, ან „ენერგიის რაც შეიძლება ნაკლები ხარჯვის“ პრინციპს. ამ თვალსაზრისის მიხედვით ჭეშმარიტია არა ის აზრი, რომელიც ადეკვატურად ასახავს სინამდვილეს (მარქსიზმი), არამედ ის, რომელიც სხვაზე უფრო ეკონომიურად, ენერგიის ნაკლები ხარჯვის შედეგად აგვიხსნის რაიმე მოვლენას. ამდენად, სრულიადაც ზედმეტია მატერიის, სუბსტანციის, მიზეზ-შედეგის და სხვა ამგვარი ფილოსოფიური კატეგორიების. ისინი მხოლოდდამხოლოდ არსებულებენ საქმეს და არაფერს არ გვიხსნიან, ავიღოთ. მაგალითად, დებულება: „ადამიანი აზროვნებს ტვინის საშუალებით“, ან სხვანაირად: „აზროვნება ტვინის ფუნქციაა“. რას გვაძლევს ჩვენ ეს დებულება? ტვინის მიჩნევა აზროვნების სუბსტანციად მხოლოდ არსებულებს საქმეს. გარდა ამისა, არ არსებობს არავითარი არგუმენტი (შეგრძნებებში, ცდაში არსებული) ამ დებულების დასამტკიცებლად. ჩვენ უნდა უკუვაგდოთ დებულება ტვინზე, როგორც აზროვნების ფუნქციაზე, უფრო მტკიცე:

„აზროვნება არ არის არც მობინადრე, არც მეუფე, არც მეორე ნახეკარი, ან მხარე და ა. შ. აგრეთვე არც პროდუქტი, თვით ფიზიოლოგიური ფუნქციაც კი, ანდა თუნდაც საერთოდ რაიმე მდგომარეობა **ტვინისა**“[9].

„ამრიგად, შეგრძნება არსებობს „უსუბსტანციოდ“, ე. ი. აზრი არსებობს ტვინის გარეშე!“ — ამ გაოგებულ შეკახილ ლენინი აგვიგვანებს ზუსტად გამიზნული ბოროტსაყელა ხერხით:

„ნუთუ მართლა მოიპოვებიან ისეთი ფილოსოფოსები, რომელთაც შეუძლიათ ეს უტვინო ფილოსოფია დაიცვან?“[10]

ეს კითხვა, გარდა მახისა და ავენარიუსისა, მიმართული იყო აგრეთვე იმ პერიოდში მომრავლებული რუსი მახისტებისადმი, რომლებიც არა თუ იცავდნენ მახიზმისა და ემპირიოკრიტიციზმის ძირითად დებულებებს, არამედ სულმოფთქვეულად ქადაგებდნენ და, თავიანთი შეხედულებით, აფეთქებდნენ კიდეც.

ამის კარგი მაგალითი იყო ა. ბოგდანოვის ნაწერები ფილოსოფიაში. ლენინის აღშფოთებას

---

[6] Э. Мах — Анализ ощущений. 1907 г., стр. 20.

[7]. ვ. ი. ლენინს ეს ფრაზა მოაქვს ფ. დიდრის ნაწარმოებიდან „დალამბერისა და დიდრის გასუბრება“.

[8]. ლენინი — ტ. 14. გვ. 39-40.

[9] Р. Авенариус — Человеческое представление о мире. § 139.

[10]. ლენინი — ტ. 14. გვ. 48.

ლევან ჩანგლაძე

ლიტერატურული ხერხები „მატერიალიზმსა და ემპირიოკრიტიციზმში“

და გაკვირვებას იწვევდა მისი პოზიცია მახიზ-მის მიმართ.

ცნობილია, რომ მახი თავის ფილოსოფიას მატერიალიზმსა და იდეალიზმზე „მაღლა“ მდგომად, ე. წ. ნეიტრალურ მოძღვრებად თვლიდა. მის ფილოსოფიაში ძირითადი ცნებაა „ელემენტი“. ელემენტებისაგან შედგება ყოველი მოელენა, საგანი; ელემენტები ფსიქოფიზიკურად ნეიტრალურია. იგი შეიძლება განვიხილოთ, როგორც ფიზიკური (მაგალითად, სინათლის სხივი სანთელთან, მის წყაროსთან, დამოკიდებულებაში), ასევე როგორც ფსიქიკური (ივგივე სხივი ჩემს თვალის ბადურასთან დამოკიდებულებაში). გამოდის, რომ აზრი არა აქვს მოელენათა დაყოფას ფიზიკურად და ფსიქიკურად. სულიერად და მატერიალურად. ძოელენა ნეიტრალურია, იგი ფიზიკურია, ან ფსიქიკური იმის მიხედვით, რა კუთხიდან შევხედავთ მას.

ბლეხნერის სიპასუხად, ბოგდანოვი წერდა, რომ არ შეუძლია მახისტად აღიაროს თავი ფილოსოფიაში. მე მახისგან მხოლოდ „ელემენტის“ ცნება ვისესხე და მეტი არაფერი.

ამ თვალსაზრისებით განაცვიფრებული ლენინი ავლებს შესანიშნავ პარალელს:

„ეს ივივეა, რომ მორწმუნე კაცმა თქვას: არ შემიძლია ჩემი თავი რეალიზის მომხრედ ჩავთვალო, ვინაიდან ამ მომხრეთაგან „ცხოლად ერთი რამ“ ვისესხე: ღვთის რწმენამ“.[11]

ემპირიოკრიტიკიზმში ძირითადია დებულება პრინციპული ემპირიოკრიტიკული კოორდინაციის შესახებ. ამ პრინციპის მიხედვით შეუძლებელია გათმშეულად, ეფრთმნეთოდ, წარმოიდგინოთ „მე“ და „გარემო“, ანუ „სუბიექტი“ და „ობიექტი“. ისინი ერთიანი კოორდინაციის განუყოფელ წევრები არიან: „მე“ — როგორც ცენტრალური, ხოლო „გარემო“ — როგორც საპირისპირო წევრი. სხვანაირად რომ ვთქვათ, ავენარიუსის მიხედვით, გარე სამყაროა, როგორც „მე“-ს შემეცნების ობიექტი, არ არსებობს, ამ უკანასკნელის, ე. ი. შემმეცნებლის, გარეშე, ისევე, როგორც შემმეცნებლის (ე. ი. „მე“-ს) არსებობას აზრი არა აქვს შესამეცნებლის, გარემოს, ანუ ობიექტის, გარეშე.

ამ თეორიას თვითონ ავენარიუსი „გულუბრყვილო რეალიზმს“, „სამყაროს ადამიანურ გაგებას“ უწოდებდა. აშკარად იდეალისტური, ე. წ. იმანენტური, სკოლის მამამთავარი ვილჰელმ შოპე, აღფრთოვანებული შეხედა ავენარიუსის შრომებს და საჯაროდ აღიარა საკუთარი იდეების პრინციპული თანხმობა ემპირიოკრიტიკიზმის დებულებებთან. სუბიექტური იდეალისტის, შუბეს აღფრთოვანებულმა გამოხმაურებამ დათვალი სამსახური გაუწია საზოგადოების თვალში რიჩარდ ავენარიუსის „გულუბრყვილო რეალიზმს“.

სწორედ ეს ჰქონდა მხედველობაში ლენინს, როცა წერდა:

„თქვენ უსიტყვოდ იგულისხმეთ, ეს, რაც ელემინაციაც გსურდათ“ — წერდა ჩვენ. ნარიუსს და ძნელია თქმა, ვინ აფასებდა ამ ნეიტრალ ელეგანტ ნიღაბს მატერიალიტურ ავენარიუსს, — სმეტი თავისი პირდაპირი და ნათელი უარყოფით, თუ შუბე ავენარიუსის დასკვნითი შრომის აღფრთოვანებული შექებით. ფილოსოფიაში ვილჰელმ შუბეს ამბორი არაფრით სჯობს პოლიტიკაში სტრუვეს, ან ბ-ნ მენშოკოვის ამბორს“.[12]

მეფის ლაქეის, მენშოკოვის სახეს ლენინი ხშირად იყენებს. სწორედ მენშოკოვი, კარტაშევი და სხვა სახაზინო ჯლანგები ჰყავდა ლენინს მხედველობაში, როცა ტოლსტოის 80 წლისთავის იუბილეს დღეებში „ტლანქ ფარისეველებზე“, სულგაყიდულ ნაძირალებზე ლაპარაკობდა. მენშოკოვისაგან შექება, სინამდვილეში, უბინველესი ლანძღვა და დამცირება იყო.

ავენარიუსის პრინციპული ემპირიოკრიტიკული კოორდინაცია სულ მალე ადმორჩნდა გადაულახავი ბრობლემების წინაშე. თუკი „მე“ და „გარემო“, სუბიექტი და ობიექტი განუყოფელია, გამოდის, რომ სამყაროს არსებობაზე ლაპარაკს არავითარი აზრი არა აქვს, „მე“-ს, სუბიექტის, ე. ი. ადამიანის გარეშე.

„არსებობდა თუ არა დედამიწა ადამიანამდე?“ — როგორც კი ამ კითხვას დაესვამთ, ემპირიოკრიტიკიზმი ჩიხში ადმოჩნდება.

საგანს არ შეუძლია არსებობა ჩვენი ცნობიერებისაგან დამოუკიდებლად, ჩვენ ყოველ ნაბიჯზე ბრალ ბრალ ... ...

ყავს ჩვენი თავი, როგორც „მე“, როგორც კოორდინაციის „ცენტრალური წერტილ“, წარსულში, ადამიანამდე არსებულ დედამიწაზე. გარდა ამისა, სრულიადაც არ არის აუცილებელი ცენტრალური წერტილი მინიდამიანე ადამიანი იყოს. თვით უმარტივესი მატლიც კი შეიძლება განვიხილოთ, როგორც პოტენციური ადამიანი.

ეს მსჯელობა სრულიად იმსახურებს სარკასტულ ზუმოძასხენ, რომლოთაც ლენინი ანადგურებს მას:

„ეგ ასე, ადამიანის გაჩენამდე დედამიწა მატლის „ცდა“ ყოფილა, რომელიც „ცენტრალური წერტილ“ პოსტზე იდგა ავენარიუსის „კოორდინაციისა“ და ავენარიუსის ფილოსოფიის გადასარჩენად!“14

„მატერიალიზმსა და ემპირიოკრიტიკიზმში“ მრავლადაა გამოყენებული ხალხური თქმები, ანდაზები, აფორიზმები. ყოველი მათგანი გარკვეულ ფუნქციას ასრულებს.

როცა რუსი მახისტები პარალელს აკეთებენ მარქსიზმისა და ემპირიოკრიტიკზმის დებულებებს შორის, მარქსისტული დებულებები პლუანოვის ნაწარომეგიდან მოაქვთ. ლენინი არაერთხელ აღნიშნავს ამგვარი მეთოდის ეიწრო ჰორიზონტს, ვინაიდან პლეხანოვიდან იყენენ თვითონ მარქსი, ენგელსი, ფოიერბახი...

„ოოგას კატა ქეეფსის მომრეკი ჩგონა, — ირონიით ამბობს ლენინი, — რუსი მახისტებისთვის პლეხანოვზე ძლიერი მატერიალისტი არ არსებობს...

იმიტომ, რომ მახისტებს სიმართლისა ეშინათ. ისინი ებრძვიან მატერიალიზმს, თავს კი ისე გვაჩვენებენ, თითქოს პლეხანოვს ებრძვიან: ლაჩრული და უპრინციპო ფანდია!“15

მახისტებისა და ემპირიოკრიტიკოსების მიერ სავანგებოდ შექმნილ ტერმინოლოგიას („ელემენტი“ „დამოუკიდებელი რიგი“, სისტემა „C“, „ფუქტიურად მოცემული“, „უშუალოდ მოცემული“ და სხვ.) ლენინი მოსწრებულად უწოდებს „მასკარად“, სადაც აგნოსტიკიზი (ზოგჯერ კი მახისეული იდეალიტიც) ირთვება მატერიალისტის კოსტუმით“.16

ივივე საყვედურია გამოქმედი ბაზაროვის მისამართით. ბაზაროვი ეროშენა მახს, რომელიც ამბობდა, რომ ემპირიოკრიტიკული კოორდინაციია არავითარ წინაადმდეგობაში არ არის ენგელსისეულ დებულებასთან ალმქმელი მე-ს და ალსაქმელი გარემოს ერთიანობის შესახებ.

„ამაოდ არ გაუელია ბაზაროვს ავენარიუსის სკოლა! — წერს ადშუფთუფელი ლენინი, — იგი განაგრძობს მის მისტიფიკაციას: იდეალიზმთან ბრძოლის სახით (რომელზეც ენგელსი ამ სტრ-ლებით არაფერს ამბობს, იდეალისტური „კოორდინაციის“ კონტრაბანდა გაპარებას. კარგი ამბავი, ამხ. ბაზაროვ!“17 ბაზაროვი უმოწყალოდ ამახინჯებს ენგელსის დებულებებს და აკეთებს ასეთ ფალსიფიცირებულ ენგელსი კვალდაკვალ მიპყვება მას და ყოველ ფალსიფიკაციას აუკარავებს. ბაზაროვი ენგელსს მიაწერს მცდარ ფორმულირებას, თითქოს მისი აზრით ჩვენი გრძნობაი ალქმები „ცდით“ დასტურდებიან. ენგელსს როგორ შეეძლო ეს ეთქვა, აღშფოთებულია ლენინი, როცა ცდას იმოწმებდნენ იდეალისტი ბერკლი, აგნოსტიკიზმი იუმი და მექანისტური მატერიალისტი დიდრო. ხოლო როცა ბაზაროვი მიაწერს ენგელსს დებულებას, რომ გრძნობაი წარმოდგენა არის სწორედ ჩვენს გარეშე არსებული სინამდვილე, ლენინს აღმოხდება ირონიული სატირული ტირადა:

„დასასრული საქმის ვვიჩგვნიაო, ნათქვამია. ენგელსი გადამეშავებულია მაგის მიხედვით, მოხრაკულ-შესენენელებული და შემზადებული მახისტური საწებლით. ოღონდ ყელზე არ დადგეს ჩვენს უპატეკეემეულს მზარეულებს“.18

ბაზაროვის კრიტიკას ამ საკითხში ლენინი ამთავრებს რიტორიკული მიმართვით, რომელშიც მძაფრი ირონია ღიმილს გამომწვევ ეიმორთანაა შეზავებული:

„ეკბათა-ეკბა თქვენ, ამხანაგო ბაზაროვ! ჩვენ სიცოცხლეშივე დავდგამთ ძეგლს: ერთ მხარეზე თქვენივე გამონათქვამს წავაწერთ, მეორეზე კი: რუს მახისტს, რომელმაც მახიზმი დასასმარა რუს მახისტებს შორის!“

ლუდვიგ ფოიერბახის თხზულებათა რუსული გამოცემის წინასიტყვაობაში პლეხანოვი ახასიათებდა „ერთ გერმანელ მწერალს“ (ამ შეფასებაში იგულისხმება ფილოსოფოსი — ლ. ჩ.), რომელიც ამბობდა, რომ თითქოს ემპირიოკრიტიკიზმისთვის ცდა წარმოადგენს მხოლოდ კვლევის საგანს და არა შემეცნების საშუალებას. თუკი ასეთო, დასაკვნის პლეხანოვი, მაშინ მატერიალიზმისა და ემპირიოკრიტიკიზმის დაპირისპირებას აზრი ეკარგება...

ლენინი რამდენიმე ფრაზით აუკარავებს ამ გაუგებრობას, რომელშიც პლეხანოვი იმყოფეა: „ერ-ერთი, ზუტად ამავე დებულებას ამტკიცებს კარსტანიენი, ერთ-ერთი ორთოდოქსალური ემპირიოკრიტიკისა, მეორეც: მატერიალიზმისთვის მთავარია არა ის, ცდა კვლევის ობიექტია, თუ შემეცნების საშუალება (შეიძლება ერთიც იყოს და მეორეც), არამედ ის, რა ზედეს მას საფუძველად: განსაზღვრულია სუ-

14. იქვე. გვ. 90.
15. იქვე. გვ. 98.
16. იქვე. გვ. 131.
17. იქვე. გვ. 132.
18. იქვე. 134.
19. იქვე გვ. 136

ლევან ჩანგლაძე
ლიტერატურული ხერხები „მატერიალიზმსა და ემპირიოკრიტიკიზმში“

ბიეტისაგან დამოუკიდებელი სინამდვილით, თუ „მე"-ს ქეიფზეა დამოკიდებული.

თუ როგორ ისარგებლა ჯალანაგის ზემოთმოყვანილი მოსაზრების სისტემით მახისტმა ვალენტინოვმა, კარგად ჩანს ლენინისეულ სტატიულ ამბავში.

„წმინდა" ემპირიოკრიტიკოსმა ვალენტინოვმა ამოიწერა ჯალანაგის შენიშვნა და საჯარიდ ბუქნით ჩამოუთარა კანკანი, თან სასაცილოდ იგდებდა ჯალანაგსვე, რომელმაც მწერალი ვინაობა არ დაასახელა და არ განმარტა, რაშია საქმე... ამავე დროს თვითონ ამ ემპირიოკრიტიკულმა ფილოსოფოსმა ერთი სამჭიანი სიტყვაც კი არ დასძრა, თუმცა კი ადარა, რომ „თუ მეტი არა, სამჯერ მაინც გადავიკითხე" ჯალანაგის შენიშვნაო (და, როგორც ჩანს, ეფარფური ბოლოა), ო, ეს მახისტები!«[20]

მახისტები, ემპირიოკრიტიკოსები, ხშირად ცდილობენ საკითხის არსი მიჩქმალონ უწრეტელი ტერმინოლოგიით, უცხო სიტყვათა თვითმიზნური ხმარებით. როცა იუშკევიჩი მსჯელობაში უადგილად ტრთავს სიტყვა „ინფინიტარს", ლენინი ირონიულად შენიშნავს:

„საშინლად განსწავლული კაცია ბ-ნი იუშკევიჩი!" და იქვე ხატოვანი შედარებით ავლენს ტეხი მახისტის ფილოსოფიური პორტრეტის დამამთავრებელ შტრიხებს:

„ჩვენს წინაშე ბრალკინის ჯრელი, მყვინალა, „უბალესი" ტერმინოლოგიის ნაჭრებისაგან შეკერილ კოსტუმში — დგას სუბიექტური იდეალიტი, რომლისთვისაც გარეგანი სამყაონი, ბუნება, მისი კანონები, — ყოველივეს ეს მხოლოდ ჩვენი შემეცნების სიმბოლოებია«[21]

ხშირად ხდება, რომ ერთი მარჯვედ ნახმარი შედარება, ან მოსწრებული ფრაზა უფრო მეტად დაგარწმუნებენ, ვიდრე ათეული ლოგიკური არგუმენტი. ლენინი დასცინის იმ ფილოსოფოს, რომელიც უარყოფს ჩვენს გარეშე არსებულ ობიექტურ რეალობას:

„შეიძლება მომეკლიდეს და ღღითი-ღღე ძველება კიდეც მეენერგული მოძღვრება ნივთიერების აგებულებაზე, საკვანძოს ქიმიურ სტრუქტურაზე, ატომსა და ელექტრონზე, მაგრამ არ შეიძლება მოძველდეს ის ჭეშმარიტება, რომ ადამიანს არ შეუძლია ბუმის ბზრები და ბაუშვები შობოს მარტოოდენ პოტარნური სიკვარულის ნიადაგზე, ხოლო ფილოსოფია, რომელიც უარყოფს ეროსსა და სიყრცის ობიექტურ რეალობას, ისევე უაზრო, შინაგანად დაბალი და ყალბია, როგორც ამ უკანასკნელ ჭეშმარიტებათა უარყოფა«.[22]

მსაფი სატრფელი სიმახვილით გამოიჩჩეა ის ადგილი „მატერიალიზმსა და ეპირიოკრიტიკიზმში", სადაც ლაპარაკია მატერიალისტურ ტენდენციაზე კანტის ფილოსოფიაში („ნივთი თავისთავად"), რაც ყოველად მეოდენ ... ხისტებისთვის.

ლენინი რუსი მახისტების ... ... პანოს მარქსიზმის წინააღმდეგ მოსწრებულად არქმევს ზუსტად გამიზნულ სახელს: „მახიადა"-ს და წერს:

„ეო-და, ჩვენმა მახისტებმა „ეერ შამჩნიეს"-ის, რომ მასწავლებლებად შერაცხეს ადამიანები, რომლებიც კანტს აკრიტიკებდნენ სკეპტიკოსებს და იდეალიზმის თვალსაზრისით; მათ სამოსელი შემოიხიეს და თავზე ნაცარი დაიყარეს, როცა დაინახეს საშინელი ადამიანები, რომელნიც იმავე კანტს დიამეტრულად საწინააღმდეგო თვალსაზრისით აკრიტიკებენ, მის სისტემაში უარყოფენ აგნოსტიციზმის (სკეპტიციზმის) ნატამალს...

— გეიშვილეთ! — დაიყვირეს მათ, — ეს უკანონო აღრეკვა მატერიალიზმისა და კანტიანობისა!«[23].

ზოგჯერ თავის ადგილზე ნახმარი და ზუსტად მიგნებული მხატვრული შედარება კარგად გადმოგვცემს თვით ნიუანსსაც კი. თუ ვილუქმ შუბეს ადფრთოვანება ლენინმა ამბოხს შეადარა, ინგლისელი ჯემს უორდის დამოკიდებულება ემპირიოკრიტიციზმისადმი ასე გამოხატა: „...სპირიტუალიტი უორდი... აღერსით უთათუნებს ბეკვბზე ხელს აეენარიოსსა და მახს«.

იდეალისტური იმანენტური სკოლისადმი რუსი მახისტების დაბნეული დამოკიდებულება ლენინმა ასე დახასიათა:

«...Тут чего хочешь, того просишь: и конституция и севрюжина с хреном, и реализм и солипсизм. Сказать прямо и ясно правду про имманентов наши махисты боятся»[24].

ერთმა სახემ («Севрюжина с хреном») დაკისრებული საბრალო ფუნქცია შეასრულა და მთელ მსჯელობას თავისებური ლაზათი შესძინა.

მაგალად ანის დახასიათებული, ოროოდე სიტყვით, მახიზმის განსხვავებული როლი რუსეთში და მის სამშობლოში, ევროპაში:

„მახიზმი მხოლოდ ერთი მუჭა რუსი მახისტებისთვისაა ინტელიგენტური ლაბობის საგანი, მის სამშობლოში კი არაკინ მალაკს, რომ იგი ფიდეიზმის ლაქიის როლს ასრულებს«[25].

ემპირიოკრიტიკებში. შენიშნავს ლენინი, როგორც ყოველი იდეური, ფილოსოფიური მიმართულება, სიცოცხლისუნარიანია და ვითარდება ღღითი-ღღე. ჩვენი მიზანია გავარკვიოთ, საითკენ მიემართება იგი. შეეძლებელია ამის გარკვევა თვითონ ემპირიოკრიტიკოსების შეხედუ-

20. იქვე. გვ. 186
21. იქვე. გვ. 204.
22. იქვე. გვ. 229.
23. იქვე. გვ. 245-46.
24 Ленин — Мат. и эмп. 1946 г., стр. 185.
25. ლენინი — თხზ. ტ. 14. გვ. 271.

ლებათა საფუძველზე. თავისი აზრის დასასაბუთებლად ლენინი მიმართავს აფორისტულ გამოთქმასაც: „ადამიანს აფასებენ არა იმის ძახდგით, თუ რას ამბობს, ან ფიქრობს თავის თავზე, არამედ მისი საქმიანობის მიხედვით“ და აგრძელებს:

„ფილოსოფოსებიც უნდა განვსაჯოთ არა იმ აზრების მიხედვით, რომლებსაც ისინი გულზე იკიდებენ („პოზიტივიზმი“, „წმინდა ცდის“ ფილოსოფია, „შინაზმი“ ან „ემპირიოკრიზმი“, „ბენჯამინ ტატეცელების ფილოსოფია“ და სხვ.), არამედ იმის მიხედვით, თუ როგორ წყვეტენ ისინი სინამდვილეში ძირითად თეორიულ საკითხებს...“26

ფოიერბახის მიერ მატერიალიზმის პოზიციებზე მტკიცედ დადგომას და ჰეგელიანობაზე უარისთქმას ვ. ი. ლენინი ასეთი მოსწრებული შედარებით გამოხატავს:

„ფოიერბახმა მოიკრა ფილოსოფიური იდეალიზმის ჩინური ნაწნავი...“

ამ შედარებაში იგულისხმება უარისთქმა იმ რომანტიულ-მისტიკური შარავანდედზე, რომელიც თან სდევდა ფილოსოფიურ იდეალიზმს. იმ ხანაში, რომლითაც მარქსთან ერთად ჰეგელის იდეალისტური ფილოსოფია უარყო, თავის დროზე წერდა ფრ. ენგელსიც.

ჰეგელზე უარისთქმა როდი ნიშნავდა ყოველივე იმის უკუგდებას, რასაც მისი ანსოლუტური იდეალიზმი შეიცავდა. სწორედ ამას ეულისხმობს ლენინი, როცა გრიტესს იყენებს ის ფილოსოფოსების მიმართ, რომლებმაც ჰეგელის ფილოსოფიაში ვერ შეამჩნიეს „მარგალიტის მარცვალი“ — დიალექტიკა:

„...ისეთი მაშლები, როგორიც ბიუხნერები, დიურინგები და k° იყენენ (ლეკერსა, მახსა და ავენარიუსთან ერთად), ვერ არჩევდნენ (დიალექტიკას — ლ. ჩ.) ანსოლუტური იდეალიზმის ნეხვის გროვაში“.

ვ. ი. ლენინმა „მატერიალიზმსა და ემპირიოკრიტიკრზმის“ ერთი თავი თანამედროვე ფიზიკის კრიზისის მიზეზების და მისი ფილოსოფიური შედეგების კვლევას მოუძღვნა.

ფიზიკის კრიზისის ერთ-ერთი მიზეზი იყო ვ. წ. „ატომის გაქრობა“. ენინდან მატერიის ცნება გაიგივებული იყო ნივთიერების (ატომის) ცნებასთან, ხოლო ეს უკანასკნელი გარდაიქმნებოდა ენერგიად, გამოფიფოდა, რომ მატერია გაქრა. ლენინმა დამაჯერებლად დასაბუთა, რომ გაქრა არა მატერია, არამედ ძველი ცოდნა მატერიის შესახებ. მატერია არ შეიძლება გაუუფიფოთ ნივთიერებას, მატერია არის ის, რაც. საერთოა მატერიალური საგნებისათვის და არა თვითონ საგანი.

ჩუსი მახისტების კამათი ერთმანეთს შორის არ იყო პრინციპულ დონეზე. ისინი გულისხმობდნენ, რომ მატერია, როგორც ხუსტანცია, გაქრა და დაობდნენ უმნიშვნელო ნიტანსებზე. სწორედ ამ სიტუაციას ახასიათებ[illegible] გამოთქმა, რომელიც მახეილი [illegible] ირჩევა და ზუსტადაა მიგნებული: „...ბოგდანოვს შეუძლია რამდენიც სურს იმდენი ეკამათოს „ემპირიოსიმბოლისტ“ იუშკევიჩს, „ზენინ და მახისტებს“, ემპირიოკრიტიკოსებს და სხვ. — მატერიალისტების თვალსაზრისით ეს იქნება კამათი იმ ადამიანებს შორის, რომელთაგან ერთს ყვითელი ენშაკი სწამს, მეორეს კი — მწვანე ენშაკი.“28

ფიზიკის პრობლემების განხილვას ლენინი ამთავრებს ერთი მთლიანი მსჯელობით, რომლითაც შესანიშნავადაა გადმოცემული ის ფილოსოფიური შედეგები, რომელიც მოსალოდნელია უახლოეს მომავალში:

„...თანამედროვე ფიზიკა... ბუნებისმეტყველების ერთადერთი სწორი მეთოდისა და ერთადერთი სწორი ფილოსოფიისაკენ მიდის არა პირდაპირ, არამედ ზიგზაგებით, არა შეგნებულად, არამედ სტიქიურად, ისე რომ თავის „სიბოლო მიზანს“ ნათლად კი ვერ ხედავს, არამედ მას ხელების ცეცებით, ქანაობით, ზოგჯერ ზურგითაც კი უახლოვდება. თანამედროვე ფიზიკა მშობიარეობაა. იგი შობს დიალექტიკურ მატერიალიზმს. მშობიარობის პროცესი მტკივნეულია. ცოცხალი და სიცოცხლისუნარიანი არსების გარდა, ეს მშობიარობა აუცილებლად იძლევა ზოგიერთი ისეთ მკვდარ ნაგოსა და ნაგარ-ნეფარს, რომელსაც სანაგვეში უნდა გადაეგდოთო. ამ ნაყარ-ნეფარშია მთელი ფიზიკური იდეალიზმი, მთელი ემპირიოკრიტიკული ფილოსოფია ემპირიოსიმბოლიზმსა, ემპირიომონიზმსა და სხვა ამგვარებთან ერთად“.29

ცალკე უნდა თქვას ლენინის მიერ კლასიკური ლიტერატურული სახეების გამოყენებაზე ფილოსოფიურ პაექრობაში.

ეროსული ლიტერატურის კლასიკოსებიდან. ლენინი ხშირად მიმართავს სალტიკოვ-შჩედრინს, გოგოლს, ჩეხოვს, ტურგენევსა და სხვათა ნაწარმოებებს. ყოველ ეროვნულ ლიტერატურაში არიან პერსონაჟები, რომლებმაც ზოგადი ტიპის ღირებულებაც შეიძინეს, იმდენად ცხოვრებისეული, მსუყე ფერებით არიან ისინი დახატულნი.

„მატერიალიზმსა და ემპირიოკრიტიკიზმში“, თავის ლიტერატურულ მოწმეებად ფეოდორ პარაფენოვს გასავლუბად, ლენინი გოგოლსა და ტურგენევს გმირებს ამოწმებს.

გოგოლის „მკვდარ სულებში“, ჩიჩიკოვის მსახური, პეტრუშკა, ფრიად კოლორიტული

26. იქვე. გვ. 272.

28. ლენინი — თხზ. ტ. 14. გვ. 345.

29. იქვე. გვ. 398.

ლევან ჩანგლასია
ლიტერატურული ხელოვნება „მატერიალიზმსა და ემპირიოკრიტიციზმში“

ფიგურაა, ეს გონებაჩლუნგი და შეზღუდული კაცი გატაცებულია კითხვით, მაგრამ წაკითხულს აზრს არასოდეს უფიქრდება. კითხულობს ყველაფერს, რაც ხელში მოხვდება. ყველაფერს ერთნაირი ინტერესით ეწაფება: სახელმძღვანელოებს, სტატიებს, სტატისტიკურ ცნობარს, ქიმიაც რომ მიეჩერებინათო, — წერს გოგოლი, — ესათუოდ ჩაუღრმავდებოდაო.

ლენინი გოგოლს პეტრუშკას ადარებს რუს მახისტ იუშკევიჩს, რომელიც გულუბრყვილოდ ბინმარტივს ეუნდოს შეხედულებას აეკრიფესზე და უკრიტიკოდ იღებს მის ნათქვამს:

«Гоголевский Петрушка читал и находил любопытным, что из букв всегда выходят слова. Г. Юшкевич читал Вундта и нашел «любопытным», что Вундт обвинил Авенариуса в материализме... Г. Юшкевич находит «любопытным» то, что говорит идеалист Вундт, но разобраться в деле этот махист считает трудом совершенно излишним...»[30].

არაერთხელ მიმართავს ლენინი ტურგენევის რომანს, „კავშლის“, გმირის, ვოროშილოვის სახეს. რომანში ვოროშილოვი პირველივე ეპიზოდებში ჩანს. იგი ყოველი ოფიცერია, აცვია ელეგანტურად, მდიდრულად, თავი უჭირავს მედიდურად. იგი თითქოს-და სიტყვაძუნწია, მაგრამ ახალგაზრდილ კაშლინაშიც კი უცებ ამყოფებს თავის ნამდვილ ბუნებას — ქარაფშუტობას და სიმსუბუქეს. ტურგენევი ასე აღწერს ვოროშილოვს:

«Ворошилов пил и ел мало, словно нехотя, и расспросив Литвинова о роде его занятий, принялся высказывать собственные мнения... не столько об этих занятиях, сколько вообще о различных «вопросах»... Он вдруг оживился и так и помчался, как добрый конь, лихо и резко отчеканивая каждый слог, каждую букву, как молодецкадет на выпускном экзамене, и сильно, но не в лад размахивал руками. С каждым мгновением он становился все речистей, все бойчей, благо никто его не перрывал: он словно читал диссертацию или лекцию. Имена новейших ученых, с прибавлением года рождения или смерти каждого из них, заглавия только что вышедших брошюр, вообще имена, имена дружно посыпались с его языка, доставляя ему самому высокое наслаждение, отражавшееся в его запылавших глазах... Литвинов слушал его, слушал, и никак не мог понять, какая же собственно его специальность?»[31].

ლენინი ვოროშილოვს ადარებს რუს მახისტ ჩერნოვს, რომელიც უპასუხისმგებლოდ, ზერელედ მსჯელობს და ეკიცობას ამყოფებს ელემენტარულ საკითხებში.

„ბ-ნი ვ. ჩერნოვი თავს არ ღალატობს როგორც ეკონომიეტ, ისე ფილოსოფიურ საკითხებში. ის ერთნაირად ჰგავს ტურგენევის ვოროშილოვს, რომელიც აკამტვერებს ხან უვიც კაუცკის, ხანაც უმეცარ ენგელსს „მეენიერული სახელების უბრალო დამოწმებით“[32].

ან კიდევ:

„მოდით და სამმე დაიჭირეთ ვოროშილოვთან, რომელიც ყოველი ფრაზით უამრავ ადდაუბდას ახოხლავებს! ეს უმეცრებაა, ბ-ნო ვიქტორ ჩერნოვ, იმის არცოდნა, რომ ყველა მატერიალისტი აღიარებს თავისთავადი სანეგბის შეცნობის შესაძლებლობას... რა თქმა უნდა, ჰეგელიანოვის თავისუფალი გადმოცემა საეალდებულო არ არის იმათთვის, ვისაც თვით მარქსის ცოდნა სურს, მაგრამ საეალდებულოა მარქსის მსჯელობას ჩაუფიქრდე და არ იყიროთ ვოროშილოვისებურად“.[33]

ამგვარი ლიტერატურული პარალელები ყოველთვის მიზანში ხვდება და ორმაგ ამოცანას ასრულებს: ამლიერებს კრიტიკის სიმძაფრეს და ლიტერატურულ ღირსებებს მატებს ნაწარმოებს.

რევიზიონიზმისა და ფილოსოფიური მერყეობის წინააღმდეგ „მატერიალიზმისა და ემპირიოკრიტიციზმის“ წარმატებით დაგვირგვინებულ ბრძოლაში მნიშვნელოვანი როლი ითამაშეს მრავალ ლიტერატურულ ღირსებებმა, ლენინური სტატიკის მხატვრულმა სიძლიერემ...

---

[30] Ленин — Мат. и эмп., 1946, стр. 48.

[31] И. С. Тургенев — Соч., т. 4, стр. 12.

[32] ლენინი — თხზ. ტ. 14. გვ. 116.

[33] იქვე. გვ. 122.

ეროვნული ბიბლიოთეკა

არჩილ ჩაჩიბაია

ცნებათა სწორად გაგება-გამოყენებისათვის

საბავშვო მწერლობის პრობლემატიკის მაღალ მეცნიერულ დონეზე განხილვა, დღეს, ვინმე ოდესმე, გადაუდებლად მოითხოვს ქართული სიტყვაკაზმული საბავშვო მწერლობის გენეზისისადმი დაქვემდებარებული ზოგიერთი საკითხის თანამედროვე ლიტერატურათმცოდნეობისა და პედაგოგიური მეცნიერების უკანასკნელი მიღწევების საფუძველზე გადასინჯვას, დაზუსტებასა და ახლებურ ინტერპრეტაციას.

ამ მხრივ იმ საკითხთა შორის, რომელიც ობიექტური მიუდგომლობით პირველ რიგში უნდა იქნეს განხილული, არის ტრადიციულად გამოყენებული ცნებები „**საბავშვო** (NB ა. ჩ.) მწერალი", „**საბავშვო** (NB ა. ჩ.) პოეტი", „**საბავშვო** (NB ა. ჩ.) დრამატერგი" და ამ ცნებების დოგმატიკურად გაგება-გამოყენება.

ქართულ ლიტერატურულსა და პედაგოგიურ კრიტიკაში, კლასიკური და თანამედროვე მწერლობის დიფერენციული სახეების განხილვისას, ტრადიციულად უწოდებენ „საბავშვო მწერალს", „საბავშვო პოეტს", „საბავშვო დრამატერგს" იმათ, რომლებიც მხოლოდ საბავშვო მწერლობაში მუშაობენ, ჰქმნიან თემატიკურად და ჟანრობრივად მრავალფეროვან საბავშვო ლიტერატურას. გარდა ამისა, კლასიკოსებსა და იმ თანამედროვე მწერლებს, რომელთაც აგრეთვე შექმნილი აქვთ საბავშვო ნაწარმოებები, იხილავენ „როგორც საბავშვო მწერლებს". ამ შემთხვევაში, ერთი მხრივ, ნებით თუ უნებლიეთ, მწერლის გაორებასთან გვაქვს საქმე და, მეორე მხრივ, ცნების არსი, ობიექტური ვეშმარიტება დამახინჯებულად არის წარმოდგენილი, და სამწუხაროდ, იგი კანონიზებულიცაა.

არ არის დასამალი ისიც, რომ ზოგიერთს „საბავშვო მწერალი", „საბავშვო პოეტი" — რომ უწოდო, შინაგანად ეთაკილება კიდეც. ეს იმიტომ, რომ ამ შემთხვევაში „ბავშვის სულის მესიდუმლე" სახელდებულ ცნებაში მისადმი, როგორც შემოქმედისადმი დამოკიდებულებაში, ერთგვარ შეზღუდულობასა და ცალმხრივობას გრძნობს.

შეიძლება ეს ფარული თუ ზოგჯერ აშკარად გამოთქმული განწყობილება როგორღაც მართალიც იყოს. ამის მაგალითი წარსულშიც იყო. რაც ანდერსენს ერთმა „საბავშვო მწერალი" უწოდა, მას ეს ძლიერ ეწყინა. ვფიქრობ, ეს არ იყო მხოლოდ თავმოყვარეობით გამოწვეული.

აქვე ისიც უნდა დავსძინოთ, რომ ამ ცნების არსის ობიექტურ ვეშმარიტებაში გაურკვეველობა ზოგიერთს არა მარტო „საბავშვო მწერლის", „საბავშვო პოეტის" მიმართ, არამედ თვით საბავშვო მწერლობის მიმართაც სრულიად უმართებულოდ, ნიჰილისტურ დამოკიდებულებას უქმნის, საბავშვო მწერლობა მეტად „ადვილი საქმე" ჰგონია. კიდევ მეტიც, საბავშვო ნაწარმოების წერა მაინცდამაინც დიდ ღირსებად არც კი მიიჩნია. ეს დიდხანია, რაც შემჩნეულია: „ჩვენ" მთხზველები თითქოსდა არც კადრულობენ ბავშვებზე და ბავშვებისათვის წერას" (მ. გორკი), რისი საფუძველი საერთოდ არ უნდა არსებობდეს და სინამდვილეში არც არსებობს.

ცნებათა ნებისმიერად გამოყენებას ბოლო მოეღებოდა, რომ ზემოხსენებული ცნების არსის სწორად გაგება-გამოყენება ლიტერატურათმცოდნეობაში ზუსტად და მტკიცედ იყოს დაკვიდრებული. მაგრამ, სამწუხაროდ, ეს დღემდე უყურადღებოდაა დატოვებული და ერთხელ დაუზუსტებლად ნამმარი ცნება, ტრადიციულად კალვიც ასევე მეორდება.

აქვე ისიც უნდა შეენიშნოთ, რომ ზოგჯერ არის ცალკეული შემთხვევა, როდესაც იგი, მეტად ფრთხილად, მაგრამ მაინც ოდნავ ფორმა შეცვლით იხმარება. ასე მაგალითად, ლიტერატურულ კრიტიკაში, როდესაც ცნება „საბავშვო მწერალი“ მიჩნეულია ზოგიერთი მწერლის სახელის ერთგვარად შემზღუდველად, შეიძლება თქვას, „იმის დამცირებად“ (რასაკვირველია, ამის ხმამაღლა თქმის გარეშე), ასეთი მწერლის დასახელებას იქვე მიადგენენენ სიტყვებს „როგორც საბავშვო მწერალი“ ან უკეთეს შემთხვევაში, მოიშველიებენ სიტყვებს „მწერლის საბავშვო ნაწარმოებები“, მაგრამ სხვებთან ყოველგვარი უხეხულობის გარეშე წერენ „საბავშვო პოეტს“, „საბავშვო მწერალს“, ასევე წერენ რუსულ საბავშვო ლიტერატურულ კრიტიკაში, საბავშვო ლიტერატურის სახელმძღვანელოებსა და ქრესტომათიებშიც (ა. ბაბუშკინა, მ. ბოგოლუბსკაია, ა. ტაბენკინა და სხვ.).

ამგვარად, თუ ერთი მწერლის მიმართ თავისუფლად გამოიყენებენ ცნება „საბავშვო პოეტი“, „საბავშვო მწერალი“, მეორე მწერლის მიმართ ამ ცნების ხმარება უხეხულობას იწვევს და ამის გამო აქცენტირებაც სხვაგვარად არის წარმართული. ერთი ცნების ასე ნებისმიერად შეცვლილი სახით ხმარება არაერთი არ არის გამართლებული.

განა მარტო ლიტერატურულ კრიტიკაში გვხვდება ცნებათა ამგვარი გამოყენება? არა, პეროიდული პრესსშიც ხშირად იწერება ასე: „შეხვედრა საბავშვო (NB ა. ჩ.) მწერლებთან“, „საბავშვო (NB ა. ჩ.) მწერლები პიონერთა ბანაკში“ და ა. შ.

კვლავაც ვწერთო, კვლავაც გამოვქვეთ „საბავშვო პოეტი“? „საბავშვო მწერალი“? — აი რა არის ერთი პირველი პრინციპული საკითხთაგანი, რომელიც ამ წერილში განხილვის საგნად ვვიქცეთ.

ეს არ არის უმნიშვნელო წერილმანი, როგორც ერთის შეხედვით შეიძლება ვინმეს მოეჩვენოს. შეიძლება ვინმემ გაიფიქროს კიდეც — მთავარია დაიწეროს კარგი საბავშვო ნაწარმოები და არა ის, თუ რას ვუწოდებთ მის ავტორს „საბავშვო პოეტს“ თუ „საბავშვო მწერალსო“. მაგრამ აქვე უნდა შეენიშნოთ, რომ საკითხის ასე დაყენება არ არის სწორი, რადგან თანამედროვე ლიტერატურა ცალკეულ ნაწარმოებთა არ შეიძლება გულგრილი იყოს ცნებათა უხეხტობის მიმართ.

საკითხის ამგვარად დაყენება აუცილებელია სწორედ დღეს და არა მარტო ტერმინოლოგიური, ან კიდევ მწერლობის დიფერენციული სახეების გარეგანი თვალსაზრისით, არამედ იმ არსებითი თავისებურებებით, რომლებიც სიტყვაკაზმულ საბავშვო მწერლობას სისტემურად ცალკად აკავშირებს საერთო (ზოგადი) ლიტერატურის[1] წარმოშობა-განვითარების ერთულ პროცესებთან, როგორც მის [illegible] ნაწილთან. ეს უკანასკნელი ვიგულისხმეთ [illegible] მივიჩნიონთ ზემოხსენებული ცნების დაზუსტების საფუძვლად.

არ არის სადავო ის მდგომარეობა, რომ ყოველ მაღალმხატვრულ საბავშვო ნაწარმოებში ასახული სინამდვილე, რომლის ემოციური შეცნობა, მეეთხეული სათანადო გრძნობის აღძვრა, აღელვება თუ ალტაცება, გარკვეული რწმენის გამოშუქებაში ხელს უწყობს მსოფლმხედველობის ფორმირებას.

მაშასადამე, საბავშო მწერლობაც საზოგადოებრივი ცხოვრების შეცნობის ერთ-ერთი წყაროა, როგორც ყოველი სრულფასოვანი საბავშო ნაწარმოება — ლექსი, ბალადა, პოემა, ნოველა, ესკიზი, ეტიუდი, მოთხრობა, დრამატიული ნაწარმოები — გამოხატავს საზოგადოებრივი ცხოვრების რომელიმე მხარეს, სადაც ტიპობრივ მხატვრულ სახეებში მოცემულია ადამიანთა ცხოვრება, ბავშვთა სახეები მთელი თავისი სირთულეთი, ინდივიდუალური თავისებურებებით, ხასიათებით, იდეური მისწრაფებებით; ცხოვრებისეული საკითხების სინამდვილესთან ორგანულ კავშირში ჩვენება, საზოგადოებრივი იდეალების სწორად გადმოცემა ენობრივი ქსოვილისა და სიუჟეტური წყობის ოსტატურად გამოყენებით, რაც თავის მხრივ ყველა საბავშო ნაწარმოების ფორმისა და შინაარსის დაურღვეველ ერთიანობაში უნდა იყოს გამოვლენილი, განსაზღვრავს საბავშო მწერლობაშიც სხვადასხვა გვარის, სახისა და ეანრის ნაწარმოების იდეურ—მხატვრულ შინაარსს, მის ღირსებას, მნიშვნელობას ახალი თაობის აღზრდის თვალსაზრისითაც, მის საგანმანათლებლო და აღმზრდელობით ფუნქციებსაც.

ამრიგად, როგორც საერთო (ზოგადი), ისე საბავშო მწერლობაც წარმოადგენს იდეურ სამყაროს, რომელიც მისთვის დამახასიათებელი ნიშნთვისებებითაა გაპირობებული. ასახვის, ჩვენების საგანი მისთვისაც ობიექტური რეალობაა; საგანი ბავშვთათვის ოგივეა, რაც მოზრდილი ადამიანისათვის, მხოლოდ იგი გადმოცემული უნდა იქნეს მათი შემეცნების შესაბამისად (ბელინსკი).

ობიექტური რეალობა ასახვის, ჩვენების თვალსაზრისით, — როგორც საერთო (ზოგადი), ისე საბავშო მწერლობისათვის, რასაკვირველია, შეუზღუდველია; ის სრულყოფილად მოიცავს სამი სინამდვილის მრავალსახეიან პანორამას, ხოლო თემატიკური და ეანრობრივი თვალსაზრისით, ორთავე შემთხვევაში, აუცი-

---

1 „საერთო (ზოგადი) ლიტერატურა“ ჩვენს მიერ ნახმარია პირობითად, რათა ამ შემთხვევაში უკეთ ჩანდეს საბავშო ლიტერატურის, საბავშო მწერლობის თავისებურება.

ლებელია რეალიზმის პრინციპების ოსტატობით გამოყენება, რათა შეიქმნას თემატიკურად ნრაგალფეროვანი სხვადასხვა ეპარის მაღალ იდეურ-მხატვრული ნაწარმოება, რომელიც მკითხველს მოხიბლავს, გულს აუჭყლეტს, გონებას გიტაცებს, ბაროკეულ განწყობილებებს აღუძრავს და სათანადო მსჯავრსაც გამოტანინებს.

ეს მოთხოვნა თანაბრად ეროვლდება ყველა სამაგვო თუ არა სამაგვო მხატვრული ნაწარმოებისადმი, რომლებსაც ჰქმნის ნიჭიერი მწერალი, მხატვრული სიტყვის გამოცდილი ოსტატი, ყველა მხატვრული გამომსახველობითი საშუალების სრულყოფილად გამოყენებით.

აქედან ცხადია, რომ სამაგვო ნაწარმოებებსაც ჰქმნის მწერალი, როგორც შემოქმედი, როგორც მხატვრული სიტყვის ოსტატი, რასაკვირველია, მის მიმართაც ყოველთვის იყო წაყენებული ის მოთხოვნები, რომლებიც საერთოდ მწერალს მოეთხოვება კარგი ნაწარმოების შესაქმნელად. ეს შეურაყველი ჭეშმარიტებაა.

ცნობილია, რომ თითქმის ყველა გამოჩენილ მწერალს სათანადო წვლილი აქვს შეტანილი ეროვნული სამაგვო ლიტერატურის განვითარების საქმეში. საკმარისია დავასახელოთ ილია, აკაკი, ვაჟა, პეშვები, ნაკრასოვი, კრილოვი, ჩეხოვი, კოროლენკო, გორკი, ფრანკო, ოვანეს თუმანიანი და სხვ., რომ ამაში დავრწმუნდეთ.

ცნობილია ისიც, რომ ლ. ტოლსტოიმ ბავშვთათვის დაწერა ექვსას ოცდაცხრა ფხზულება და თვითონ დაბეჭდვის ღირსად სენო ეზოლოდ სამსოდაოკამეტი. ამასთან, ბევრის მიმნშნებელია ტოლსტოის სტტყვები იმის შესახებ, რომ თვითეული მათგანი ათჯერ არის გადაკეთებული და თვითეულ მათგანზე მეტად დიდი შრომა დახარჯა, ვინემ რომელიმე ადგილისათვის დაუხარჯავს ყველა სხვა რომელიმე თავის ნაწარმოებიდან (А. Н. Толстой. Пол. соб. соч., т. 62, зд. 250).

ეს იმაზე მიგვანიშნებს, რომ სამაგვო ნაწარმოების დაწერა მეტად რთულია. ამ დარგში წარმატება დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად ღრმად სწვდება მწერალი ბავშვის ფსიქოლოგიურ სამყაროს, რამდენად შესწევს მხატვრული რეალიზმის პრინციპების პედაგოგიურ პრინციპებთან ჰარმონიულად შერწყმის უნარი. ამიტომ სწორია ის აზრი, რომ კარგი სამაგვო მხატვრული ნაწარმოების შექმნა მეტად ძნელია და იგი არის მისაწვდომი მხოლოდ ფაქიზი სულის, ფრთად ვინსწავლული მწერლისათვის, რომელსაც, მართლაც ეწოდება „ბავშვთა სულის მესაიდუმლე“.

ცნობილია, რომ მსოფლიო სამაგვო ლიტერატურის ისტორიის მიერ სამაგვო ლიტერატურაში გამოჩენილი შემოქმედნი დაფასებულნი არიან იმიტომ, რომ ისინი ბავშვებისათვის წერდნენ, არამედ იმიტომ, რომ [illegible] ყოველისა, ისინი არიან მხატვრული [illegible] ოსტატები, მწერლები, რომელთა სამაგვო [illegible] წარმოებები შთამაგონებელ მხატვრულ სახეებს შეიცავენ.

ყოველივე ზემოთქმულიდან ერთი ლოგიკური დასკვნა უნდა გამოვიტანოთ: იმის გამო, რომ ცნებაში „სამაგვო მწერალი“, „სამაგვო პოეტი“, „სამაგვო დრამატურგი“ სიტყვა „სამაგვო“ პრეპოზიციული წყობის გამო ყოველთვის სიტყვების „მწერლის“, „პოეტის“, „დრამატურგის“ პრეპოზიციული მსაზღვრელია, ეხატვრული სიტყვის ოსტატი, რომელსაც ჩვეულებრივად ეწოდება „მწერალი“, „პოეტი“, „დრამატურგი“, აქ მეტად ვიწრო საზღვრებშია მოქცეული და ცალმხრივად წარმოდგენილი.

მართალია, ნაწარმოები იქმნება ბავშვთათვის და მას ვუწოდებთ სამაგვო ნაწარმოებს, მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, რომ მწერალიც სამაგვოა. ამის გამო ცნება „სამაგვო მწერალი“, „სამაგვო პოეტი“, „სამაგვო დრამატურგი“ ხმარებიდან უნდა ამოვიღოთ.

თუ კვლავაც **„სამაგვო** მწერალს“, **„სამაგვო** პოეტს“ ვუწოდებთ იმათ, რომლებიც სამაგვო ნაწარმოებებს ჰქმნიან, მაშინ, ამავე პრინციპით, ვინც სამაგვო ლიტერატურულ კრიტიკაში მუშაობს, მას „სამაგვო კრიტიკოსი“ უნდა ეუწოდოთ, სამაგვო კინოფილმის რეჟისორს „სამაგვო რეჟისორი“, ხოლო სამაგვო კინოფილმის სცენარისტს — „სამაგვო სცენარისტი“, ვინც სამაგვო სახლების პროექტებს ადგენს — „სამაგვო არქიტექტორი“ და ა. შ. უნდა ეუწოდოთ. აშკარა შეუსაბამობაა.

შეეკითხეთ კომპოზიტორებსაც, რომლებიც სამაგვო მუსიკის ავარში მუშაობენ. საკმარისია მოვიგონოთ ისინი, რომელთა ინსტრუმენტული ნაკეთები მუსიკა (ა. მაჭავარიანი, ს. ნასიძე, ა. ბალანჩივაძე, ნ. მამისაშვილი, მ. დავითაშვილი, ფ. ჩხეიძე, ვ. ცაგარიშვილი და სხვ.) მტკიცედ შესულია სამაგვო კონცერტების პროგრამაში, გარდა ამისა, განსაკუთრებით სასიხარულოა ისიც, რომ ზოგიერთმა ქართველ კომპოზიტორმა შექმნა შესანიშნავი სამაგვო ოპერა, როგორიცაა ა. ბუკაა „დიუპალიების ლტვრები“, მ. დავითაშვილის „ქაჯანა“, ვ. გოგიელის „ბრილის ეროვნული“, ნ. მამისაშვილის „ბაჩია ბაკია“, ვ. ცაგარიშვილის „ბრიყვი წრეწუნა“, ხოლო ლ. იაშვილმა დაწერა პირველი ქართული სამაგვო ოპერეტა „ბაბაჯანს ქოშები“. ცნობილია ისიც, რომ კომპოზიტორებმა დ. შოსტაკოვიჩმა, ფ. კობალევსკიმ, ტ. ხრენიკო

მაგრამ ამის გამო (რადგან მათ შეჰქმნეს მუსიკა, ოპერა ბავშვთათვის) მათთვის არავის უწოდებია „საბავშვო კომპოზიტორები“. თქმა არ უნდა, ყველა ისინი არიან კომპოზიტორები ამ სიტყვის შეუზღუდველი, მაღალი გაგებით.

თუ საბავშვო ლექსების, მოთხრობების, პიესების ავტორს მხოლოდ იმიტომ, რომ ის ბავშვთათვის წერს, ვუწოდებთ „საბავშვო პოეტს“, „საბავშვო მწერალს“, „საბავშვო დრამატურგს“, მაშინ ამავე პრინციპით დეტექტური ნაწარმოების ავტორსაც, ტრადიციულად მომდინარე ცნების „საბავშვო მწერლის“ მსგავსად, ყველგან და ყოველ შემთხვევაში, უნდა ეწოდებოდეს მხოლოდ „დეტექტური მწერალი“, რაც შინაარსობრივად (ასახვის საგნისა და ამსახველის ერთ ცნებაში წარმოდგენის თვალსაზრისით) ადექვატური ცნებისა „საბავშვო მწერალი“. ეს კი, რასაკვირველია, არ იქნებოდა სწორი.

აქვე უნდა დავსძინოთ შემდეგიც: მართალია, დღეს ქართულ ლიტერატურათმცოდნეობაში დამკვიდრებულია ცნება „საბავშვო ლიტერატურა“, მაგრამ წარსულში მას „საყმაწვილო ლიტერატურას“ უწოდებდნენ. მომავალში თუ კვლავაც დაეუბრუნდებით ამ განსაზღვრას, ე. ი. „საბავშვო ლიტერატურის“ ნაცვლად დავამკვიდრებთ „საყმაწვილო ლიტერატურას“, იმ შემთხვევაში, ზემოაღნშნული პრინციპის მიხედვით, ნაცვლად „საბავშვო პოეტისა“ უნდა ვწეროთ „საყმაწვილო პოეტი“, „საყმაწვილო პროზაიკოსი“, „საყმაწვილო დრამატურგი“ და ა. შ., რაც არ იქნება სწორი.

ამგვარად, ვინაიდან საბავშვო [illegible] ეწოდა პროზა და საბავშვო [illegible] [illegible] მლებიც, საერთოდ, მხატვრული ლიტერატურის ორგანული ნაწილია, გვარების, ჯანრობრივი ბრავალსახეობის, მხატვრული გამომსახველობითი საშუალებების თვალსაზრისით მისგან გაჩუსხვაეებელია, ამიტომ ლიტერატურათმცოდნეობაში საბავშვო ნაწარმოებების ავტორებს უნდა ეწოდოთ „პოეტი“, „პეელეტრისტი“ (პროზაიკოსი), „დრამატურგი“ პრეპოზიციული მსაზღვრელის, — „საბავშვოს“ გარეშე. ყველა ისინი, უპირველეს ყოვლისა, მწერლები არიან. ამის გამო მათ უნდა ეუწოდოთ მხატვრული სიტყვის ოსტატისათვის განკუთვნილი სიტყვა — **მწერალი**, რაც თავისთავში შეიცავს ობიექტური კეშმარიტების სრულყოფილად, სწორად გამოხატვის ერთადერთ შეუცვლელ ცნებას.

თუ ლიტერატურთმცოდნეობაში დღემდე საკითხი ამგვარად არავის დაუყენებია, ეს უბრალოდ იმას უნდა მივაწეროთ, რომ ინერციით მივსდევდით ტრადიციით მიმდინარე ცნებათა გაგება-გამოყენებას და მისთვის კრიტიკული თვალთა არ შეგვიხედავს, ამაზე არ დავფიქრებულვართ, თორემ სხვაგვარი დასკვნა არც შეიძლებოდა ვინმეს გამოეტანა.

ვახტანგ ჭიჭინაძე

მთვარეზე ადამიანის გაფრენის შესახებ

ჩვენი თანამედროვეობა მოწმეა ორი მეტად მნიშვნელოვანი ფაქტისა, რომელთა ჯეროვნად შეუფასებლობამ შეიძლება კატასტროფული გაფლენა მოახდინოს კაცობრიობაზე, თუ კი ადამიანს არ ეყო სიბრძნე აღნიშნული მოვლენების თავის საკეთილდღეოდ გამოსაყენებლად.

მხედველობაში გვაქვს: 1. ატომური ენერგიის შექმნა (მას პროგტიკულად დასაბამი მიეცა ამ საუკუნის 40-იან წლებში) და 2. რაკეტული და გამოთვლითი ტექნიკის განვითარება, რომელთა აღორძინების ხანად ორმოცდაათიანი წლები უნდა მივიჩნიოთ. როგორც ერთი, ისე მეორე მოვლენა პროდუქტია მეცნიერების ყველა დარგის განვითარებისა, თუმცა, თუ ატომური ენერგიის შექმნაში მთავარი როლი ფიზიკოსებმა შეასრულეს, გამოთვლითი მანქანებისა და კოსმოსური ხომალდების შექმნა სინანერო ტექნიკისა და სინანერო მეცნიერების დამსახურებად უნდა ჩაითვალოს.

ცნობილია, რომ გამოთვლითი ტექნიკისა და რაკეტშენებლობის იმ დონემ, რომელიც მიღწეულ იქნა მეცნიერთა და ინჟინერ-ტექნიკოსთა დაუფლაცვი შრომის შედეგად, შესაძლებელი გახადა ჩატარებულიყო კოსმოსური კვლევის ის ვრცელი პროგრამები, რომელთა მოწმენიც დღესა ვართ. საყოველთაოდ ცნობილია ისიც, რომ ამ კვლევამ თავდაპირველი განვითარება ჩვენს ქვეყანაში ჰპოვა. ამ მხრივ პრიორიტეტი საბჭოთა კავშირს ეკუთვნის, უნდა პირდაპირ ითქვას, საბჭოთა კავშირის ფაქტსტრმა მიღწევებმა ორმოცდაათიანი წლების მეორე ნახევარში ამერიკელთა თვალში, საბჭოთა კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების ხვედრითი წონის საკითხი მეცნიერებაში სულ სხვაგვარად დააყენა. ეს მაშინ, როდესაც საბჭოთა მეცნიერება უფრო ადრე, კაროვიდა მოწინავე პოზიციებზე.

ხშირად ებადება კითხვა, საჭიროა თუ არა კოსმოსური კვლევის ჩატარება ასეთი ვრცელი პროგრამით? იგი ხომ დაკავშირებული ბნიშვნელოვან ხარჯებთან. ასეთი კითხვა იბადება სხვადასხვა ქვეყანაში, სხვადასხვა ფენის წარმომადგენლებს შორის. ადვილად შესაძლებელია, რომ ანალოგიური კითხვები ისმოდნდა წინა საუკუნეებშიც, ჯერ ერთი, როგორ პირის ანდა რო

ერთ კილოგრამამდე ენერგიადი. აღნიშნული პროცესი ითვალისწინებს აგრეთვე მთავარეს ინსიგნიერებებიდან 4,54 კილოგრამი წყლის მიღებას ერთ საათში. ასევე ცნობილია, რომ ადამიანს დღეში დაახლოებით 3 კილოგრამამდე წყალი სჭირდება. აღნიშნული რაოდენობით ენერგიადისა და წყლის მიღებაზე იხარჯება 20 კილოვატამდე ელექტროენერგია. თავისთავად ცხადია, რომ წყლის და ენერგიადის რაოდენობის გადიდება არ არის დაკავშირებული პრინციპულ სიძნელეებთან.

ეშმაზმ, რომ ადამიანთა დიდი მასებისათვის სხვა პოლეტებზე ნორმალური სასიცოცხლო პირობების შექმნის პრობლემის შესახებ მსჯელობა საგრძნობლად შორდება ჩემს კომპეტენციას და, რაც მთავარია, თემას.

მაგრამ იმისათვის, რომ ადამიანებმა მიაღწინონ რომელიმე პლანეტას, სპეციალო შეიქმნას შესაბამისი კოსმოსური ხომალდები და მოწყობილობანი, რომლებიც საშუალებას მოგვცემენ განხორციელდეს ხომალდის ფრენა ამა თუ იმ ტრაექტორიით.

კოსმოსური ხომალდების მართვის ზოგიერთი საკითხი

უნდა ითქვას, რომ კოსმოსური ხომალდების მართვის პრობლემები განირჩევა ჩვეულებრივი თვითმფრინავის მართვისაგან. ცნობილია, რომ თანამედროვე კოსმოსური ხომალდებისათვის მოძრაობის საჭირო სიჩქარის მისანიჭებლად გამოიყენება ქიმიური საწვავით მომქმედი რაკეტული ძრავები. ასეთ ძრავებს ახასიათებს საწვავი მასალის დიდი ხარჯი. ასე, მაგალითად, ამერიკული რაკეტის სატურნ 1B სასტარტო წონა 580 ტონას უდრის, მასში შედის აგრეთვე საწვავის წონა — 516 ტონა. ამგვარად, საერთო წონის 88% მეტი საწვავზე მოდის. იმისათვის, რომ საწვავის წონა მინიმუმამდე იქნას დაყვანილი, ქიმიურ საწვავზე მოქმედი რაკეტების მქონე კოსმოსური ხომალდები მაქსიმალურად იყენებენ ე. წ. თავისუფალი მოძრაობის ფაზას, როდესაც ხომალდი საჭირო აჩქარების მიღების შემდეგ მოძრაობას ინერციით განაგრძობს. მართალია, მოძრაობის ამგვარი ხასიათი აღიდებს ფრენის ხანგრძლივობას, სამაგიეროდ ასეთი რეჟიმის დროს საწვავის ხარჯი ნაკლებია. რაც შეეხება აჩქარების სიდიდეს, ეს სიდიდეც ისეთია, რომ ხომალდმა შესძლოს თავი დაიწიოს დედამიწის მიზიდულობის არეს და რომელიმე პლანეტის ანდა მთვარის მიზიდულობის არეში მინიმალური სიჩქარით შეეიდეს. ამის გამო კოსმოსური ხომალდი, დასახულ პლანეტას რომ მიაღწევს, დამეხრუშებაზე ხარჯავს მინიმალურ საწვავს.

როგორც წესი, ქიმიურ საწვავზე მოქმედი რაკეტული ძრავი ჩართულია მოკლე ხნის განმავლობაში, რომელსაც აჩქარების პერიოდი ეწოდება.

იმისათვის, რომ უზრუნველყოფილ იქნეს კოსმოსური ხომალდის მოძრაობა [illegible] საზღვრული ტრაექტორიით, საჭიროა პერიოდულად განხორციელდეს ხომალდის ადგილსამყოფელის ანუ მისი კოორდინატების გაზომვა და გამოთვლა-გარიშება. აღნიშნული ოპერაციები ხორციელდება ნავიგაციის მეთოდების გამოყენებით. ნავიგაციის ფუნქციებში შედის აგრეთვე იმ ადგილის კოორდინატების გამოთვლა, სადაც ხომალდი დროის შემდგომ მოხაკვეთში უნდა მოხდეს. ნავიგაციის პროცესი შეიცავს მართვის პროცესსაც. თუ კოორდინატების შესაბამისი გამოთვლის შედეგად გამოირკვა, რომ ხომალდი გამიზნულ ტრაექტორიას ასცდა, ან შემთხვევაში საჭიროა შესაბამისი კორექტირების შეტანა ხომალდის მოძრაობის ტრაექტორიაში. ეს უკანასკნელი ხორციელდება მთავარი რაკეტული ძრავის ანდა მცირე სიმძლავრის მქონე სპეციალური ძრავების ჩართვით.

კოსმოსური ხომალდის ადგილსამყოფელის დადგენა შეიძლება სხვადასხვა გზით, მაგალითად, დედამიწაზე მოთავსებული სარადარო სადგურებისა და გამოთვლითი ცენტრების საშუალებით. ასეთი მეთოდი ამჟამად ძალზე გავრცელებულია და გამოიყენება უმთავრეს შემთხვევაში ისეთი ამპარტების სამართავად, სადაც ადამიანი არ არის. მეთოდი გულისხმობს მაღალი სიხშირის მქონე, მკვეთრად მიმართული, ელექტრომაგნიტური ტალღების გაგზავნას კოსმოსური ხომალდისაკენ. ხომალდისაკენ უკან არეკლილ ტალღასა და გაგზავნილ ტალღას შორის ფაზათა სხვაობის განსაზღვრა იძლევა მანძილის დადგენის საშუალებას.

კოსმოსური ხომალდის კოორდინატების დადგენა შესაძლებელია განხორციელდეს თვით ხომალდზე არსებული ხელსაწყოების საშუალებითაც. ამ შემთხვევაში სასურველია ადამიანის ჩარევა, რათა მან ხელით მიმართოს სარეიტინგიანი პლანეტისაკენ ხომალდზე არსებული ოპტიკური ხელსაწყოები. პრინციპში შეიძლება აქაც გვეხმარა სპეციალური სარადარო სისტემები. გადამცემი და მიმღები, რომლებიც ელექტრომაგნიტურ ტალღებს გაგზავნიდნენ და მიიღებდნენ ზემოთ აღნიშნულ სარეიტინგიან პლანეტებისაკენ, მაგრამ ეს პრაქტიკულად ძალზე ძნელი განსახორციელებელია, ხომალდის წონის საგრძნობლ ზრდასა და მოცულობის სისტემის მნიშვნელოვან გაძვირების გამო.

პირველი მეთოდი უფრო ზუსტია, მაგრამ იგი იხმარება მარტო იმ შემთხვევაში, როდესაც ხომალდი დედამიწაზე მოთავსებული სარადარო სადგურების მხედველობის არეშია. წინააღმდეგ შემთხვევაში მისი გამოყენება შეუძლებელია.

გარდა გადატანილი მოძრაობისა, კოსმოსუ-

მა ხომალდმა შეიძლება ბრუნვითი მოძრაობიც განხორციელოს რომელიმე ღერძის მიმართ. ზნორად ასეთი მოძრაობანი დაკავშირებულნი არიან კოსმოსური ხომალდის ორიენტაციასთან, და დამოკიდებული არიან ხომალდის წონაზე დასმულ ამოცანებსა და ამ ამოცანებიდან გამომდინარე ზოგიერთ შეზღუდვებზე. მაგალითად, ნავიგაციის პროცესის დროს შეიძლება საჭირო გახდეს ხომალდის კორპუსის შემობრუნება, რათა რომელიმე ობტიკური ხელსაწყო მიმართული იქნას ამა თუ იმ ორიენტირისაკენ. კორპუსის მობრუნების საჭიროება შეიძლება წარმოიშვას დედამიწაზე ინფორმაციის გადაცემის ცოცლის დროს, რათა გადამცემი რადიოს ანტენა მიმართული იყოს ზუსტად იმ საფეხურისაკენ, რომელიც დედამიწაზეა მოთავსებული. გარდა ამისა, იმისათვის, რომ დამყარებულ იქნას თერმიული ბალანსი, ე. ი. ხომალდის ყველა მხარე თანაბრად რომ გთბეს, საჭიროა ხან ერთი მხარე იყოს მიმართული მზისაკენ, ხან მეორე. ხომალდის ორიენტაციის შეცვლა, როგორც წესი, ხორციელდება ხომალდის კორპუსზე მოთავსებული მცირე სამძალური ძრავების საშუალებით.

როგორც უკვე აღნიშნული იყო, გარდა თაკვისუფალი ძრაობისა, ხომალდი ძრაობს აგრეთვე ისეთ ფაზებზე, როდესაც მთავარი რაკეტული ძრავები ჩართულია. ასეთი პერიოდი მყარდება მაშინ, როდესაც მუშაობს მძლავრი მატარებელი რაკეტა — ბუსტერი, სანამ ხომალდი დედამიწის ორბიტაზე გავიდოდეს. ასეთივე პერიოდია, როდესაც ორბიტიდან ხომალდი უნდა დადგიდეს სხვა პლანეტაზე მიმართულ ტრაექტორიაზე. იმავე რეჟიმს აქვს ადგილი, როდესაც კურსის კორექტირება ხდება მთავარი ძრავის საშუალებით. ხომალდის ძრაობის იმ რეჟიმების დროს, როდესაც ჩართულია ერთი ან რამდენიმე მთავარი ძრავი, აუცილებელი ხდება ამ ძრავების მიერ შექმნილი წევის ძალის მართვა. ეს აუცილებლობა განპირობებულია იმით, რომ დაჯიცვათ ხომალდი მაგნე ვიბრაციებისაგან და მალაყებისაგან, რაც შეიძლება წარმოიშვას დიდი სიმძლავრის ძრავების მუშაობის დროს. ასეთი მართვის განხორციელება აუცილებელია აგრეთვე იმიტომ, რომ მთელმა სისტემამ აფრენა დაიწყოს ზუსტად დასახული მიმართულებით და არ ეშვნეს ადგილი გადახრას ამ ტრაექტორიიდან. იმისათვის, რომ განხორციელდეს მართვა, საჭიროა შესრულდეს შემდეგი ოპერაციები: 1) გიროხომის ხომალდის დახრა ან კუთხური გადადგილება, რაც სპეციალური ხელსაწყოს ე. წ. გიროსკოპის საშუალებით იზომება, 2) გიროხომის წრფივი აჩქარება (იზომება აქსელომეტრის საშუალებით). 3) ზუსტი დროის განსაზღვრა. იგი ხდება მაღალსტაბილური სიხშირის გენერატორის გამოყენებით. თუ განსაზღვრული მიმართულებით სიჩქარის მნიშვნელობებს შეეჯაჭვნით დროის მეხეფეფით და ანალოგიურად განვსაზღვრავთ კუთხეებს, ანალოგიურად ... ლის ძალებს, მივიღებთ მეტად ... სიდიდეს, რომელიც ერთ-ერთი ძირითადი ფაქტორია თანამეგზაურეკ ე. წ. ინერციულ ნავიგაციაში. ასეთი ოპერაციების შესასრულებლად და აგრეთვე მართვისათვის საჭირო სიგნალების გამოსამუშავებლად კოსმოსურ ხომალდზე მოთავსებული უნდა იყოს საკეთილო ელექტრონი მანქანა. ინერციული ნავიგაციის ერთ-ერთი უარყოფითი მხარეა გარკვეული ცთომილების არსებობა, რომელსაც ზრდის ტენდენცია აქვს. ამგვარად, ინერციული ნავიგაციის გამოყენებისათვის საჭიროა ისეთი გამზომი ხელსაწყოების გამოყენება, რომლებიც მტკიცე მაგალ ინზესტით ხასიათდებიან.

იმისათვის, რომ ნათელი წარმოდგენა ვიქონიოთ იმ პრობლემებზე, რომლებიც პილოტირებულ კოსმოსურ გაფრენასთან არიან დაკავშირებული, განვიხილოთ მთვრეზე ადამიანის გაფრენის ამერიკული პროექტი. ამ სტრიქონების ავტორს ჰქონდა შესაძლებლობა დეტალურად გასცნობოდა ადნიშნულ პროექტს. მასალაზეზეის ტექნოლოგიურ ინსტიტუტში ლექციების კითხვის დროს შესაძლებლობა მომეცა ადნიშნული ინსტიტუტის აერონავტიკისა და ასტრონავტიკის ლაბორატორიაში შეეხედოთო ლაბორატორიის ხელმძღვანელს პროფესორ ს. დრეიბერს. აგრეთვე ლაბორატორიის სხვა თანამშრომლებს. მასალები, რომლებიც აქ მოგვყავს, ამოკრებილია სხვადასხვა ლიტერატურიდან წყაროებიდან, რომლებიც მიეღე შეერთებულ შტატებში ჩემი ვიზიტების დროს 1964 და 1968 წლებში, აგრეთვე 1967 წელს ქ. ვენაში გამართულ კონფერენციაზე. იგი კოსმოსში ავტომატური მართვის პრობლემებს მიეძღვნა.

მთვარეზე გაფრენის ამერიკული პროექტი

როგორც ადნიშნული იყო, საბჭოთა მეცნიერების დიდმა მიღწევებმა ორმოცდაათიანი წლების ბოლოს საგრძნობლად, შეაშინა ამერიკის პრესტიჟი, რამაც დიდი შეშფოთება გამოიწვია ქვეყნის სხვადასხვა ფენებში. უნდა ვიფიქროთ, რომ ეს იყო მიზეზი იმისა, რომ 1961 წელს შეერთებული შტატების მაშინდელმა პრეზიდენტმა ჯ. კენედიმ მოწოდებით მიმართა ამერიკის მეცნიერებსა. და კონსტრუქტორებს, განაზორციელონ მთვარეზე ადამიანის გაფრენის პროექტი. ამ პროექტის (სახელად მას „აპოლო“ ეწოდა) შესრულების ვადა პრეზიდენტმა 1970 წლის ბოლომდე დასახა. მთელი

ვასილანგ ბიბინაძე

მთვარეზე ადამიანის გაფრენის შესახებ

პროგრამის ხელმძღვანელად დანიშნა ავიაციის გადამფრენი გენერალ-მაიორი ს. ფილიპსი. თუ რა მნიშვნელობას აძლევდნენ შეერთებული შტატები პროგრამის განხორციელებას, მეტყველებს ის ფაქტი, რომ აპოლოს პროგრამის შესრულებაში მონაწილეობას იღებს 300.000 კაცი და 20.000-მდე სხვადასხვა ფირმა. პროგრამის შესრულებაში მონაწილეობას იღებს აგრეთვე 20 სხვადასხვა უნივერსიტეტი და უმაღლესი სასწავლებელი. უნდა აღინიშნოს, რომ ზოგიერთი უმაღლესს სასწავლებელს მეტად მნიშვნელოვანი ამოცანები დაეკვლა. ასე მაგალითად, ნავიგაციისა და მართვის პრობლემის გადაწყვეტა დაეკისრა მასაჩუზეტსის ტექნოლოგიური ინსტიტუტის აერონავიტაციისა და ასტრონავტიკის ლაბორატორიას. აღნიშნულმა ლაბორატორიამ შეიმუშავა ნავიგაციისა და მართვის საერთო პრინციპები, შექმნა ზოგიერთი ძაღლზუსტი ხელსაწყო და დააპროექტა ხომალდზე დასადგამი გამოთვლითი მანქანის მუშა მაკეტი.

პროექტის განხორციელების საერთო ხელმძღვანელობა დაეკისრა აერონავტიკისა და კოსმოსის ნაციონალურ სამმართველოსს (NASA). აღნიშნულმა სამმართველომ შემდეგნაირად გაანაწილა სამუშაოები მისდამი დაქვემდებარებულ დაწესებულებებში:

კოსმოსური პილოტირებული ფრენის ცენტრს, რომელიც ქ. ჰიუსტონში (ტეხასის შტატი) მდებარეობს, დაეკვალა კოსმოსური ხომალდის კონსტრუქციის დამუშავება და გამოცდა. ცენტრი ამზადებს აგრეთვე კოსმოსანტებს და ხელმძღვანელობას უწევს კოსმოსურ ფრენებს და საკოორდინაციო-გამოთვლიან ცენტრს.

მარშალის ცენტრი, რომელიც ქ. ჰანსტვილში (ალაბამის შტატი) მდებარეობს, ხელმძღვანელობდა მატარებელ რაკეტის სატურნ 5-ის დაპროექტებას. ეს სამუშაოები შესრულდა ცნობილი გერმანელი სპეციალისტის ვ. ბრაუნის მეთაურობით. მარშალის ცენტრს ემორჩილება აგრეთვე რაკეტული ძრავების საგამოცდო კომპლექსი, რომელიც მისისიპის შტატში მდებარეობს.

ცენტრი, რომელიც სარაკეტო დარგის ამერიკელი პიონერის გოდარდის სახელს ატარებს და რომელიც ქ. გრინბელტში (მერილენდის შტატი) მოთავსებული, ხელმძღვანელობას უწევს იმ მოწყობილობების კომპლექსების შექმნას, რომლებიც დედამიწაზეა განლაგებული.

კოსმოსურ ცენტრს, რომელიც კენედის კონსაზეა მოთავსებული (ფლორიდის შტატი), დაეკვალა ტესტირებული ფრენების დამოწმებისა და შექმნა და აგრეთვე მათ ექსპლოატაცია. გარდა ამისა, ცენტრის საშუალებით სრულდება კოსმოსური ხომალდებისა და რაკეტების გაშვების ოპერაციები. პილოტირებული კოსმოსური ხომალდის მთავარეზე გაშვება, დაჯდომა და უკან დაბრუნება შეიძლება განხორციელდეს [illegible] ასევე, მაგალითად, შეიძლება [illegible] რინდეს მძლავრი სარაკეტო სისტემა ნიმალდიიფერთ, აიღოს კოსმოსი. მთავარეზე, დაეშვას იქ, შემდეგ აფრინდეს და დაბრუნდეს უკან. ასეთი ოპერაციის შესასულებლად საჭიროა ძალზე მძლავრი რაკეტა-მატარებელი, რომელიც ამჟამად არ არსებობს. მეორე ვარიანტით, მთავარეზე ადამიანის გაფრენა და უკან დაბრუნება შეიძლება განხორციელდეს ხომალდით, რომელიც აიწევა დედამიწის ორბიტაზე. ამისათვის გაშვებულ უნდა იქნეს რამდენიმე რაკეტა და დედამიწის ორბიტაზე მოხდეს ზემოთაღნიშნული მონტაჟი. ცხადია, ამ შემთხვევაში რაკეტა-მატარებელი, რომლის დანიშნულება გადალახოს ატმოსფეროს წინააღმდეგობა და დედამიწის მიზიდულობა, გაცილებით ნაკლები სიმძლავრისა შეიძლება იყოს. საერთოდ ცნობილია, რომ ორბიტაზე თანამგზავრის გასაყვანად მისმა რაკეტამ უნდა განავითაროს ე. წ. პირველი კოსმიური სიჩქარე.

გარდა აღნიშნული ორი ვარიანტისა, არსებობს მესამეც, რომელის დროსაც კოსმოსური ხომალდი დედამიწის ორბიტაზე გაჰყავს ერთ რაკეტა-მატარებელს, რის შემდეგაც ხომალდი იღებს კოურსს მთვარისაკენ. მთვარესთან მიახლოების შემდეგ კოსმოსური ხომალდი გადის მთვარის ორბიტაზე და ბრუნავს მის გარშემო. ამის შემდეგ კოსმოსურ ხომალდს მოშორდება ნაწილი, რომელიც გამიზნულია მთვარეზე დასაშვებად. დაშვების და შემდგომ აფრენის შემდეგ ეს ნაწილი ისევ შეუერთდება მთვარის ორბიტაზე მოძრავ ხომალდს, რის შემდეგ ხდება მთვარეზე მყოფი ნაწილის მოშორება. კოსმოსური ხომალდი კი ბრუნდება დედამიწაზე. ამერიკელმა მეცნიერებმა გადაწყვიტეს, მთვარეზე გაფრენა განსაზორციელოს სწორედ ამ მესამე ვარიანტის მიხედვით, ვინაიდან, მათი აზრით, მესამე ვარიანტი უფრო ნაკლებ დაჯდება და დროსაც ნაკლებს მოითხოვს. უნდა ითქვას, რომ ეს აზრი არ არის ერთსულოვანი. მაგრამ, მიუხედავად ამისა, აღნიშნული პროექტი დამტკიცებულ იქნა.

აპოლოს პროექტის საერთო ღირებულება დაახლოებით 23 მილიარდ 200 მილიონ დოლარს შეადგენს. ეს არის NASA-ს საერთო ბიჯეტის თითქმის ნახევარი. აღნიშნული თანხიდან თვით კოსმოსურ ხომალდზე იხარჯება დაახლებით 7 მილიარდი დოლარი, მატარებელ რაკეტაზე 10 მილიარდამდე დოლარი, სასტარტო კომპლექსების მოწყობასა და ექსპლოატაციაზე 2 მილიარდამდე დოლარი, დედამიწაზე მოთავსებული დანადგარების შესაქმნელად 700 მილიონი დოლარი. აპოლოს პროექტზე გამიზნული საერთო თანხის თითქმის ნახევარი იხარჯება იმ სამუშაოებზე, რომლებსაც ასრულებენ

შეერთებული შტატების ფირმები. მათ შორის ფირმა North American ასტოლებს 6 მილიარდი დოლარის ღირებულების სამეშოს. ფირმა Boeing 1 მილიარდ დოლარამდე ღირებულების სამეშო

ძლე მასალით, შემუშავდა ახალი, უფრო სიმდგრადე სკაფინგრები. გარდა ამისა, შეიცვალა კომბინატების კბილის ქანგბადიან მომპრაგების წესი. წინათ კბილი ავსებული იყო სუფთა ქანგბადით. ამჟამიკი კონსტრუქტორების ბოლო გადაწყვეტილების თანახმად, სტარტის პერიოდში კბილნი შეიავსება ქანგბადისა (60%) და აზოტის (40%) ნარევით. ამ დროს კომბინატები სკაფინგრებში არიან და სუფთა ქანგბადით იკვებებიან. სტარტის შემდეგ აღინიშნული ნარევი კბილიდან იცვლება ისევ სუფთა ქანგბადით. ასეთი გადაწყვეტილება მიღებულია იმიტომ, რომ ხანძრის გაჩენის უფრო მეტი საშიშროება სწორედ სტარტზე არსებობს.

მთავრიზე გაფრენის მთელი სისტემა აღჭურვილია რამდენიმე გამომთვლელი მანქანით. აქედან ორი მანქანა მოთავსებულია რაკეტა სატურნ 5-ში, ერთი მთავარი დისკრეტული ტიპისა, მეორე კი ანალოგიური. ერთი დისკრეტული ტიპის მანქანა მოთავსებულია ეკიპაჟის ნაკვეთურაში. ასეთივე ტიპის მანქანა არის აგრეთვე მთვარის ნაკვეთურაში.

მთვარეზე კილოგრიკვადული ფრენის ფალაკეული ეტაპები:

მთვარეზე გასაფრენი სისტემის გაშვებას წინ უსწრებს ამ სისტემაში შემავალი ყველა აგრეგატის გასინჯვა, რაც ხორციელდება გამოთვლილი მანქანების კომპლექსის მიერ სპეციალური პროგრამის თანახმად. აღნიშნული შემოწმებას უმთავრესად აწარმოებს გამოთვლითი მანქანა, რომელიც სატურნის ტიპის რაკეტაშია მოთავსებული. ამ მანქანის მეშვობას კონტროლს უწევს მეორე გამოთვლითი მანქანა, რომელიც ეკიპაჟის ნაკვეთურაშია. გამოთვლითი მანქანა, რომელიც მთვარის ნაკვეთურაშია. მოქმედებას იწყებს უფრო მოგვიანებით, მთავრესთან მიახლოების დროს.

მიწაობილობანი და გამოთვლითი მანქანები, რომლებიც პოლეგონზეა მოთავსებული, აწარმოებენ პარალელურ შემოწმებას. გარდა ამისა, პოლეგონზე არსებული გამომთვლელი მანქანები ამოწმებენ ფრენის ტრაექტორიის პარამეტრებს.

რაკეტის გაფრენის პირველ ეტაპზე მუშაობენ მხოლოდ პირველი საფეხურის ძრავები. მათი რაოდენობა, როგორც უკვე აღნიშნული იყო, ხუთია. ერთ-ერთი მათგანი ცენტრშია მოთავსებული. დანარჩენი ოთხი განლაგებული მის გარშემო. ამ ოთხი ძრავის საშუალებით ხდება რაკეტის მარცხა გაშვების ეტაპზე. მართვის მიზანია თავდაპირველად განსაზღვრული ვერტიკალური ძრაობა, ხოლო შემდეგ გარკვეული კუთხით დახრა. სპეციალური მართვის სისტემა ამავე ეტაპზე უზრუნველყოფს რაკეტის მდგრადობას. ასეთი მართვის განხორციელების საუცილოლობა [illegible] მექანიკური რხევების, თხევადი [illegible] ლის გადადგილებით და ავერიულ [illegible] ტეირთვების არსებობით. [illegible] გარეშე შეიძლება მოხდეს რაკეტის კონსტრუქციის დარღვევა.

როგორც ვიცით რაკეტის, ისე მასზე მოთავსებული კოსმოსური ხომალდის მართვის სისტემები და გამომთვლელი მანქანები ემყარებიან ზომავენ სისტემის მოძრაობის პარამეტრებს და გამოთვლილ მთელი კომპლექსის ადგილმდებარეობას, სიჩქარეს და იმ ტრაექტორიას, რომლითაც აღნიშნული კომპლექსი მოძრაობს. ამ ტრაექტორიის გამომთვლელი მანქანები აფარებენ ტრაექტორიას, რომლითაც უნდა მოძრაობდეს კომპლექსი. განსხვავების შემთხვევაში გამომუშავდება სიგნალები, რომლებმაც უნდა გაასწორონ მოძრაობის კურსი. იმ შემთხვევაში, თუ რაიმე საშიშროება შეიქმნა, ჩაირთვება სპეციალური რაკეტის ძრავი, რომელიც ხომალდს მოაშორებს მთავარ რაკეტას, გაიკვანს ვეგრეზე, რის შემდეგ ჩაირთვება სპპარაშუტო სისტემა და ხომალდი დაეშვება დედამიწაზე. ეკიპაჟის გადარჩენის ეს სისტემა, რომელიც ხომალდის ზემოთაა მოთავსებული, ავტომატურად მოშორდება დანარჩენ კომპლექსს, როდესაც რაკეტა გადის ატმოსფეროს ფენებს შორის. ცოტა უფრო ადრე მას შორდება რაკეტის პირველი საფეხური. ამის შემდეგ ხომალდის გადარჩენა შეიძლება ხომალდის დაშვების ოპერაციების განხორციელებით, რისთვისაც მას წინასწარ უნდა მოსცილდეს მეორე და მესამე საფეხურის რაკეტები.

თუ ფრენა ნორმალურად მიმდინარეობს, პირველი საფეხურის მოშორებიდან ერთი წამის შემდეგ ჩაირთვება მეორე საფეხურის ძრავები. მეორე საფეხურის მოქმედების დროს მართვის სისტემა განაგრძობს ანალოგიური ფუნქციების შესრულებას ტრაექტორიის განსაზღვრისა და კორექტირებისათვის. როდესაც საჩაკეტო კომპლექსი მიაღწევს 180 კმ. სიმაღლეს, გამოირთვება მეორე საფეხური და ჩაირთვება შესამე საფეხურის ძრავა. მეორე საფეხური გამორთვისთანავე ავტომატურად მოშორდება დანარჩენ კომპლექსს. ამის შემდეგ რაკეტული კომპლექსი გადის დედამიწის გარშემო ორბიტაზე. ორბიტაზე გასვლის შემდეგ მესამე საფეხურის ძრავა გამორთვეება, მაგრამ თვითონ მესამე საფეხური პირველი ორსაგან განსხვავებით მიერთებული რჩება კოსმოსურ ხომალდთან. ასეთ მდგომარეობაში მთელი სისტემა იწყებს მოძრაობას დედამიწის გარშემო. დედამიწის გარშემო ორჯერ შემობრუნების შემდეგ, თუ ყველა აგრეგატმა ნორმალურად იმუშაავა, დედამიწიდან გაიცემა განკარგულება, რათა ხომალდმა აიღოს კურსი

მთვარისაკენ. იმისათვის, რომ ხომალდმა დასტო�d დედამიწის მიზიდულობის არე, საჭიროა მას მიენიჭოს ე. წ. მეორე კოსმოსური სიჩქარე. ეს ხორციელდება მესამე საფეხურის ძრავის (რომლის წყვის ძალა, როგორც აღინიშნეთ, 100 ტონამდეა) მეორეჯერ ჩართვით. აღნიშნული ძრავი ხელმეორედ მუშაობს 5,5 წუთის განმავლობაში, ანიეგზს რა ხომალდს საჭირო აჩქარებას, ეს უკანასკნელი გადადის მთვარისაკენ მიმართულ ტრაექტორიაზე, რომელსაც თავისუფალი დაბრუნების ტრაექტორია ეწოდება, ვინაიდან მისი საშუალებით შესაძლებელი ხდება დედამიწისკენ დაბრუნება ყოველგვარი ენერგიის დახარჯვის გარეშე. იმ შემთხვევაში, თუ მთვარეზე დაშვების ოპერაციის შესრულება შეუძლებელი გახდა, ხომალდი, შემოუვლის რა მთვარეს, დაბრუნდება უკან ძრავის ჩაურთველად. ფრენის ტრაექტორიის გამოთვლა და სათანადო მაკორექტირებელი სიგნალების გამომუშავება სწარმოებს მუდმივად, როგორც ხომალდზე არსებული სისტემების მიერ, ასევე დედამიწაზე მყოფი გამოთვლითი ცენტრების მიერ, რაც საგრძნობლად აღიდებს სიმეყრდნობას.

მთვარის ორბიტაზე გაყვანის შემდეგ ხორციელდება ე. წ. გადაადგილების ოპერაცია. ოპერაციის აუცილებლობა გამოწვეულია იმით, რომ სასტარტო მდგომარეობაში მთვარის ნაკვეთური მოთავსებულია მოწყობილობის ნაკვეთური უკან, რაც შემდგომში გამორიცხავს მოწყობილობის ნაკვეთურის რეაქტიული ძრავის ჩართვის შესაძლებლობას. მონტაჟის ასეთი სქემა კონსტრუქციის გამარტივების თვალსაზრისით არის მიღებული. მთვარეზე ტრაექტორიის აღების შემდეგ იმისათვის, რომ შესაძლებელი გახდეს დროდადრო ხელსაწყოების ნაკვეთურის მთავარი ძრავის ჩართვა, საჭიროა ამ ნაკვეთურის და მასთან ხისტად დამაგრებული ეკიპაჟების ნაკვეთურის 180°-ით მობრუნება და ისიც შეერთება მთვარის ნაკვეთურასთან. ასეთი შეპრაბირების განხორციელების შემდეგ ხელსაწყოების ნაკვეთური, ეკიპაჟის ნაკვეთური და მთვარის ნაკვეთური განაგრძობენ ფრენას მთვარისაკენ, როგორც ერთი მყარი სხეული.

მთვარეზე აღებული კურსის შემდეგ რამდენიმეჯერ ხორციელდება ხომალდის კოორდინატების დადგენა და სათანადო შესწორებების შეტანა. თუ კურსიდან გადახრა დიდი არ არის, მაშინ კორექტირება ხდება მცირე წყვის ძალის მქონე რეაქტიული ძრავებით, რომლებიც ხელსაწყოების ნაკვეთურის კოპუსის ირგვლივ არიან განლაგებული. თუ კურსიდან გადახრა დიდია, მაშინ კორექტირება ხდება ხელსაწყოების ნაკვეთურის მთავარი ძრავის საშალებით, რომლის წყვის ძალა 10 ტონას უდრის.

მთვარის ორბიტაზე გასვლის წინ ნავიგაციის სისტემის მიერ სრულდება შესაბამისი მანევრისათვის საჭირო პარამეტრების განსაზღვრა. ამ მანევრის მიზანია გვიდოს ხომალდი ორბიტირებულ წრიულ ორბიტაზე, რომლის დაშორება მთვარიდან უდრის 150 კმ-ს. ორბიტის სიბრტყე არჩეულია ისეთნაირად, რომ მან გადაკვეთოს მთვარეზე დასაშვები ადგილი, რომელიც წინასწარ არის არჩეული. ასტრონავტები ოპტიკური ხელსაწყოების საშუალებით აწარმოებენ ამ ადგილის დაკვირვებას. შემდეგ ეკიპაჟის ორი წევრი, ხომალდის მეთაურის ჩართვით, გვირაბის საშუალებით გადადის მთვარის ნაკვეთურაში, რის შემდეგ ხდება მთვარის ნაკვეთურისა და ეკიპაჟის ხელსაწყოების ნაკვეთურების განცალკევება. მთვარის ნაკვეთურის გამომთვლელი მანქანის საშუალებით ამ ნაკვეთურის დაშვების ნაწილის ძრავი ახორციელებს მანევრს, რომლის მიზანია მთვარის ნაკვეთურის სიჩქარის შემცირება 1600 მ/წამიდან 1570 მ/წამამდე. სიჩქარის ასეთი შემცირების გამო მთვარის ნაკვეთური ეშვება 15 კილომეტრის სიმაღლემდე. მთვარის ნაკვეთური დახრილი ტრაექტორიით გაიცვლის რა 350 კილომეტრს, დაეშვება 4 კილომეტრის სიმაღლემდე. დაშვების პერიოდში ფრენის პარამეტრების განსაზღვრაში, გარდა ზემოთაღწერილი მოწყობილობებისა, მონაწილეობას ღებულობს აგრეთვე მთვარის ნაკვეთურაში მოთავსებული სარადარო სისტემა. მაშინ, როდესაც მთვარის ნაკეთური დედამიწიდან ხილულ მხარეს გაშავი, ან ოპერაციებში მონაწილობენ დედამიწაზე მოთავსებული სადგურებიც. თავის მხრივ, მთვარის ნაკვეთური მთვარის ორბიტაზე მყოფი ხომალდის საშუალებით ინფორმაციას გადასცემს დედამიწაზე მყოფ სადგურებს. რაიმე უმნიშვნელო უწესივრობის შემთხვევაში მართვის სისტემა სწყვეტს დაშვების პროცესს და აბრუნებს მთვარის ნაკვეთურს უკან, ხომალდთან შესაერთებლად.

დაშვების ბოლო ეტაპში მთვარის ნაკვეთურას ისეთი დახრილობა ეძლევა, რომ ნაკვეთურის ილუმინატორში გამარჩევლ დასაშვები ადგილი, რათა ასტრონავტებმა შესძლონ ხელით კონტროლის განხორციელება. ამის შემდეგ ნაკვეთური კორპუსის მდგომარეობა სიერცეში, დაშვების მიმართულება და დახრის კუთხე უცვლელი რჩება. ილუმინატორში გამარჩევლი სპეციალური ნიშანი— ბადეზა აჩვენებს დაშვების იმ ადგილს, რომლის კოორდინატებიც გამოთვლილმა მანქანამ განსაზღვრა. თუ ასტრონავტმა გადაწყვიტა, რომ აღნიშნული ადგილი არ აკმაყოფილებს უხიფათოდ დაშვების პირობებს, ასტრონავტს შეუძლია აირჩიოს ახალი დასაშვები ადგილი, ამისათვის იგი

ვახტანგ ბიმინაძე
მთვარეზე ადამიანის გაფრენის შესახებ

არჩეულ ადგილს ნაკეთურის კორპუსის სათანადო მობრუნებით ათავსებს ზემოთ აღნიშნულ ბადეურასთან. შემდეგ ასტრონავტი აჭერს თითს სათანადო ღილაკს, რის შედეგადაც გამოთვლილი მანქანა განსაზღვრავს ახალი ადგილის კოორდინატებს და მართვის სისტემა განაზორციელებს მართვას შესაბამისი ახალი ტრაექტორიით. მართვის სისტემა დაშვების ბოლო ფაზაში იყენებს, როგორც ინერციული სისტემის, ისე რადარის მიერ მიწოდებულ ინფორმაციას. დაშვების რადარი ზომავს სიმაღლეს და სიჩქარეს სამ კომპონენტს ე. ი. სიჩქარის ჰორიზონტალურ ორ მდგენელს და ვერტიკალურ მდგენელს. დაშვების პროცესის ყველა მომენტში ასტრონავტს შეუძლია განსაზღვროს როგორც წაწილობრივი, ისე მთლიანი მართვა. ასე, მაგალითად, სიმაღლის შემცირების პროცესის მართვა შეიძლება განხორციელდეს ავტომატური სისტემის საშუალებით, ხოლო ასტრონავტმა ამ დროს შეიძლება ხელით მართვა განახორციელოს მხოლოდ ჰორიზონტალური გადაადგილების მიმართულებით.

მთვარეზე დაშვების შემდეგ უპირველეს ყოველისა უნდა განხორციელდეს მდგომარეობის შეფასება, რათა საჭიროების შემთხვევაში მიღებული იქნას გადაწყვეტილება დაუყოვნებლივ აფრენის შესახებ. ასტრონავტები ამოწმებენ ყველა მოწყობილობას, დაშვების ძრავი გადაყავთ უმოქმედო მდგომარეობაში და ცლიან ამ ძრავის აეზგბს. მოწმდება საყანონრები და მათი მდგომარეობა, ამ საყანონრების გაცეკების სისტემა, მეტეორების საწინააღმდეგო გარსი, მთვარეზე სასიცოცხლო ფეხსაცმელი და სხვ. ვინაიდან მთვარეზე ასტრონავტები უნდა იყვნენ მხოლოდ 18 საათს (ისინი ღამეს არ გაათენებენ), ამიტომ საყანონრები აღჭურვილია მარტო გაცეკების სისტემით. შესამოწმებელ ოპერაციებს დაახლოებით 1 საათი და 45 წუთი სჭირდება. ამ დროის შემდეგ ასტრონავტები ახორციელებენ ნაკეთურის დეკერმეტიზაციას. შემდეგ ერთ-ერთი ასტრონავტი აღებს სპეციალურ კაკებს და გამოდის გარეთ. ხომალდის მეთაური რჩება ნაკეთურში. გარეთ გამოსული ასტრონავტი პირველ რიგში ამოწმებს მთვარის ნაკეთურის მდგომარეობას, გრუნტს. დაახლოებით 30 წუთის შემდეგ ზედაპირზე გამოდის ხომალდის უფროსიც, აწარმოებს ფოტოგრაფირებას. ასტრონავტები რაციოს საშუალებით დაწერილებით ინფორმაციას გადასცემენ ასტრონავტს, რომელიც მთვარის გარშემო ორბიტაზე მოძრაობს. იგივე ინფორმაცია გადაეცემა ედამიწაზეც. ამის შემდეგ მთვარის ზედაპირზე გადმოტვირთება სპეციო მოწყობილობანი, რათა ასტრონავტებმა მთვარეზე დასტოვონ ავტომატური სადგური, რომელიც 10 თვის განმავლობაში ედედამიწაზე გადმოსცემს სხვადასხვა ინფორმაციას. ერთერთ მთავარ ამოცანად ასტრონავტების წინაშე დასაბრუნებელ მთვარის ნიადაგის ნიმუშების ჩამოტანა. ეს ნიმუში იტვირთება ნაკეთურაში. ამის შემდეგ ასტრონავტები ბრუნდებიან ნაკეთურაში. ადენენ მის ჰერმეტიზაციას და ინიციალ აკეთებენ. საჭმლის მიღების შემდეგ ასტრონავტები 6 საათის განმავლობაში ისვენებენ. დასვენების დროს სკაფანდრები მარადდება ამ ენერგიით, რომელიც საჭიროა ასტრონავტების შემდეგი გამოსელისათვის.

დასვენების შემდეგ ასტრონავტები იცვამენ სკაფანდრებს, ახდენენ ნაკეთურის დეკერმეტიზაციას და ხელმეორედ გამოდიან მთვარის ზედაპირზე. ერთ-ერთი ასტრონავტი იღებს ნიდაგის სინჯს ნაკეთურისაგან უფრო მოშორებით. რამდენიმე საათის შემდეგ კოსმონავტები ბრუნდებიან ნაკეთურაში და ამოწმებენ ყველი ხელსაწყოს, შემდეგ ხორციელდება მთვარიდან აფრენის ოპერაცია.

მთვარიდან აფრენა უნდა მოხდეს ამ მომენტში, როდესაც ორბიტაზე მყოფი ხომალდი გადაივლის ადგილს, სადაც ასტრონავტები არიან. ამ მომენტში ჩაირთვება ასაფრენი ნაწილის ძრავი, ხოლო დასაფენი ნაწილი რჩება მთვარის ზედაპირზე. შემდეგ ხორციელდება შეპირაპირების ოპერაცია, რომელსაც დაახლოებით 2 საათი სჭირდება. მთვარის ნაკეთურის და ხომალდის შეხვედრის შემდეგ კოსმონავტები გადადიან ეკიპაჟის ნაკეთურში და თან გადაქვთ მთვარიდან წამოღებული ნიმუშები, რის შემდეგაც მთვარის ნაკეთური შორდება ხომალდს. ჩაირთება ხელსაწყობის ნაკეთურის, მთავარი ძრავი და ხომალდი კურსს ედედამიწისაკენ. ვინაიდან ჩართვის მომენტის დროს ხომალდი მთვარის უხილავ მხარეს არის, გამორიცხულია დედამიწიდან რაიმე ბრძანების გაგზავნა, რის გამოც დიდი მნიშვნელობა ენიჭება ძრავის ჩართვის საიმედოობას. წინასწარი გამოთვლების შედეგად მიღებულია, რომ ძრავის ჩართვის საიმედოობა უდრის 99,9998%. მთვარიზე გაფრენის ოპერაციის წარმატებით დამთავრების საიმედოობა დაახლოებით 90%-ია. იმის გარანტია, რომ ეკიპაჟი უვნებელი დაბრუნდება დედამიწაზე, უდრის 99,9%.

დედამიწაზე დაბრუნებისას, 15 წუთით ადრე, სანამ ხომალდი ატმოსფეროში შემოვიდოდეს, ეკიპაჟის ნაკეთურის მოსცილება ხელსაწყობის ნაკეთურეი. ატმოსფეროში შემოსვლა უნდა განხორციელდეს ზუსტად განსაზღვრული კუთხით, წინააღმდეგ შემთხვევაში ხომალდი ან გადახტრდება ზედეტად და დაიფრეგმა, ან აირეკლება ატმოსფეროსგან და მის დასაბრუნებლად საჭირო ენერგიის და ძრავის უქონლობის გამო ვეღარ დაბრუნდება დედამიწაზე.

ხომალდის დაშვება უნდა მოხდეს წყნარ ოკეანეში.

ᲛᲝᲒᲖᲐᲣᲠᲘᲡ ᲨᲗᲐᲑᲔᲭᲓᲘᲚᲔᲑᲐᲜᲘ

ᲘᲚᲘᲐ ᲒᲐᲑᲐᲚᲣᲐ

ᲙᲐᲑᲘᲚᲘᲐ

ეს იყო 1967 წლის სექტემბერში. ერთ საღამოს ბასკი ჟურნალისტი რენე მარგერიდონᲔ, კაბილი ეთნოგრაფი ტიზი-უზუდან მᲰᲐᲓᲐ ისოლა, ბატნელი ჟურნალისტი საკი ჰადადი და ამ სტრიქონების ავტორი ქ. ალჟირის ერთ-ერთ რესტორანში ვიჯექით. ისინი ამზადებდნენ რეპორტაჟს ალჟირის მე-4 საერთაშორისო ბაზრობის შესახებ, რომელიც იმ პერიოდში გახსნილა ქ. ალჟირში, მე კი საქართველოს სსრ საზოგადოება „ცოდნის“ მიერ მეორეჯერ ვიყავი მიფლინებული ლექციების წასაკითხავად ალჟირის რესპუბლიკაში. ჩვენი საუბარი ეხებოდა ისტორიას, ლიტერატურას, ხელოვნებას, ეთნოგრაფიას, პოლიტიკას, მაგრამ ყველაზე უფრო მაინც ისტორიას. ბოლოს ბასკმა რენე მარგერიდონმა სიტყვა ითხოვა, სასმისი აიღო და თქვა:

— მე ბევრი მსმენია და წამიკითხავს ბასკებისა და ქართველების ნათესაობის თაობაზე, ხოლო აქ კი, ალჟირში, კერძოდ კაბილიელებს შორის და ლ, ორეს მასივში მეცხოვრებ შაუიას ტყეში ᲮᲨᲘᲠᲐᲓ მომისმენია, ჩვენ წინაპრებიდან თუ კავკასიიდან მოსულები ვართო. ამიტომ მე მინდა შემოგთავაზოთ ქართველების, როგორც ჩვენი უფროსი ძმების სადღეგრძელო — დასაყვნა რენე მარგერიდონმა, მᲰᲐᲓᲐ ისოლამ და საკი ჰადადმა მხარი დაუჭირეს მას. მე არაფერი მრჩებოდა გარდა იმისა, რომ მადლობა მეთქვა და დავმორჩილებოდი უმრავლესობის სურვილს.

მათ მირჩიეს, აუცილებლად გავმგზავრებულიყავი კიდევ ერთხელ კაბილიაში, მენახა ეს ქვეყანა და დამეწერა რაიმე მასზე. მე სწორედ მეორე დღისათვის მᲭᲘᲓᲐ განზრახული კაბილიაში გამგზავრება.

კაბილია მაინტერესებდა არა მარტო მისი შშვენიერი ბუნებრივი და კლიმატური პირობების, არამედ მისი წარსულისა და აწყმოს გამᲝᲪ. საერთოდ, მეტად საინტერესოა კაბილიელების ისტორია, მათი წარმᲝშობის საკითხი, კაბილური ენა. ვინ არიან კაბილიელები, საიდან მოვიდნენ ისინი ჩრდილოეთ აფრიკაში, რომელ ხალხებთან არიან ისტორიულად ნათესაურ კავშირში? აი, საკითხები, რომლებიც ყოველ კაბილიელებსაც აინტერესებს. და, ცხადია, როგორც კი ალჟირში მოვხვედი, გადავწყვიტე მენახა ეს მხარე, გავცნობოდი ამ ხალხს.

ყვევებდა. ის ხალხი იყო მისი მაყურებელი და ამ მაყურებელთასთვის ცოცხლობდა ამქვეყნად. ვფიცავ, რაც საფიცარი გამაჩნია, რომ თქვენ, მხოლოდ და მხოლოდ თქვენ უყვარდით ედიტს ჭეშმარიტად.

●

არაგინ მეგულება ისეთი, ვისაც ედიტზე დიდი ტანჯვა ჰქონდეს გადატანილი, ვისაც ედიტზე მეტად სძაგდა ფიზიკური ტკივილი. რა არ დასტყდომია თავს. საავტომობილო კატასტროფები თუ ოტერაციები, ავადმყოფობა... მაგრამ საკვირველი ის იყო, თუმცა რაღა არ იყო საკვირველი მის საოცარ ცხოვრებაში, ოდნავ შვებებოდა თუ არა ტანჯვა, ედიტი მეფეი არსებით ზურგს აქცევდა მას.

მახსოვს, ერთხელ საავტომობილო კატასტროფის შემდეგ სახის მასაჟი უნდა გეკეთებინათ, რადგანაც გასაკოდოვებულიო სახე იარებსა და ჭრილობებს დაეფარა.

როცა ექიმი ენერგიულად შეუდგა საქმეს, ედიტი, ვითომც აქ არაფერიაო, მე მესაუბრებოდა. თანდათან წამოჭარხლდა, ბოლოს გალურჯდა კიდეც.

მისი მოთმინების შემყურე ექიმი აღელდა.

— თუ გნებავთ, წუთით შევისვენებ, — თქვა მან,

— ალბათ ძალზე ტკივილი, არა?

ედიტმა დასიებული სახე მისკენ მიაბრუნა და უპასუხა:

— განაგრძეთ, ექიმო, არა უშავს, გავუძლებ.

— მაგრამ, ქალბატონო, ეს ხომ საშინელებაა. ცოტა ხნით მინც დახსვენეთ...

ედიტმა გამიმწყვიდა შეხედა:

— არა უშავს, განაგრძეთ, ჩემთვის ფიზიკურ ტკივილს არავითარი მნიშვნელობა არა აქვს. მე შემიძლია არად ჩავაგდო იგი.

მაგრდება: ერთხელ მრავალი თვის განმავლობაში პიაფი ამერიკელ ჰოსპიტალში სიკვდილს ებრძოლა. მასთან არავის უშვებდნენ და კანმრთელობის მდგომარეობას გაზეთების ან ლ. ბარეს — მისი იმპრესარიოს საშუალებით ეიგებდნ. უკანასკნელად მითხრა: — იმედი გადაწყვეტილია, ედიტი უკვე რამდენიმე დღის განმავლობაში უგონოდ არისო.

ერთხელ დილით, შემოხვევით შინ აღმოჩენდი, უეცრად ტელეფონის ზარი აწკრიალდა.

— ეს შენა ხარ, სელ?

ყურს არ დაუჯერე.

— ედიტ, ჩქარა მითხარი, რომ არ ვცდები, რომ ხაადვილად შენ მელაპარაკები.

გაიცმა სოიერად მისუსტებული, დაღლილი ხმა. ედიტმა ძლივძლივობით წამოთქვა.

— დიახ! მე ვარ. იცი, ასე ვფონია შორი გზიდან დაგბრუნდი და უეცრად ძალზე ზმიანდა შენი ხმის გაგონება. წარმომიდგენია შენი სახე ჩემთან საუბრისას. ეს იყო და ეს. ახლა კმაყოფილი ვარ. დამიკიცნე შენი მეუღლე, პატარები, დედა. მალე დაგირეკავ, ახლა კი საშინლად დავიღალე, მაგრამ ძალზე ბედნიერი ვარ.

ვაი, რომ ამიერიდან ვეღარ დამირეკავს, ვეღარ მეტყვის, — შორი გზიდან დაგბრუნდიო.

რამდენიმე ხნის შემდეგ ნახვის ნება დამირეს. გამხდარი, ფერმკრთალი ედიტი მოიმოდა. პალატის ბერზე სხვადასხვაფერი ბუშტები ეკიდა, როგორ ჩემ გაკვირვებული მზერა შენიშნა, მითხრა:

— მეგობრებმა მაჩუქეს. ჩემი განძრევა არ შეიძლება. სულ ზურგზე ვწევარ და ჭერს მივჩერებიარ. რომ იცოდე, რა პირქუშია — ასეთი ქათქათა თეთრი, ლღუვი ჭერი. ასლა თვალს გავიხელ თუ არა, ეს ფერადფრადი მშვენიერება იშლება ჩემს თვალწინ. ძალზე მიეკარს ჩემი ბუშტები. მარტო ისინი არიან მოწმენი იმისა, რაც გადავიტანე.

სულ ეს იყო, სიტყვაც აღარ წამოსცდენია უკანასკნელი თვეების უღმრთო ტანჯვის შესახებ.

ედიტმა აურაცხელი შეკითხვები მომაყარა მეგობრებზე, თეატრზე, კინოზე პარიზზე, შემდეგ სრულიად მოულოდნელად მითხრა:

— არც მე ვეყოფილარ უქმად, — შენიშნა თუ არა ჩემი გაოცება, დაუმატა:

— ერთი შესანიშნავი ნაწარმოები წაგიკითხე — „უკანასკნელი წმინდანთაგანი“ და ძალზე ღრმად, ტკივნარად გააანალიზა ანდრე შვარცბარტის წიგნი.

ეკონს ვერ მოვეგე. წარმოიდგინეთ, რა არ ძალუძს ამ პატარა ქალს. სულ რამდენიმე დღის წინ სიკვდილის ზღვარდასულ იდგა, და მაინც შეძლო ამ ნაწარმოების გაგება, რომელიც მთელი სიღრმით გადმოსცემს ადამიანურ სასოწარკვეთილებას!

მაგრამ დღეს ჩემთვის ცხადია, რომ მხოლოდ და მხოლოდ ედიტს შეეძლო ისე ღრმად ჩასწვდომოდა სასოწარკვეთას და ეგრძნო ულმობელი ბედის ძალა.

●

ამბობენ, კომედიური მსახიობები ცხოვრებაში მხიარულები არ არიანო, პიაფი კი, სიმღერების ეს ტრაგიკოსი შემსრულებელი, მუდამ იცინოდა.

მან შესანიშნავად იცოდა თავისი ადგილი სიმღერის სამყაროში, მაგრამ არასდროს არ ეკიდებოდა სერიოზულად საკუთარ თავს. ჩვეული იუმორით იხსენიებდა თავის ზნიშნელოვან მისიას და ძალზე სასაცილოდ უსვამდა ხაზს ამ სიტყვებს, თან თავს ჩაქინდრავდა იმ ადამიანივით, მხრებზე რომ დიდი ტვირთი აწევს.

ედიტი ბევრჯერ შეხვედრია ძლიერთ ამა ქვეყნისას, მეფეებიც კი დასწრებიან ინკოგნიტოდ მის კონცერტებს.

მინდა სიამოვნებით მოგითხროთ, როგორ დამიხატა თვით პიაფმა თავისი შეხვედრა ინგლისის დედოფალთან (მაშინ ელისაბედი ტახტის მემკვიდრე იყო) და მის მეუღლესთან — ედინბურგის ჰერცოგთან.

ისინი ოფიციალური ვიზიტით ეწვივნენ პარიზს და როცა შეეკითხნენ. სად მოისურვებთ წასვლასო, ელისაბედმა და ფილიმმა ყველაფერს ედიტ პიაფის მოსმენა არჩიეს.

მარსელ ბლიცტეინი
ნახვამდის, ედიტ!

მეორე დღეს ორივენი ელისეს მინდორზე მდებარე ერთ-ერთ კაბარეში ედიტის კონცერტზე მივიდნენ.

დღიდან ედიტს ეკითხე, რაც ინგლისის სამეფო ოჯახს დაუმეგობრები, როგორ გრძნობ თავს, იკადრებ თუ არა ისეთ ჩვენელებრივ მოკვდავს, როგორიც მე ვარ-მეთქი.

შეუძლებელია ნახევარსაათიანი საუბრის გადმოცემა, პიაფმა მიაშო ამ შეხვედრის შესახებ და ეს იყო ნაზი ეუფორიაც და საღი შეფასებაც. სიცილით მოგვედო.

— „თავდაპირველად დავიბენი. ბოლოსდაბოლოს ბუმრობა ხომ არ არის, ეს პრინცესა ელისაბედია, თანაც მეუღლესთან ერთად! ჰოდა, გამოვდივარ სცენაზე, ტაში შემომაგეგზეს. ცოტა დავმშვიდდი და შეენიშნე კიდეც ისინი: ორივენი მშვენიერები არიან, ერთი სატკვნი, თავიანთ როლს შეეფერებიან. ვიწყებ სიმღერას, ხოლო სიმღერის დროს, კარგად მოგახსენებ, ყველაფერი მავიწყდება, არაფერზე ვფიქრობ ჩემი სიმღერის გარდა. მოკლედ წარმატება მხვდა წილად. დიდხანს მიკრავდნენ ტაშს, ბოლოს უკანასკნელად თავი დავუკარი და წასასვლელად მოვემზადე, მაგრამ ამ დროს მომმართეს ეკითხვით, ხომ არ დათანხმდებით ისადილოთ მის უდიდებულესობასთან ერთადო. დავეთანხმე, გულში კი გავიფიქე: ალბათ ზრდილობის წესების მიხედვით რვეერნსნია საჭირო-მეთქი, მაგრამ უეცრად ჩურჩიგი მეგებება და სკამს მაწვდის, მეც უმალ ვვდები, ასე რომ ხეირიანად ვერც კი მივესალმე. დავიწყეთ საუბარი. უნდა გამოგიტყდეთ, პრინცესა მომეწონა: სასიამოვნო და თანაც უბრალო ქალია, ცხოვრებაში გაეცილებთ ეკეთესია, ვიდრე კინოკრონიკებში. ჰო, მართლა, ისეთი გრიმიორები რომ ჰყავდეს, როგორიც კინოშია, შესანიშნავი კინოვარსკვლავი დადგებოდა. ახლა ბერკოკს არ იკითხავთ: ყველანი დარჩდიოა, ჰარი კუპერი თუ კლარკი ჰეიზლი! საერრად მიმზიდველია! წინათაც ვგრძნობდი, ინგლისის დედოფლობა ცუდი არ უნდა ყოფილიყო, მაგრამ, როცა სართად ასეთი ქმარი მოგვყვება, ამას მართლაც აღარაფერი შეეფრება.

მეფეფარენის დასაფარავად ედიტი ხმირად ხუმრობდა. არ მოიძებნებოდა ამ ქალზე უფრო მორცხი არსება, როცა საქმე ცხოვრებაში მისი გრძნობების გამოხატვას ეხებოდა, სცენაზე კი ნათლად ჩანდა მისი სულის ყოველი კუნჭული.

მაგრდევა ასეთი შემთხვევა: ერთ საღამოს პიაფთან სტუმრებმა მოიყარეს თავი. ეს მოხდა სასტუმრორი, სადაც იმსახურ ედიტი ცხოვრობდა, რადგანაც მის ბინაში მანის ბუფეტრე რემოტენი იყო.

ერთ-ერთმა სტუმარმა, უდაოდ ნიჭიერმა მომღერალმა ვანაცხსადა — ჩვენი ზრდის ბეტდა ძნელი და დაუფასებელია, რადგანაც ყოველ საღამოს მაყურებელთან ხელჩართული ბრძოლა გვიწევს, ყოველ საღამოს იგი თავიდან უნდა დაეიპყროთო.

ვამაოცა იმ ადამიანის სიტყვებმა, რომელსაც ცხოვრება ანეზიერებდა და საკმაოდ ჭკვაღდ მივაჩაღე კიდეც.

ოთახს, როგორც ამ შემთხვევაში ამბობენ ხოლმე, სიჩუმის ანელელზმს გადაუფრინა [illegible] ლაპარაკი დაიწყო... ეს იყო გრეგალი, წაროვნა. სანინტერესოა, რამ გამოიწვია ასეთი უეცარი ქარიშხალი, ასეთი ამბოხება? ვიღაც გაკადნიერდა და აუგად ახსენა მისი მაყურებელი, ვიღაცამ მასში მოწინააღმდეგე დაინახა.

ედიტი უბადლო იყო. ჩვენს წინ იდგა ქალი, რომელიც იცავდა თავის სიყვარულს. დედა გადაფიფრებოდა შეიღებს. რატომ უნდა ვემინოდეს მაყურებლის? როგორ ვერ უნდა აუღო ალღო მათ?

— რიგა სცენაზე გავდიოარ ეს ხალხს გადაავლედაგ, ვგრძნობ, ვრწუნდებიი: სიმღერის დაწყებისთანავე ჩვენ ერთ ანრაგად ვიქეცეთ და მნიშვნელობა აღარ აქვს, რამდენი კაცი მისმენს: ათასი... ათი ათასი... ჩემს წინ ჩემი მაყურებელია. მე მიეკვარს იგი, მას ეკუთვნის ჩემი სიმღერა, ჩემი სიცოცხლე, უკანასკნელი ამოსუნთქვა.

ედიტი ცასცასებდა, როგორც, „ბრბოს“ შესრულების დროს. შემდეგ დამშვიდდა და გაიღიმა.

— ასეა იგი წლის მანძილზე. იცვლებოდა მოდები სიმღერებზე, იცვლებოდნენ ადამიანები. მე კი ისევ ისა ვარ. ყოველ საღამოს მომაქვს ჩემი სიყვარული, ჩემი ამღლობა, ჩემი თავგონება, არცერთხელ არ მომიტყუებია ჩემი მაყურებელი და, დარწმუნებული ვარ, მაოაც ყოველთვის ვეყვარები.

უხმოდ შეეცქეროდით ამ არაჩვეულებრივ ქალს.

●

ბავა წლები, შესაძლოა გამოჩნდნენ მომღერლები, რომლებიც ედიტისებურ დიდებას მოიპოვებენ, მაგრამ აღარასოლეს შეედება ისეთი პრემიერა, პარიზს რომ ედიტ პიაფი უწევნებდა.

ყოველთვის აშბობდნენ: უკვე მწვერვალს მიაღწია, უფრო დიდი წარმატება წარმოუდგენელიაო... და... ყოველთვის სცდებოდნენ.

მისი კონცერტების ატმოსფეროს — ხმამაღალ ატაცებას, დაუოკებელ ოვაციებს არავითარი საერთო არ ჰქონდა ამ ეკრანთაყვანისმცემლოსთანან, მასიური ისტერიის — ამ ატმოსფეროსთან, რომელიც დღეს ჩვენს ახალგაზრდობას ეუფლება სცენაზე მორიგი „ეკრპის“ გამოჩენისას.

ედიტთან ყველაფერი სხვაგვარად იყო. ასე ხდებოდა არა მარტო პარიზში. გუშინ საღამოს კონცერტ-ოლში გამართული პიაფის კონცერტი მოუსმენია ოდ კიდევ ერთხელ დაერწმუნეთ, რომ იქაც დიდი ამბით ხვდებოდნენ.

პიაფის პრემიერებს ყველანი ესწრებოდნენ, ისინიც კი, ჩვეულებრივ არსად რომ არ დადიან; ყველამ იცოდა: პიაფის კონცერტის გაიდეაზე შეუძლებელი იყო. საღამოს პირველი ნაწილი ეუფლიოდა ვითარებაში ჩაიეფდა ხოლმე, ვინაც სხვა აზრებს შეეპყრო, მამინაც კი, როცა კარვი შეშლოულებები გამოფიფიდნენ, ყველა საათს დაპყრეებდა და ფიქრობდა:

„... ნახევარი საათიოა დარჩა“. ბოლოს გაისმის

ორკესტრის ხმა. ედიტი უკვე მრავალი წლის განმავლობაში გამოუცხადებლად გამოდიოდა,... წინათ ამბობდნენ — მისი სახელის გაგონებაც კი საკმარისია, მასში მთელი სიმღერაა ჩაქსოვილიო! მაგრამ მომღერალმა გადაწყვიტა, კი ზედმეტიაო, რადგან ისედაც იცოდა ყველამ — ედიტი თვით სიმღერა იყო.

უკრაკ! ორკესტრი. ეს პოპურია, ედიტის სიმღერების თემაზე. მას მღერის ყველა, იგი უკვე დამკვიდრდა ცხოვრებაში... მაგრამ ეი გამოჩნდა ედიტი: მკლავები უდონოდ დაუშვია, უხერხულად მოაბიჯებს, გრძელი კაბა აცვია, თვალში ეკვეშმად ტყვია, გაკეთილი ფეხსაცმელი. ქალი თითქოს ბურანშია, ვერავის აბნნევს და უნებლიედ საკუთარ თავს ეკითხები: ნეტავ რას აკეთებს აქ, ასეთი პატარა, ამ დიდ სცენაზე?... უეცრად... იწყება მისალმებათა გრიგალი.

ეს მაუურებელი ზეიმობს შეხვედრას ედიტთან, მადლობას უხდის და ამაყობს თავისი პიაფით, ფრანგული სიმღერის დიდება ზღვებსა და ოკეანეებს მიღმა რომ გიატანსა.

დარბაზში ყველას სურს ტუფში ჩაიკრას ეს ქალი და გამოუტყდეს, როგორ ეშნიოდათ ხელიდან არ გამოსცლოდათ, არ დაეკარგათ იგი... ვაი რომ!

●

არ ვიცი, რომელ პრემიერაზე მოგითხროთ თავდაპირველად? იქნებ იმაზე, როცა რამდენიმე წლის წინანდის შემდეგ ედიტი კვლავ გამოჩნდა ჩვენს წინაშე? ხალხი ფეხზე წამომდგარი ესალმებოდა; ვეფხვნებოდაო, ყეფრილია და ტაშისცემისაგან ჭერი ჩამოიქცევაო! ოვაციები შეწყდა... ედიტი გოგონასავით, პატარა. ბავშვივით იღიმებოდა და თითქოს ამბობდა: „რა მოხდა ასეთი? ნუთუ მართლა შეგაშინეთ? ახლა ყველაფერი რიგზეა, კვლავ თქვენთან ვარ". თითქოს ყველაფერი წინასწარ იყო მოშზადებული, უეცრად სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა. ედიტმა სიმღერა დაიწყო.

პიაფი მაშინ უკვე მძიმე ავადმყოფი იყო, მთელი სხეული ნაკერებს დაეფარა... როგორ ვფიქავდით ყველანი... მაგრამ ედიტი არ ინდობდა საკუთარ თავს. იმ წუთიშენ მტანჯველ ტკივილზე როდი ფიქრობდა, მის ხმაში ბედთან შერკინება იხმოდა, შმაგი ძალა იგრძნობოდა, რაღაც სასოწარკვეთა. შინით შევეკერდით ერთმანეთს. რას ჩაღის, განა შეიძლება ასე!

დიახ... მას სცენაზე სიკვდილი სურდა, მაგრამ ამჯერადაც გაუძლო.

ეს მისი უკანასკნელი კონცერტი იყო „ოლიმპიას" სცენაზე.

არ ვიცი, იგრძნო თუ არა ხალხმა, რომ ედიტ პიაფმა ამ საღამოს მათი გულისათვის კიდევ უფრო შეიმოკლა სიცოცხლის დღენი.

●

პლეიელის დარბაზი, კონცერტი, კვლავ ტრიუმფი.

ეს მოხდა დიდი ხნის წინათ. ედიტი მაშინ ჯანმრთელი და ბედნიერი იყო. იმ საღამოს დარბაზში მარხულ სურდანი იმყოფებოდა. ეს რინგზე დაუმარცხებელი კაცი, ყველაზე ცნობილი მოკრივე, ნიჭიერ ზარს რომ სვეიდა, ახლა ძალზე ეოცებულ, ნაზ ლეკვად, სადღაც სულ ზევით მიმჯდარიყიო და იქიდან ადევნებდა თვალყურს დარბაზს.

კონცერტის დამთავრების შემდეგ ედიტის სამსაინიმო ოთახში შეეხვედით ერთმანეთს. სურდანი თითქოს მდიდან მოეტეხა განცდილ მღელვარებას. ძლივს გასაგონი ხმით მითხრა:

— რა დიდია, რა საოცარი, წარმოგიდგენია, რა ბედნიერი კაცი ვარ!

რამდენიმე წუთის წინ მოწმე გავხდი იმისა, რასაც მთელი სიცოცხლის მანძილზე ვერ დაივიწყებს ადამიანი. ეს ფანტაზია სმილეარ დამამთავრა, მაგრამ ყვავილების კალათებში ჩაფლულს სცენიდან არ უშვებდნენ. ფარდა კვლავ ასწიეს და ყველა ორკესტრანტი, ბუნდის მომღერალი მის გვერდით აღმოჩნდა. ისინიც იზიარებდნენ ედიტის დღესასწაულს. სიხარულით და ბედნიერებით გასხივოსნებული მომღერალი იცინოდა. ოვაციებს ბოლო არ უჩანდა, მაყურებელი დარბაზს არ ტოვებდა. უნებლიეთი მეზობელი ლოგისკენ ვაგიხედე; იქ ორნი მეგულებოდნენ. ახლა ისინი ფეხზე წამომდგარიყვნენ. მამაკაცს ფერი წასულოდა, ქალი კი ტიროდა; მორის შევალიე და პოლეტ გოდარი იყვნენ.

მაგრამ რაც არ უნდა დიდი წარმატება ჰქონოდა, ედიტი არასდროს არ ჩაკარგავდა გონებას.

ტრადიციულად ყოველი პრემიერის შემდეგ პიაფთან ყველა მისი მეგობარი იყრიდა თავს. მის ბინაზე, სადაც დღეს ათასობით ადამიანი ჩაუვლის კუბოს, ვიარიბებოდით ბედნიერები, გალაღებულები, მისი მსარდი დიდების მოწმენი.

ედიტი კი, ყოველთვის ჩვეულებრივი ედიტი, თავის სასტუმროში, სკამზე მოიკალთებდა ხოლმე (მისი ბინა არასოდეს ყოფილა მდიდრულად მორთული), ესაუბრებოდა გიგიტს, პიერ ბრასერს, ანრი კონტესსა და სხვებს. იმ დროს, როდესაც სტუმრები ბუფეტს შეეცქეროდნენ, ანადგურებდნენ ორაგულს, ხიზილალას, შამპანიურს, ედიტი ფინჯან ყავას შეექცეოდა, ხუმრობდა და იცინოდა, ვიღაცას ეაძახდა. ძნელი წარმოსადგენი იყო, რომ ეს ქალი ამ სახლის ღიასანატანი და ჩვენი დროის უდიდესი მსახიობი გახლდათ.

ედიტი ფულს არად აგდებდა; და, თუმცა მილიონებს იხვეჭდა, შემიძლია სანაძლეო დავდო, რომ დღეს მის ანგარიშზე ეროშიც არ იქნება, მის კრედიტორებს ალპათ იმედიც გადაუწყვიტა კუთვნილის მიღებაზე.

იქნებ ფიქრობთ, რომ ეს დიდი ფული ძვირფასეულობაზე, ბეწვეულზე ან ფუფუნების სხვა საგნებზე ისარჯებოდა? არა!

— იცი რა, ჩემო ძვირფასო, — მეუბნებოდა იგი, — მილიონებით შორს ვერ წახვალ.

სამაგიეროდ, ვინც გარს ეხვიენენ, ისინი სარგებ-

მარსელ ბლისენი
ნარკვევიდან, „ედიტ"

ლობდნენ ამ ფულით. ფული თვალსა და ხელს შუა ქრებოდა.

მის სახლში ყოველთვის ხალხმრავლობა იყო. ხშირად შემთხვევითი ადამიანებიც კარგახანს რჩებოდნენ იქ და დიასახლისის ხარჯზე ცხოვრობდნენ... ედიტი ბევრს ეხმარებოდა ეკონომიურად, ზოგს ერთდროულ დახმარებას უწევდა. ზოგს — მუდმივს... რეკვერტო დღე და ღამ მის განკარგულებაში იყო და ამ კოლოსალური ხარჯის მიუხედავად, საკუთარი თავისთვის ძალზე ცოტას ხარჯავდა.

მახსენდება ფრანგა, ერთხელ რომ წარმოთქვა. ერთ-ერთი მისი მუსიკოსი ქორწილისათვის ემზადებოდა. ედიტს სურდა მაკივრები ეწუქებინა.

— ნეტავი რა ღირს? არა უშავს, კოედიტით ვიყიდი.

თითქოს დაუჯერებელია, მაგრამ ძალზე ადვილად შეიძლება ამის ახსნა: ფული ისე იხარჯებოდა, ედიტს წარმოდგენაც არ ჰქონდა ნივთების ღირებულებაზე.

ყველასათვის ცნობილია, რომ ძვირფასი ტანსაცმელი, მორთულობა მას არ იტაცებდა, მაგრამ მიეჩვია ცნობილი ფირმების მომსახურებას. მაგალითად, როცა ედიტს ფილმში „მომავალი საყვარლები" იღებდნენ, სრულიად ნორმალურად მიიჩნია თედ ლაპიდუესთან წინსაფრის შეკვეთა.

ისინი, ვისაც მარსელ სერდანზე ადრე იცნობდა, იშვიათად ანებივრებდნენ ედიტს. ამასთანავე იგი არასოდეს არ დაუშვებდა, რომ სიყვარულთან ფული დაეკავშირებინა; პირველი მისთვის ყველფერი იყო, მეორე — არაფერი.

როცა არაჩვეულებრივად ხელგაშლილი ხდებოდა ბაიენო, ედიტმა, თვითონაც ძალზე გულუხმა სხვებთან დამოკიდებულებაში, უხერხულად იგრძნო თავი. ერთხელ სერდანის საჩუქრები — წაუთას ქუჩები, ძვირფასი სამკაულები მაჩვენა და მითხრა:

— წარმოგიდგენია, რა უხერხულია. — გამეცინა და დავამშვიდე — ჩემი აზრით, ეს სრულიად ჩვეულებრივია-მეთქი. სერდანი ბევრ ფულს შოულობს და უყვარხარ.

— ნუ შიშობ, ვალში არც მე დავრჩენილვარ. კარიესთან საუკეთესო პერანგები შევუკვეთე, უკეთესს ვერსად ნახავ. შეგიძლია, დამიჯერო — მაპასუხა მან.

ასე თავმოყვარეობა ალაპარაკებდა. სიღარიბეში გატარებულმა წლებმა თავისი კვალი დაამჩნიეს და ედიტს ეხამუშებოდა, როცა ვინმე ანებივრებდა.

●

ედიტი წამითაც არ ივიწყებდა სიღარიბის წლებს. აი რა მიამბო მისმა მდივანმა ქალმა. მაშინ ედიტი უკვე ცნობილი მსახიობი იყო და ლონში გამოდიოდა. ერთხელ მუშათა ჯარუბანში, ვიიერმანში მოგზავდით. აქ ბევრია სარკმელიანი მაღალი შენობა, ედიტმა თავი ასწია, გარშემო მიმოიხედა და ძალზე ჩვეულებრივი ტონით თქვა: ოჰო, ნახე, რა კარგი კვარტალია ასეთი სარკმელების წყალობით კაცი საკმაო ფულს იშოვისო. თითქოს ამას ამბობდა ადამიანი, რომელიც მიჩვეულია შეფასოს, რამდენი შეუძლია იშოვნოს ერთი შენი... რალა. მდიგანი სახტად დარჩა. ... ამ სიტყვების ამბობს დიდი პიაფი?

მაგრამ ედიტ პიაფს ყოველთვის თან სდევდა თავისი ორეული ჯოანა გასიონი, ქუჩებში რომ მღეროდა და შიმშილისაგან სულს ლაგავდა. მას არასდროს არ სესვენოთ თავისი წარსულისა, მაგრამ არც ამაყობდა ამ წარსულით. უბრალოდ, არაფერს ივიწყებდა.

ალბათ ეს იყო მიზეზი ,რომ მრავალი წლის მანძილზე პიაფი იოთენდა ვიღაც X-ს, რომელიც ყველფდა, ძარცვავდა, დასცინოდა, შანტაჟს უწყობდა. ერთხელ, როდესაც ეს ქალი ზღვარს გადასცილდა, ვეღარ მოვითმინე და როცა ისევ ედიტის სახლში დავლანდე, ეუთხარი:

— როდის მოელება ბოლო ამას? ბოლოსდაბოლოს, რა გაკავშირებთ ერთმანეთთან, იქნება ფიქრობ, რომ საკმაო ბორრატა ვერ მოგაყენა?

პიაფმა ნაღვლიანად შემომხედა და მე შემრცხვა, ალბათ რაღაც ვერ გავეგე.

— იცი რა, სელ, იმას, რაც ჩვენ გვაკავშირებს, ვერ ამოშლი ცხოვრებიდან: ეს ბაჭირვების წლებია, როცა ყოველდღე ვშიმშილობდით, პირდაპირ ქუჩაში ვათენებდით ღამეებს, ალაყაფის კარის ქვეშ ვიმალებოდით. ხანდასან ვფიქრობ: ხმა რომ არ მჭონდა, ალბათ, მეც ასეთი ვიქნებოდი-მეთქი და ვაპატიებ ხოლმე ამ ქალს დანაშაულს... მზად ვარ თავად მოვუხადო ბოდიში.

●

მოგონებები... მოგონებები, ურიცხვი მოწმენი იმისა, როგორი იყო ედიტი: მოუღლელელი, ხანდახან მბრძანებელური, ზოგჯერ ძალზე ნაზი. სოცრად მორცხვი დიდსულოვნებაში, არაჩვეულებრივად ხათრიანი, გულმოწყალე.

ორ ამბავს ვერ იტანდა: სიმახინჯეს (რასაკვირველია, ფრანგების გამიმეღავნებისას) და სისუფლეს. დიახ, სულელი ადამიანების მიმართ იყო ტლანქი, ირონიული, დაუნდობელი...

განა შესაძლოა ვერ გიუგო მას?! ედიტმა ხომ არაფრისაგან დაიწყო და მწვერვალს მარტო ნიჭის წყალობით კი არა, გამუდმებული შრომით, ნებისყოფით, იშვიათი გონების წყალობით მიაღწია.

თავად უნდა დასწრებოდეთ ედიტის შეხვედრებს ახალგაზრდა კომპოზიტორებთან, რომ გეგრძნოთ, რა ძლიერი ინტუიცია ჰქონდა, მაგრამ მუშხედვად ამისა, ყოველთვის აკონტროლებდა საკუთარ თავს, ანალიზს უკეთებდა თავის შემოქმედებას.

ერთხელ ედიტს ვესტუმრე. ორი ახალგაზრდა მუსიკოსი ედიტისათვის დაწერილ სიმღერას ასრულებდა, ასეთი შეხვედრები თითქმის ყოველ დღე ეწყობოდა. ხშირად ედიტი დამწყები კომპოზიტორების სიმღერებს მღეროდა და ამ ქალის წყალობით ისინი სახელს იხვეჭდნენ ხოლმე.

ეს მათი ერთგვარი გამოცდა იყო. ბოლოს პია-

ნისტმა და მომღერალმა მორცხვად შეჩერდა ედიტს, რომელიც დიდი ყურადღებით უსმენდა მათ.

ედიტი როიალს მიუახლოდდა, ახალგაზრდის ხელი მაარწივ დაადო, ცოტა ხანს ასე იდგა. ამ სიმღერის რომელიღაც მუსიკალურ ფრაზას ღიღინებდა, შემდეგ თითქოს დანანებით თქვა:

— ძალზე მომეწონა თქვენი სიმღერა. უდაოდ ნიჭიერი ბრძანდებით, დარწმუნებული ვარ, წარმატებებსაც მიაღწევთ, მაგრამ სამწუხაროდ, მე ვერ ვიმღერებ ამას. გაინტერესებთ რატომ? იმიტომ, რომ თქვენი სიმღერა ბეჯნიერი, მოზეიზე სიყვარულის ქებნია. ეს კი პიაფისათვის უცხოა. ხალხი კარგად მიცნობს და ახლა ეს რომ ვიმღერო, აღარ დამიჯერებს... ცხოვრების სიხარულის ხოტბის შესასხმელად ვერ გამოვდგები... ეს მე არ შემფერება... ჩემთვის ყველაფერი დღემოყლეა... და ვეღარაფერს შევცვლი... ასეთი ბედი მერგო ხვედრათ...

აღარ ვილაპარაკებ ედიტ პიაფის უტყუარი არტისტული გემოვნების მესახებ. ვინ არ იცის, რამდენმა მოიპოვა წარმატება მისი წყალობით... ივ მონტანი, ედი კოსტანტინი, ანზაკერი, „კომპანიონი ფე ლა შანსონი“... და. მრავალი სხვა. მათ შორის ისეთებიც აღმოჩნდნენ, რომლებმაც დაიცინწყეს ეს ამბავი.

მაგრამ ახლა ამაზე ეკაპარაკი არ ღირს. მოგიახრობთ პატარა ეპიზოდზე და დარწმუნდებით, რა დიდ მუსიკოსად იქცა ეს ქუჩის მომღერალი ღა რაგორ ქუშაობდა თავის თავზე.

ერთხელ ბალა-კონცერტის ერთ-ერთ რეპეტიციას ვესწრებოდი, რომელიც ზაიოს სასახლეში უნდა გამართულიყო.

ედიტს დიდი ორკესტრის, გუნდის ათობით მომღერლის თანხლებით უნდა შეესრულებინა სიმღერა. მე ცარიელი დარბაზიდან ვადევნებდი თვალყურს; იგი ხან ერთს მიუახლოვდებოდა, ხან მეორეს, ასრულებდა ნაწყვეტს რომელიღაც სიმღერიდან, განათვლას ამოწმებდა, ვესტტაბს, პოზებს ხვეწდა, კვლავ სინჯავდა, როგორ ისმოდა მისი ხმა, გუნდის ხელმძღვანელს მითითებას აძლევდა. არ იღლებოდა. სად არ დაინახავდით... (ო, რა ძნელია დღეს ამ სიტყვის დაწერა...)

როგორც იქნა, დამთავრდა მზადება. დირიჟორმა უკანასკნელი რეპეტიცია გამოაცხადა. გაისმა ორკესტრის ხმა, თითქოს ყველაფერი რიგზე მიდიოდა, მაგრამ უეცრად ედიტმა წამოიძახა:

— აბა შეჩერდით, რაღაც ვერ გამოდის!

დირიჟორმა გაკვირვებით შეხედა და თქვა:

— არა მეგონა, თქვენ აღბათ მოგეჩვენათ, — ედიტმა თავი გაიფარშანი და გაიქნია და მევიოლინეებისაკენ მიიჭრა.

— გეუბნებით, არა-მეთქი, აი აქ ვიღაცამ ყალბი ნოტა აიღო.

ყველა ხელმდა, მან კიდევ რამდენიმე ნაბიჯი გადადგა.

— აი, ამ კუთხეში.

მამინ ერთი მეკიოლინე წამოდგა და თქვა, ნამდვილად ნახევარი ტონით შევცდიო.

ორკესტრში ოთხმოცე კაცზე მეტი იყო.

კოკტოე 11 ოქტომბერს წავიდა ჩვენგან. ედიტის გარდაცვალებიდან რამდენიმე საათის შემდეგ.

ვიცი, რა დიდი დანაკლისია ლიტერატურული სამყაროსათვის ეს კაცი ამ პოეტის და შესანიშნავი ადამიანისა, რომელსაც ძალზე ვაფასებდი.

ორივეს, ედიტსაც და კოკტოსაც მთელი არსებით უყვარდათ მშვენიერება და სიცოცხლე შეყვარეს იმას, რაც უკვდავია, რაც არასოდეს ქრება — ხელოვნებას.

კოკტო ყოველთვის სინაზით იხსენიებდა ედიტს. ბედნიერი იყო, რომ ხედავდა, როგორ იფურჩქნებოდა ამ ქალის ნიჭი.

ედიტი ხანდახან ეხუმრებოდა, მაგრამ ამაყობდა მისი მეგობრებით და არასოდეს ივიწყებდა; კოკტომ დაუწერა პიესა „გულგრილი ლამაზი მამაკაცი“. ამ პიესაში თამაშის შემდეგ ედიტმა დაუმტკიცა ყველას, ვისაც ეშვი ეპარებოდა, რომ იგი არაჩვეულებრივი ნიჭით დაჯილდოებული ტრაგიკოსი მსახიობია. კოკტო არ შემცდარა მასში, იცოდა, ედიტი მრავალმხრივი ბუნების ადამიანი იყო.

შესაძლებელი რომ ყოფილიყო, სიკვდილს, რომელსაც ედიტი წაიყვანა, ეხურჩრეა მისთვის, კოკტოს წაყვანასაც ეპირებენ, დარწმუნებული ვარ, ედიტი იამაყებდა, რომ ამ შორეულ მოგზაურობაში საიდანაც აღარ ბრუნდებიან, კოკტოსთან ერთად წავიდა.

„გულგრილი, ლამაზი მამაკაცი“... ამ პიესასთან დაკავშირებით ერთი ანიბავი ამბავი მაგონდება.

„უსახელო ვარსკვლავის“ წარმატების შემდეგ ედიტსა და მე შევვთავაზეს იმავე პროდიუსერისათვის ახალი ფილმი ვადაგვეღო.

ამ ფილმში ედიტს მარგარიტე მორნოს ქალიშვილის როლი უნდა შეესრულებინა. მაგრამ მარგარიტი ავად გახდა და მისი როლი ფრანსუაზა როზეს ვადასცეს. წლოვანების მიხედვით, ედიტს უკვე აღარ შეეფერებოდა როზე დედად და ამ როლის შესრულება უფრო ახალგაზრდა მსახიობს ანდრე კლემანს მიანდეს.

მხედველობაში მაქვს ფილმი „მაკადამი“. ფილმის წარმატებამ ვერ შემიმსუბუქა ის ტკივილი, რომელიც მე განგიცდიდ და უნებლიეთ ედიტსაც მივაყენე, რაღაცანაც ამ ფილმში თამაშის შესაძლებლობა წავართვი. ეს ჩემთვის კიდევ უფრო სამძიმო იყო, იმიტომ რომ ვიცოდი; როგორ განიცდიდა ედიტი ამ ამბავს.

ფილმის პრემიერის აღსანიშნავად, გადავწყვიტეთ ელისეს მინდორზე, ერთ-ერთ კინოთეატრში დიდი კონცერტი მოგვეწყო. საღამოსთვის განსაკუთრებული ბრწყინვალება რომ მიგვეცა, საჭირო იყო

მარსელ ბლიანენი

ნახვამდის, ედიტ!

პროგრამაში რაიმე სენსაციური ჩაგვერთო. ჩემმა პროდიუსერმა, თუმც შესანიშნავად ესმოდა, რა მწარედ გავუცრუეთი იმედი პიაფს, მირჩია დაშეთანხმებია ედიტი ჩვენს კონცერტში მონაწილეობაზე.

— კი, მაგრამ, რა პირით უნდა ვთხოვო?

— მართალი ხარ, სხვა მსახიობისათვის რომ გეთხოვა, უაზრობა იქნებოდა... ედიტი სულ სხვაა, არ გაგაწბილებს. სცადე მაინც.

დავრეკე. ძალიან ვდუღაფდი, მეშინოდა, მეგონა უკეთესად მიპასუხებდა, მაგრამ პრედიუსერი მართალი აღმოჩნდა — ედიტი დამთანხმდა.

მდელვარებისაგან ვერც სიხარული და ვერც მადლობა ვერ გამოვხატე. მან კი სულ უბრალოდ მითხრა.

— ეს შენი დღესასწაული იქნება, და მე მსურს შენს გვერდით ვიყო.

●

ასლა ედიტ უკანასკნელ გზაზე უნდა გაგაცილოთ.

ათასობით ადამიანი გაპყვება შენს კუბოს და დარწმუნებული ვარ, კვლავ აღელვდება შენი ხმა, ყველას თვალწინ წარმოუდგება. მათ შორის მეც ვიქნები, შენი ერთგული მეგობარი, შენ რომ ხანდახან უხეშად ეპყრობიდი, იმიტომ რომ შენს აზრებს ყოველთვის როდი ეზიარებდა. მაგრამ ჩვენ მუურგალედ გვიყვარდა ერთმანეთი. ხომ მართალია, ედიტ? თუმც ზოგჯერ თვვების განმაყლობაშიც კი ვერ ვხვდებოდით. როცა ყველაფერი კარგად მიდიოდა, არ გგბრიდენდით, მაგრამ იცოდი, უმეღერება ვეწვეოდა თუ არა, შენს გვერდით გაგრჩნებოდი. დღეს შენი ასლოობები გავიფანტებით ხალხში, რომელსაც ისე უმღერიდი, რომ გულს სევდა იპყრობდა.

შემდეგ მარტო დარჩები, შენ, რომელსაც უზომოდ გიყვარდა ადამიანები.

ხალხი ყოველთვის გარს ეკვნია... მიმოდიოდნენ თავის ნებაზე. მახსოვს, ერთხელ დავიჩივეს, იმავიათად ვხვდებით-მეთქი ერთმანეთს, შენ მიპასუხე:

— ხომ იცი, ოთხ საათზე ყოველთვის შინ ვარ.

როცა გითხარი, ამ დროს გახურებული სამუშაო დღეა და ძნელია განთავისუფლება-მეთქი, გაკვირვებით შემომხედე:

— კი მაგრამ, სელ, მე ხომ დილის ოთხ საათს ვფულისხმობ!

რა უნდა მპასუხა? შენ საკუთარი კანონებით ცხოვრობდი და, უნდა ითქვას, შენი ლოგიკა, უფრო სწორედ ულოგიკობა და შენი განსაკუთრებული მორალი ხალიჩაც ვიხდებოდა.

ასლა უკვე აღარ ხარ! ისე ზარავდი, როგორც ადრე მარგარიტ მონო წავიდა ჩვენგან. სიცარიელეს დაისადგურა.

მარგარიტ! გახსოვს, რამდენი მხიარული წუთი უწოვებია ჩვენთვის. იგი ისეთი დაბნეული იყო, ყველაფერი ავიწყდებოდა, ყველაფერი ერთმანეთში ერეოდა, თუ ვინმესთან პიესაში ჭიშკარ ,,ღინინელი, შეიქო სულ სხვა დღეს და სულ სხვა ადამიანს გამოცხადებულიყო, უცნობის მანქანაში ჩაჯდარიყო და თავისი ჭეონებოდა. უცნაური მარგარიტ! ხანდახან, როცა მუსიკას უსმენდა, ჩვენ შემოგვაქცეროდა და ამბობდა:

— ჩემი მეგობრებო, ეს ხომ შესანიშნავია! არა, ღმერთმანი, ძალზე მოიშწონს.

— რასაკვირველია, შესანიშნავია, მაგრამ გიგიტ, — ვპასუხობდით ჩვენ, — ეს ხომ შენი მუსიკაა!

მაშინ თითქოს აქ არაფერია, გიგიტი იტყოდა ხოლმე.

— მართლა? დარწმუნებული ხართ? ძალიან კარგი, ძალზე მოსახარული ვარ.

ჩვენი საწყალი, ძვირფასი მონო... შენც ჯერ კიდევ ბევრი მშვენიერი საკმე გელოდა წინ.

●

ასლა ერთი განსაკუთრებით ძვირფასი ამბავი უნდა გაგიხსენო. იმ დღეს შენ გადაწყვიტე საღილი მოგეწყო ჩემი მეუღლის პატივსაცემად. მაშინ სულ ახალი დაქორწინებული ვიყავი.

ჩემი მეუღლე ჯერ არ გიცნობდა, თუმც ყოველთვის შენი თაყვანისმცემელი იყო. ყოველი ახალგაზრდა ქალისათვის დიდი პატივია დაესწროს საღილს, რომელიც ედიტ პიაფმა სპეციალურად მისი შეუღლების აღსანიშნავად მოაწყო. ჩემი მეუღლე შეეცადა ამ დღეს განსაკუთრებით ლამაზი გამოჩენილიყო.

ჭკა პიესი შემოგვეგება (მაშინ თქვენ ჯერ კიდევ ერთად იყავით). აქ იყო ჩვენი რამდენიმე მეგობარიც, მხოლოდ შენ არ ჩანდი. ვხედავდი, რომ მეუღლეს მოთმინება დაეკოა.

უეცრად დიდი სასტუმრო ოთახის კარი გაიღო და გამოხვედი, მხიარული, მოსმიბდეელი, აღფრთოვანებული... მაგრამ ხალაოში! როცა ჩემი მეუღლის ბუნებრივი გაოცება შენიშნე, წამოიძახე:

— არ გამიბრაზდეთ, დღეს არც ერთი წუთიი არ მქონდა მოცლა, ,ოდა, ასე უფრო მოსახერხებელია, თავისუფლად ვგრძნობ თავს. ჩემგან არაფერი არ უნდა გაგიკვირდეთ.

— ჩემმა მეუღლემ სწორედ ისეთი შეგიყვარა, როგორიც იყავი. შენმა გულახსნილობამ, გულიოსადობამ მოაჯადოდა. ყოველთვის ესმოდა შენი და ადასხებდა იმ განსაკუთრებულს, რაც შენში იყო.

●

ხანდახან ხუმრობით „ბურეუას“ მეძახდი. შენ ამტკიცებდი, ძნელია იყო მსახიობი და თან ნორმალურ ოჯახურ ცხოვრებას ეწეოდეო. რასაკვირველია... შენი ცხოვრება არ ყოფილა ნიმუში მაღალი ზნეობისა, რომელსაც კატეხიზმოსში კითხულობენ და მონასტერში ასწავლიან. რასაკვირველია... რა-

საკვირველია... მაგრამ ის სიკეთე, რომელსაც შენ სთესავ? ბედნიერება, რომელიც შენს ხმას მიღიონობით ადამიანისათვის მოაქნევ? ნუთუ ეს საათვალავში არ ჩაიდება? თუ ყველაზე მნიშვნელოვანი მაინც ის წარიღმანი, უმნიშვნელო ამბებია, რომლის შემდეგ ალარაფერი გრჩება, მაგრამ საყოველთაოოდ მიღებული ნორმებს კი პასუხობენ?

აი უკვე სამი დღეა შენ ალარა ხარ, მაგრამ დღემდე არ ვიცით, დაგრთოვეს თუ არა ნებას ეკლესია რელიგიური წესისამებრ დაგასაფლავოთ. განა მორწმუნეთაგან ბევრს ჩაუდენია იმდენი სიკეთე, რამდენნიც შენ? რომელ მათგანს ახასიათებდა ჭეშმარიტად ქრისტიანული გულმოწყალება?

და ვანა მათ, ვისაც ვერ გადაუწყვეტია ეს „წყალობა“ გიბოძოს, არ იციან, რომ ღრმად მორწმუნე იყავი?

ახლა მეგობრობაზე ვილაპარაკოთ! რა სულიერ სითბოს, როგორ მხარდაჭერას უწევდი ყველას გამჭირვებაში! შენ მომწერე შესანიშნავი წერილი, როცა მძიმე ავადმყოფობის შემდეგ მეშინოდა მხედველობა არ დამეკარგა. გამახსენე დედა, წრფნა, ყველაფერი, რაც მშვენიერია, კეთილშობილური, წმიდა-თაყვანიცა. დარწმუნებული ვარ, სხვასაც უგზავნიდი ასეთ ბარათებს.

ჩემი ამბრაზი, ეკლესიამ კი არ უნდა შეგიწყნაროს, და თავისი კალთა გადაეგაფაროს, არამედ უნდა იამაყოს შენით და შენზე თავისი უფლება დაიკვას. ამით შენ დასდე პატივს ეკლესიას.

როცა მარსელ სარდანი დაიღუპა, საიდან აღმოგაჩნდა ძალა, რომ ასე გემღერა „სიეგარულის ქიმნი?“ მაშინ ნიუ-იორკში სკენაზე ხელთან გამოგიყვანეს. დარდისაგან გონდაკარგულს, კიდევ არ გეგონოდა... მაგრამ მაყურებელი, შენი ერთგული მაყურებელი ველოდა და მან მოგცა ძალა გემღერა იმ საღამოს. იქ არ ვყოფილვარ, მაგრამ ვიცი, როგორ მღერიდი! რაღაც მისტიკურ ენერგიაზეა იმყოფებიდი. სერდანს უმღერიდი და მას ესმოდა შენი ხმა. თუ არა შენ, სხვა ვინ ლოცულობდა მრავალი ღღისა და კვირის განმავლობაში ეკლესიის ჩამოქუფრულ თაღქვეშ მარსელისათვის.

ამაზე არასოდეს არ წერდნენ.

მყვარალა, მსხვილი სასათაურო შრიფტით აწყობილი სკანდალური ამბები უფრო ხელსაყრელი იყო გაზეთებისათვის. ასეთი შენიშვნების ავტორები დაუფიქრებლად ამახინჯებდნენ ფაქტებს, ფანტაზიას ფრთებს ასხამდნენ — ეს უზრუნველყოფდა მათთვის დიდ კონორარს.

●

ედიტ პიაფი ბევრს მოგზაურობდა, მაგრამ სადაც არ უნდა ყოფილიყო, ნიუ-იორკში, ბუენოს-აირესსა თუ ოტაკაზეი, — მას თან სდევდა საკუთარი კლიმატი, მხოლოდ მისთვის ჩვეული ატმოსფერო. კონცერტის შემდეგ, ისე როგორც პარიზში, შინ თავისი ამაღის თანხლებით ბრუნდებოდა, ამ ამაღაში შედიოდნენ თაყვანისმცემლები, ჟურნალისტები, ნაცნობები, ყველანი, ვისაც ხვალ შვიძლო გულზე გაეგიფუძა მეგობრები — ედიტ პიაფთან გავატარე საღამოო. ედიტს მოსწონდა ხანდახან მარადოვანი ტონალიორობა, ხანდახან, არ დაგიმალავთ, ... ზოგადოების განცვიფრებაც.

ეს თავისებური რევანში იყო სამნილ ბავშვობასა და ახალგაზრდობაზე — რიცა არაფერს წარმოადგენდა, არაფრის უფლებას არ აძლევდნენ. ზრდილი საზოგადოება ყურადღების ღირსადაც არ თვლიდა. ახლა ედიტის რიგი დადგა, აბუჩად აგდდო ისინი, ვისაც თვითეული მისი უმნიშვნელო ქესტისაგან სუნთქვა ეკვროდა. ედიტს შესანიშნავი მეტყველების უნარი ჰქონდა, წერაც ეხერხებოდა, მაგრამ ხანდახან ძალზე უხეშ რამეს იტყოდა და მოსაუბრეს თავზარს დასცემდა. ასეთია სნობების ბუნება. იმას, რაც წინათ აღაფოთებდათ, ახლა გასაროთბად და გონებამსეილობად თვლიდნენ... „არა, იგი უბრალოდ შეუდარებელია! თავისებური, ჭკვიანი!“

ამ სიტყვების გაგონებისას ედიტი სიცილს ვერ იმაგრებდა და მაგიდის ქვეშ ფეხს წამაკრავდა ხოლმე. მას არ გაანნია არავითარი იოუზიები ადამიანთა მოდგმაზე. ყველაფერი ამაო და ფუჭი ეგონა.

მე არ დავასახელებ იმ ადამიანთა გვარებს, რომელთა მოქმედებას და გამონათქვამებს წინასწარ ქარტენდა, გადმობიჯვებდნენ თუ არა ისინი მისი სასლის ზღურაღს. ედიტი ისეთ სასეს იღებდა, თითქოს სჯეროდა მათი ქათინაურებისა, აქებდა ყვავილებს, მათ რომ უძღვნეს, მაგრამ რამდენიმე წუთით აღრე მათი მოსყლის მიზეზს გეგიხსნიდა. ედიტმა იცოდა, რომ ანუელებლად რაიმეს სთხოვდნენ.

პიაფი არასდროს არ ტყუვდებოდა ადამიანებში, მაგრამ თუ საქმე სიყვარულს ეხებოდა — აქ იგი ძალზე უმწეო იყო.

ყველაფერი დამთავრდა! შუადღე იდგა, როცა სამუდამოდ მიგვაბოვეს, ზახვედი ჩვენნან... უცვმ აცივდა... რა საწყენია, რომ დღეს პარიზი ზზის სხივებითაა მოფენილი. ეს ბედის დაეინვნაა. ღღეს ცა მოქუფრული უნდა იყოს, ზუდღიადი უნდა მეფობდეს, როგორც ჩვენს გულებში.

მაგრამ, ღმერთო ჩემო, ედიტ, რა მშვენიერი იყო შენი უკანასკნელი „გამოსვლა“.

საიდან მოაწყდა ეს ასიათასობით ადამიანი? ისინი ალელად აღმრთულიყვნენ შენი სახლიდან პერლაშეზის სასაფლაომდე.

შენი ბინა ყვავილებითაა მოფენილი, ყველგან ყვავილებია. მათ თელავენ, ადგილი აღარ არის, მაგრამ მაინც მოაქვთ და მოაქვთ.

აქ ყველა შენნაა. მეგობარმა მოვიყარეთ თავი, ველოვნობთ. თვალებზე ცრემლი არ შრება, და მაინც იმედს არ ვკარგავთ, რამდენჯერ მომსდარა სასწაული.

მაგრამ, როცა შავებით მოფარდასტულ დიდ ოთახში შევდივართ, როცა ვხედავთ შენს კუბოს —

მარსელ ბლისტენი
ნანგავმდის, ედიტ!

ვქნაფდებით, რა სიჩუმეა დღეს ამ უზარმაზარ სასლუნი, რომელიც ყოველთვის შენი სიმღერებითა და შენი სიცილით იყო აღსავსე.

გამიჩნდა მღვდელი, თუმც გადაწყდა,, ეკლესიაში არ დგებასეგნებენ. ეკლესიამ მაინც უარი გითხრა. ეგებ ახე სჯობდეს კიდეც... მართალია, ლოცვა არ ვიცით, მაგრამ ჩვენ ყველანი შენთან ვართ. ყოველ ჩვენთაგანს ახსნნდება რაღაც განსაკუთრებით ძვირფასი, სამუდამოდ რომ შემოუსახავს სათუთად გულში. გული მაინც გულია... შენზე, ედიტ, შეუძლებელია ლაპარაკი, ისე რომ კვლავაც და კვლავაც არ გავიმეოროთ ეს სიტყვა. შენ თავად გული იყავი, ედიტ! მაინც მოგვიხდა შინიდან გამოსვლა, უკანასკნელ გზაზე რომ გგიგალოთ. აი აქ, ქუჩაში უხმოდ იდგნენ ადამიანები და თითქოს სამსახიობო სადარბაზოდან შენს გამოჩენას ელოდნენ. ექვი არ მეპარება, ამ წუთებში ყოველ მათგანს მოესმა შენი ცეცხლოვანი, ოდნავ ჩაჩრინწული, სასწაულმოქმედი ხმა.

დაიწყო შენი ტრიუმფალური სვლა, ედიტ, შენი აპოთეოზი...

დაიძრა გრძელი, უსასრული კორტეჟი და პარიზი, მთელი პარიზი საპატიო ყარაულში დადგა. ადამიანები ფანჯრებს არ შორდებოდნენ, ტროტუარებზე ტკვა არ იყო. შეწყდა მოძრაობა, და შენ ჩაუარე შენს ქალაქს, შენს პარიზს.

— პიფი... პიფი მიდის.

ეს ადამიანები ცნობიმოყვარეობამ როდი მიიყვანა აქ. ისინი ველოდნენ შენ, რომ უკანასკნელი ვალი მოეხადათ შენს წინაშე. ეს იყო სიყვარულისა და აღიარების ერთი საკრთო ამოძახილი — შენ უნდა გეცოდნოდა, რომ ამიერიდან პარიზი აღარ იქნება ისეთი, როგორიც იყო წინათ. რაღაც სამუდამოდ წავიდა შენთან ერთად პარიზიდან.

სასაფლაოს ალაყაფის კარი შევაღეთ და სამფერი ეროვნული დროშა, რომელიც შენს მიერ გადარჩენილ ერთ-ერთ სამხედრო ტყვეს მოჰქონდა, მიეცალებუოთა ქალაქში შეგვიძღვა. ყოველი მხრიდან დაიძრა ხალხის ტალღა. ჩვენ წაგვლეკა ამ ტალღამ. შენს. მაყურებელს სურდა, მონაწილეობა მიეღო სამგლოვიარო მსვლელობაში სასაფლაოს ოკრობოკრო ქვებზე. მათ უნდოდათ, ყველას გაეგო, ედიტის ეროვნულ მეგობრებსაც და ახლობლებს, რომ ედიტი ამ ადამიანებსაც ეკუთვნოდა. მათ არასოდეს მიუტოვებიათ იგი და დღესაც აქ არიან. მხარდამხარ ეწმოდ მოდიოდნენ, მიაბიჯებდნენ განურჩევლად კლასისა, ყურადღებას არ აქცევდნენ, ანაც ეგ „ეფერებდნენ ერთმანეთს .ბევრ მათგანს სულ ... პატარა თაიგულები ეჭირა...

ჩემს გვერდით ერთი მოხუცი ქალი ახლოს მისვლას ცდილობდა.

— მოვედი, რომ გადაცილო. ჯერ კიდევ პატარა გოგონა იყო, მე რომ ვიცნობდი, მაშინ მომ პიაფს ეძახდნენ.

ხედავ, ედიტ, გავიდა წლები, შენ სიმღერის დედოფალი გახდი, მაგრამ ათასობით ადამიანისათვის ისევ მომ პიაფად დარჩი, ქუჩის მომღერალ პატარა გოგონად, რომელმაც იპოვნა გზა ხალხთა გულებისაკენ. შენ ამბობდი იმას, რისი თქმაც მათ არ შეეძლოთ. შენ ყოველთვის გულწრფელი იყავი და არასოდეს მოგიტყუებია ისინი.

დგება ღამე. იგი ბუბუსში ხვევს გარშემო ყვავლაფერს. შენს საფლავს, პარიზს, ჩვენს გულებს.

ოფლღაც ედიტი ასრულებდა შესანიშნავ სიმღერას ანრი კონტეს სიტყვებზე და მოციქულ პეტრეს მიმართავდა.

ეს იყო სამღერა საცოდავ გოგონაზე, რომელიც ბევრს ეწამა და რომელმაც იცოდა სიყვარულის ფასი... მას ლოცვა არ ეხერხებოდა, მაგრამ სიკვდილის წინ მაინც ევედრებოდა მოციქულს. შეეძლა იგი სამოთხეში, „ამბობენ იქ კარგად ცხოვრობენ“, მას ხომ ცუდი არაფერი ჩაუდენია. მიმღერალი მუდარით აღაპყრობდა ხოლმე ხელებს — და ეს სიყვარულის მუდარა იყო.

ეს სიმღერა ედიტის ყველაზე საუკეთესო სიმღერათა რიცხვს არ მიეკუთვნებოდა, მაგრამ ისეთი ლამაზი იყო .იგი, რომ გწამდათ. მოციქული პეტრე არ ვააპუნილებდა გოგონას. არ ვიცი, მაშინ მისწედა თუ არა მოციქულს ამ გოგონას ხმა, მაგრამ დღეს მე ვემუდარები, გახსნას ედიტ პიაფის წინ ზეცის კარი.

იგი ბევრს ეწამა, უკვარდა, არაჩვეულებრივი ადამიანი იყო.

თქვენ ედიტის სახით ფასდაუდებელ განძს მიიღებთ, ჩვენ კი საუკუნოდ ვეთხოვებით რაღაც ძალზე დიდს.

საუკუნოდ? არა, ეს შეუძლებელია.

არ გეთხოვებით.

ნახვამდის, ედიტ!

თარგმანი ლია თევზაძისა.



ეროვნული ბიბლიოთეკა

გივი შეყილაძე

ექსპერიმენტალური გამარჯვება

მოსკოვში დამთავრდა მატჩი მსოფლიოს პირველობაზე ნონა გაფრინდაშვილსა და ალა კუმსირა შორის.

ისევე, როგორც წინა მატჩებში, მსოფლიოს ჩემპიონობის ნონა გაფრინდაშვილის უპირატესობა აშკარა იყო და მან ბოლოჯერ შთამბეჭდავი ანგარიშით 8,5:4,5.

მსოფლიოს ჩემპიონს ოფიციალურ სეკუნდანტობას უწევდა აპერთაშორისო ოტატი ი. ხეი, პრეტენდენტს — ოტატი ვ. იურკოვი.

მატჩის მთავარი მსაჯის მაგიდას ტრადიციულად ედგა ნ. გრუშკოვა-ბელსკა (ჩეხოსლოვაკია).

ეს იყო მთავლოობის ჩემპიონის სახელისათვის ბრძოლაში ნ. გაფრინდაშვილის მესამე გამარჯვება.

ფურცელი დღიურიდან

„ის ზის გარინდული, თავდახრილი, გაქათქათებული თეთრი ბაბთით. იდაყვები მილურსმია მაგიდას, მაგიდაზე მიკრული თეთრი ბრა: „ნ. გაფრინდაშვილი, I თანრიგი, თბილისი", ფეხისწვერები ძლივს სწვდება იატაკს — 13 დღის შემდეგ შეუსრულდება მხოლოდ 15 წელი...

19 აპრილი, 1956 წელი".

„საპადრაკო კლუბში პროგენტორები ანათვნენ ბაბთიანი გოგონას სახეს, ოდნავ დაბნეული, ძნელად გასარჩევი ქმაყოფილებით იხდის მადლობას.

ფეხზე ამდგარნი ესალმებიან თაყვანისმცემელნი თავიანთ კერპს. ერთ კუთხეში ვიღაცამ ფალატენტაბიძის სადებავშეუმშრალ ერთტომეულზე დაწერა: „ერის სახელს, მსოფლიოს მომავალ ჩემპიონს. პატარა ნონა გაფრინდაშვილს".

28 აპრილი, 1956 წელი".

მარტო ჭადრაკითა ერთითა...

ჩვენი თაობის თვალწინ სწრაფად გაირბინა ამ ცამეტმა წელმა. ნონა გაფრინდაშვილს უკვე მესამედ დაუდაფენს შუბლი. ეს იყო ღირსეული სახლაური იმ დიდი და სასიამოვნო ხარკისა, რომელიც მსოფლიოს ჩემპიონმა ჭადრაკისათვის გაიღო, მის მშვენიერებას მესწორა.

ამასწინათ მოუხიბლავი იეგოოსლაველი მოჭადრაკე მილუნკა ლაზარევიჩი წერდა: ნონამ ბევრი რამ შეესწორა ჭადრაკს, მისმა თავდადებამ და ამ ბრძნული თამაშისადმი ასეთმა ერთგულებამ არ შეიძლება არ აღვავფრთოვანოს, ის არის ჩვენს შორის უპირველესი, მან ახალ სიმაღლეზე აიყვანა ჭადრაკი.

დიახ, შენებრ დიდი პასუხისმგებლობისა საპატიოცაა და მძიმეც. ნონა გაფრინდაშვილს ბედმა არგუნა განსაკუთრებული მოვალეობა, ამის ღირსეულად გაარჩინამ მისი ცხოვრება ისე წარმართა, რომ უფლება დაეტოვა ისეთქოს მხოლოდ ჭადრაკითა ერითითა, და ჩვენამდე ლეგენდად მოსული ვერა მენჩიკის სახელი გასასაცსაურის, გაარჩევულებრივის, ჯერ მენჩიკის შესადარი ეკითეტი დაიმსახურის, შემდეგ კი... მომავალ თაობებს ისეთივე ლეგენდად დარჩეს.

დიახ, რაც ახლა ძალიან ჩვეულებრივი გვეჩვენება, მალე ლეგენდებად შემორჩება შვილთაშვილებს.

დღეს ჩვენ რომ მდგარები ვართ, გუშინ რუსთაველის თეატრში მსოფლიოს პირველობაზე მატჩს ჩვენთან ერთად რომ უცქერნენ ნანა ალექსანდრია, ციური კობაიძე, მანანა სანაძე, კიდევ ათი და ოცი ბაბთიანი გოგონა, რომელთა სახელი ხვალ გვეცოდინება, ეს უპირველეს ყოვლისა, ნონას და მისი სკოლის დამსახურებაა. საპადრაკო მსოფლიოში მოვიდა მიხეილ ტალი და ჭადრაკი ფეხბურთივითა პოპულარული გახდა. ასევე, ნონას სახელმა ბევრი რამ შეიცვალა ქალთა ჭადრაკში, დაიწყო მისი მაესიური გაახალგაზრდავება...

ალა კუშნირთან მეორედ გამარჯვებამ ნონას საპადრაკო კარიერას ახალი დიდება შემატა.

ეს ტრიუმფი კიდევ ერთხელ გვახსენებს „ნონას სკოლის" დამაარსებლის ვახტანგ ქარსელაძის ნათელ სახეს, არჩილ ებრაელიძის კოლორიტულ პიროვნებას, რომლის სუნთქვა შემორჩენია პიონერთა სასახლის იმ პატარა ოთახებს, სადაც მსოფლიოს ორმა ახლანდელმა ჩემპიონმა პირველი ზარაფხა

მიიღო; გვახსენებს ვიქტორ გოგლიძეს, ჭადრაკის პირველ ქართველ ოსტატს.

ნონას აღუწყვია ვახტანგ ქარსელაძის სკოლის მრავალოლიმპიადა მსმენელთა ზეიმიცაა (ეს მათი დეპეშა იყო მთად დამდგარ დეპეშათა შორის რიგაში «Эх, раз, еще раз, еще много, много раз...» 1965 წელს, ასე რომ მთაგრეხილია).

„ბევრი რამ ხდება, ჰორაციო...“

ალა კუშნირთან მატჩის მეორე ნახევრის გაგრძელებისას გაზეთ „ეკომსომოლსკაია პრავდას“ კორესპონდენტის კითხვაზე ანგარიშში ასეთი სხვითა, ხელგაშლილად თამაშისკენ ნოთ არ გიბიძგებთო, ნონამ მოკლედ უპასუხა: მსურს ჭადრაკი ვითამაშო. (მსოფლიო ჩემპიონს ლაპარაკი არ უყვარს, ის მზადაა საჭადრაკო ენაზე ესაუბროს ყველას; იქ, დაფაზე დამამტკიცოს თავისი სიმპრიალე!)

1962 წელს „ედფალთ და ზეიელთა“ შუხლა-შემოხლის, ბიკოვა-გაფრინდაშვილის მატჩის დაწყების წინ, დაბაბული სიტუაცია იყო (აქ მაშინდელი მსოფლიოს ჩემპიონის ფსიქოლოგიური მოტივებიც გასახსენებელია), ასეთ ვითარებაში ალა კუშნირმა გაზეთ „იზვესტიის“ საკვირაო დამატებაში ხელოვნებით განაცხადა, რომ ნონა გაფრინდაშვილი უეჭველად გიმშარჯვებდა, დიდოსტატმა ა. კოტოვმა საპოლემიკო წერილში ალა კუშნირის ხმამაღალი განცხადება, ერთი მხრივ, უტაქტობად, მეორე მხრივ — ნონასადმი დათუთქ ხამსაურად მიიჩნია.

მატჩის დაბურვისას ელისაბედ ბიკოვამ განაცხადა: ძალზე მძიმეა სპარტო ტიტულის დაკარგვა, მაგრამ იმის შვენება, რომ ვეიროვენი გადავიდა ნამდვილად უღირაფრის და ისიც სიბეჭითა მოჭადრაკის ხელში, მიადგილებს ამ დანაკარგსო.

ხოლო ალა კუშნირმა ჟურნალ „ცისკარში“ ნონასადმი მიძღვნილი სტატია ასე დაამთავრა: „შეიც ელისაბედ ბიკოვასაკით მოსკოველი ვარ, მაგრამ ნონა ჩემი ტოლია, და ერთსულ კიდეც გულწყრულად და სულით და ეულით ვულოცავ მას ამ შესანიშნავ გამარჯვებას“.

ნონას პირველი მატჩის დროს ალა კუშნირი იყო ის შეფნიერი ჟურნალისტი, რომელმაც პირველი ინტერვიუ მიიღო 22 წლის მსოფლიოს ჩემპიონისაგან, მისი ოფიციალურად აღიარების წინა დღეს.

ახლა ხედმა მცსოვანი ნა სიმპაატიური ელისაბედ ბიკოვა მიიყვანა ნონასთან ისეთივე მასიით, როგორიც ალა კუშნირმა იტკიროთ შვიდიოდე წლის წინათ...

იგი იმეორებს (რა თქმა უნდა, მცირედი შესწორებით) ის სიტყვებს, რაც კუშნირმა თქვა მაშინ: კუშნირსაც მოუხდებოდა გაემეორებინა (ესეც, რა თქმა უნდა, კვლავ მცირედი შესწორებით) ბიკოვას ფრაზები.

დაფაზე ვვირეგვინის ორი მაძიებელი ინტერვიუს არიმეყნე უკვლელ ჩემპიონს.

დიახ. ბევრი რამ ხდება... დრონი ი

ᲛᲘᲥᲔᲚᲐᲜᲯᲔᲚᲝ ᲐᲜᲢᲝᲜᲘᲝᲜᲘ

ცნობილი იტალიელი რეჟისორი მიქელანჯელო ანტონიონი ჰოლივუდში იღებს ახალ ფილმს ახალგაზრდების ცხოვრებაზე.

რამდენიმე ხნით ანტონიონი ამერიკაში გაემგზავრა, რათა უფრო ახლოს ენახა ეს ქვეყანა, გასცნობოდა იქაური ახალგაზრდობასა და მის საქმიანობას. იქ რეჟისორი შეხვდა უამრავ ხალხს, ახალგაზრდულ მოძრაობათა წარმომადგენლებს, ესაუბრა მათ და მოვიდა იმ დასკვნამდე, რომ პროცესი,რომელიც ამერიკელი ახალგაზრდობის ფსიქოლოგიასა და შეგნებაში მიმდინარეობს, მეტად სერიოზული და დამაფიქრებელია.

— მე კარგად ვიცნობ ინგლისის ახალგაზრდობას, — წერს ანტონიონი, — იქაც ხდება ცვლილებები, მაგრამ ეს ცვლილებანი ამერიკის ახალგაზრდობასთან შედარებით ზედაპირულია, თუ ახალგაზრდებმა შეიცვალეს ვარცხნილობა და სხვაგვარად იცვამენ, ეს არ ნიშნავს, რომ შეეცვალათ შეხედულებები ცხოვრებაზე.

ერთ-ერთ ამერიკულ გაზეთში ანტონიონმა შეიტყო ცნობა, რომ ერთი ახალგაზრდა ამერიკელი ყმაწვილი შეიპარა ავრორიუმზე. პატარა თვითმფრინავს წააწერა: „ეჰ-ყოფათ ომი!, სიყვარულო!, მშვიდობა!“. ფრთებზე მიახვეთითო ყვავილი, ჩაჯდა თვითმფრინავში და გაფრენილი მიმართულებით გაფრინდა.

ანტონიონის სჯერა, რომ ამერიკაში იგი შეხვდა ახალგაზრდების დიდ ნაწილს, რომელიც ეძებს ახალ გზებს ცხოვრებაში და გადაწყვიტა თავისი მომდევნო ფილმი სწორედ იქ გადეღოთ.

— მე არასოდეს ჩამოვიდოდი ჰოლივუდში ფილმის გადასაღებად. — განაცხადა ანტონიონმა, — ჯერ არცერთ ევროპელ რეჟისორს არ გადაუღია აქ კარგი ფილმი. დამოუკიდებლად მუშაობისათვის კი სახსრები არა მაქვს. ჰოლივუდი, ჩემი აზრით თვითდაჯერებული, მდიდარი, უილაჯო მინაძური მოხუცია, რომელიც თვითონ დაუფლურებულია, მაგრამ დიდი თანხა აქვს და შეუძლია ყველაფერი იყიდოს.

მე ვცდილობ ჩემს ფილმში რაც შეიძლება ნაკლები ჰოლივუდელი მონაწილეობდეს, არა მარტო მსახიობი, არამედ ტექნიკური მუშაკიც კი, ვინაიდან ისინი გაეჯერნილი არიან აქაური ტრადიციებით, თვითდაჯერებით. მე მჭირდება ჰოლივუდის მხოლოდ თანხა, სხვა მხრივ მინდა ვიყო თავისუფალი არა მარტო იურიდიულად, არამედ თავისუფალი ჰოლივუდის აბსოლუტისაგანაც. თუ ეს ასე არ იქნება, მე უარს ვიტყვი ჩემს იდეაზე, — ამბობს ანტონიონი.

ᲐᲨᲣ

ᲛᲐᲠᲘᲢᲣᲐᲜᲐ ᲓᲐ ᲛᲝᲛᲬᲧᲐᲚᲔᲑᲘ

სან-ფრანცისკოში საშუალო სკოლის მოსწავლეები ყოველ დილით ეწევიან მარიხუანას.

შეიფების მდგომარეობით შეშფოთებულ დეტროიტელ მშობლებს ხშირად მიაქვთ პოლიციაში გამოსარკვევად თუ თოფნითია და საეკვო ტაბლეტებით სავსე ქისები. დეტროიტში ისე გაზმორდა მარიხუანას შემოზიდვა, რომ პოლიციი იძულებულია ძალლებით დაბოდეს დასაცავლეთიდან მოსულ ყველა თვითმფრინავს.

ქალაქ უეიფილდში საშუალო სკოლის თითქმის ყველა მოსწავლე დებულობს მერინს. ნარკომანიის წინააღმდეგ მებრძოლი კომიტეტის თავმჯდომარემ იუდეტ კატნრიუბასმა განაცხადა: ყველა სახის ნარკოტიკი დიდ მავნებლობას უწევს ადამიანის ორგანიზმს. საჭიროა სასტიკი ბრძოლის გაჩაღება ნარკომანიის წინააღმდეგ. მიუხედავად ამისა, ზოგიერთი მშობელი პირიქით ხელს უწყობს შვილს, სასამართლო უსიამოვნების თავიდან ასაცილებლად აბორიგინეს მისცეს მას ფულიო.

ამერიკის თითქმის მთელი ახალგაზრდობა შეპყრობილია ნარკომანიით. ხშირია სიკვდილიანობა დიდი დოზით ოპიუმისა და ნარკოტიკის მიღების შედეგად. ეკლესია ლორენს ჰელპერნმა თავის პაციენტს, 18 წლის გოგონას ჰკითხა: „ვანა უფროსები არ ეეუბნებიან, რომ ეს მავნებელია?“ „როგორ არა, — უპასუხა გოგონამ, — ისინი იმდენ სისულელეს ლაპარაკობენ, ვინ დაუჯერებს მათ. ჩვენ არაფერი გვჯერა იმათი, ვინც შეთავაგინებს რომ ვიეტნამი კარგია, მარიხუანა კი — ცუდი“.

ᲐᲜᲔᲜᲝᲚᲐ

ᲔᲠᲐᲜᲔᲗᲘᲡ ᲛᲔᲓᲐᲠᲙᲛᲚᲘ ᲐᲜᲔᲜᲝᲚᲐ

ანეროლში, პორტუგალიელ დამპყრობთაგან განთავისუფლებულ ტერიტორიაზე, იღებენ პირველ მხატვრულ, ნაციონალურ ფილმს „მოუნადამი“. ფილმის სცენარი დაწერილია ანეროლელი მწერლის

ლუანდნუ ვიეირას ამავე სახელწოდების ნოველის მიხედვით. სახალხო-განმათავისუფლებელ მოძრაობაში მონაწილეობისთვის ლუანდნუ ვიეირას პორტუგალიის სიმდიდრო ტრიბუნალის მიერ მიესაჯა 14 წლით კატორგა მწვანე კონცხის კუნძულებზე. სცენარის ავტორია ცნობილი მწერალი და პოლიტიკური მოღვაწე ანგოლის განმათავისუფლებელთ მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი მარიუ დი ანდრადი.

ფილმს იღებს რეჟისორი სარა მალდორერი.

გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა

ბერნარდის კაცობნები უმუშევარია

ოთხასსმოცდაერთი 53 წლის პიტერ სმიტი, რომელსაც შვიდი თვის უკან კრისტიან ბერნარდსა სხვისი გული გადაუნერგა, კოფელვარი ხურვილისა და ცდის მიუხედავად დღემდე უმუშევარია.

„მე მსოფლიოს საუკეთესო ტენისისტი ვარ, რომლის ქერქში ფეთქავს სხვისი გული. — სიცილით განაცხადა სმიტმა სატენნო ჩემპიონატში მონაწილეობის დროს, — მაგრამ როგორც კი დავიწყებ სუბპრის სასახურის შესახებ, იწყებს იძულებული ვხდები, გავჩუმდე".

ავადმყოფობის პერიოდში სმიტს დიდძალი ვალი დაუგროვდა. საავადმყოფომ, სადაც მომაკვდავ ავადმყოფს ზანგის გული გადაუნერგეს, დიდი ანგარიში წარუდგინა ოპერაციათა სთვის. სახლის მეპატრონე მას ქუჩაში გაგდებით ემუქრება, თუ ვალს დროზე არ დაფარავს.

„საოცარმა ოპერაციამ სიცოცხლე მიჩუქა, — ამბობს სმიტი, — მაგრამ როგორც ირკვევა, არ შემწევს უნარი, თვითონ ვირჩინო თავი".

ინგლისი

მიკის თეოდორაკისის დასასვლელად

ინგლისის გაზეთ „სანდე ტაიმსში" დაიბეჭდა წერილი, რომელსაც ხელს აწერს თეატრისა და კინოს 70 წარმომადგენელი. ისინი იუწყებიან:

„პრესაში გამოქვეყნებულმა ცნობამ, რომ გამოჩნენილი ბერძენი კომპოზიტორი მიკის თეოდორაკისი ცხოვრობს სოფელ ზატუნაში და მეოცად ძმამე მდგომრეობაში იმყოფება, ადაშფოთა ჩვენი ქვეყნის ხელოვნების ბევრი მუშაკი...

კომპოზიტორის ჯანმრთელობას საფრთხე ემუქრება. ჩვენ ვფიქრდებით ჩვენი კოლეგების ხმის მთელ მსოფლიოში და მოვითხოვთ, რათა თეოდორაკისს აღმოუჩინონ სამედიცინო დახმარება და შეუქმნან სათანადო პირობები სამუშაოდ".

საფრანგეთი

ფრანსუა მორიაკის ახალი რომანი

1955 წელს ჟურნალ „ინოსტრანნაია ლიტერატურაში" დაიბეჭდა ცნობილი ფრანგი მწერლის ფრანსუა მორიაკის მოთხრობა „პატარა მაიმუნის" თარგმანი. „პატარა მაიმუნის" შემდეგ მორიაკს, რომელიც ერგასის ალარ დაუწერია, ეს ხნიდან მან „ბოლოჯერ ... ...

ფასი 60 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ЛИТЕРАТУРНО-ХУДОЖЕСТВЕННЫЙ ЖУРНАЛ

«ЦИСКАРИ»

ИЗДАТЕЛЬСТВО
ЦК КП ГРУЗИИ

ИНДЕКС 76236